1812 წელს
ახმეტაში ავარდნილი ნაპერწკალი
ალად მოეწდო კახეთს,
მთელ საქართველოს.
თუ რა დიდი მნიშვნელობა
ჰქონდა ქართველთათვის
ამ ისტორიულ ამბავს
მოგვითხრობს
ალექსანდრე ფრონელი.

ალექსანდრე ფრონილი

ამბოხება კახეთისა

(1812 წ.)

ისტორიული ამბავი

ტფილისი
ელექტრონის სტამბა წიგნების გამომცემელ ქართველთ ამხანაგობისა.
1907

ალექსანდრე ფრონელი

ამბოხება კახეთისა 1812 წ.

ისტორიული ამბავი

გამომცემლობა
«ამირანი»
19 თბილისი 92

© გამომცემლობა "ამირანი" 1992

ამბოხება კახეთისა

(1812 წ.)

ისტორიული ამბავი

ნაწილი პირველი

შფოთისა და მღელვარების ნაპერწკალი პირველად ამოვარდა ს. ახმეტას 31 იანვარს 1812 წ. აქედან ამბოხების ალი მოედო კახეთს, გადავარდა შუაგულ ქართლში, დასავლეთით უწია ოსეთს და მოუახლოვდა ტფილისს. მღელვარების ცეცხლსა და ბოლში გაეხვია ქიზიყი, შეიტრუსა დღევანდელი ზაქათალა და თითქმის შექის სახანოს მიაღწია აჯანყებამ.

უბედური იყო პირველი ხანა რუსის მთავრობის დამკვიდრებისა საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში. მღელვარებითა და დრტვინვით მიეგება კნორრინგს საქართველოს წარჩინებული თავადიშვილობა. დიდად იუცხოვეს თავადიშვილებმა კნორრინგის უცნაური საქციელი, რომელმაც სალდათები გარს შემოავლო სადგურს, სადაც 8 მაისს 1802 წ. რუსის იმპერატორის ერთგულობის ფიცი მიიღო ქართველმა თავადიშვილობამ და მოქალაქეთ. ყველაზედ მეტად გულნაკლულად იყო კახელობა. მათში გაატარა სიყმაწვილე და სიჭაბუკე სახელოვანმა მეფემ ერეკლე მეორემ, მათთან იღწოდა ქვეყნისათვის და მათშივე მიებარა საფლავს. ალბად, ეს იყო მიზეზი, რომ უწინარეს ყოვლისა ამბოხებამ კახეთში

იჩინა თავი. არ გასულა დიდი ხანი ნაძალადევი ფიცის შემდეგ და იმავე 1802 წ. კახეთში დაიწყო ამბოხება. მთავრობამ მალე ჩააქრო მღელვარება თავად-აზნაურობისა, ბევრნიც დასაჯა, მაგრამ ვინც გადარჩა სასჯელს, ადვილად არ ურიგდებოდა ახალს რეჟიმს და ჰფანტავდა საქართველოში უკმაყოფილების თესლსა. უფრო საშიშო და სავალალო იყო რუსის მთავრობისათვის აჯანყება მთიულეთისა 1804 წ. ათას რვაას ორს წელს პროტესტს აცხადებდა ფეოდალობა, 1804 წელს კი ამხედრდა თვით ერი, შეჰკრა საქართველოს სამხედრო გზა და მთლად მოსწყვიტა მეტროპოლიას საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში გაბნეული მხედრობა.

თუ ამ დროს თ. პავლე ციციშვილი არ ყოფილიყო საქართველოში მთავარ-მართებლად, ეგები რუსეთი სამუდამოდ გამოსთხოვებოდა ამიერ-კავკასიაში ბატონობას. ამ შესანიშნავმა სარდალმა მცირე მხედრობით მოახერხა და ჩააქრო აღგზნებული ცეცხლი და რუსეთის გვირგვინს შეუნარჩუნა ჩვენი ქვეყანა.

1812 წლამდე მთავარ-მართებლობდნენ საქართველოში ციციშვილის სიკვდილის შემდეგ გუდოვიჩი და ტორმასოვი. არც ერთს მათგანს ერთი ბედნიერი დღე არ უნახავთ ჩვენს ქვეყანაში. ან ოსმალეთსა და სპარსეთს ებრძოდნენ, ან შინაურ ამბოხების ჩაქრობას უნდებოდნენ. ტორმასოვმა მთელი თვისი ძალღონე იმერეთის უკანასკნელ მეფე სოლომონთან ბრძოლას მოანდომა.

წარსულ საუკუნის განმავლობაში მღელვარება და შფოთი თითქმის არ შეწყვეტილა საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეს. 1810-1811 წელს ბატონიშვილმა ლევანმა ააჯანყა ოსეთი, 1813 წელს ბატონიშვილმა ალექსანდრემ ფეხზედ დააყენა ხევსურეთი. დიდი ამბოხება მოედო იმერეთს 1820 წ. და ბევრი სისხლიც დაიღვარა. დიდმა უკმაყოფილებამ იჩინა თავი ქართლში 1830-32 წ. ყველას ეხსომება აგრედვე გლეხთა აჯანყება სამეგრელოში ეკატერინე მთავრინას დროს.

თუ არ ვიანგარიშებთ წვრილ-წვრილ მღელვარებას გურიასა, სვანეთსა და აფხაზეთში, უკანასკნელ ამბოხებად

უნდა მივითვალოთ მღელვარება აბხაზეთისა წარსულ რუს-ოსმალოს ომის დროისა 1878 წ. სიწყნარე და მშვიდობიანობა ამ დროიდან თითქმის აღარ შერყეულა საქართველოში. ამბოხების ცეცხლი რომ მოედო კახეთს 1812 წ., ჩვენში მთავარმართებლობდა მარკიზი პაულუჩჩი. როგორც 1804 წ. თ.ციციშვილმა იხსნა რუსის მხედრობა გაწყვეტისა და განადგურებისაგან, ისე მარკიზ პაულუჩჩიმ გაუწია პატრონობა რუსის ჯარსა და მოხელეობას. ამბოხებამ რომ იფეთქა, მარკიზი ქართლში არ იყო. აღმოსავლეთ კავკასიაში ჯარებს ათვალიერებდა და თადარიგს იჭერდა სპარსელების შემოსევის წინააღმდეგ. გაიგო თუ არა კახეთის ამბები, ფიცხლავ გაჩნდა ტფილისში და სულ რაღაც ორი-სამი თვის განმავლობაში ჩაანელა აგიზგიზებული ცეცხლი. ძნელი დრო იყო რუსის მთავრობისათვის ეს დრო. იმპერია ემზადებოდა ნაპოლეონის დასახვედრად და თავი ვისა ჰქონდა ეზრუნა საქართველოში დაბანაკებულ ჯარისათვის. ჯარის მომატებაზე მთავარ-მართებელი კრინტსაც ვერა სძრავდა. მომატება-კი არა, კიდევაც შეუმცირეს. ჯერ ისევ 1811 წელს სამხედრო მინისტრმა მოსთხოვა ტორმასოვს - დააბრუნე რუსეთს ორი დრაგუნის პოლკი: ტაგანროგისა და ვლადიმირისა და ორიც ქვეითა ჯარის პოლკი: სევასტოპოლის მუშკეტერისა და 46 ეგერებისაო. ტორმასოვმა დრაგუნთა პოლკები დააბრუნა რუსეთს და ითხოვა ქვეითა ჯარის პოლკები მაინც დაეტოვებინათ, მაგრამ თხოვნა უყურადღებოდ დასტოვეს, შინ რომ ბავშვი ტიროდეს, ტაბლას გარედ რა ხელი აქვსო.

ტორმასოვი გაიბუტა, მცირე მხედრობით რას გავხდები ამ შფოთიან ქვეყანაშიო და სამსახურს დაეთხოვა. 1811 წ. 6 ივლისის რესკრიპტით ავადმყოფობის გამო ტორმასოვი დაითხოვეს სამსახურიდან და იმის ადგილზე დაინიშნა იმავე რესკრიპტით მთავარ-მართებლად მარკიზი პაულუჩჩი.

1812 წ. გაზაფხულზე სრულიად საქართველოსა და ამიერკავკასიაში რუსის მხედრობა არ აღემატებოდა 28,000 ჯარის კაცს. აქედან ხუთი ბატალიონი და ერთი ყაზახთა პოლკი იყო დაბანაკებული იმერეთსა, სამეგრელოსა, გურიასა და

აფხაზეთში; ქართლში შვიდი როტა, სამი ესკადრონი და ყაზახთა ერთი პოლკი; ჯავახეთში სამ ნახევარი ბატალიონი და ყაზახთა ერთი პოლკი; ბამბაკში გუმბრისაკენ ხუთი ბატალიონი და ორი პოლკი ყაზახებისა; შამხორის მხარეს სამი ბატალიონი და ყაზახთა პოლკი; ყარაბაღში ექვსი ბატალიონი და ერთი ჩარექი და ერთიც ყაზახთა პოლკი.

აქ მოხსენებული არაა, თუ რამდენი ჯარი იდგა კახეთში, ეს იმითი აიხსნება, რომ ჯარი მაშინდელ შფოთიან დროს ხშირად იცვლიდა ბინას და, ალბად, როცა გენერალი რტიშჩევი ამ მოხსენებას ჰგზავნიდა პეტერბურგს, კახეთიდან, აღელვების დაცხრომის შემდეგ, სხვაგან სადმე თუ გადაუყვანია იქაური მხედრობა. როგორც ქვემოდ დავინახავთ, ამბოხების დროს კახეთში ისე მცირე ჯარი იდგა რომ სათქმელადაც არა ღირს.

დიახ, ჯარი რომ ცოტა იყო, მოშველების იმედიც არა ჰქონდა მარკიზ პაულუჩჩის, მტერი კი ურიცხვი, ეხვია გარს. სპარსეთი და ოსმალეთი მოდარაჯებულნი იყვნენ, რომ როგორმე გაეძევებინათ საქართველოდან რუსები და მოსვენებას არ აძლევდნენ. როგორც ლახვარი, ისე მოხვდათ ერთსაცა და მეორესაც ამბავი რუსობის დაბუდებისა საქართველოს მიდამოებში. ინგლისის წაქეზებით ოსმალეთმა და სპარსეთმა კავშირი შეჰკრეს, რათა თანხმობით ემოქმედნათ რუსების წინააღმდეგ. ინგლისმა 20,000 თოფი გამოუგზავნა სპარსეთს, ინსტრუქტორები ჯარის გასაწვრთნელად, ციხეების ასაგებად და ზარბაზნების ჩამოსასხმელად. ფულს აუარებელს უგზავნიდა ინგლისი სპარსეთს ჯარის საჭიროებისათვის, ოქროს არც ოსმალეთი იშურებდა სპარსეთისათვის, ოღონც-კი ხელი არ აეღო რუსეთის სამტროდ. სპარსეთის შაჰის ფირმანებით იფინებოდა საქართველო, ემისარები დაძრწოდნენ და აღელვებდნენ ქართველებს რუსების წინააღმდეგ.

ამას ისიც უნდა მიუმატოთ, რომ დაუძინებელი მტერი რუსეთისა, ტახტის მაძიებელი ბატონიშვილი ალექსანდრე ერეკლეს ძე, სპარსეთის საზღვარზე იდგა და ელოდა მოხერხებულს დროს შემოსეოდა საქართველოს სპარსელთა

მხედრობით, და ან სულ გაეწყვიტა რუსის ჯარი, ან გადაერეკნა კავკასიის უღელ-ტეხილს იქით. ბატონიშვილის წერილებით სავსე იყო საქართველო. ერთგულნი მხლებელნი როგორღაც უსხლტებოდნენ რუსის დარაჯებს და მრავლისაგან მრავლად აბნევდნენ მის პატარა ლაკონიურ ბარათებს. სიყვარულით აღსავსე წერილები გულს უთუთქავდა ქართველობას და აძულებდა რუსობას. ასე გასინჯეთ, დაღესტანი, რომელიც ჩვენის მოყვრობით თავს ვერ გამოიდებს, ისიც კი მზად იყო ხელი შეეწყო ტახტის მაძიებელისთვის და ბევრჯერ გაუწევია მასპინძლობა ალექსანდრესთვის. ტანჯვა-ვაებამ და კაეშანმა, დაუსრულებელმა წოწიალ-ხეტიალმა მთასა და ბარსა, შინ და გარედ, ზღაპრულ გმირად გარდაქმნა ბატონიშვილი ალექსანდრე ქართველთა და მთიულთა თვალში. ტუჩ-მოკუმული სახე სამეფო მომთა-ბარესი შეიმოსა შარავანდედით და სადაც კი მივიდოდა ხოლმე, იქ უსათუოდ ამბოხება იფეთქებდა რუსობის წინააღმდეგ.

ასეთი იყო გარეშე ვითარება საქართველოში, კახელებმა რომ აჯანყების დროშა ააფრიალეს. შინაური საქმენი უარესად იყო აწეწილ-დაწეწილი. გლეხ-კაცობა ისე იყო გაბეგრილ-აკლებული, რომ მოთმინების ფიალა აევსო და იარაღს წამოავლო ხელი.

მასალად ამ ისტორიულ ამბის დასაწერად გვაქვს მეოთხე და მეხუთე ტომი არხეოგრაფიულ კამისიის მიერ დაბეჭდილ აქტებისა და მეორე ტომი გენერალ პოტტოს რედაქციით დაბეჭდილ წიგნისა, სახელად "რუსთა მფლობელობის დამკვიდრება კავკასიაში".

სულით და გულით ვსწუხვართ, რომ ამ ჟამად შეუძლებელია მიუდგომელის, მეცნიერულად დამუშავებულის ისტორიის დაწერა. ძვირფასი მასალაა შეკრეფილი აქტებში, ოტა რამ სხვაგანაც მოიპოვება, ასე რომ ადვილად მოხერხდებოდა პირუთვნელი გამოკვლევა წარსულთა დროთა და ჟამთა. მაგრამ, ვიმეორებთ, დრო მეტის მეტად უხერხულია და ფუჭად ჩაივლის აღნიშნულ ხასიათის შრომა. ამის გამო იძულებული ვართ ზედა პირზე ვიაროთ, გაბნეული ფაქტები

რიგზე დავაწყოთ და ამ გვარად როგორმე მოვახერხოთ პერსპექტივის გაჩენა. დოკუმენტებში მოყვანილი ფაქტები ძალა-უნებურად კრიტიკის ქარცეცხლს ასცდებიან, მაგრამ რა ვუყოთ, უსარგებლოდ არც ეს შრომა ჩაივლის. უეჭველია, იგი დიდად შეუწყობს ხელს ერის თვით-ცნობიერებას. კარგი და ავი, ბნელი და ნათელი ხელის გულზე გადიშლება და მხოლოდ ბრმა თუ ვერ გაიკვლევს ცხოვრების გზას, თორემ თვალთა მხედველს არ გაუძნელდება გზის პოვნა და მასზე სიარული.

აქტების შემდეგ ფრიად საყურადღებოა დასახელებული პოტტოს წიგნი. ზოგი ამბავი ისეთის სითამამითაა აღნიშნული, რომ ჩვენ სრულიად კმაყოფილი დავრჩებით, თუ უცვლელად შევძელით მისი თარგმნა. სიტყვასაც აღარ მიუმატებთ ჩვენ თავად. წიგნი დაფუძნებულთა აქტებისა, სამხედრო შტაბთა და არქივთა მასალაზე. წიგნი შედგენილია საგენერალო შტაბის. კაპიტან ნ. ს. ანოსოვის მიერ, ხოლო რედაქცია ეკუთვნის გენერალ პოტტოს. დაბეჭდილია სახელმწიფო ხარჯით.

რადგან მოთხრობას პოპულიარულს ხასიათს ვაძლევთ, ამის გამო ტექსტს არ ავაჭრელებთ გადამეტებულის შენიშვნებით და სხოლიოებით. ვისაც სურვილი, ან დრო და მოცალება ექნება, იმან უნდა იშოვნოს ორთავ წიგნი და დასტკბეს თავის ქვეყნის ამბავთა კითხვით. მართალია, კილო ბევრჯელ ეუცხოვება, შეიძლება ბევრჯელაც გაწიწმატდეს, მაგრამ ვინ უშლის მონათლული გადანათლოს და ფაქტსა და ამბავს ჭეშმარიტი ელფერი მისცეს. საწყენი მხოლოდ ერთია, აქტებიცა და ანოსოვის წიგნიც ძნელი საშოვნელია და თითქმის ხელმიუწვდენელი, განსაკუთრებით აქტები.

I

ქვეყნის დაპყრობა და შეძენა ხმლითა და იარაღით არც ისე ძნელია, როგორცა ჰგონიათ. საქმე დაპყრობა და დამონება-კი არ არის, საქმე მოვლა-პატრონობაა ერისა, დადგენა სამართლისა და შემოღება დაპყრობილის ერის ზნისა და ხასიათის შეფარდებულის მართვა-გამგეობისა. ვერც ერთი და ვერც მეორე ვერ მოახერხა მაშინდელმა რუსის მთავრობამ. ღვთის წინაშე, ვერც მოახერხებდა. შინ რომ არა ეყარა რა, გარედ რას გაიტანდა. ბევრი იყო ჩვენში უნამუსო, ყაჩაღსავით თავზე ხელაღებული მოქრთამე მოხელე, მაგრამ ნიჭიერი, პატიოსნებით სავსე მმართველებიც მოიპოვებოდნენ, აი თუნდ თავადი პავლე ციციშვილი და მარკიზი ფილიპე ოსიპის ძე პაულუჩჩი. სულითა და გულით ჰსურდათ ორთავეს საქართველოს დაწყნარება, გაბედნიერება, მაგრამ დახეთ ბედსა, ყველაზე მეტი მწუხარება და სევდა-ვარამი ამათ ხელში გამოიარა ჩვენმა სამშობლომ.

მიზეზი სულ უბრალოა. თავიდანვე ახალი მთავრობა მრუდე გზას დაადგა. არ შეიწყნარა საქართველოს ერის ისტორიული უფლებანი, დასთრგუნა იგინი და ისე ეპყრობოდა საქართველოს, როგორც ველურს ტომს, როგორც უმნიშვნელო და გათახსირებულს სახანოს. საქართველო მიეკედლა რუსეთს მზა-მზარეულ სახელმწიფო მექანიზმით, ჯარით, მოხელეობით, კანონმდებლობით, პოლიცია-ადმინისტრაციით, განვითარებული წოდებრივი უფლებით, - თავად-აზნაურობით, სამღვდელოთი, გლეხ-კაცობით. მიწის მფლობელობაც კელაპტარისავით ჩამოსხმული იყო და საკუთარი, გარკვეული ფორმა ჰქონდა. დარღვევას ვერავინა ჰბედავდა,

რადგან დარაჯად ჩვეულება ედგა. ჩვეულება, ადათი დაწერილ კანონზე უფრო სასტიკი და ულმობელი იყო. იგივე ჩვეულება-ადათს განსაზღვრული ჰქონდა ხარჯი და ბეგარა. ორივენი მძიმე ტვირთად არ აწვა ერსა, რადგან პოლიტიკური და სოციალური ცხოვრება სადა და მარტივი იყო. ძველს ცხოვრებას ახალთან შედარებით ის უპირატესობა ჰქონდა კიდევ, რომ გლეხ-კაცის ხელში და ხმარებაში იყო მამულ-დედული, ტყე და წყალი. კანონი და ჩვეულება სიმარტივისა გამო ყველასათვის მისაწდომი იყო. ქართველობას პირველობითაც მოჰქონდა თავი მთელს კავკასიაში. საბუთიც ჰქონდა. მარტო ის რადა ჰღირდა, რომ კავკასიის სხვა-და სხვა კუთხიდან ელჩი ელჩზე მოდიოდა ტფილისსა და თელავს ერეკლესთან რჩევა-დარიგების საკითხავად. დღევანდელის ლექსით რომ დავასურათოთ ეს აზრი, ასე უნდა ითქვას: მეფე ერეკლე კავკასიის საერთო, საზოგადო მედიატორობას ეწევოდა. თუ არ ასეთი ბუნებრივი პირველობა ქართველის ერისა, შექმნილი კულტურის წყალობით, მაშ რითი აიხსნება თითო-ოროლა საოცარი ფაქტი წარსულისა? უსუსური ბავშვი, რაღაც 18-19 წლის ჭაბუკი ბატონიშვილი ლევან თვეობით თავს აფარებს თოვლიან-ყინულიან ოსეთს და მთელს ამ მხარეს ფეხზე აყენებს და აბრძოლებს რუსობის წინააღმდეგ. ან კიდევ ასეთი ამბავი. ყაბარდო გარემოცულია რუსის მხედრობით, აჯანყება ადვილი საქმე არ არის. ყაბარდოს თავადიშვილები წერილით ატყობინებენ სპარსეთში გადახვეწილს, ბატონიშვილ ალექსანდრეს:

ჩვენ, ყაბარდოელებს, სახლ-კარი მაგარსა და მიუვალ ადგილებში გვაქვს აშენებული. თვით უფალი იფარავს ჩვენს ბინასა. იალბუზის აქეთ მობინადრე მთიელნი კასპის ზღვამდე მაჰმადის რჯულისა ვართ. იმედი გვაქვს, ჩაჩნებსაც შემოვიერთებთ. - ბარათიდან ვსცანით თქვენი სურვილი. გნებავთ დაიპყრათ საქართველოს პროვინციანი და ადარბეიჯანი, რაიცა გეკუთვნით სამფლობელოდ მეფე ერეკლეს

შემდეგ[1]. დრო უკვე მოვიდა. ამის გამო თქვენის მოწოდებისამებრ ჩვენ მზადა ვართ ხელი შევუწყოთ თქვენს განზრახვას. ვიდრე ამ წერილის პასუხი მოგვივა, ჩვენ საერთოდ აქაურნი მოსვენებას არ მივსცეთ თქვენს მტერსა და დუშმანს და იარაღით ყოველგვარ ზარალს მივაყენებთო.

არ დავმალავთ, საპოლიტიკო სხეული საქართველოსი შესამჩნევად გაიბზარა უკანასკნელ ჟამს, მაგრამ არც ისე, როგორც მეცადინეობენ აჩვენონ ქვეყანას გენერალი ქიშმიშევი და ეზოვი[2]. დიახ, რუსების მოსვლის წინა დღეს, საქართველოს ჯერ კიდევ ჰქონდა პოლიტიკური იერი და მიმზიდველობა.

მერე და რა თვალით შეხედა ახალმა მთავრობამ საქართველოს საპოლიტიკო სახელს და პრესტიჟსა, მის წარსულსა და აწმყოსა? გამოიყენა მისი სახელი და მზა-მზარეული სახელმწიფო მოწყობილობა, განადიდა და გააპატიოსნა საქართველოს ჭირნახულობა, თუ ზურგი შეაქცია და ეცადა არსებულის წესისა და რიგის დაქცევასა და დამხობას? ჩვენდა საუბედუროდ, მთავრობამ უკანასკნელი გზა ამოირჩია. რუსის მხედრობას ჯერ ფეხი არ შემოედგა სამუდამოდ დასამკვიდრებლად, ჯერ არ გაეთავებინა საბოლოოდ დიპლომატიური მიწერ-მოწერა, თუ რა პირობით იღებდა ხელს მეფე გიორგი მე-13 სამეფო პროვინციებზე, რომ პეტერბურგს საქართველო გამოაცხადეს პროვინციად და გუბერნიად.

შემდეგი მოქმედება მთავრობისა შედეგია პირველის ნაბიჯისა. რაკი საქართველო გუბერნიად გამოცხადდა, საჭირო აღარ იყო თავის მტვრევა და თავის ტეხა. რისთვის უნდა გაეწყალებინათ გული და მიჰყოლოდნენ არსებულის წესწყობილების კვლევა-ძიებას, შესწავლას და შეკეთებას, სადაც საჭიროება მოითხოვდა? აკი არც შეიწუხეს თავი. აიღეს

---

1) რუსულად: слѣдуемые вамъ во владѣніе по смерти царя Ираклія Адербейджанъ и Грузинскія провинціи. იხ. Акты... т.IV, გვ.125.

2) იხ. Послѣдніе годы Грузинскаго царства პირველისა და Сношенія Петра Великаго съ армянскимъ народомъ — მეორისა.

მზა-მზარეული ფორმა რუსეთის გუბერნიის მართვა-გამგეობისა და გადმონერგეს ჩვენში. ნიადაგი ქვა-კლდიანი აღმოჩნდა და ვერ იხეირა უცხოეთიდან მოტანილმა კანონმა. ფორმა-კანონს მოჰყვა მთელი ჯელგა მოხელეებისა, რომელთაც არც ზნე და ხასიათი ერისა, არც წარსული და არც აწმყო ჩვენი არ იცოდნენ და სურვილიც არა ჰქონდათ შეესწავლათ და გაეგოთ რამე. ისედაც უხეირო კანონი გლახა და ანგარებით სავსე მოხელეთა ხელში სწორედ ღვთის რისხვად გარდაიქცა. მთელი საქართველო გაიძაბრა კაპიტან-ისპრავნიკებით, "ზემსკი სუდით", "ვოენნი პოსტოით", საინტენდანტო ვახტერებით, კამისიონერებით და სხვა და სხვა კლასის ჩინოვნიკებით. ჯერ დღევანდელი მოხელე ღმერთმა შეინახოს და ამ ასის წლის წინად რაც ბძანდებოდა, ნუღარ იკითხავთ. მათი საქმენი საგმირონი და საარაკონი დაწვრილებით არის აწერილი მატიანეში.

მაშინდელს ქართველობას ჯერ თვალი რიგიანად არ მოეფშვნიტა, საბოლოოდ ჯერ არ გამოეტირა "პატარა კახი" და მებრძოლი ბატონიშვილი, რომ ახლად მოვლენილი მოხელეობა კალიასავით მოედო ქვეყანას და მიჰყო ხელი მკვიდრის დაწიოკებას. ერი აიმრიზა და ამბოხების გზას დაადგა. საკმარისი იყო ხოლმე მცირე საბუთი, რომ აჯანყება გაეჩაღებინა. 1802 წ. კახელები რომ აჯანყდნენ, იმას გაიძახოდნენ, მოგვატყუეს, დაგვპირდნენ - მეფე იქნება და ბატონიშვილებსაც-კი არ აყენებენ აქაო. 1804 წ. მთიულები გარკვევით ამბობდნენ - აღარ შეგვიძლიან მოხელეთა თვითნებობის ატანაო, ამდენს ცეცხლსა და ვარამს სიკვდილი გვირჩევნიაო და თოფს წაავლეს ხელი.

თუ რა ჯურის მოხელეობა ესეოდა საქართველოს, ან რა ზნეობისანი ბრძანდებოდნენ ეს ვაჟბატონები, დაწვრილებითა გვაქვს მოხსენებული ამ ათის წლის წინად დაწერილ წიგნში "მთიულეთი 1804 წ." და აქ აღარ შევუდგებით მათ ფიზიონომიის დასურათებას. ზნე და ხასიათი მათი არ გამოცვლილა 1812 წელსაც. მარკიზ პაულუჩჩსა და გენერალ ტორმასოვს თუ დავუჯერებთ, - ან კი რა ნება გვაქვს არ დავუჯეროთ, -

უფრო გათამამებულან და თავს წასულან. აი რა თვალით უყურებდა მარკიზი მაშინდელ მოხელეობას: უნამუსობა სუფევს აქაურ რუსის მოხელეთა შორის, ღმერთი ამათ არა სწამთ და ჯვარი; მრავალს დანაშაულობას ჰკადრულობენ და ამის გამო ქვეყანა აივსო უზომო და მეტის-მეტ ბოროტმოქმედებითო. კახეთის მღელვარებას მარკიზი რევოლიუციას ეძახდა. ეს მოხელეთა მიწერ-მოწერაში არა ჩვეულებრივი ლექსი იმითი აიხსნება, რომ მარკიზი, როგორც იტალიელი, კარგად იცნობდა ამ ტერმინს. ეგება რუსული სიტყვა "ბუნტი" არც-კი იცოდა, ან თუ ეხამუშებოდა განვითარებულს ყურსა. იმავე უქვეშევრდომილეს მოხსენებაში 1812 წ. 22 მარტისა, საიდანაც ზემოდ მოყვანილი სიტყვებია აღებული, ასე ამკობს პაულუჩჩი საინტენდანტო მოხელეებს: სასურსათო უწყების მოხელენი ათასობით სჩადიან საზიზღრობასა და ლირფობას. მცირე ხანია, რაც ჯარის უფროსად ვარ და ჯერ ვერ გამოვაამკარავე ეს საზიზღარი საძაგლობა და ვერ შევაჩერე ბოროტება, თუმცა გაფაციცებით ვადევნებ თვალ-ყურსა. გენერალ თავად ციციშვილის სიკვდილის შემდეგ ხელს არ იღებენ მოხელენი ბოროტებაზე ქვეყნის დასაღუპად და ხაზინის საზარალოდაო[3]. მოგეხსენებათ, რომ თვით მრისხანე ციციშვილი ვერას გახდა და ვერ აღმოფხვრა მოხელეთა ბოროტ-მოქმედებანი და რაკი მათ უნამუსობას თავი ვერ აართვა, სასოწარკვეთილი აპირობდა სამსახურისთვის თავი დაენებებინა[4]. მადლიერი მაშინდელის ადმინისტრაციისა არც მთავარ-მართებელი გენერალი ტორმასოვი ბრძანდებოდა. გენერალი სურამს ასულა და მოხელეები ვერ უპოვნია, მზად არაფერი ჰქონიათ, არც სურსათი, არც ბეგრის ურმები. განზრახვა მაქვს, - სწერს სურამიდან ტორმასოვი საქართველოს გამგებელს გენერალ-მაიორ ახვერდოვს, - ბოლო მოვუღო მოხელეთა დაუდევნელობას, უთაურობასა და

---

3) დედანში: тысяча дъламыхъ подлостей чиновник ми провіантскяго въдомства...

4) იხილე "მთიულეთი", აკტები, ტ. II და "утвержденіе Рус. владычества"... т. II, გვ. 340.

უსაქმურობას, რადგან, როგორც ვატყობ, სათემო პოლიციაზე გარყვნილი და გაფუჭებული სხვა არა მეგულება-რაო. იმასაცა ვფიქრობო, - ამბობს ტორმასოვი, რომ აქაურ პოლიციაზე ცუდი და უვარგისი მთელ ქვეყნიერობაზე არა მოიპოვება-რაო[5].

მთავარ-მართებელი ემუქრებოდა ახვერდოვს, ხელმწიფესთან დაგაბეზღებ, თუ არ ეცადე და სათემო პოლიცია არ გააუკეთესეო. მაგრამ კუზიანს მარტო სამარე ასწორებს, ბრძანება და დატუქსვა არა სჭრიდა და გათახსირებული მოხელეობა თამამად განაგრძობდა ხალხის დაწიოკებას. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან მარტო ოხერი და ტიალი მოდიოდა ჩვენს ქვეყანაში. რიგიანი, მადლიანი კაცი არ ეტანებოდა ცხრა მთას იქით გადაკარგულს საქართველოს. აქ წამოსულს დიდი უპირატესობა ჰქონდა სამსახურში, მაგრამ შაინც პატიოსანი მოხელე ვერა ჰბედავდა გადაღუპულიყო რაღაც ჯანდაბა "გრუზია"-ში. "ესაა მიზეზიო, - ამბობს საგენერალო შტაბის კაპიტანი ნ. ს. ანოსოვი, - რომ კავკასიაში მოდიოდნენ მომეტებულ ნაწილად ისინი, ვინც ცხოვრებას გაერიყა, ვისაც აღარ ედგომილებოდა შუაგულ რუსეთში, საეჭვო ზნეობისანი, ხარბნი და გაუმაძღარნი, ვერცხლის მოყვარენი და ანგარებით სავსენი, შებღალულის სახელისა და რეპუტაციისა. ხალისით მოდიოდნენ ესენი კავკასიაში იმ იმედით, რომ დავიკმაყოფილებთ ქვენა გრძნობათა და ალღოსა ამ მოუწყობელ ქვეყანაში, საიდანაც "ღმერთი ძალიან მაღლა იმყოფებოდა და მეფე მიუწდომელს სიშორეზე"[6].

თურმე ნუ იტყვით, ეს შესანიშნავი ანდაზა, მაჩვენებელი იმისი, რომ სამართლის კარს ვერ მიაგნებ, რადგან მოსამართლენი, ღმერთი და მეფე შორს არიანო, - ჩვენის კურთხეულის სამშობლოს ნიადაგზე აღმოცენებულა. დედაზრი ანდაზისა ჩასახულა პირველად ქიზიყში, ს. ბოდბისხევში.

---

5) იხ. Акты, т.IV, გვ.47; утв., П.340. დედანში: не нахожу ничего распутнѣе земской полиціи и которой хуже, я думаю, нигдѣ нѣтъ.

6) იხ. Утв... ტ.II, გვ.341.

სიღნაღის მოურავს თ. იოსებ ანდრონიკაშვილს შესჩივლეს ბოდბისხეველებმა და მოახსენეს, რომ სამართალი გაწყდა ჩვენთვისაო. სასამართლოში საჩივლელად რომ მივდივართ, კარები გამოკეტილია ხოლმეო. მივედით საჩივლელად ამის გამო კაპიტან-ისპრავნიკთან და კახეთის ოლქის უფროსთან გენერალ პორტნიაგინთან და ასე გვითხრეს: რო სჩივით, რასა სჩივით? "სამართალს ვინ გაგიჩენთ? ღმერთი და მეფე შორს არიანო"[7]. დასრულებული ფორმა მიუღია ანდაზას თ. ალექსანდრე გარსევანის ძე ჭავჭავაძის წერილში. სახელოვანს პოეტს ცალკე წერილით მოუხსენებია 1837 წ. იმპერატორ ნიკოლოზისთვის, რომ როცა შეწუხებული და ილაჯგაწყვეტილი ხალხი მიჰმართავდა რუსის მთავრობის დაბალხარისხოვან მოხელეს და ეტყოდა, - ნუ გვაწუხებთ, ან ღმერთი, ან მეფე მოიგონეთო, თურმე მოხელენი ასე უპასუხებდნენ: გასწით, წაეთრიეთ, რას დაგვაკლებთ: "И до Бога высоко, и до Царя далеко"[8].

"მოხელენიო, - გვიამბობს კაპიტანი ანოსოვი, თავიანთ თავს ისე უყურებდნენ, როგორც ქართველების "კეთილისმყოფელთ", "გამაბედნიერებელთ" და "მხსნელთა". ამის გამოვო რიდი და ხათრი არა ჰქონდათ, არ ერიდებოდნენ ადგილობრივ მკვიდრსა და ჰფიქრობდნენ, რომ "ტუზემცები" უნდა გაიმსჭვალნენ მადლიერობის გრძნობით და სიტყვის შემოუბრუნებლად და ფეხის გაუნძრევლად აასრულონ მათი ყინი, ახირება და გულის თქმა, თუნდ რომ ნამეტანი და წრეს გადასული იყვეს ყინიანობა და გულის თქმა. მოქრთამეობას და ფულის უკანონო მობოჭვას საზღვარი არა ჰქონდა. ქრთამის აღებაში ყოველი რიდი და თავაზიანობა მოისპოვო".

---

7) იხ. Акты, т. IV, გვ.62. რუსულად: кто можетъ доставить вамъ судъ? Богъ далеко и Государь.

8) კაპიტან ანოსოვის აზრით, ამას დაბალ ხარისხოვანი მოხელენი ამბობდნენო. თუ გენერალი პორტნიაგინი დაბალია, მაშ მაღალი ვიღაა? ყველაზე [illegible] მართებელთან ვერ გაიქცეოდა საჩივლელად.

ასე სასტიკად და ულმობელად ამკობს თანამედროვე რუსის მწერალი მაშინდელს მოხელეობას. კარგი რამ მჭირდეს გიკვირდეს, ავი რა საკვირველია, ამას თუ დავუმატებთ ჩვენა. - უცნაური არსებაა მოხელე. შეიძლება ფერი და ხორცი იცვალოს, მაგრამ სული და არსება უცვლელია. თითქოს ხანი და ჟამი, თითქოს ცივილიზაცია და კულტურა არ არსებობს მისთვის. ზოგიერთი გუშინდელი ამბავი სწორედ ასლია მაშინდელისა. ერთის სასწავლებლის უფროსს, რომელსაც, დარწმუნებული ვარ, არც აქტები წაუკითხავს და არც რუსთა მფლობელობის დამკვიდრების ისტორია, ბავშვებისთვის მიუმართავს, რას იპრანჭებით და იგრიხებით, ჩვენი "მადლობელნი" და "მადლიერნი" უნდა იყვნეთ, თორემ ოსმალთა და ყიზილბაშთა ჰარამხანებში ამოგხდებოდათ სულიო. ვინ იცის, ეგება ჰარაშხანაში ყოფნა კიდეცა სჯობდეს დამყაყებულ, დაობებულ გულიდან გესლიანისა და შხამიანის ამონასუნთქის ყნოსვასა.

ძველის საქართველოს წეს-წყობილება უფრო ფეოდალურ-არისტოკრატული იყო. მართვა-გამგეობა და ლაშქარი თავადობას ეკითხებოდა. მღვდელ-მთავარნი, მდივან-ბეგნი, მსაჯულნი, მოურავნი და სარდალნი მომეტებულად დიდის გვარისანი იყვნენ. ხალხიც მიჩვეული იყო თვითოეულს გვარსა. თიანელები, ფშავ-ხევსურნი ისე შეეჩვივნენ ჩოლოყაანთ გვარის მოურავობას, რომ სხვა გვარის კაცის დანახვა თვალითაც არ უნდოდათ. პოდპოლკოვნიკ ივანე ჩოლოყაშვილის სიკვდილის შემდეგ, ადათისა და ჩვეულების ძალით, მოურავობა ეკუთვნოდა ბატონიშვილის რიფსიმე გიორგის ასულის შვილებს, ზურაბსა და ალექსანდრე ჩოლოყაშვილებს. რადგან მცირე წლოვანი ზურაბ და ალექსანდრე პაჟთა კორპუსში სწავლობდნენ, მათი მოურავობა არ იქნებოდა. მარკიზ პაულუჩჩის სურდა ჩოლოყაანთ გვარი, ვითარცა მოღალატენი, მოეშორებინა თავიდან და თიანეთის სამოურავო ჩაებარებინა რუსეთის სხვა მომხრე და ერთგულ გვარისათვის.

შემდეგ ზურაბ ჩოლოყაშვილი სრული წლოვანი რომ შეიქნებოდა, მაინც მოურავობას ვერ მიიღებდა, რადგან სამოურავოს მაგიერ, რიფსიმეს თხოვნით, შვილებს სათითაოდ წლიურად 500 მ. პენსია დაუნიშნა მთავრობამ და ზურაბი თუ მოურავობას მოითხოვდა, ეტყოდნენ, - რაღა გინდა, პენსიას იღებ და შენს ქერქში იყავიო. ასე ჰფიქრობდა და ბჭობდა მარკიზი, მაგრამ თიანელები და ფშავ-ხევსურნი სხვა თვალით უცქეროდნენ თავიანთს უფლებას.

სამოურაოდ მარკიზმა აარჩია თავადი მაყაშვილი, დაჯილდოებული კოლლეჟსკი სოვეტნიკის ჩინით. მაყაშვილი ჟამთა მეფობისა სახლთ-ხუცესობდა და, მარკიზის აზრით, კახელობა დიდ პატივსა სცემდა. რუსის მთავრობისა და სამსახურისაც ერთგული ყოფილა[9].

უშველებელი აურზაური ასტეხეს თიანელებმა - არ გვინდა მაყაშვილი, 500 წელიწადზე მეტია, რაც ჩოლოყაანი გვმოურავობენ და სხვას როგორ გავაჭაჭანებთ ჩვენშიო. მაყაშვილმა მარკიზზე უკედ იცოდა თვისთა თანამემამულეთა ზნე-ხასიათი და ხელი აიღო თიანეთ-ფშავ-ხევსურეთის მოურავობაზე. ასე გასინჯეთ, ისიც-კი ვერ გაჰბედა, რომ თვალით მაინც სჩვენებოდა თიანელებს. მთავარ-მართებელმა რტიშჩევმა თიანელებს მოურავად დაუდგინა თხოვნისამებრ თ. გრიგოლ ჩოლოყაშვილი [10]. თიანელებმა თავისი გაიტანეს და მოურავად ჩოლოყაშვილი იშოვნეს. თუ ქართველთა ერის თემები ასე შეეჩვია და ერთგულობდა სათითაო გვარსა, ახლა იფიქრეთ, რა გუნებაზე იქნებოდა მაშინდელი დიდკაცობა, მიჩვეული მართვა-გამგეობას, წვრილ-ფეხა მოხელეთა ყოყლოჩინობას რომ დაინახავდა? ფეოდალურ ქვეყანაში რუსის მთავრობამ გააბატონა ბიუროკრატიული სისტემა მართვა-გამგეობისა. ეს კი ისეთი წესია, რომელიც უკარგავს ფასსა

---

9) იხ. Акты, т. V, გვ.106-108.

10) რტიშჩევი ზურაბს ზაქარიად იხსენიებს. Акты, т.V, გვ. 527-528, Утв. ტ. II, გვ.384-385.

და იერს გვაროვნებას და შთამომავლობას[11]. ხშირად პატარა, უთვისტომო მოხელე, დიაკვნისა, ან ნასალდათარის შვილი, ნელ-ნელა მიცოცავს საიერარქიო კიბეზე და ბოლოს, დაჯილდოვებული ჩინ-ორდენებით, იბერება და იფხვირება ინდოურსავით. ამისთანა ბიუროკრატს ცა ქუდად არ მიაჩნია და დედა-მიწა ქალამნად.

II

სასურსათო უწყების მოხელეთა მოქმედებამ ყველაფერი დაავიწყებინა კახელობას. ვიღას ახსოვდა ყოყლოჩინა კოლლეჟსკი რეგისტრატორი, ან ფუყი სტატსკი სოვეტნიკი, ინდოურსავით გაბერილ-გაფხვერილი? ეს პატივცემული მოღვაწენი სავსებით დაჩრდილა საინტენდანტოს მოხელემ. იგინიო, ამბობს კაპიტანი ანოსოვი, სწორედ ღვთის რისხვად გარდაიქცნენ ერისათვის. აქ, საქართველოში, გამოიჩინეს იგივე ბრწყინვალე ღირსება - ქველობა და მამულიშვილობა, რისთვისაც იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა ნაპოლეონთან ლაშქრობის გათავების შემდეგ აჰხადა პატივი და აუკრძალა ეტარებინათ აფიცრის ეპოლეტები. მათს უნამუსობა, ყაჩაღობა-ლირფობას არავითარი საზღვარი არა ჰქონდა, საკუთარ ჯიბის გასასქელებლად და უზომო მადის დასაკმაყოფილებლად არაფერსა ზოგავდნენ ეს მართლა რომ თავლაფ დასხმული მოხელენი. ატყუებდნენ ხალხს წონა-ზომაში, იღებდნენ ქრთამს, აორკეცებდნენ გაწერილ ხარჯსა, არიგებდნენ მოხერხებულ კვიტანციებს, არა თაკილობდნენ "პადლოგების" ჩადენას, ოღონდ-კი ამოეყორათ უძირო და მსუნაგი მუცელი.

სწორედ აღდგომა უთენდებოდათ კამისარ-ვახტერებს, სურსათის შემზადებას რომ შეუდგებოდნენ ხოლმე ჯარისათვის. სათემო პოლიციასთან ერთად მოედებოდნენ სოფლებს

11) სიტყვა "ბიუროკრატია" ბ-ნ ანოსოვს აქვს ნახმარი, იხ. Утв... ტ.II, გვ. 338.

კალიხსავით და სულ ბდღვირს ადენდნენ ქვეყანას. მიტროპ-ოლიტი ბოდბელი იოანნე მოახსენებს მარკიზ პაულუჩჩის: დიდია იწროება ერისა. მთავრობის მიერ გამოცხადებული ფასი პურისა უსამართლო და შეუფერებელი იყო, მაგრამ ამასაც არ იძლეოდნენო. მანათის საღირალში ათი შაური არ მოსდიოდა ხორბლის მომტანსა. ეს კიდევ არაფერი, მთავრობა რომ მანათში იწონავდა პურსა, იგივე საწყაო ბაზარში 4-5 მანათად ფასობდა.[12)]

ტანჯვა-ვაება განა ამით თავდებოდა? ვსთქვათ მეურმემ მოიტანა ხორბალი მაღაზიაში ჩასაბარებლად. ორი-სამი კვირა აჩერებდნენ, არ იღებდნენ მოტანილ პურსა, ვიდრე ქრთამს არ გაიღებდნენ. სასურსათო მაღაზიები ივსებოდა პურით უფრო შემოდგომა-ზამთრობით. იდგნენ საცოდავი მეურმენი გულ-ხელ დაკრეფილნი თოვლსა და ჭყაპში, იტანჯებოდნენ თვითონ და ეხოცებოდათ საქონელი შიმშილითა და სიცივი-თაო.[13)]

გენერალი ტორმასოვი რომ გამოეთხოვა საქართველოს, ჯარი მარკიზს ჩააბარა, თან ისიც შეატყობინა ახალს მთავარ-მართებელს, რომ სურსათისთვის ზრუნვა საჭირო აღარაა, რადგან ხორბალი ნაყიდია და საწყობები სავსეაო. მართლაც, ტორმასოვს უკვე გაეგზავნა კომისიონერებისთვის სურსათ-ისთვის გადადებული ფული, კომისიონერები-კი ჩვეულებრივ-ის ოინბაზობით მოქცეულან, დაერიგებინათ ხალხისათვის ბეები და მოახსენეს მთავრობას, - პური ნაყიდია და მოზიდულიო.[14)] ასე რომ ტორმასოვს ჰქონდა საფუძველი ეთქვა მარკიზისათვის, არხეინად ბრძანდებოდეთ, სასურსათო

---

12) იხ. Акты, ტ.V, გვ. 82 утв. გვ. 343.

13) Ibid გვ. 66. რუსთველ არქიეპისკოპოზ სტეფანეს მოხსენება. ამ მოხსენებას კიდევ ლავუბრუნდებით.

14) დედანში: "съ свойственнымъ имъ прошырствомъ". утв... ტ. IV, გვ. 347.

მაღაზიები სავსეა პურითაო, ნამდვილად კი შიგ არა ეყარა-რა და თაგვები დაფხაკუნებდნენ. იქნება სხვა დროს ამ ხრიკს გაეჭრა, მაგრამ მაგარი ის იყო, რომ 1811 წელს საშინელი შიმშილობა ჩამოვარდა კახეთში.[15] მოსავალი არ მოვიდა და ალექსანდრე ჭავჭავაძის სიტყვით, ერი ტყეებში დაძრწოდა და ბალახ-ბულახით ირჩენდა თავსა.

მემატიანე ბატონიშვილი დავით ასე აგვიწერს ამ ხანას: "წელსა ამას 1812, ქ-ნს ფ, იქმნა ფრიად სიყმილი საქართველოსა შინა და იმერეთსაცა და ჭირიცა ფრიად განგრძელებულიყო, რომელიცა ტორმასოვმან შთამოიტანა ახალციხით, და ოდეს არღარა აქვნდათ პური მცხოვრებთა და ვერ ძალიდვეს მოსყიდვად, ნაცვლად პურისა ეეიდრებოდნენ მცხოვრებნი, რათა მიიღონ დედაწულნი მათნი. მაშინ ტირანმან მარკიზმან ჩაუყენა ყოველსა სოფელსა ეკზეკუცია (ესე იგი იასაულად სალდათნი) და იყო ჭირვებაი და ვალალებაი ერთა ზედან".

შიმშილ-სიყმილის წყალობით პურის ფასმა მეტის-მეტად აიწია, ერთი სამად და ხუთად სჭარბობდა თურმე მთავრობის მიერ გამოცხადებულ ფასსა. ზოგან ისეთი ნაკლებობა იყო პურისა, რომ ბაჯაღლო ოქრო დაგეთვალათ, პურს მაინც ვერ იშოვნიდით სასყიდლად. აბა თუ ერი ბალახ-ბულახით იკვებებოდა და პურის მაგიერ შვილებს იმეტებდა, ადვილად წარმოიდგენს ადამიანი, რა ცეცხლის ალი და გეენია დატრიალებულა კახეთში 1812 წელსა.

მოულოდნელად დიდ გაჭირვებაში ჩაცვინდნენ კამისიონერები. მთავრობას თავის დროზე მოახსენეს, პური ნაყიდია და ფასიც მიცემული გვაქვსო, რა ქნან ახლა, როგორ დააძვრინონ თავი ამ ხათაბალას? დაფაცურდა გაიძვერა და გაქნილი მოხელეობა და აი რა ხრიკი გამოიგონა. "ჩვეულებრივის სითამამით, მოახსენებს ალექსანდრე ჭავჭავაძე იმპერატორ ნიკოლოზს, კამისიონერებმა შეატყობინეს

15) ბატონიშვილი დავით ამბობს, რომ შიმშილობა 1812 წ. იყოვო, ანოსოვი-კი 1811 წელსაო. იხ. მასალები საქართველოს ისტორიისა შეკრებილი ბატონიშვილს დავით გიორგის ძისა და მის ძმებისა. რედაქცია მ.გ. ჯანაშვილისა.

მთავარ-მართებელს, პური დიდი ხანია ნაყიდი გვქონდა თავის დროზე, ფასიც სავსებით ჩავაბარეთ, მაგრამ ხალხს არა ჰსურს მოზიდოს მაღაზიებში, რადგან ანგარებით გამსჭვალულ-შეპრყრობილია და სცდილობს ბაზრის ფასები გადაგვახდევინოსო".[16)]

ფრიად საყურადღებოა გავიგოთ და შევიტყოთ, თუ რა თვალით უყურებს ასის წლის წინად მოპარპაშე მოხელეთა ნავარდობას დღევანდელი ოფიციალური ისტორიკოსი ბ-ნი ნ. ს. ანოსოვი. იმდენად გულსახმიერია ანოსოვის ნათქვამი, რომ ვერა ვბედავთ მცირედი რამ ცვლილება შევიტანოთ და სავსებით გადმოვიღებთ მის აზრსა და მსჯელობას.[17)] "ეჭვი არაა, ბოლო რომ მოღებოდა ჯარისათვის სურსათის სყიდვის გამო ატეხილ დავიდარაბასა და აურზაურს, ერთად-ერთი საღსარი ეს იყო, მთავრობას ფასები უნდა აეწია და გაეთანასწორებინა ბაზრის ფასისათვის. მაგრამ, როგორც ყოველთვის და ყველგან არის, აქაც გამოჩნდნენ იმისთანანი, რომელთაც მოისურვეს დაემტკიცებინათ უმაღლეს მთავრობისათვის საკუთარი ერთგულობა და დაუწყეს მთავრობას ჩიჩინი, ტყუილია, ვითომც საქართველოს პური აკლდეს, ქვეყანა ქადა-ნაზუქის სუნითაა დაბნედილი, ხოლო ჩვენის გაჭირვების მიზეზი სურსათის ნაკლებობის გამო იმის ბრალია, რომ ქართველობა უმადურია და გამსჭვალული ბოროტ-განზრახვით. ცხადია, ამა და ამ გვარის ჩურჩულის წყალობით შეითვისა მარკიზ შაულუჩჩიმ უცნაური აზრი, - თუ კი მეფე ერეკლესა და გიორგის დროს ქართველები უსასყიდლოდ ასაზრდოვებდნენ ჩვენ ჯარებსა, მაშ ეხლა რა ნაირად გაუჭი-

---

16) ჭავჭავაძის სიტყვები ანოსოვსა აქვს მოყვანილი და შეუცვლელად ამოვიღეთ. утв... ტ.II, გვ. 348.

17) Ibid გვ. 348-349.

რდებათ გვაძლიონ პური თუნდ ნახევარ ფასში. სჩანს არ აუწონია მარკიზსა არც ქვეყნის ვითარება და არც ის გაუთვალისწინებია, რომ მეფეთა ჟამს მცირე მხედრობა გვეყენა საქართველოში.[18] მოულოდნელი დასკვნა მარკიზისა იყო მიზეზი, რომ მთავრობა კოდ პურში (2 ფუთი და 10 გირვანქა) ექვს აბაზს აძლევდა ძველებურად ქართველებს, ესენი-კი იმავე კოდ პურსს ვაივაგლახით შოულობდნენ ოთხ-ხუთ მანეთად ბაზარში. ამ ჟამად სურსათის შოვნის ჩვეულებრივ წესსა - რეკვიზიციას[19] სასურველი ნაყოფი აღარ მოჰქონდა. ამის გამო რეკვიზიციაზე გასულ კომისიონერების შესაშველებლად იგზავნებოდა სამხედრო კომანდები. საბაბად ჯარების გაგზავნისა იმას ამბობდნენ, რომ ხაზინის ფულსა და დოვლათს პატრონობა - გაფრთხილება ეჭირვებაო. ნამდვილი საბაბი კი ისა ყოფილა, რომ გულ მოსული და გაბრაზებული მცირე ფასებით მკვიდრი ნებაყოფლობით არ უთმობდა პურსა კომისიონერებს, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, იცავდა საზრდოს და ვიდრე როზგს არ უცხუნებდნენ, ხორბალს არ იმეტებდა. მაგრამ მომეტებულ ნაწილად ვერც რეკვიზიცია შველოდა საქმეს, რადგან შეუძლებელია გამობერტყო თუნდ ერთი მარცვალი გლეხისაგან, როდესაც თვითონ იკვებება ბალახითა და მცენარეთა ფესვებით".

"ამისთანა გარემოებაშიო, - ბრძანებს ბ-ნი ანოსოვი, - უმაღლესი ადმინისტრაცია მოვალეა სიფრთხილით მოიქცეს, არ აჰყვეს გულის თქმასა და ცხრაჯერ გაზომოს, ვიდრე გამოსჭრისო. სიფრთხილისა და მოფიქრების მაგიერ, ატყდა თუ არა აურზაური სურსათის შოვნის გამო, საქართველოს

---

18) მაშინ სულ რაღაც ორი ბატალიონი იდგა საქართველოში. მეფე გიორგი ისე გულუხვობდა, რომ რუსის სალდათებს კახურ ღვინოს და ზურგიელ-დოშს უგზავნიდა პირის ჩასაგემრიელებლად. გრაფ ტოტლებენმა ჩამოიყვანა 5000 კაცამდე, მაგრამ ვერც ეს რაოდენობა შეეფერება მარკიზის დროის მხედრობის რიცხვსა—28,000-ს.

19) რეკვიზიცია—ძალდატანებით შეძენა და აღებაა ჯარისათვის საჭირო სურსათისა ლაშქრის მოქმედების რაიონში (ლექს. ბროკჰაუზისა, ტ. 65, გვ. 525) აბა კი გუნებაზე რად იქნებოდა ქართველობა, თუ ანოსოვის მოწმობის თანახმად რეკვიზიციის წესით აგროვებდნენ სურსათსა ახალის მთავრობის ჩამოხიზნების ღიდან. მდაბიო ქართულით რეკვიზიცია დარბევაა.

გამგებლის თანამდებობის აღმასრულებელმა გენერალ-მაიორ სტალმა მოახსენა მარკიზ პაულუჩჩის: სიღნაღის მაზრის მცხოვრებნი თანახმანი არიან მარტო 10,000 კოდი მოზიდონ მაღაზიებში. თან იმ პირობასაც გვიდებენ, რომ ერთი მესამედი ქერი ავიღოთ. ბევრი უჩიჩინა გაჯიუტებულ სიღნაღის მცხოვრებლებს მიტროპოლიტმა იოანნე ბოდბელმა, მოურავმა თ. ი. ანდრონიკაშვილმა და ამავე მაზრის კაპიტან-ისპრავნიკმა სოროკინმა, ნუ ჯიუტობთ და მოგვიტანეთ თქვენზედ შეწერილი 40,000 კოდიო, მაგრამ ვერა შეავასმინეთ რა. გენერალ სტალის აზრით, ეს ცარიელი ჯიუტობა იყო, სხვა არაფერი. სულ იმ თავადების ბრალია, ჩვენ რომ კეთილის თვალით არ გვიყურებენ, ეგენი რომ არ აქეზებდნენ, სიღნაღელები ამას როგორ გაბედავენო და სთხოვა მთავარ-მართებელს, - ნება მომეცი ხალხს ეკზეკუცია ჩავუყენო და ძალით წავართვა პური, რა კი ნებაყოფლობით არ იძლევიანო. ეკზეკუცია ჭკუას ასწავლის ხალხსა და აგრძნობინებს რუსის მართვა-გამგეობის ძალასა და სუსხსა, ააღებინებს ხელს თვითნებობაზე, რომელმაც თავი იჩინა მას შემდეგ, რაც სამი პოლკი ჯარი გამოვიყვანეთ სიღნაღის მაზრიდან. ურჩობა-ჯიუტობის გაძლიერებას ხელს უწყობს ბლომად მოფენილი ამრევი და ამაშფოთებელი წერილები ლტოლვილ ბატონიშვილის ალექსანდრესიო.

სრულიად, მართალია ბ-ნი ანოსოვი. დიდი სიფრთხილე, კეთილგონიერება და წინდახედულებაა საჭირო უმაღლესის ადმინისტრაციის წარმომადგენელისათვის. ამ მშვენიერ სიტყვებს იმას მიუმატებთ, რომ ნაკლებ საჭირო არაა სიყვარული იმ ერისა, რომლის გამგეობა და ბატონობა ბედმა გარგუნა. თუ ამ ღვთიური ცეცხლით არაა ადამიანის ბუნება გამსჭვალული, თუ შენს გამგეობაში მყოფი ერი შენიანად არ მიგაჩნია, თუ მისი დარდი და ვარამი არ გაკვნესებს და მისი სიხარული არ გახარებს და არ გაცინებს, ტყუილია კეთილგონიერებაც, სიფრთხილეც და წინდახედულობაც. იქნება "პადლოგები" არ ჩაიდინო, იქნება სისხლის წყარონი არ ააჩუხჩუხო, ან შეიძლება მათრახისა და კნუტის ყაპა-ყუპით

მთა და ველი არ ააყივლო, მაგრამ მაინც ამისთანა გამგე-მმართველის გარჯა-სარისტიანობა ერის გულს არ ჩასწვდება. იგი ერისათვის დარჩება ყინულის სვეტად.

მარკიზი გაება მახეში. გენერალმა სტალმა დიდის მოხერხებით დაუგო მთავარ-მართებელს კაკანათი, ცილი დასწამა ქართველობას, მსუნაგ ვახტერ-კამისიონერებს სასუსნავი გაუჩინა, ხოლო წამებულს ერს ჭიაკოკონას უმზადებდა - მარკიზმა ბრძანება გამოიღო - კახეთში ეგზეკუციასა ვნიშნავო.

გენერალ სტალმა ზემოდ აღნიშნული მოხსენება მიართვა მარკიზს 1811 წლის აგვისტოს თვეში, მაშასადამე, სამხედრო კამანდები შეუდგებოდნენ საქმეს ესე სექტემბრის გასულს, ან ოქტომბრის დასაწყისში.[20]

მეცხრამეტე საუკუნის ევროპამ არ იცოდა ეგზეკუცია. ეს "ინსტიტუტი" ჩვენებური, აზიურია. რუსეთში თათრებმა შემოიტანეს და მას აქეთია დღესაც არ ამოვარდნილა. მარკიზი ევროპიელი იყო და როგორ იკადრა ეგზეკუციის მოხმარება, არ გვესმის. ალბად, ქართულმა ანდაზამ თუ იმოქმედა კეთილშობილ მარკიზზე - სადაც მიხვიდე, იქაური ქუდი დაიხურეო.

ძველმა საქართველომ არ იცოდა, რა ხილი იყო ეგზეკუცია. რასაკვირველია, ჩვენშიაც მოიპოვებოდა დარბევა-დაწიოკება, აკლება სოფლისა, მაგრამ ყველა ამ საძაგლობას წუთიერი ხასიათი ჰქონდა. სისტემატიური დარბევა და აკლება სოფლისა, წინადვე განზრახული და გათვალისწინებული, ჩვენმა ისტორიამ არ იცოდა.

რუსეთში მყოფ ბატონიშვილ დავითისათვის დიდად მოუკლავს გული მარკიზის განკარგულებას ეგზეკუციის ჩაყენების გამო კახეთში. მემატიანეს გულში ლახვარივით მოხვედრია სამშობლოდან მოსული სამწუხარო ამბავი. სევდა-ვაებითაა შეზავებული კილო ბატონიშვილისა, როცა ამ მართლა რომ „სავალალო ამბავს მოიხსენიებს. აი თვით

---

20) სტალის რაპორტი ხელმოწერილია 25 აგვისტოს.

მემატიანეს სიტყვანი: "წელსა ამასვე 1811, ქ-კს უჟთ, გამოჰ-
სცვალეს ტორმასოვი და წარგზავნეს მარკიზი პაულიჩი,
იტალიელი, ღიანარალ-ლეიტენანტი, აგვისტოში; კაცი ელამი
რაგვარათაც თვალითა, ეგრეთვე სულითაცა და მოქმედებითა.
მაშინ იყო შემჭირვებაი დიდი ქართველთა ზედან მარკიზისაგ-
ან, ესრეთ: ართმევდიან ხშირად ურემთა და ხართა სახმარად
მხედრობისა, რომელ კნინღა[21] დაჰშთათ ხარი სოფელთა შინა.
ეგრეთვე სადაც განვლიდიან რუსნი, ამჭირვებდიან სოფლებთა
ცემითა, ტაცებითა და რთმევითა, თვინიერ თეთრისა, და იყო
ესრეთცა სიყმილი, რომელ კოდი პური იყო ექვს მონანთულ-
ადა თეთრს ფულად. მაშინ მარკიზმან უბრძანა წარსულისა
ორისა წლისა პურისა მოკრეფაი სურსათისა კახთაგან, ვინაი-
დგან სიმცროისა გამო მოსავლისა ვერ ძალ ედვათ მიცემაი,
და ბრძანა ყოველსავე სოფელსა ეგზეკუციისა ჩაყენებაი (ესე
იგი იასაულთა), - ორასისა და სამასისა თითო სოფელთა, და
სადაც მივიდოდიან, იყო ვაებაი მათ ზედან მით, რამეთუ
ჰსცემდიან დედა-კაცთაცა, და ხელითა ჰკიდებდიან და ართმ-
ევდიან პურთა ძალითა. თუმცაღა კახნი ევედრებოდიან,
რომელ მიიღონ ნაცვლად პურისა ექვსი მინანთული კოდში
და რომელთაც არა აქვნდათ თეთრი, მაშინ ძე და ასულთა
თვისთა აძლევდიან, გარნა უქმ იყვის ვედრებაი მათი, და იყო
ვალალებაი ერთა შორის. გარნა სხვათაცა ბოროტმოქმედება-
თა შორის ესეცა ჰქმნეს, რომელ თიანეთს მთვრალთა აფი-
ცართა შეიპყრეს დედა-კაცი და საშოსა შინა შთაასხეს ძაბრითა
ღვინო. ვერღარა მოითმინეს თიანელთა ესე ვითარი სირცხვ-
ილი, და იქმნა შფოთი ქართველთა და რუსთა შორის. ხოლო
პირველად მისცეს მიზეზი შფოთისა რუსთა, მით, რამეთუ

21) ძალიან ცოტა.

დაკოდეს თიანეთს ამბოხსა ამას თიანელნი რამოდენიმე. იხილ-ეს რა ესე თიანელთა, მოსწყვიტნეს ყოველნივე რუსნი, ვიდრე ას-ორმოც-და-ათამდე და მუნით შთავიდნენ მატანსა."[22]

სამწუხაროდაო, ამბობს იგივე ისტორიკოსი ანოსოვი, ჩვენ ბრწყინვალე და ქველობით განთქმულს ჯარსა, ჩამოსვ-ლისთანავე საქართველოში, ვიღასიც უპატრონობითა და უყურადღებობით მავნე სული აეკვიატა და სახელს უტეხავ-დაო. ურთიერთობა მკვიდრისა და მხედრობის შორის უმზგავს ნიადაგზე დამყარდა.[23] მართლაც ისეთი განწყობილება ჩამ-ოვარდა ქართველობასა და რუსის მხედრობის შუა, რომ გეგონებოდა, ჯარი საქართველოს საპატრონოდ კი არა, ასაკლებადაა მოსულიო. არც სალდათი, არც აფიცერი ქართვ-ელს არ ინდობდა და სადაც-კი შესაძლებელი, ან მოხერხებული იყო, თავში უბრაგუნებდა, მასხარად იგდებდა, დოვლათსა სტაცებდა და გარყვნილების მორევში აბანავებდა. ჯერ ისევ გენერალი ლაზარევი[24] სჩიოდა 1802 წელსა და ღონეს ღონობდა, ეგები როგორმე მოვაშლევინო ჯარს მკვიდრის დაწიოკება-განადგურებაო. აფიცრები, მარტოოდენ ჟინიანობით გატაცებულნი, თხოულობენ საბეგრო ცხენებსა და ურმებს, შაურს არ აძლევენ პატრონებს და ამით ოჯახს უღუპავენო; სალდათები პირადად შეურაცხყოფას აყენებენ მცხოვრებლებს, სტაცებენ საქონელს, ფრინველსა და ხილსა: ანადგურებენ ბოსტან-ბაღჩებსა, ვენახებს; ღვინოს რომ დალ-

---

22) იხ. მასალები საქართველოს ისტორიისათვის, შეკრებილი ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა და მის ძმებისა. 1744-1840 წ.წ. რედაქცია მ.გ. ჯანაშვილისა, ჟურნალ "მოამბის" პრემია. გვ. 99-100. წინააღმდეგ ბატონიშვილ დავითის მოწმობისა, აქტებში შეკრებილი მასალა ნათლად გვიჩვენებს, რომ პირველად შეუტიეს რუსობას ს. ახმეტას, 31 იანვარს 1812 წ., და არა თიანელებმა, მაგრამ ეს წერილმალი შეცდომა ვერ გაბათილებს თანამედროვე მოწმობის უაღრეს მნიშვნელობას.

23) იხ. утвержденіе... ტ. II, გვ. 349.

24) მარიამ დედოფალმა რომ გაჰგმირა ხანჯლით. ეს ამბავი "მთიულეთშია" ნაჩვენები.

ევენ და გაილეშებიან, ქვევრებს მიწითა სჩურთავენ, იქამდინ მიდის მათი უგუნურობა, ავ-ზნიანობა, სიცელქე და გიჟმაჟობაო.[25)]

უფრო მკაცრად და სასტიკად იხსენიებს დისციპლინას მოწყვეტილ სალდათის თვითნებობას პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე: "ზოგიერთა პოლკები, - ამბობს ჭავჭავაძე, - თავად ციციშვილის სიკვდილის შემდეგ, იმისთანა სასტიკს თვითნებობასა და თავხედობას იჩენდნენ, რომ სრულიად გაანადგურეს და მოაოხრეს სოფლები, სადაც ბინასა სდებდნენ. განა მარტო ის სოფლები, ახლო მახლო სოფლებიც თავს ვერ იცავდნენ გაონავრებულ პოლკებისაგან. საკუთრება აღარა შერჩათ-რა გაოხრებულ და გატიალებულ სოფლებს. მკვიდრთა ღვინოს, ბოსტან-ბაღებსა, ფრინველსა და საქონელს, ცხენსა და ურემს, ისე ხმარობდნენ, როგორც მოისურვებდნენ. ყაზარმების გასათბობად ვენახების ღობეებს არღვევდნენ და სწვავდნენ. აშკარად, დაუსჯელად იქცეოდნენ. დამშლელი და დამტუქსავი არავინ იყო. რომ ეჩივლათ, უარესი დღე დაადგებოდათ: სცემდნენ, დასჯიდნენ და დაემუქრებოდნენ: ეგ თუ ცოტაა, მაშ აბა იცოდეთ, შემდეგ უკეთესს დღეს დაგაყენებთო".

მამა-კაცს ვინღა სჩივის. დედა-კაცებსაც აწვალებდნენ და სტანჯავდნენ. ქვემოთ მოვიყვანთ მაგალითებს, თუ რა მწარე დღეს აყენებდა მანდილოსანს გამხეცებული და გაონავრებული ჯარის-კაცი.

წინად, როცა ეკზეკუცია არ იყო ჩაყენებული, აუტანელი ტანჯვა-მწუხარება ადგა მკვიდრსა ჯარის-კაცისაგან. ადვილად მიხვდებით, რა შავი დღე გაუთენდებოდა კახელობას, ეგზეკუცია რომ ჩაუყენეს სოფლად. წინანდელმა შეწუხებაშევიწროებამ, - ამბობს კაპიტანი ანოსოვი, ერთიათად იმატაო. ჯარებს ნაბრძანები ჰქონდა - ძალით გამოართვით პურიო. რაც-კი რამ ებადა სოფლელსა, უძრავი და მოძრავი ქონება,

---

25) დედანში: "опустошають сады и огороды и, выпивая вино изъ кушиновъ, отъ безразсудной шалости заполняютъ ихъ землею". იხ. утв... ტ. II, გვ. 349.

სალდათების ხელში გადავიდაო. ეს კიდევ რაა, თვით ოჯახის სიწმინდე შეუბრალებლად ილახებოდა.[26]

ხალხი ემუდარებოდა და ევედრებოდა უფროსებს, ჯარი გაგვაცალეთ, ცოლშვილი წაგვიპილწეს, აღარ შეგვიძლიან მეტის ატანაო. ოღონდ მოგვაშორეთ სალდათები და საცა გვეტყვით, იქ აგიშენებთ ყაზარმებს ჩვენის ხარჯითაო.

გამკითხავი არავინ იყო. ჩქარა მოზიდეთ პური, ეხლავე გაავსეთ მაღაზიებიო, - ეს იყო ხალხის კვნესა-ვედრების პასუხი.

III

მართალია, ჩათრევით ჩაითრია და გააბა გენერალმა სტალმა მარკიზი პაულუჩჩი ბოროტების ქსელში, მაგრამ, როგორც საქმის ვითარება გვიჩვენებს, მარკიზს სავსებით არ შეუწყნარებია სტალის დაბეზღება. როგორღაც გული ეთანაღრებოდა და ჰსურდა დანამდვილებით გაეგო ყველაფრის მიზეზი. დიდი კვლევა-ძიება არ იყო საჭირო გამოსაცნობად, ამას ყველა ჰხედავდა. მარკიზს უნდოდა შეეტყო, მართლა ურჩობით და ჯიუტობით მოსდიოდა კახელობას, პურს რომ არ იძლეოდა, თუ სხვა რამ დარდიც აწუხებდა. მარკიზმა ისიც კარგად იცოდა, რომ ბატონიშვილები აღელვებდნენ ქართველობას, რომ სამაზრო და სათემო სამსჯავროები ხალხში უკმაყოფილების მეტს არას იწვევდა. დიახ, იცოდა ესა და მეცადინეობას არ იშურებდა, როგორმე თავიდან აეცილებინა სახიფათო მიზეზი. გაჩაღებული მიწერ-მოწერა ჰქონდა პაულუჩჩის ბატონიშვილ ალექსანდრეს ხელში ჩასაგდებად. მოსვენებით მაშინ მოისვენებდა, ხელში რომ ეგდო ეს დაუძინებელი მტერი რუსეთის მართვა გამგეობისა და სხვა ბატონიშვილებივით გაესტუმრებინა რუსეთში. ვიდრე

26) ibid. გვ. 350 – 351. ლდანში: "семейная честь подвергалась утонченному поруганію."

ალექსანდრეს გაბაწრავდა, მარკიზი მხნედ შეუდგა სასამართლოს რიგიანად მოწყობას. გააუქმა თელავისა და სიღნაღის სამაზრო და სათემო სამსჯავრონი და დააწესა დროებით სამსაჯულო, სადაც სამოქალაქო საქმეები ირჩეოდა ვახტანგ მეექვსის კანონების ძალით. სიღნაღის სამსაჯულოს თავმჯდომარედ დანიშნა მაიორი თ. ივანე ორბელიანი, წევრებად სამი ადგილობრივი თავადიშვილი, თელავის სამსაჯულოს თავმჯდომარედ-კი მაიორი შმატოვი, თელავის ციხის კამენდანტი და წევრებად აქაც სამი თავადიშვილი. აზრი და სურვილი მარკიზისა ის იყო, რომ სამართალი მკვიდრის ხელში ყოფილიყო, ხოლო თავმჯდომარედ სამსჯავროისა - უსათუოდ რუსის მოხელე. სამსჯავროს გადაწყვეტილება ასრულებაში მოჰყავდათ თელავისა და სიღნაღის მაზრათა მარშლებს, ან მოურავებს, თელავში თავად სოლომონ ავალიშვილს და სიღნაღში თ. იოსებ მელქისედეკის ძე ანდრონიკაშვილს.

ასე მოქმედობდა და იღვწოდა მარკიზი, მაგრამ მაინც გული-გულის ალაგას არ ეგულებოდა. მაშინდელ რუსის მოხელის ხელში გავლილი სამართალი, ბატონიშვილ ალექსანდრეს "ინტრიგები" და გენერალ პორტნიაგინის უფროსობით მისეული საეგზეკუციო კამანდები ვის არ ააღელვებდა და გააორგულებდა, მაგრამ მარკიზის თვალში არც ამას ჰქონდა ჯეროვანი ფასი. პაულუჩჩის ჰსურდა შეეტყო "პირდაპირი მიზეზი განვლილის ამბოხებისა, რომ შემდეგ ეღონა საჭირო ღონისძიება ბოროტების აღმოსაფხვრელად და საუკეთესო მართვა-გამგეობის დასამყარებლად საქართველოში".[27)]

პაულუჩჩი თითქმის ყველაფერში ჰბაძავდა თ.პ.დ. ციციშვილს და იმისავით ფიცხად მოახსენებს იმპერატორ ალექსანდრე პირველს: თუ ნამდვილად გსურთ და თქვენი კეთილი ნებაა, რომ საქართველო სამუდამოდ რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში დარჩეს, მაშინ უქვეშევრდომილესად გემუდარებით, მალე და დაუყოვნებლივ ამისრულოთ ხოლმე

27) იხ. Акты, ტ. X., გვ. 64-65.

მოხსენებანი და მომცეთ საღსარი ქვეყნის საკეთილდღეოდ, თორემ მინისტრებთან მიწერ-მოწერაში საქმე ჭიანურდება და ვეღარას ვაკეთებო.[28])

თ. ციციშვილსავით მარკიზმა დაარსა საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორ მალინსკის თავმჯდომარეობით განსაკუთრებული კომისია ასეთის სახელწოდებით: საქართველოში მომხდარ ამბოხების მიზეზთა გამოკვლევა. - კომისიის წევრებად დაინიშნენ: სახაზინო ექსპედიციის უფროსი ვასილიევი, აღმასრულებელ ექსპედიციის მრჩეველი სტატსკი სოვეტნიკი ფალავანდიშვილი, მრჩეველი სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმეთა ექსპედიციისა (Экспедиція суда и расправы) თ. ზურაბ ორბელიანი; თ. სულხან, ან ეგნატე თუმანიშვილი თავმჯდომარის ამორჩევით, თელავისა, სიღნაღისა, გორისა და ანანურის მარშლები. კომისიის მდივნობა დააკისრეს სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმეთა ექსპედიციის მრჩეველს იანიშევსკის.

მარკიზს ძალიან ეშურებოდა ამბოხების მიზეზთა გამოკვლევა და საქმის დაბოლოვება. პეტერბურგს აპირებდა წასვლას სამსახურის გამო და თან უნდოდა წაეღო კომისიის დასკვნა და პირადად მოეხსენებინა იმპერატორისათვის ამბოხების ყოველი წვლილი. ადვილი გასაგებია ასეთი სურვილი პაულუჩჩისა. ამ დროს რუსეთი გაფაციცებით ემზადებოდა საეროვნო ომისათვის ნაპოლეონთან და მარკიზს ენატრებოდა გაეხარებინა იმპერატორი სასიამოვნო ამბით - ამბოხების ცეცხლი.უცბად ჩავაქრე, საშიშო აღარაფერია და მხედრობის დარდი ნუღარა გაქვთო.

კომისია შეუდგა მოქმედებას 13 მარტს 1812 წ. დიდი მასალაა შეკრეფილი კომისიის მიერ. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია მოხსენებანი ბოდბისხეველთა, მირზაანელთა და პრასიანელებისა. მარტივად, გულწრფელად უამბობენ ქიზიყელები სიღნაღის მოურავს თ.ი.მ. ანდრონიკაშვილს თავიანთ მწუხარება-გაჭირვებას. სამივე მოხსენება ძლიერა

28) ibid. გვ. 61.

ჰგავს ერთი მეორეს, მაგრამ ჩვენ მაინც თითქმის უცვლელად მოვიყვანთ სამთავეს. სამწუხარო მხოლოდ ისაა, რომ დედანი მოხსენებისა არაა დაბეჭდილი აქტებში, თარგმანი-კი ძველია და უვარგისი, ზოგგან ისე ბუნდოვნადაა ნათარგმნი, რომ სწორედ გვიჭირდება აზრის გაგება.

ვრცლად მოვიყვანთ აგრედვე მიტროპოლიტ იოანნე ბოდბელის მოხსენებას, სტეფანე რუსთველ არქიეპისკოპოზისას, თავად თამაზ ორბელიანისას, თელაველ მეამბოხეთა წერილს და სხვას. ეს წერილ-მოხსენებანი სარკესავით დაგვანახვებს კახეთის ვითარებას 1812 წ.

მთავარ-მართებლის ბრძანებით გვეკითხებიო, - მოახსენებენ ბოდბისხეველები თავიანთ მოურავს თ. იოსებ ანდრონიკაშვილს, - თუ რამ გვაიძულა გვეღალატნა ხელმწიფისათვის და აჯანყება მოგვეხდინა. ღალატი გულში არ გაგვიტარებია, მაგრამ ცამეტი წლის განმავლობაში რაც ხელმწიფემ ღირსი გაგვხადა მფარველობისა, სული ამოგვხადა უსამართლობამ. ამგვარი უღვთოობა და უბედურობა არ გამოგვიცდია ლეკთა, ყიზილბაშთა და ოსმანთა ბატონობის დროსაც-კი. ვითმენდით, ვიტანდით თავზე მოვლენილ ჭირსა, რადგან ერთგულობის ფიცი მივეცით ხელმწიფეს, მაგრამ როდესაც ხელიდან ცოლები წაგვგლიჯეს, ვეღარ მოვითმინეთ და ავიშალენით. რუსებმა მოსტაცეს ცოლი ბინობაშვილს, ორი კვირა ჰყავდათ ბოდბისხევში და შემდეგ დაითხოვეს. ბაღაშვილსა და ხოპაშვილსაც წაართვეს ცოლები, თითო კვირა ჰყავდათ თავიანთსა და მერმე დაითხოვეს. ცოლთა გაუპატიურება და ნამუსის ახდა საკუთარის თვალით იხილეს ამ უბედურებმაო. კანონი ხელმწიფისა ისეთია, რომ თუ მამა-კაცი რასმეს დააშავებს, სასჯელიც დამნაშავეს უნდა გადახდეს. ამის მაგიერ წაავლებდნენ ხელს დედა-კაცებს, ჩახდიდნენ ნიფხვებს და ჯოხებით უკან ტანს უჭრელებდნენო.

ამ სიშორიდან გაგვრეკეს ურმებით ფოთში სურსათის საზიდავად. სულ თხუთმეტი ურემი იყო ჩვენი და ერთი ხარი აღარ დაგვბრუნებია ცოცხალი. ნახევარი მეურმეც გაწყდა ლაშქრობაში, ვინც დაბრუნდა, ისიც ვეღარ გამოდგა, რადგან

სასტიკი ზამთრის გამო ხელ-ფეხი და ტანი დაძრული ჰქონდათ. — საითაც-კი დაიძვროდა ხელმწიფის მხედრობა, ჩვენც უკან მივდევდით ურმებით, დაგვქონდა სურსათი ერევანს, გუმბრს, განჯასა და სხვაგან. გავდიოდით სადარაჯოდ და საომრად, ასე რომ თუ სალდათები ანთხევდნენ სისხლსა, ჩვენც მათთან ვიჟლიტებოდით. პური იყო ჩვენზე გაწერილი, კოდში ექვს აბაზს იძლეოდნენ. მარტო გადატანაში ვაძლევდით თითო მანეთსა, ასე რომ კოდზე აბაზი გვრჩებოდა, მაგრამ რაოგან შიმშილობის გამო ჩვენი სამყოფიც არა გვქონდა, პურს სხვაგან ვყიდულობდით ოთხ მანეთად კოდსა. - ერთხელ, სურსათს რომ აგროვებდნენ, მარტო 350 ქათამი მოგვტაცეს; პურს, ქერსა და ღვინოს ვინღა დასთვლისო? გენერალ პორტნიაგინმა სოფელში ჯარი ჩაგვიყენა. ვიდრე თხუთმეტი ურემი ხორბალი არ გავუგზავნეთ, ჯარი არ მოგვაშორა. პურისა, ღვინისა, და საქონლის გარდა 4 ურემი ქერი დახარჯეს თვით სოფელში. ძარცვა-გლეჯისა და ცემა-ტყეპის გარდა სული გაგვიმწარეს ქრთამების აღებით. ერთხელ კაპიტან-ისპრავნიკმა იასაულის პირით შემოგვითვალა, - ჩემთან ამოდითო. შეგვეშინდა და არ წავედით, რადგან ისპრავნიკი ბრალიანსა და უბრალოს არ არჩევდა, ყველას ფულს ახდევინებდა, ზოგს 20 მ., ზოგს 30 მ. შიშისაგან, ერთი ვაქირელი კაცი სამუდამოდ სადღაც გადავარდა. ბოდბელ გოგია ოთარაშვილს ცილი დასწამეს, გაქცეული შენი ნათესავიაო, დაატუსაღეს და 180 მან. წაართვეს. ლაზარე ხუნაშვილი დაატუსაღეს და ვიდრე 70 მან. არ მისცა, არ გამოუშვეს. გოგია ხუნაშვილის დაჭერა უნდოდათ, გამოუდგნენ, მაგრამ ვერ დაიჭირეს - გაჯავრებულებმა გოგიას ოჯახს 60 მან. გადაახდევინეს. სულ ტყუილ-უბრალოდ გათოკეს აბრამა ძმანაშვილი და მაშინ გაანთავისუფლეს, როცა 70 მან. ქრთამი მისცა. ასევე მოექცნენ გოგიაშვილს, ნოდარაშვილსა და დათია ბაღაშვილს, რომელთაც რვა-რვა თუმნად დაიხსნეს თავი ნაობახტიდან. გოგია ბაღაშვილს-კი 70 მანეთს დასჯერდნენ. ბეგრის ურმების გასაყვანად სალდათები მოდიოდნენ. ვაი ჩვენი ბრალი, თუ ერთი-ორი საათი დაგვაგვიანდებოდა და დროზე არ შევაბამდით

ხარებსა. გამორეკდნენ ხოლმე დედა-კაცებსა და ურემში აბამდნენ. ვასმევდით, ვაჭმევდით, თუ ქრთამს ვაძლევდით, სულ ერთი იყო, მაინც განუწყვეტლივ გვამათრახებდნენ.

სამართალი ხომ არ არსებობდა ჩვენთვის. ისპრავნიკი ნამდვილი ძილის გუდა იყო. მომჩივანს კარებს არ გაუღებდნენ, ვიდრე ქრთამს არ დაანახებდა. ბავშვებს პურსა ჰგლეჯდნენ ხელიდან, დედა-კაცებს კისერზე ქვებსა ჰკიდებდნენო. ისპრავნიკმა უდანაშაულო რევაზს და იოსებს 140 მ. წაართვა, მამუკასა და ზურაბს ცხრა-ცხრა თუმანი. ხორბლის საწყაო მოიტანა კაპიტან-ისპრავნიკმა და გამოგვიცხადა, ფუთიანიაო. ამ საწყაოთი იბარებდა ხორბალს ჯარისათვის. როცა გამოვზომეთ ისპრავნიკის საწყაო, აღმოჩნდა, რომ შვიდ ლიტრას იწონიდა. (ლიტრა ათი გირვანქაა, ზოგან ცხრა). ჩვენი აჯანყების მიზეზი სულ გენერალი პორტნიაგინი და ისპრავნიკებია, სხვა არაფერიო. ბოლოს ამასაც ამბობენ. ნეტა ხელმწიფეს რა სარფა ჰქონდა ჩვენის ასეთის დაწიოკება-დარბევისაგანაო.[29])

ამავე სიღნაღის მოურავს თ. იოსებ ანდრონიკაშვილს მოახსენებენ პრასიანელები: ისე დაგვარბიეს და შეგვაწუხეს მოხელეებმა, რომ გამწარებული სიკვდილს ვეძებდით, მაგრამ ჩვენი მფარველი და პატრონი არსადა სჩანდა, გაუნელებელ ცეცხლის ალში გავეხვიეთ, ვიწოდით და ვიდაგებოდით,მაგრამ მანუგეშებელი ვერავინ ვნახეთ. ჯარისთვის ხორბალი უნდა გაგვეღო, როცა არა გვქონდა, რას მივცემდით, მაინც ვყიდულობდით, ლიტრაში 40 კაპ. ვაძლევდით, პროვიანტის მოხელენი-კი 10 ან შვიდნახევარ კაპ. ანგარიშობდნენ. ურმის ქირას 6 მანათს ანგარიშობდნენ, როდესაც ჩვენ თითონ 30 მ. გვიჯღებოდა ურემი. უღმერთოდა ჰტვირთავდნენ ურემსა, კარგ ამინდში კიდევ ჰო, ურემი დაიძვროდა, მაგრამ თოვლსა და ჭყაპში, უზომოდ დადებულს ურემს საძრავი არა ჰქონდა. გაბრაზებული სალდათები ჩვენ თითონ, მეურმეებს, გვაბამდნენ და ცემა-ტყეპით მიგვერეკებოდნენ. ეს კიდევ რა,

---

29) იხ. Акты, ტ. V, გვ. 61-62.

უბედურება ის იყო, რომ ორი-სამი სოფლისაგან ქრთამს აიღებდნენ და ბეგრისგან ანთავისუფლებდნენ, და ამ გვარად იმათ წილ ბეგარასაც ერთს სოფელს ახდევინებდნენ ხოლმე. ორი დღით რომ წაგვიყვანდნენ ბეგარაზე, სამ თვეს გვტოვებდნენ. ნებას არ გვაძლევდნენ საქონელი ურმებიდან გამოგვეშვა საბალახოდ, ან ჩვენ წავსულიყავით სადმე საჭმლის საშოვნელად. ვიხოცებოდით სიმშილით და როცა ვითხოვდით ან პური გვაჭამეთ, ან გაგვიშვით სოფლად საგზლის საშოვნელად, დედა-მიწაზე მიგვითითებდნენ ხოლმე, - სჭამეთო. გაშეშებულივით ვიდექით ზეზე როგორც მეურმენი, აგრედვე საქონელი. დიდძალი ხარ-კამეჩი იხოცებოდა ბეგარაზე. საქონლის მაგიერ ჩვენ გვაბამდნენ და მათრახის ცემით მიგველალებოდნენ.

ყველაზე მეტად სულს გვიმწარებდა გენერალი პორტნიაგინი, კაპიტან-ისპრავნიკი და ყარაღაჯის უფროსი. ყველაფერი მიჰქონდათ, რაც რამ გვებადა, მაგრამ ამითაც არ კმაყოფილდებოდნენ. ზამთრობით ჯარს ჩაგვიყენებდნენ ხოლმე სახლებში და ძალას გვატანდნენ გამოგვეკვება სალდათები გაზაფხულამდინ. ღვთის რისხვა იყო სწორედ ჯარის ჩაყენება ოჯახებში. ვასმევდით სალდათებს, მაინც გვცემდნენ, ვაჭმევდით, მაინც მათრახს ვერ ავცდებოდით. ლოგინებიდან წამოგვლალავდნენ ხოლმე და თვითონ წვებოდნენ შიგა. ვინ მოსთვლის რამდენი ცოლი და შვილი გაგვიუპატიურეს და ნამუსი აჰხადეს!

სამართლის კარი ხომ დაიკეტა და დაიხშო ჩვენთვის. გაგონებითაც არა გვქონია გაგონილი, რომ ჩვენში დავიდარაბა ატეხილიყოს წყლისა და მამულის გამო. განზრახ წაჰკიდებდნენ სოფლებსა, ჩამოაგდებდნენ შურსა, შუღლსა და შემდეგ 400-600 მანათ ქრთამს რომ ასწაპნიდნენ, ბრალიანსა და დამნაშავეს ამართლებდნენ. უმიზეზოდ უდანაშაულო კაცს გადაეკიდებოდნენ და იძულებულ ჰყოფდნენ იწროებას შინა ჩავარდნილი ადამიანი გადახვეწილიყო სადმე. მაშინ გადახვეწილის მეზობლობას ღალატს შეგვწამებდნენ და მოგვისევდნენ ჯარსა დასარბევად, იჭერდნენ და ატუსაღებდნენ უდანაშაულო

კაცსა და ანთავისუფლებდნენ ნაობახტიდან, თუ 400 მ. სასყიდელს მივართმევდით. სწორედ ამ ნაირად გვექცეოდნენ ლეკებიც. - საჩივლელად მისულს თუ მუშტი შეკუმშული არა ჰქონდა ნიშნად იმისა, რომ ხელში ქრთამი უჭირავს, სასამართლოში არ უშვებდნენ და ბევრსაც მიაყოლებდნენ ხოლმე. არა, ცარიელ-ტარიელი რომ მოდიხარ, სად მოდიხარო, ხუთი მანათის საღირალი საქმე რომ გვქონოდა, ხუთი თუმანი უნდა დაგვეხარჯაო.[30])

ჰკითხულობ ამ გულუბრყვილო და ნაწყვეტ-ნაწყვეტად მოთხრობილს ამბავს და თვალს არ უჯერებ. ნეტა რა მოთმინება და შეძლება ჰქონია ერსა, რომ კვერცხივით ზედ არ შეასკდა ზნედაცემულს ჯარის-კაცსა და მსუნაგსა და გაწუწკებულს მოხელეს! უსამართლობა, ცემა-ტყეპა, დარბევა-დაწიოკება სოფლისა, ქურდობა, განზრახ დავი-დარაბის ატეხა, უზნეობა-გარყვნილობის შეტანა, ქალწულთა და დედა-კაცთა ნამუსის ახდა აშკარად, ქმართა და მახლობელთა თვალწინ, ქალისა და კაცის უღელში შებმა, გატიტვლებულის დედა-კაცის გაჯოხვა, - ეს რაღაც დაუჯერებელი ამბავია, ისეთი ველურობა, რომლის მზგავსი თვით თემურ-ლანგის დროსაც არ იქნებოდა. აკი სჩივიან ბოდბისხეველნი და პრასიანელნი, რაც რუსობამ მწუხარება მოგვაყენა, მაგ გვარი თურქთა, ყიზილბაშთა და ლეკთა ჟამთა ბატონობის დროსაც არ გამოგვივლიაო! - იმპერატორი ალექსანდრე პირველი კურთხეული საქვეყნოდ დაჰპირდა საქართველოს პატრონობა-მფარველობას. თურმე თორმეტი წლის შემდეგ ამ პატრონობას უწევდნენ მოხელენი ერთმორწმუნე ერს![31])

ქვემოდ დაწვრილებით იქნება ნაამბობი, ეხლა მარტო აღვნიშნავთ, რომ მეამბოხეებმა შეიპყრეს სიღნაღში მაიორი გეინე, ქვედა-ნოვგოროდელთა დრაგუნის პოლკის კამანდირი

---

30) Ibid. ტ. V, გვ. 62-63.

31) ეს ის ცნობილი მანიფესტია, ასის წლის იუბილეი ამას წინაზე რომ ვიდღესასწაულეთ. მანიფესტის თარიღი 12 სექტემბერი 1801 წ. მანიფესტის პირველი სტრიქონნი ამოკრილია სპილენძის ფიცარზე და გამოკიდულია "ძიდების ტაძრის" კედელზე, გალავნის პროსპექტზე.

მაიორი პოტლოგი და რამდენიმე აფიცერი და ნაკუწ-ნაკუწ ასჩეხეს. ვიდრე ამას მოიმოქმედებდნენ, მეამბოხეებმა თურმე დასჭრეს ენები, ჯერ გადააყლაპეს და მხოლოდ შემდეგ ასჩეხეს. ამ ამბავს ასე მოახსენებს უქვეშევრდომილესად ალექსანდრე პირველს მარკიზი პაულუჩჩი: გამხეცებულმა მეამბოხეებმა დახოცეს აფიცრები და უსასტიკესად აწამეს. რადგან ვიცი თქვენი გულკეთილობა, ვერა ვბედავ აგიწეროთ აფიცრების ტანჯვა-წამებანი. ვერავითარი ფანტაზია ვერ წარმოიდგენს და ვერ გაითვალისწინებს ამ ტირანობას. მისი ხილვით, ან გაგონებით კაცობრიობა შეძრწუნდებაო.[32]) უკვირს გარიბალდის თანამემამულე მარკიზს ქიზიყელთა მართლა რომ ბარბაროსული და ველური გაბოროტება და იმას-კი არ დაგიდევს, თუ რამ გამოიწვია ასეთი ველურობა. ათვალწუნებული აზია და აფრიკა დიდი ხანია საჯირითო მოედნადაა აღიარებული. თიანელი აფიცრები როგორ გავამტყუნოთ, როდესაც დღევანდელი ევროპიელი, კულტურით დამშვენებული, შინ ნაზი და წყნარი, დასდგამს თუ არა ფეხსა აფრიკისა და აზიის ნიადაგზე, პირუტყვად ხდება. გეცოდინებათ, რა დაუჯერებელი და შემაძრწუნებელი ამბები მოდის ხოლმე კონგოდან. ისე, ვითომც აქ არაფერიაო, გულის გადასაყოლებლად, ევროპიელნი თოფითა ჰხვრეტენ ზანგებსა. აღშფოთებულის სვინდისის დასამშვიდებლად იტყვიან ხოლმე - გაგიჟებულან და აბა გიჟს რა მოეთხოვებაო. კარგია თქვენმა მზემ? გიჟს რა მოეთხოვებაო. გიჟი საგიჟეთში უნდა იჯდეს. ვინც ჭკუაზე მწყარალადაა, განა ხალხის მოსავლელად გაიგზავნება? ევროპიელებმა მაინც ასე იციან, ღვთის ნიერი და გონიერი ადამიანი აზია-აფრიკისთვის არ ემეტებათ, რაც დამთხვეული და გადარეული ჰყავთ, აზიისკენ ელალებიან. ესენიც სულ მუშტსა და ხმალზე იყურებიან და არიან ერთ ამბავში.

---

32) Ibid. ტ. 5, გვ. 73; ეთ. ტ. II, გვ. 336.

IV

ყოვლად შემძლებელს ღმერთს გასცემთ პასუხს, - მოახსენებენ მირზაანელნი თ. იოსებ ანდრონიკაშვილს, - თუ ჩვენს ამბავს სავსებით არ მიუტანთ მთავარ-მართებელსო. ჩვენი და მირზაანელ ქევხა დიმიტრას საჩივარი და შევიწროება ისაა, რომ ცოლებსა გვტაცებდნენ, ქმრებს ხელებს უკრავდნენ და ჩვენ თვალწინ ჩვენ ცოლებთან მრუშობდნენ. დედა-კაცი წივის და ჰკივის, კაცო, მიშველე; ქმარი-კი ლუღლუღებს: რა გიშველო შეკრულ-შებოჭილმაო.

სოფლად ვიღაც კაპიტანი მაჟაროვი ჩაგვიყენეს ჯარით შვიდის კვირით. მტერი არ დააწიოკებს ისე სოფელსა, როგორც მაჟაროვმა აგვიკლო და დაგვანელა. კაცი აღარ დარჩენილა მირზაანში, შიშით მამა-კაცობა აქეთ-იქით მიიმალა. საცა-კი მიგვასწრობდნენ, ცემით ტყავს გვაძრობდნენ. გვქონდა რამე თუ არა, სულ ერთი იყო მაჟაროვისთვის, უნდა გვეევაგლახნა, გვეყიდნა და ისე მიგვერთმია. მერე საქონლის ხორცითაც რომ არა კმაყოფილდებოდნენ დალოცვილები! უთუოდ ქათმებიც უნდა გვეშოვნა. ლოთობას ნულარ იკითხავთ, გაილეშებოდნენ, ბატონო, დაერეოდნენ დედა-კაცებს და ზურგზე სულ ბოლს ადენდნენ. - მეზობელს ქორწილი ჰქონდა. კაპიტანმა მაჟაროვმა 40 სალდათი გაგზავნა მასპინძლისას, მეფე-დედოფალი კარში გამოარეკინა, მაყრიონი და მექორწინენი ცემა-ტყეპით დაახოცვინა. მოვითმინეთ შერცხვენა და ხელი არ გამოვიღეთ. - ზამთრობით მთელი სამი წელიწადი თითოსა, ან ოროლ სალდათს გვიყენებდნენ სახლში გამოსაკვებად. დანახარჯის ფული უნდა გადაეხადნათ, პირობა ასე იყო, მაგრამ ხარჯის დაბრუნების მაგიერ სალდათების უფროსმა კაი-კაი გვიცხუნა და ძალათი ხელი მოგვაწერინა ქაღალდზე, ვითომდა, რაც გვეკუთვნოდა, ყველაფერი მივიღეთო. - ვსთქვათ, დაისაჭიროეს 40 ბეგრის ურემი. თუმცა გვპირდებოდნენ, - ქირას არ

გვაძლევდნენ, მაგრამ ქირას ვინა სჩივის, უბედურება აი რა
იყო. ორმოცი ურმის მაგიერ ბარგი-ბარხანას დაუდებდნენ ოც
ურემზე, რადგან საქონელი ვერ ერეოდა უზომოდ დადებულ
ურემსა, მოგვცვივდებოდნენ ხოლმე გაბრაზებული
სალდათები და ცემა-ტყეპით გვაღუღუდებდნენ. ერთი კვირის
მაგიერ თვეობით ვეყარეთ ხოლმე ბეგარაზე. ან ავდარი, ან
თოვლი მოგვისწრებდა, საქონელი გვეჟლიტებოდა და შინ
ცარიელ-ტარიელი ვბრუნდებოდით. პურის მიმღები გვაჩვენ-
ებდა საწყაოს, ჩვენ თვალწინ არწყამდა, ავწონავდით და
მართლაც საწყაო ფუთს იჭერდა, ასე ვრიგდებოდით, მაგრამ
ხორბალს რომ მივზიდავდით ბეღლებში, სხვა საზომავსა
სდგამდნენ. ფუთის მაგიერ შვიდი ლიტრა ჩადიოდა და ფუთად-
კი გვიანგარიშებდა ხოლმე. ხაზინიდან ლიტრაში ორ შაურს
გვაძლევდნენ, ჩვენ თვითონ-კი ლიტრა პურს ორ აბაზად
ვყიდულობდით და ისე ვაბარებდით. ერთი-ორი ლიტრა რომ
დაგვკლებოდა ჩაბარების დროს, სულს არ მოგვათქმ-
ევინებდნენ, რომ გვეყიდნა და შეგვევსო დანაკლისი, და
ცემითა გვხოცდნენ ხოლმე. გზების გასაკეთებლად, სამუშაოდ
ბარ-ნიჩაბით და ცულებით გავდიოდით; მუშაობას რო გავათა-
ვებდით, შინ არ გვიშვებდნენ, ვიდრე ქრთამს არ მივსცემდით,
თუ საქრთამო არა გვქონდა-რა, სამუშაო იარაღს წაგვართმ-
ევდნენ, პანღურს ამოგვკრამდნენ და შინ ისე გაგვრეკავდნენ
ხოლმე. საყარაულოდ ცხენებით გავდიოდით; ვადა რომ გვი-
თავდებოდა, შინ არ გვიშვებდნენ, ვიდრე ქრთამს არ
მივცემდით. ასეთ ტანჯვა-ვაებასა და მწუხარებაში ვიყავით,
წუწუნებენ მირზაანელნი.

როდესაც ერთი სოფელი მეორეზე საჩივარს შეიტანდა
დაიბარებდნენ ორთავესა პასუხის მისაცემად, განზრახ წა-
ჰკიდებდნენ ერთი მეორეს, დაწყნარება-დამშვიდების მაგიერ
ერთმანეთზე ასისიანებდნენ, ქრთამებს ბლომად იღებდნენ
მაგრამ სამართლიან მსჯავრს ვერც ერთი სოფელი მაინც ვერ
ეღირსებოდა ხოლმე. როცა გენერალი პორტნიაგინი მობძანდ-
პურის საყიდლად, ქევხას პირით მოვახსენეთ ჩვენი ნაკლებ-
ულობა და შევეხვეწეთ გვიმსახუროს შეძლებისამებრ. პორ

ტნიაგინმა არც აცივა, არც აცხელა, - როგორ თუ ეს გამიბედეო, აიღო და ქევხას ნაობახტში უკრა თავი. ვიდრე ქრთამი არ მიართვა ქევხამ, ნაობახტიდან არ გაანთავისუფლეს. - დამნაშავესა და ბრალიან კაცს რომ მოგვთხოვდნენ ხოლმე, ვიჭერდით და მიგვყავდა მთავრობასთან. მოხელენი ქრთამს ასწაპნიდნენ და დამნაშავეს ანთავისუფლებდნენ, მერე მოგვდგებოდნენ და სულს გვიმწარებდნენ - ცუდი კაცებია თქვენში, აი თქვე ასეთ-ისეთებოვო.

მას შემდეგ, რაც უფალმა ღმერთმა და ჩვენმა ბატონმა (მეფე) ჩვენი თავი ხელმწიფეს ჩააბარა, ცუდ-კაცობა არა ჩაგვიდენია რა და სიმრუდე არ გამოგვიჩენია. ვემსახურებოდით ხელმწიფეს პირნათლად, საითაც გვიკრავდნენ თავსა, მივდიოდით, კრინტი არ დაგვიძრავს, - არა, არ წავალთო. დავდიოდით ბეგარაზე ხარ-კამეჩით და ურმებითა განჯას, გუმბრსა, ახალციხეს, ნუხას, იმერეთსა. თუ ხარ-კამეჩით არ შეიძლებოდა სამსახური, ჯარს ცხენებს ვახმარდით ტვირთის საზიდად, მაგრამ არც საქონელი და არც ურემი უკან აღარ დაბრუნებულა, ყველაფერი დაგვეღუპა. ასე გასინჯეთ, ტომრებიც-კი დაგვეკარგა.

გამოგვიცხადეს, ჯარი თვითონა ზიდავს სურსათს, ოღონდ თქვენ ხარები უყიდეთო და ბეგრისგან თავისუფალი იქნებითო. თითო ხარზე 15 მან. გამოვიდა. ხუთ-ხუთი მანათი დაუმატეთ და ჩავაბარეთ საჭირო საქონელი, მაგრამ ბეგარაზე მაინც გაგვრეკეს. ჯაფისა და მოუვლელობისაგან ნაყიდი საქონელი გაილახა და ჩვენ მოგვილალეს გამოსაკვებად, ვისაც გაძვალ-ტყავებული საქონელი ხელში შემოაკვდა, თითო სულზე 15 მან. გადაახდევინეს.

ამითი თავდება მირზაანელების დარდისა და ვარამის სია.

მეკითხები, - სწერს არქიეპისკოპოსი რუსთველი სტეფანე მარკიზ პაულუჩჩის, - რა იყო მიზეზი კახეთის ღრევა-ამბოხებისაო. - მღვდელ-მთავრული ფიცითა ვარ შებორკილი, დაწვრილებით ვერ აგიწერ იმ ტანჯვა-ვაებას, რაც კახელობამ გამოიარა, მაგრამ მაინც რამდენადაც ჩემი გონება მისწვდება, მოგახსენებ.

უკანასკნელ დრომდე, კახეთში დაბანაკებულ ჯარი
უფროსი, აგრეთვე მისი ხელქვეითნი, უბრალო სერჟანტიც
კი, გლეხ-კაცობას ისე ექცეოდნენ, როგორც ყურმოჭრილ
ყმასა და ისე იმსახურებდნენ, როგორც ჰსურდათ. სამსახურს
და ყმობას არა სჯერდებოდნენ, ხალხს აწვალებდნენ და სტან
ჯავდნენ, ასე გასინჯეთ საქონელსაც არ ინდობდნენ. შეუბრა
ლებლად და უღვთოდ ეკიდებოდნენ ერთსაც და მეორესაც
მერე ათასში ერთხელ ხომ არა, მუდმივ, განუწყვეტლივ. დღ
კვირა, თვე გადიოდა, ხალხისა და პირუტყვის შეწუხებას-
შეღავათი არ ეძლეოდა. ერის სასოწარკვეთილებას დასასრ
ული არ უჩანდა. - გაიფურჩქნებოდა თუ არა ვაზი, მიესეო
სალდათობა ვენახებსა და შემოაფცქვნიდა ხოლმე კვირტსა
ფოთოლს საჭმლის გასამჟავებლად. ხალხი თავს იკლავდა
ბრაზით გულზე სკდებოდა, ვენახების გავერანებას რომ ხედ
ვდაო.

კამისიონერები რას არა სჩადიოდნენ, ვინ მოსთვლი
ოც კოდიან ურემ პურს თხუთმეტად იღებდნენ, საწყაო
ფეხითა, ან დიდი კეტებით სტენავდნენ და რაც ხორბალ
დაიბნევოდა, იმას აღარ ანგარიშობდნენ. - ვისაც პური არ
ჰქონდა, ბეს უბრუნებდა, მაგრამ კამისიონერი არ იღებდ
ვიდრე კოდ პურში არ დასცინცლავდა 2 მანათსა, ხან 2 მა
40 კაპ. პური მაღაზიაში ზამთრობით მოჰქონდათ. ორ-სა
კვირას აჩერებდნენ და ვიდრე მეურმე ქრთამს არ მისცემდ
პურს არ იბარებდნენ. საქონელი და ხალხი კი სიცივითა
შიმშილით იტანჯებოდა.

მაზრის გამგებელნი ყურსაც არ იბერტყავდნენ, თითქ
ამ საძაგლობის აღმოფხვრა მათი საქმე არ ყოფილიყოს.

ვსთქვათ, ხალხს შეუკვეთეს ყაზარმის, ან თავლ
აშენება. მზა-მზარეულ, აშენებულ სახლს დააქცევინებდნ
ხოლმე, რა არის, კარები აქეთ უნდა დაგეტანებინათ და ა
იქითაო, ფანჯარა აქეთ უნდა იყვეს და არა იქითაო. სიტყვი
არ ითქმის და კალმით არ დაიწერება, თუ რა სასოწარკვეთ
ილებას ეძლეოდა ერი ამის მნახველი და ამის გამგონე.

მაგალითი არა ყოფილა, რომ საქმე დასრულებულიყოს და ბოლო მოჰღებოდა სასამართლოში, ან სათემო პოლიციაში. თუ-კი რამე გათავებულა, უსათუოდ ქრთამს უმუშავნია, უქრთამოდ ზედაც არ შეხედავდნენ საქმესა. სამსჯავრო პროცესის გაჭიანურებით მობეზრებული მომჩივანი ქრთამს აძლევდა მოსამართლეს, აჰა, შეცეცხლე, ოღონდ მოსპე ჩემი საჩივარი და თავიდან მომწყდიო.

სოფლად ჩაყენებულ ჯარის უფროსები ტაციაობით მიდიოდნენ იოლად, უსასყიდლოდ მიჰქონდათ სანოვაგე: ღვინო, პური და ყველაფერი, რაც-კი საჭიროა ადამიანის საცხოვრებლად. ათასში ერთხელ თუ გაიმეტებდნენ რასმეს, მაგრამ გამეტებული ისე მცირე იყო, რომ სათქმელად არა ღირს. ჯარის უფროსთა ასეთი საქციელი დიდად სჩაგრავდა ერს.

აფიცრები ჯერ სახელმწიფოდ მოათიბინებდნენ თივას, მერმე თავიანთთვის და უსასყიდლოდ აზიდვინებდნენ. სრული სამი თვე უნდებოდა გლეხ-კაცობა ამ ვაი-ვაგლახს. ამას ხომ არა სჯერდებოდნენ დალოცვილები. საბძლებში უცვინდებოდნენ და ძალით მიჰქონდათ თივა და ბზე. საკუთარი საქონელი-კი შიმშილისაგან ძლივს დალასლასებდა და ნიათ გამოლეული წყდებოდა. დიდი მწუხარება და უბედურება ტრიალებდა ამის გამო ხალხშიო, ბრძანებს მღვდელ-მთავარი. (დედანში: великая народная скорбь.).

ოცობით, ოც და ათობით გაჰყავდათ ბეგარაზე ურმები. მთავრობას თვეში თითო ურემზე თურმე 40 მან. ჰქონდა გადადებული, ვინ იცის რამ სიშორეზე მიჰყავდათ ურმები. სიშორისა გამო საქონელი წყდებოდა, ურმებს გზაში ჰყრიდნენ და მეურმეები ცარიელ-ტარიელი ბრუნდებოდნენ შინა და გასამრჯელოს ხან 6 მან, ხან 8 მან. გადმოუგდებდნენ ხოლმე.

მიზეზი ხალხის საერთო ამბოხებისა ბევრია კიდევ. ბევრია აგრედვე საძაგლობა, რამაც გაამწარა ერი, მაგრამ მე ვერ მოგახსენებო, სწერს არქიეპისკოპოსი სტეფანე მარკიზ პაულუჩჩის. - თვითონ ხალხს გამოჰკითხეთ; დაწერილებით

თვით ერი მოგახსენებს, რა ცეცხლი ეკიდა და როგორ
იხრაკებოდა უსამართლობის ღველფსა და ნაღვერდალშიო.

პაულუჩის მიტროპოლიტ იოანე ბოდბელისთვისაც
მიუწერია წერილი, გამაგებინეთ-რა მიზეზია, რომ კახელობა
აჯანყდაო.

მეკითხებით, - უპასუხებს ბოდბელი, თუ რამ გამოიწვია
შფოთი და ამბოხება. რაკი ასეა, იძულებული ვარ ამ
მოხუცებულობაში თვალ-ცრემლიანმა გარკვევით ვაღიარო
მოყვასთა მიერ ჩადენილი ბოროტება, რათა იგი აღარ განმე-
ორდეს. ვერ ვახერხებ, ვერა ვბედავ დავასახელო ყველაფერი,
რაც მოხელეებმა მოიმოქმედეს. ღმერთო, რას არ
სჩადიოდნენ! იტაცებდნენ რაც კი რამ მოხვდებოდათ, სჩაგრა-
ვდნენ როგორც მამა-კაცებს, აგრედვე დედა-კაცებს, იღებდნენ
ქრთამსა, რის გამო ყველასათვის გასწყდა მართლიერება.
მოხელეთაგან არავისა ჰქონდა მოსვენება არც ადამიანსა და
არც პირუტყვს. პურის ფასი ექვსი აბაზი რომ ყოფილიყო,
იგინი ოთხ აბაზს ანგარიშობდნენ, მაგრამ რა, ამასაც ღვთისნ-
იერად არ აძლევდნენ, რადგან იმისთანა უსამართლო საწყაოთი
ირწყამდნენ პურსა, რომ კოდი ათ შაურად არ ჯდებოდა. შარშან
ჭირნახული არ მოვიდა. ხალხს კოდ პურში ექვსი აბაზი
მიუყარეს, ბაზარში-კი 4 მანათად ძლივს იშოვებოდა. ვსთქვათ,
რის ვაივაგლახით იშოვა სოფელმა პური, რამდენიც მთავრ-
ობამ შეაწერა და ჩააბარა მაღაზიას. ორი-სამი კოდი რომ
დაჰკლებოდა, მაშინვე ეგზეკუციას თორმეტი სალდათისაგან
ჩაუყენებდნენ. სადილ-ვახშამს გარდა სათითაოდ
თხოულობდნენ სალდათები თითო ქათამსა და თუნგ ღვინოს,
ამოდენი ხორაგი და სასმელი საჭირო არ იყო, მაგრამ ჯიბრით
და ბოროტებით იქცეოდნენ, რომ სისხლი ერწყევინებინათ
ხალხისათვის.

კაპიტან-ისპრავნიკები არხეინად ბრძანდებოდნენ, ხალხ-
ისთვის ზრუნვა-ფიქრით თავს არ იხეთქავდნენ, გულს არ
იწყალებდნენ, და თუ ზრუნავდნენ, მხოლოდ მარტო საკუთარ
ჯიბის გასქელებაზე. უსამართლო მსაჯულნი გაივსნენ და
ჩაიქცნენ ქრთამებით. ჯერ არ გაგონილა, რომ აქაურ მოსა-

მართლეს სამართალი ექნას და ვინმე მართალი დაეკმაყოფილებინოს. თქვენ თვითონ შეგიძლიანთ იხილოთ, რამოდენა ხანი ყრია თელავის სამსჯავროში საქმენი განურჩეველ-განუხილველი, რა არის ბლომად ქრთამი ავიღოთ და ძღვენ-საჩუქრებით გავიჩურთოთო. ფიცსა სდებენ მოხელე-მოსამართლენი, რომ ქრთამს არ შეეხონ და სიმართლე წაიმძღვარონ წინ საქმის გარჩევის დროს, მაგრამ ფიცსა სტეხენ და სვინდისს ღალატობენ. ცუდად მოქმედობს ხალხის ზნეობაზე ამგვარი საქციელი და ფიცის ტეხა. გონება-დაბნეული ერი ზნეობით იხრწნება.

სწუხს და შფოთავს სული ჩემი ამ სიბერისა და მოხუცებულობის ჟამსა, არ ვიცი, როგორ გავბედო და როგორ მოგახსენო ყველა ის ბოროტება, რომელიც საკუთარის თვალით ვიხილე, ან გამიგონია სანდო და მართლ-მოყვარე კაცთაგან? უსამართლობამ სასოება დაუკარგა ხალხსა, მიიყვანა სასოწარკვეთილებამდის და იძულებულ ჰყო იარაღისთვის ხელი წამოევლო. ბევრჯელ ვაცნობე და შევატყობინე, ვინც მოვალეა იცოდეს, თუ რა გაჭირვება დაადგა ერსა, თქვენ კი ვერ გაცოდინეთ, ვინაიდგან დრო არ მქონდა. ჯერ ერთი, რომ დიდად შეგვავიწროვა შავმა-ჭირმა და მეორეც ისა, რომ თქვენ სხვაგან იყავით წასული. ვისაც-კი შევატყობინე ხალხის გაჭირვება, ვსთხოვდი, უპატრონობა და უყურადღებობა ცუდს ნაყოფს მოიტანს მეთქი. მერწმუნეთ, ბატონო ჩემო, დიდი ხანია ხალხს ცეცხლი წაეკიდა, მაგრამ მის ჩაქრობას და განელებას არავინ ფიქრობდა. ხალხის მიდგომით არ მომდის, ამას რომ მოგახსენებთ,—ათავებს წერილს ბოდბელი,—მიკერძება და მიდგომა არ შეფერის ჩემ ხარისხსა. სიმართლით ვიტყვი, თქვენი ნდობა რომ არა ჰქონოდა ერსა, აგიზგიზებულ ცეცხლის ჩაქრობა დიაღ რომ უფრო ძნელი იქნებოდა.

საქართველოს მარშალ გენერალ-მაიორ თ. თამაზ ორბელიანსაც დაეკითხა მარკიზი პაულუჩჩი - რა მიზეზია, რომ ასე მოულოდნელად იფეთქა ხალხის აჯანყებამაო. - ორბელიანის პასუხი თითქმის განმეორებაა უკვე ნათქვამისა, მაგრამ ჩვენ მაინც საჭიროდ მიგვაჩნია სავსებით მოვიყვანოთ

მარშლის პასუხი, რადგან თითო-ოროლა ადგილი წერილისა განსაკუთრებულის ელფერისაა და მშვენივრად ახასიათებს მაღალ-ხარისხოვან მაშინდელ დროის ქართველ მოხელეს. ალაგ-ალაგ წერილს მკაფიოდ ეტყობა უკმაყოფილება თავადაზნაურობისა ახალის მართვა-გამგეობის წესითა. ჩინოსან მოხელის პასუხი დიპლომატიის პილპილითაა შეზავებული, ტონი ფრთხილი და წინ დახედულია. უკმეხს და მიუკარებელს ტორმასოვს, ეტყობა, დიდად უტკენია გული ქართველ წარჩინებულ წოდებისათვის. ალბად, ეს უნდა იყვეს მიზეზი, რომ მარშალი, ევროპიულად რომ ვსთქვათ, ფრონდიორობს, ანუ ჩვენებურად ბუზღუნებს, თან უმაღლეს კარსაც თვალს არ აშორებს.

კახეთმა და ქიზიყმა რომ იარაღი იხმარა რუსეთის მხედრობის წინააღმდეგ, - სწერს მარშალი, - როგორც დავრწმუნდი ერის მითქმა-მოთქმიდან წინად და ეხლა, ჩემის ფიქრით და გონებით, ესაა მიზეზი: 1. თქვენც კარგად მოგეხსენებათ, რომ ორი წელიწადი ზედი-ზედ მოუსავლობა იყო საქართველოში. 2. ჩაცივება და ახირება მთავრობისა, გინდა თუ არა პური უნდა მოგვიზიდოთ ჯარის გამოსაკვებადო, მაშინ როდესაც ხალხს არ მოეპოვებოდა საკუთარის ოჯახის დასარჩენად ხორბალი. 3. მთავრობა გაჭირვეულდა, უსათუოდ ექვს აბაზად უნდა გვაძლიოთ - კოდი პურიო. ხალხი იძულებული იყო, რაკი ოჯახში არა ჰქონდა რა, ბაზარში ეყიდნა ხაზინისათვის კოდი 4 - 5 მანათად. ფულის საშოვნელად მამულსა და ცოლ-შვილს აგირავებდნენ. სწორედ ამ გაჭირვების დროს მთავრობამ გაიხსენა პურის ძველი, აუკრეფავი გადასახადი და შეუტია მკვიდრს, - ძველი ახალი და შეკრიბეთ და ჩაგვაბარეთო. 4. სასურსათო მოხელენი უზომოდ ატყუებდნენ ხალხს წონაში ამ მოუსავლობით გაჭირვებულ დროსა. 5. იგივე მოხელენი განძრახ აჭიანურებდნენ კვირაობით პურის ჩაბარებას, რა არის ქრთამი დავცინცლოთო. ძალაუნებურად ქრთამს აძლევდნენ, ოღონდ-კი მალე ჩაებარებინათ პური. გაჭირვებული კაცი, რაკი მობეზრდებოდა მაღაზიასთან ტრიალი, თავს ანებებდა ურემსა და ხარ-კამეჩს და შინ გარბოდა.

გაქცეულს, რასაკვირველია, ქირაც ეკარგებოდა. 6. ვერცხლმოყვარე სათემო მთავრობამ მდაბიო ერი (დედანში: чернь.) მეტის მეტად შეავიწროა და შეაწუხა. 7. საითაც კი ჯარი დაიძვროდა, აუარებელი ბეგრის ურემი გაჰყავდათ. თქვენც კარგად მოგეხსენებათ, რამოდენა საქონელი გაწყდა ბეგარაზე, თითქმის მეოცედი ნაწილიც არ დაბრუნებულა შინ უვნებელი. ძვირად ნაყიდის საქონლის დაკარგვა სამუდამოდ აღატაკებდა გლეხ-კაცობას, 8. შინაური მართვა-გამგეობა საქართველოსი ანუ მთავრობის დაწესებულებანი არ შეეფერება აქაურ ხეპრე და გაუთლელ (დედანში: грубый) ერის ზნე-ხასიათსა. შეუფერებელ დაწესებულებას გენერალ ტორმასოვის დროიდან საგრძნობლად შეეპარა ბოროტ-მოქმედება, რომელიც უფრო ამწვავებდა საქმეს. 9. ხალხი დრტვინავდა, ამოდენა ხარჯი და ბეგარა ჩვეულებრივ ღალა-კულუხის გარდა არც ერთ წინანდელ მთავრობის დროს არა ყოფილაო. წელში გავწყდით, მეტის ატანა აღარ შეგვიძლიან, გაიძახოდა ხალხი, მთავრობაკი ყურსაც არ იბერტყავდა. 10) ძლიერი სამხედრო ეგზეკუცია, რომელიც სრულებით არ შეეფერება კავკასიის ერის ზნე-ხასიათსა და ჩვეულება-ადათსა.

შეუძლებელია არა სცოდნოდა ხალხის გაჭირვება თქვენს წინა მოადგილეს, კავალერიის გენერალ, ტორმასოვს, რომელსაც მრავალჯერ მოახსენეს, რომ უზომოდაა შეწუხებული მკვიდრიო. მაგრამ ტორმასოვი თავად-აზნაურობას პატივს არა სცემდა და ყურადღებას არ აქცევდა. რაღაც მიუკარებელი ადამიანი იყო, ზიზღით ეპყრობოდა ჩვენს რჩევას და ხალხის საჭიროებას. ეს იყო მიზეზი, რომ ჯერჯერობით მეცა და სხვებიც უკან შევდექით და არ მოგახსენეთ ყველაფერი თქვენცა, ვითარცა აქაური ქვეყნის ახალს უფროსსა და მმართველს. ამასობაში სრულიად მოულოდნელად იფეთქა ხალხის აჯანყებამ. პირადად მე არავითარი მოხსენება არ მიმიღია არც ერთი მარშლისაგან, რომ ხალხი ჰღელავსო. განათუ მარშლებს, სხვებსაც არაფერი არ შეუტყობინებიათ ჩვენთვის არც წერილით, არც სიტყვიერად. ჩემის ფიქრით,

ხალხი თუ აქამდის არ აჯანყდა, მიზეზი მხოლოდ ისაა, რომ ძლევა მოსილი მხედრობა მათის იმპერატორებითის უდიდებულესობისა ხალხს იფარავდა და იცავდა გარეშე მტრის შემოსევისაგან.

უმორჩილესად გთხოვთ, - ასე ათავებს წერილს თ. თამაზ ორბელიანი, - ზემორე ნათქვამი უმაღლესს კარს აცნობოთო.[33])

V

ქართლ-კახეთის მარშალ თ. თამაზ ორბელიანმა ფრთხილად, მაგრამ გულწრფელად მოახსენა მარკიზ პაულუჩჩის კახეთის ამბოხების მიზეზი. მოხსენებას თხოვნაც ზედ დააყოლა - უმაღლეს კარამდის მიიყვანე ჩემი მოხსენებაო. ეჭვი არაა, გუბერნიის მარშალს იმედი ჰქონდა, რაკი ყოვლად მოწყალე იმპერატორი ალექსანდრე პირველი შეიტყობს მოხელეთა უნამუსობას, კეთილ ინებებს და ბრძანებს, დაუყოვნებლივ ბოლო მოეღოს ამ საძაგლობასაო. მეფის სიტყვა ხუმრობა ხომ არ არის. თორმეტი წლის წინად იმპერატორი მფარველობას დაჰპირდა საქართველოს მანიფესტით და როგორ ინებებდა, რომ ძლევა-მოსილ მხედრობას მფარველობის მაგიერ ქვეყანა დაერბია და აეკლო.

საბუთებიდან არა სჩანს, გაუგზავნა თუ არა მარკიზმა იმპერატორს ორბელიანის მოხსენება. იმის საბუთი-კია, რომ ორბელიანს ტკბილი ოცნება სავსებით გაუცრუვდა. - საზოგადოდ ბობოლა მოხელეს უყვარს ხელქვეითის დაჩაგვრა, დატუქსვა. ვინც მოხელე არა ყოფილა და გულმკერდი არა ჰქონია "გაპატიოსნებული" ჯვარმენდლით, ის ვერ გაითვალისწინებს ბობოლას ნეტარებას, როდესაც იგი მრისხანედ

33) იხ. Акты, ტ. V, გვ. 65, 66, 83, 84. ქვეხა, ქედხული სპარსული სიტყვაა ჩვენებურად მამასახლისი.

ფეხებს აბაკუნებს და შიშისაგან გულწასული, ცოცხალ-მკვდარი მსხვერპლი თრთის და ძრწის წინაშე მისისა.

გუბერნიის მარშლობა დღესაც დიდი თანამდებობაა, მაშინ ხომ უფრო დიდი იყო, მაგრამ მარკიზი არ მოერიდა მარშლის სიდიდეს და თამაზ ორბელიანს ნაობახტში უკრა თავი. დატუსაღების მიზეზად ის მოუდო მარშალს, როგორ თუ დროზე არ შემატყობინე, კახეთში რომ ამბოხება მზადდებოდაო. რაკი მრისხანების ძალა აჩვენა საქართველოს დიდ თანამდებობის კაცს, რაკი პირდაპირ გააგებინა, რომ ჭია ხარ, მსურს გაგსრესავ, მსურს - გაბოგინებ ქვეყანაზედა, მარკიზი მოლბა და ალერსი დაუწყო. ჯერ სიტყვიერად მოიხადა ბოდიში და შემდეგ ასეთი წერილი მისწერა: სიტყვიერად განგიმარტეთ, თუ რამ მაიძულა თქვენი დატუსაღება, მაგრამ, გატყობთ, ჯერაც არ დამშვიდებულხართ. ახლა წერილით გიმეორებთ, რა იყო თქვენის დატუსაღების მიზეზი. ამბოხების ალი რომ გაძლიერდა, თქვენ შემატყობინეთ, მე კარგად ვიცი რამაც ააღელვა კახელობაო. ვითარცა თავად-აზნაურობის წინამძღოლი მოვალენი იყავით დროზე გეცნობებინათ ჩემთვის, თუ რა აწუხებდა კახეთის მკვიდრსა. რაკი ეს არ მოიქმედეთ, მეტი რა ჩარა იყო, იძულებული გავხდი ნაობახტში გამეგზავნეთ და დამესაჯეთ, ვინაიდან არ შეასრულეთ თქვენი მოვალეობა. ამ გვარის თქვენის დასჯით სხვა მარშლებს მაგალითი ვუჩვენე, ისინიც სასჯელს უნდა ელოდნენ, თუ კი რიგიანად არ აასრულებენ თავიანთ მოვალეობას. მარშლებმა კარგად უნდა იცოდნენ, რომ ხალხსა და მთავრობას შორის იგინი შუაკაცები არიან.

ანკი რა ბევრი გავაჭრელო, წინადაც გამოგიცხადეთ და ეხლაც ფორმალურად გიცხადებთ, რომ თქვენი ბრწყინვალება არ უნდა თაკილობდეს დატუსაღებას. არასოდეს ეჭვი არ შემპარვია გულში, რომ სრული ერთგული არა ბრძანდებით ხელმწიფე იმპერატორისა. მე კარგად ვიცი, თქვენი ბრწყინვალება ყელთამდე სავსეა ხელმწიფე იმპერატორის წყალობასიუხვითა და განა შემეძლო მეფიქრა, რომ გამოიჩენდით უმადურობას, რომელიც ასე არ შეეფერება საკუთარს თქვენს

სარფა-სიკეთესა და ეწინააღმდეგება პატიოსანის კაცის სახელსა.[34])

არაფრად ეჭაშნიკებოდა ქართლ-კახეთის მარშალ თ. თამაზ ორბელიანს ჯერ დატუსაღება და მერე მოქარგული ენით შემკობა, მაგრამ რას იზამდა. მარკიზ პაულუჩჩიმ დიდი ხანია შეაჩვია საქართველოს დიდებულნი მრისხანე კილოსა. 1811 წელს მოსავალი არ მოვიდა. ამ უბედურებას ზედ დაემატა ჟამი, რომელმაც მთლად შეარყია ქვეყნის კეთილდღეობა. ადვილი მისახვედრია, რომ გლეხ-კაცობა პირნათლად ვერ შეასრულებდა თავისს მოვალეობას და ხაზინას ვერ ჩააბრიდა გაწერილ ხარჯსა. ეს ამბავი მარკიზმაც კარგად იცოდა, მაგრამ მაინც ისეთი წერილი გაუგზავნა 1811 წ. 15 ოქტომბერს გენერალ-მაიორ თ. თამაზ ორბელიანს: სახელმწიფო ექსპედიციამ შემატყობინა, - თქვენ გლეხ-კაცობაზე დარჩენილა წარსული წლებისა სასურსათო გადასახადი 751 კოდი და 5 ლიტრა პური; ქერი 458 კოდი და 7. 3/4 ლიტრა და ამ 1811 წლისა პური 140 კოდი, ქერი 70 კოდი. ექსპედიციას ბევრჯელ უთხოვნია გადასახადის შეტანა, მაგრამ ყურიც არ გაგიბერტყიათო. გაოცებული ვარ ამ ამბით. დიდი პატივის მცემელი ვარ თქვენი, მაგრამ ყველაზე წინ მოვალეობას ვაყენებ და პირდაპირ მოგახსენებთ, არ გეკადრებათ ასეთი საქციელი. სახელმწიფო გადასახადი დროზე უნდა იხადოთ. თანამემამულეთა შორის ყველაზე წინ თქვენ დაგაყენათ ხელმწიფე იმპერატორმა, წყალობითა და ჯილდოთი გაგავსოთ და განა ასე დაჯილდოვებული მოვალე არა ხართ სხვებს მაგალითი უჩვენოთ? საზოგადოდ ასეა მიღებული: ვინც მეტი ჯილდო და საჩუქარი მიიღო, მეტი ერთგულობაც უნდა დაუმტკიცოს ხელმწიფე იმპერატორსა. რადგან თქვენი ბრწყინვალება სულ უკეღმა იქცევით, იძულებული ვარ უმაღლესად მინიჭებულის უფლების ძალით მოგთხოვოთ, ხმის ამოუღებლივ წარუდგინოთ ხაზინას რაც პურია შეწერილი თქვენ გლეხ-კაცობაზე. ვადას ორ კვირას გაძლევთ. უკეთუ თხოვნას არ

34) Акты, ტ.V, გვ. 84.

აასრულებთ, მაშინ, წინადვე ბოდიშს ვიხდი, ჩემდა უნებურად ისეთს ღონეს ვიღონებ, რომ ვაი თუ სასიამოვნოდ არ დაგრჩეთ, მაგრამ, უკაცრავად კი ნუ ვიქნები, ვინაიდან მეც მოვალე ვარ ქვეყანას დავანახვო, რომ მთავრობა დიდსა და პატარას არ არჩევს და ყველას ერთნაირად უწევს პატრონობასა და ერთნაირად ანიჭებს მართლ-მსაჯულებასო.[35)]

დაუტუქსავად არც მეორე დიდი ფეოდალი დაუტოვებია მარკიზსა. გენერალ-მაიორ თ. კონსტანტინე ივანეს ძე მუხრან-ბატონს არზით უთხოვნია პაულუჩისათვის, ხუთის წლით გამინთავისუფლე დიღმელი გლეხები სახელმწიფო ხარჯისაგანაო. არზაზე აი რა პასუხს უგზავნის მარკიზი: ხელმწიფე-იმპერატორმა წყალობით აგავსოთ თქვენცა და თქვენი გვარიცა. მაინც უმადურობას იჩენთ, რამაც გული მატკინა. თითქოს საკმარისი არ იყვეს, რომ ხელმწიფე იმპერატორმა გულკეთილობისა გამო გიწყალობათ ისეთი შემოსავლიანი სოფელი, როგორიცაა დიღომი და მაინც გაბედეთ და მთხოვთ დიღმელების განთავისუფლებას სახელმწიფო გადასახადისაგან ხუთის წლით. ალბად, გგონიათ, რომ ხელმწიფე იმპერატორმა მთელი თავისი წყალობანი და რუსეთის შემოსავალი მარტოოდენ საქართველოს უნდა მოახმაროს. პირუთვნელად თქვენ თვითონ განსაჯეთ: რაც უნდა დიდი იყოს თქვენი სამსახური და ღვაწლი სამშობლოს წინაშე, რას იტყვიან თქვენივე მეზობლები, გლეხ-კაცობა რომ ხარჯისაგან გაგინთავისუფლო? განა ისინი კი არ მოითხოვენ ხარჯისაგან განთავისუფლებას, უკეთუ დავაკმაყოფილებთ თქვენს შეუფერებელს სურვილსა?

ჯერ დატუქსა მუხრან-ბატონი და მერე ფიანდაზად გაეშალა მარკიზი. ნუ გეწყინებათ, სიმართლე მიყვარს და ის მალაპარაკებსო. კვლავ იმისთანას ნურასა მთხოვთ, რომლის

35) ibid. გვ. 2-3

ასრულებამაც სიმართლე გამამრუდებინოსო. ჭეშმარიტსა და მართალს სათხოვარს დიდის სიამოვნებით შეგისრულებთ. სწორედ ბედნიერად ჩავთვლი ჩემს თავს, თუ-კი რამეში გამოგადგებითო.[36])

ადამიანი კარგად უნდა ჩაუკვირდეს მარკიზის სიტყვა-პასუხსა, თორემ შეიძლება ჩვენი დასკვნა და აზრი არ შეიწყნაროს. მართლაც, ქება-დიდების მეტი რა ეთქმის ქვეყნის გამგებელს, რომელსაც წინ წაუმძღვარებია სიმართლე და თანასწორობა და რომელიც დიდსა და პატარას არ არჩევს? კანონიერ თხოვნას დიდის სიამოვნებით აგისრულებთ; თუ წარჩინებულნი ხართ, მაშ მაგალითი უნდა აძლიოთ სხვებს კანონიერ მოთხოვნილების აღსრულებაშიო, ეს ყველა კარგი და პატიოსანი, მაგრამ მაგარი ისაა, რომ მარკიზმა ორთავ დიდებულნი ორბელიანი და მუხრან-ბატონი საყვედურით დაახრჩო: რომ თხოულობთ, რას თხოულობთ, განა დაგავიწყდათ ხელმწიფის უხვი წყალობა და ჯილდოებიო. როგორ გეკადრებათ რაისამე თხოვნა და კრინტის დაძვრა, როდესაც ასე უხვად ბრძანდებით დაჯილდოვებულნიო. გამოდის, რომ რაკი კაცი ჯილდოს მიიღებს სამსახურისა და ღვაწლისათვის, პირი უნდა შეიკრას, ენა მუცელში ჩაიგდოს და მარტოოდენ მთავრობის კაცებს უცქიროს თვალსა და წარბში. ეს ის დამღუპველი და გამათახსირებელი ბიუროკრატიული სისტემაა, რომელიც ახალმა მთავრობამ მოსვლისთანავე შემოიღო ჩვენში და კოფოზე წამოასკუპა უთვისტომო, ხოლო ჩინოსანი მოხელე. - მუხრან-ბატონმა შეღავათი ითხოვა დიღმელებისთვის შიმშილობის დროს, აქ რა არის ცუდი? მაშ როდის უნდა ამოეღო ხმა, თუ არ გაჭირვების დროს? ვინ იცის, ეგები მუხრან-ბატონს პირადი ანგარიშიც ჰქონდა, მაგრამ ისეთი მწარე და გესლიანი სიტყვა - ხელმწიფე იმპერატორმა მთელი თავისი წყალობანი და რუსეთის შემოსავალი განა მარტო

---

36) Ibid. გვ. 3. გენერალ-მაიორი კონსტანტინე ივანეს ძე მუხრან-ბატონი, ანუ რუსულად ბაგრატიონ-მუხრანელი, შემდეგ ტფილისის გუბერნიის მარშლად იყო. ქაღალდს ხელს ქართულად აწერდა. პაპაა ამ წინაზე გარდაცვლილ გუბერნიის მარშალ თ. კ. ი. ბაგრატიონ-მუხრანელისა.

საქართველოს უნდა მოახმაროსო, - ყოველნაირ მადას დაუკ-
არგავდა მთხოვნელს და ქვეყნისთვის ხმას ვეღარ ამოიღებდა.
აკი წააყვედრა თ. თამაზ ორბელიანმა მარკიზსს-გენერალი
ტორმასოვი ერთი რაღაც პირუბანელი რამ იყო, არავის
იკარებდა, ჩვენ რჩევას არ ისმენდა, მატრაკვეცობას ხომ არ
დავიწყებდით და წარა-მარა არზებით ხომ ვერ ვირბენდითო.
ერთის სიტყვით, მორჩილებისა და სულის გატვრენის ეპოქა
გაბატონდა საქართველოში და, ვაი იმას, ვინც გაჰბედავდა და
ქვას ჩააგდებდა ასამღვრევად შეღედებულ ტბაში.

ჩვენიანი თუ ადვილად ვერა ჰბედავდა პროტესტის
გამოცხადებას, ახლად გამოჩეკილი მოხელენი ენერგიას არ
იშურებდნენ, რომ საკუთარის ხელით აეზვირთებინათ დამდ-
ორებული ზღვა და გაბეგრილ ხალხს მოთმინება დაჰკარგოდა.

რამდენიმე მაგალითი უსამართლოებისა ზემოდ დავასახ-
ელეთ. აბა რა პატრონობას გაუწევდა კახელობას. იმისთანა
მოხელე, როგორიცა ბრძანდებოდა სიღნაღის კაპიტან-ისპრა-
ვნიკი, ძილის გუდად გადაქცეული, რომელიც თვალს მხოლოდ
მაშინ ახელდა, როდესაც ქრთამს დაანახვებდნენ. ალბად,
ბატონი კაპიტან-ისპრავნიკი დიდი მოტრფიალე ყოფილა
ნუნუასი, თორემ შეუძლებელია დილიდან საღამომდინ იძინოს
კაცმა. პატარა მოხელენი ისე უცქეროდნენ ერსა, როგორც
მწველელ ფურსა. საბუთი და უფლება ჰქონდათ ასე
მოქცეულიყვნენ, რადგან დიდები უარესსა სჩადიოდნენ. "წამ-
წყმიდა წახედულობამაო", ტყუილად ხომ არ უთქვამს ჭირ-
ნახულს ერსა. "თევზი თავიდან აყროლდება" და, მართლაც,
მარკიზ პაულუჩჩის დროს მართლმსაჯულებას ისეთი მყრალი
კაცი უდგა სათავეში, რომ ქართველობას უეჭველია დაავიწ-
ყდებოდა ნეტარხსენებული კავალენსკი, პოლტავაში რომ
გადაზიდა, რაც-კი ძვირფასი ნივთი და სამკაული მოეპოვებოდა
მაშინდელ ქართველობას. რა შვილებიცა ბრძანდებოდნენ
მაშინდელი მსაჯულები, რა ზნისა და ხასიათისა იყვნენ მოსა-
მართლენი, ბრძანებს კაპიტანი ანოსოვი, იქიდან შეიძლება
გაითვალისწინოს ადამიანმა, რომ თვით დარაჯი კანონისა,
საქართველოს უმაღლესის მმართველობის პროკურორი

პლახოტინი "გაუამხანაგდა ტფილისში მცხოვრებ ებრაელებს და მათთან ერთად გააჩაღა მაგარ სასმელებით ვაჭრობა და შელახა კანონი ღორმუცელა, ვერცხლისმოყვარე და ანგარებით გაჟღენთილმა "კანონის დარაჯმა". პლახოტინი საზოგადოებას თარის დაკვრით და უწმაწურ სიმღერებით ართობდა, თანამდებობას კი ყურადღებას არ აქცევდა, რადგან თანამდებობისა არც თავი გაეგებოდა, არც ბოლო ესმოდა."[37])

ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები მარკიზისაა. პროკურორი პლახოტინი ზედგამოჭრილი მოხელეა მაშინდელის უკეღმართის დროისა და ამის გამო ვრცლად გიამბობთ ამ საარაკო კაცის თავგადასავალსა.

მარკიზის წინამოადგილე გენერალ ტორმასოვმა პლახოტინი სატუსაღოში ჩააგდო. დატუსაღებული პროკურორი ისე გაკადნიერდა, რომ ხელმწიფესთან იჩივლა, უკანონოდ მომექცა მთავარ-მართებელიო. წარმოიდგინეთ, არყით მოვაჭრე, ბალალაიკაზე დამკვრელი და უწმაწურ ლექსების მომღერალი პროკურორი უდანაშაულოდ უცვნიათ პეტერბურგში და გაუმართლებიათ - პროკურორის დატუსაღება კანონის წინააღმდეგიაო. ეს ამბავი შეატყობინა პაულუჩჩის იუსტიციის მინისტრმა დმიტრიევმა. ცეცხლივით აენთო მარკიზი, ეს ქაღალდი რომ წაიკითხა. უფრო ადრე გამომჟღავნდებოდა პლახოტინის ავკაცობა, უპასუხებს მარკიზი დმიტრიევს, ტორმასოვი რომ თავმდაბალი არა ყოფილიყოვო - და მოუყვება პლახოტინის ამბავს.[38])

პლახოტინს წინადაც ვიცნობდი, რა შვილიცა ბრძანდებოდა: ბრიყვი, უზრდელი, გაუთლელი. რა საპროკურორო კაცია, ცხარობს მარკიზი. ჩემდა სამწუხაროდ, როგორიც ბრძანდებოდა წინად, აქ, საქართველოშიაც, ისეთივეა.

---

37) Утв. ტ.II, გვ. 342. ღედანში: забавлялъ публику игрой на балалайкъ и пѣніем непристойныхъ пѣсенъ. დ. ჩუბინაშვილი ბალალაიკას ასე სთარგმნის: ჩონგური, თარი, საზი. ბალალაიკა არც ერთი არაა. ეგ წმინდა რუსული საკრავია.

38) Акты, ტ. V, გვ. 11, 12, 13.

პლახოტინს არ ესმის, რა ხილია პროკურორობა, არა გაეგება რა კანონებისა და თავიც არა აქვს გაიგოს რამე, კიდეც რომ მოინდომოს. თავხედია და უზრდელი, ამასთანავე შესანიშნავად გაწაფული დავი-დარაბის ატეხაში. ხრიკების ისეთს ქსელს გაბამს, ისე ოსტატურად მოჩმახავს ქაღალდს, რომ გულუბრყვილო ადამიანი ადვილად გაებმის ბადეში. დასამტკიცებლად იმისა, თუ რა ნიჭისა და გონების პატრონია პლახოტინი, შემდეგს მოგახსენებ, სწერს პაულუჩჩი. პლახოტინი მსახურებდა საქართველოში 1807 წლამდე. განსვენებულ გენერალ თ. ციციშვილს გამოუგზავნეს პეტერბურგიდან სამოქალაქო საქმეთა მდივნად, მაგრამ ციციშვილმა რამდენისამე თვის შემდეგ გააგდო კანცელარიიდან. ამას შემდეგ როგორღაც მოახერხა და თავი ამოჰყო ისევ მდივნად სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა ექსპედიციაში. აქედანაც მალე გააძევეს, რადგან აბეზარი და მოუსვენარი ხასიათისა იყო. პლახოტინი მთავრობას ეხვეწებოდა, სადმე მაზრის სამსაჯულოში მაინც მომეცით მდივნის ადგილი, მაგრამ უარი უთხრეს, ამ პატარა თანამდებობის შესაფერისი ნიჭიც არა გაქვსო და საქართველოდან სამუდამოდ გააგდეს, თუმცა-კი ატესტატში ცუდი არაფერი ჩაუწერეს. განდევნილი საქართველოდან დიდ ხანს დახეტიალობდა მოლდავიაში, მაგრამ ვერც იქ იშოვნა სამსახური. მოლდავიიდან პეტერბურგს ავიდა და, ღმერთმა უწყის, რა გზით და რა ხრიკების წყალობით, სულ მცირე დროს გაიკრა მაღალმნიშვნელოვანი ადგილი საქართველოს პროკურორისა.

დიდი დანაშაული დააბრალა პლახოტინს მარკიზმა ერთს საპოლიტიკო საქმეში. - გენერალ ტორმასოვმა დაიჭირა ტფილისში იმერელი სიმონიკა ბარათაშვილი და სატუსაღოში უკრა თავი. ბატონიშვილი ლევანი ოსეთში რომ იმყოფებოდა, თან ახლდა სიმონიკა. ოსეთიდან როგორღაც გაუსხლტა ყარაულებს და ტფილისს ჩამოიპარა. სიმონიკა ბარათაშვილი და მრავალი კიდევ სხვანი დაძვრებოდნენ ქართლსა და იმერეთში, ემალებოდნენ ყარაულებს, იგებდნენ რუსის მხედრობის ამბებს და ატყობინებდნენ იმერეთში სოლომონ მეორეს, ოსეთში

ბატონიშვილ ლევანს, სპარსეთში, ან დაღესტანს ბატონიშვილ ალექსანდრეს. რუსები გაფაციცებით ადევნებდნენ თვალყურსა სიმონიკასთანა კაცებს და, თუ კი შეიპყრობდნენ, ხელიდან აღარ უშვებდნენ. მართალია სიმონიკა ბარათაშვილს გასამტყუნარი ვერა უპოვნეს რა, მაგრამ მაინც შეიპყრეს, რადგან თავის პირით აღიარა - ბატონიშვილ ლევანს ვახლდი ოსეთშიო. ამას გარდა 1810 წელს იმერეთი აჯანყების კორიანტელში იყო გახვეული. ამბოხებას იმერეთის გამგე გენერალი სიმონოვიჩი 1811 წელსაც მოელოდა. მარტო ეს ეჭვიანობა საკმარისი საბუთი იყო ბარათაშვილის დასატუსაღებლად. - სრულიად მოულოდნელად პროკურორ პლახოტინმა მფარველობა გაუწია მეამბოხეთა ერთგულ მეგობარს სიმონიკა ბარათაშვილს და თხოულობდა განთავისუფლებას. მარკიზის აზრით, რაკი ბარათაშვილს პოლიტიკური დანაშაული ჰბრალდებოდა, ზოგად კანონს ხმა უნდა ჩაეწყვიტა, მაგრამ, როგორც ეტყობა, პლახოტინი ახირებულა და თავისას არ იშლიდა - ბარათაშვილი უკანონოდაა დატუსაღებულიო. - კეთილი განზრახვა ჰქონდა ამ საქმეში მეჭიანურე და მედუქნე პროკურორს, თუ აშაც ანგარებამ, ან უბრალო ახირებამ იჩინა თავი, ვინ მიხვდება ეხლა, ასის წლის შემდეგ.[39])

1811 წელს შემოდგომაზე, ბატონიშვილი ლევან, სამის მხლებელ ოსით, ბორჯომის ხეობით მიიპარებოდა ახალციხეს და გოგიას ციხესთან (ავალიანთ ციხეა) წააწყდა ლეკების ბრბოს. სიცოცხლით სავსე ჭაბუკი, სულ რაღაც ჩვიდმეტ-თვრამეტი წლისა, ხანჯალზე ააგეს ლეკებმა. გასისხლიანებული ტანისამოსი ლევანისა და მოკვეთილი თავი ძღვნად მიართვეს ახალციხის ფაშა შერიფ ხიმშიაშვილს. შერიფმა კინაღამ თავი მოიკლა მწუხარებით, ლევანის სიკვდილი რომ გაიგო, მაგრამ ტირილით რას უშველიდა.[40]) ლევანის სიკვდილმა სიმონიკა ბარათაშვილს უშველა. რაკი მეამბოხე ბატონიშვილი წუთის-

---

39) ეს ის ადმინისტრატიული "უსმოტრენიეა", რომელიც დღესაც კანონსა სჩაგრავს.

40) ლევან ბატონიშვილის თავგადასავალს როდისმე ვუამბობთ მკითხველს უბედურმა ლეკებმა თურმე არ იცოდნენ, ვინ ააგეს ხანჯლის წვერზე.

ოფელს გამოესალმა, ერთგულ ყმასაც შეღავათი მისცეს და ციხიდგან გამოუშვეს. სიმონოვიჩმა ნათესავებს ჩააბარა სიმონიკა თავდებობით და ამანათად საკუთარი შვილი წაართვეს.

ასეა თუ ისე, ბარათაშვილის გამოქომაგება დიდ დანაშაულად ჩაუთვალა პლახოტინს მარკიზმა პაულუჩჩიმ. ამდენი საქმის ჩამდენიო, სწერს პაულუჩჩი დმიტრიევს, ღირსი იყო რომ სამსახურიდან გადამეყენებინა და გათოკილი პეტერბურგს გამომეგზავნა, მაგრამ, თქვენი პატივისცემის გამო, ასე არ მოვიქეცი და გთხოვთ გადააყენოთ სამსახურიდან და რიგიანი, კანონის მცოდნე კაცი დანიშნოთ პროკურორად საქართველოშიო. დიდად საჭიროა, აქაურმა მკვიდრმა შეიგნოს-რა დიდი მნიშვნელობა აქვს პროკურორის ხარისხსა. რაკი ღირსეული კაცი იქნება პროკურორად, აღარ მეწყინება და სათაკილოდაც არ მივიჩნევ, უკეთუ კანონის უცოდინარობას მომაგონებს, ვინაიდგან სიყმაწვილიდან სამხედრო საქმეს ვემსახურები და საკვირველი არ არის, რომ სამოქალაქო კანონებში მოვიკოჭლებდეო.

ასეთი ყოფილა "დარაჯი კანონისა" მაშინდელ საქართველოში. ადვილად გაიგებთ, თუ რანაირად იკანონებდა კანონი პროკურორ პლახოტინის ხელში. ან მისი ხელქვეითნი და მსაჯულნი რა სამართალს დასთესდნენ ერში, ოდეს თვით მათი უფროსი არ უკადრისობდა მაგარის სასმელებით ვაჭრობას ებრაელებთან ერთად. კავალენსკიმ ციციშვილის დროს ბეგთაბეგიშვილი გაიამხანაგა ხალხის დასარბევად, პლახოტინს ებრაელები ამოურჩევია. - ერთი რამ ვერ გამოვიკვლიეთ: ბალალაიკა-ჭიანურით სად ართობდა პლახოტინი პუბლიკას - ქუჩა-ქუჩა დადიოდა, თუ თვით სამსჯავრო დარბაზში!

VI

უსამართლო მართვა-გამგეობით, სიყმილ-შიმშილით და ეგზეკუციით გაბედნიერებულ საქართველოს ახალი უბედურობა დაატყდა თავსა. მთელი ექვსი წელიწადი, დაწყ-

ებული 1809 წლიდან 1816 წლამდე საშინლად მძვინვარებდა საქართველოს ტერიტორიაზე ჟამი და ჰმუსრავდა უპატრონო და მშიერ-მწყურვალ ქვეყანასა. შეშინებული მკვიდრი ცხვრის ფარასავით დაფთხა და მთასა და ტყეს მოედო თავის საშველად. თვით დედა-ქალაქი ტფილისი დაცარიელდა, რადგან მოქალაქენი გაიხიზნენ და იმალებოდნენ ზოგი ორთაჭალის ბაღებში და ზოგი კიდევ, ვინ იცის სადა. ულმობელი სენი განსაკუთრებულის ძლიერებით აოხრებდა იმერეთს, მაგრამ ხეირი არც ქართლ-კახეთისათვის დაუყრია. თავი იჩინა ჭირმა აგრედვე დარუბანდს, ჩრდილოეთ კავკასიაში და ახალციხის საფაშოში.

მაშინდელი მთავრობა ხერხსა და ღონეს არ იშურებდა, რომ მხედრობა მაინც გადაერჩინა სენის ბრჭყალებისაგან, მაგრამ ვერას ხდებოდა. ჯარის-კაციც ბლომად დაიღუპა, განსაკუთრებით ყაზახობა. საკარანტინო ინსპეკტორის თანაშემწე თ. თუმანიშვილი და გენერალი სიმონოვიჩი გვიამბობენ: ანანურში ჟამი მოვსპეთ, მაგრამ ხელმეორედ დონის ყაზახებმა შემოიტანესო: საქმე ასე ყოფილა. არაგვის პირზე ცხენები გაერეკათ საბალახოდ; ყაზახების ბინის ახლო მგზავრ ქართველებს ღამე გაეთიათ. მძინარე მგზავრებისთვის ყაზახებს მოეპარათ ქეჩა და უბრალო ხალიჩა და ჩამოეტანათ ყაზახთა პოსტზე. ქურდებს ქეჩა შუაზე გაეჭრათ და მიეყიდნათ ისევე ყაზახისთვის, რომელიც ავად გამხდარიყო ჭირით და გარდაცვლილიყო. ჭირის მოსასპობად გორიდან გაუგზავნიათ ს. ჩარტალში სამხედრო ექიმი კორალლი, მხლებელად თანა ჰყოლია ექიმს ანანურელი ყაზახი, რომელსაც სოფელში ორი ტყაპუჭი მოეპარა. მეორე დღესვე ქურდი ყაზახი გარდაიცვალა, თან გადაჰყვა აფიცერი და სხვა ყაზახები. ერთ ყაზახს კიდევ გაეთხარა დამწვარი, ჭირნადგომი ნასახლარი და ორი ცელი ეშოვნა. დავლა ბინაზე მოეტანა და მოსპობილი სენი ხელახლა გააჩაღა. სამაგალითოდ უნდა დაისაჯოს ცელის მომტანი ყაზახი, სწერს გენერალი სიმონოვიჩი მთავარ-მარ-

თებელს, რომ სხვა ყაზახებმა აღარ გაბედონ ჭირიან ადგილებიდან ნივთების აღება, თორემ სენს ბოლო არ მოეღებაო.[41])

ტყუილადა ჰქონდა იმედი გენერალ სიმონოვიჩს, რომ სასტიკი სასჯელი, ან სასტიკივე ბრძანება მოაშლევინებდა მაშინდელს ყაზახს ქურდ-ბაცაცობას. ქურდობდა და მტაცებლობდა ყაზახი განა მარტო ჩვენში, იქ, სამშობლოშიც მოტრფიალე თვალით უცქეროდა მეზობლის დოვლათ-ზინათსა და თუ კი დროს იხელთებდა, უსათუოდ ასწაპნიდა რაკი მოხვდებოდა ხელში. აბა რა მოსაპარია მგზავრი კაცის ქეჩა, ან ჩარტალელი გლეხის წუწიანი ტყაპუჭი (დედანში: овчина)! ვინ ოხერი გასთხრის ღამე, მალულად ჭირიან ნასახლარს, (დედანში: сакля). რომ ორიოდე ჟანგიანი ცელი მოიპაროს! გლეხი კაცის გადამწვარ ქოხში განა რა ოქროს ზოდები იქნებოდა ჩაფლული! ხასიათი, ბუნებაა, თორემ რა ყრია ან ქეჩა ტყაპუჭაში, ან ცელებში.

1815 წ. გენერალი დელპოცო სამწუხარო ამბავს ატყობინებს გეორგიევსკიდან მთავარ-მართებელ რტიშჩევს, დონელ ყაზახთა ბინაზე, მიხეილის პოსტზე, მცირე აბაზიის პირდაპირ, ჟამი გაჩნდაო; ერთი კვირის განმავლობაში გარდაიცვალა 2 ურიადნიკი და 14 ყაზახი; ერთი ურიადნიკი, 5 ყაზახი და ერთი დედა-კაცი ავად არიანო. საიდან შემოიტანეს სენი მიხეილის პოსტზე, დანამდვილებით ვერ შევიტყე, რადგან პოსტის უფროსი ასისთავი ლიახოვი და ჯოგის ყარაული ყაზახი, რომელზედაც ეჭვი მქონდა, თუ შემოიტანდნენ, სწორედ ესენიო, ჟამისაგან დაიხოცნენო. - გენერალი დელპოცო ასე ახასიათებს ლიახოვს და საზოგადოდ ლინიის ყაზახობას: მე მგონია, მოახსენებს დელპოცო რტიშჩევს, რომ ამ უბედურობის თავი და თავი მიზეზი ყაზახობაა. ვის არ მოეხსენება, რა-ნაირად ეტანება ყაზახი დავლას. ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი ტაციობის სენი. ცხადია, რომ ასის თავი ლიახოვი და ყაზახთა ჯოგის ყარაული ხელთ იგდებდნენ საზღვარგარეთიდან შემოტანილ აზიის საქონელს, მიარიგ-

41) Акты, т. V, გვ. 349, 350, 351.

მოარიგებდნენ და ამგვარად სიხარბით დაბრმავებულებმა თავიანთი თავიც დაღუპეს და სხვანიც თან ჩაიყოლიეს. დამნაშავის აღმოჩენა შეუძლებელია, რადგან ყველანი წუთი-სოფელს გამოესალმნენ. ჟამის შემოტანის მიზეზი ეგები ისაა, რომ ყაზახი, ვითარცა გაუთლელისა და ველური კაცის წესი და ადათია, სულ უბრალოდ თავს წაიხდენს, ოღონდ რამე იშოვნოს. საშოვარის მოტრფიალე აღარ დაგიდევს, რა ზარალი მოჰყვება მის საქციელს. ღვთის წინაშე, ისიც უნდა სთქვას კაცმა, რომ ლინიის ყაზახი იძულებულია ისაძაგლოს და იქურდოს. აგერ მეორე წელიწადია და ჯერ ცხენების საკვები არ მიუღიათ. წელიწადში სულ 12 მანეთი ჯამაგირი აქვს და როგორ დაირჩინოს თავი, ან ცხენი როგორ გამოკვებოს თორმეტი მანეთით? ბევრს ცხენი მოუკვდა და ღონე არა აქვს მეორე იყიდოს. ბევრი გაკეთებული ოჯახი დაიღუპა, რადგან ოჯახის მომვლელად მარტო მოხუცებულები და ბავშვები რჩებიან შინ. ზნემაღალი ადამიანი ქურდობას არ იკადრებს, რაც უნდა გაჭირვება მიადგეს კარსა, მტკიცე ხასიათი დროზე შეაჩერებს, შეაკავებს და საძაგლობაზე ხელს ააღებინებს, მაგრამ საქმეც ისაა, რომ ყაზახს ზნე-ხასიათი ძალიან სუსტად აქვს განვითარებულიო.[42])

ფრიად საყურადღებო ამბავს გვატყობინებს გენერალი დელპოცო. სწორედ რომ დაუჯერებელი ამბავია და გონებას ვერ გაუთვალისწინებია, როგორ უნდა ირჩინოს თავი ცხენიანმა კაცმა წელიწადში თორმეტ მანეთად? ეს ხომ იმასა ჰგავს, დედინაცვალმა მწყემსი ობოლი რომ სამწყსოდ გაგზავნა, ერთი პური გაატანა და ასე დაბარა: შენცა სჭამე, გამვლელ-გამომვლელსაც აჭამე და შინაც მთელი მოიტანეო. – ლინიის ყაზახს, ბრძანებს დელპოცო, ზნეობა ნაკლებად აქვს განვითარებულიო. ანგელოზიც რომ იყოს ადამიანი, თავს ვერ დაირჩენს და ცხენს ვერ გამოჰკვებავს წელიწადში 12 მანეთად. მაშინდელი მანეთი დღევანდელ სამსაც რომ უდრიდეს, მაინც შეუძლებელია 36 მანეთად თავის გატანა და ცხენის შენახვა.

---

42) Ibid, т. V, გვ. 351 - 352.

ძალა-უნებურად თვალი აქეთ-იქით უნდა აეცეცო და საზრდო მოიპოვო კანონის მიერ აღკრძალულის გზით. დელპოცოს მოწმობა საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ მაშინდელი დროის ყაზახთა რაზმები რეგულიარულ ჯარად არ ითვლებოდა და მთავრობა, ალბად, იძულებული იყო თვალი დაეხუჭა და ყური მოეყრუა, როცა შეატყობინებდნენ, - ყაზახებმა სოფელი აიკლეს, ესა და ეს გაძარცვეს, ესა და ეს დაარბიესო.[43])

ბატონიშვილ დავითმა გენერალ ტორმასოვს დააბრალა, ახალციხიდან მაგან ჩამოიტანა ჟამი ქართლ-კახეთშიო. მართლაც, პირველად რუსის მხედრობაში ახალციხესთან იჩინა სენმა თავი. ტორმასოვმა 1810 წ. შემოდგომაზე ალყა შემოარტყა ახალციხეს და ნოემბრის მიწურულებში იმედიცა ჰქონდა, რომ ბოლოს მოუღებდა შარიფ-ფაშას და თვით ახალციხეს. მაღალი კლდე ყაია-ბაში, რომელიც თავს დაჰყურებდა ციხეს, რუსებმა ხელთ იგდეს და სეტყვასავით აყრიდნენ აქედგან შუაგულ ციხეს ტყვიასა და ყუმბარას. 19 ნოემბერს ტორმასოვმა ბატარეია მოაწყო კოკოლა-საყდრის მაღლობზე, ზედ აიტანა ორი მძიმე თორმეტ გირვანქა ყუმბარიანი ზარბაზანი და ორი ფილთა (მორტირა)[44]). 22 ნოემბრიდან დაწყებული ოთხის დღის განმავლობაში თითქმის აამტუტა ტორმასოვმა ახალციხის ციხე, თუმცა აღებით მაინც ვერ აიღო. ხის შენობანი მთლად დაიწვა, ქვისა ნახევრად დაინგრა. შარიფას პალატებს ცეცხლი გაუჩნდა, მეციხოვნენი დაწიოკდნენ, მაგ-

---

43) აი თვით დელპოცოს სიტყვები: "Всъ казачьи войска другой годъ не получаютъ фуража; должны содержать и себя и лошадей своихъ изъ одного жалованья, состоящаго изъ 12 р. въ годъ".

44) უგემურად იციან ხოლმე დამახინჯება ჩვენებურის სიტყვა-სახელისა. სუფთა ქართული "კოკოლას საყდარი, ასეა დოკუმენტებში მოხსენებული: კოკოლა სერდარი. სად ყიზილბაშური სერდარი, ანუ სარდალი და სად საყდარი-ეკლესია. ოსმალურთან მწყრალად გახლავართ, მაგრამ რამდენადაც გვსმენია "Кахя-паша" კი არა ჰქვიან კლდეს, არამედ Кахя-баши. ბაში თავია.

რამ ტორმასოვმა მაინც იერიში არ მიიტანა და შარიფ-ფაშას შეუთვალა, ციხე დამანებეო. ვერ მოგართვიო, შემოუთვალა შარიფმა.[45]) მაშ ლტოლვილი იმერეთის მეფე სოლომონ მეორე მაინც მომეცი და ციხიდან განდევნე ლეკებიო. - ლეკები დიდი ხანია გაიქცნენ, მეფე სოლომონი-კი ერევანს წავიდაო, შემოუთვალა შარიფმა. - ამ პასუხის შემდეგ ტორმასოვი აიყარა და ტფილისს წავიდა აწყურის გზით.

მიზეზი ასე უსახელოდ დაბრუნებისა ახალციხიდან სულ უბრალო იყო. ტორმასოვის ლაშქარში ჟამი გაჩნდა და პირველად ექვსი ქართველი მილიციონერი იმსხვერპლა. ტორმასოვის მხედრობას შეუერთდა იმერეთიდან მოსული ზეკარის უღელტეხილით სიმონოვიჩის ჯარი და ალბად, ამ ჯარმა თუ გადმოიტანა მმუსრავი სენი. ტორმასოვს შეეშინდა ჭირისა, საჩქაროდ წამოვიდა და ფიცხელი ბრძანება გაუგზავნა საქართველოს გამგე გენერალ-მაიორ ახვერდოვს და პოლკოვნიკ სტალს - საქართველოს ყველა შესავალ გზებზე კარანტინები დააწესეთო.[46])

საიდან შემოვიდა საქართველოში ჭირი, დარწმუნებით ვერ ვიტყვით. თვით ტორმასოვმა ვერ გამოარკვია, საიდან შემოეპარა ტფილისს სენი. "ღმერთმა უწყის, რა გზით შემოვიდა ქალაქში სენიო". კაპიტანი ანოსოვი ჰფიქრობს, რომ ჟამი საქართველოში 1811 წ. გაჩნდა დარუბანდიდან, უფრო კი იმერეთიდანაო.[47])

ჩვენთვის სულ ერთია, საიდან გვესტუმრა ჟამი, იმერეთიდან, ახალციხიდან, თუ დარუბანდიდან. საყურადღებო

---

45) დანამდვილებით არ ვიცით-რა გვარისაა შარიფი. ბატონიშვილი დავით ათაბაგის გვარისად სთვლის, სელიმს-კი ხიმშიაშვილად. იხ. მასალები... გვ. 64, 69. ბროსსეც გადაწყვეტილს არას ამბობს. "ძნელია იმის გამორკვევა, ვისი შთამამავალნი არიან საათაბაგოს უკანასკნელნი მმართველნიო". იხ. მარი ბროსეს საქართველოს ისტორია, ნაწილი II, გვ. 154.

46) გენერალი ახვერდოვი, გვარით პეპელაშვილი, ქრცხინვალელი მოსახლე სომეხია. მასალები... გვ. 106.

47) утв. ტ.II, გვ. 268.

ისაა, რომ ისედაც შეწუხებულს ქართლ-კახეთს ცალკე შიმშილით და ცალკე უხეირო მართვა-გამგეობით და საეგზეკუციო კამანდებით ახალი უბედურობა დაატყდა თავსა. მარტო 1811 წ. ჟამმა იმსხვერპლა 2042 მამა-კაცი, 1646 დედა-კაცი, 567 ბავშვი; მორჩენილა: 514 მამა-კაცი, 531 დედა-კაცი და 155 ბავშვი. კარანტინებში ჰყოლიათ გაჩერებული როგორც საეჭვო ავადმყოფნი: 266 მამა-კაცი, 276 დედა-კაცი და 89 ბავშვი. იმავე კარანტინებში გაუჩერებიათ ჯან-საღნი: 393 მამა-კაცი, 410 დედა-კაცი და 31 ბავშვი.[48])

კარანტინები იყო დაწესებული ს. ჭალას, მცხეთას, დმანისს და ტფილისში სამი: აბანოებთან, ავლაბარში და წავკისის გზაზე. სხვა გზით ხალხს არ უშვებდნენ ქალაქში. თითო კარანტინში უსათუოდ იყო ერთი კამისარი, ერთი ექიმი და თარჯიმანი, რომელსაც, თუ რუსულად ვერ მოახერხებდა გამვლელ-გამომვლელის სახელისა და გვარის დაწერას, შეეძლო ქართულად შეედგინა სია. კარანტინებში ხმარობდნენ ხალხისა და ნივთების საპკურებლად დოქტორ გიტონ-დემორვოს რაღაც გაზსა. წესი და რიგი ამ გაზის ხმარებისა შეემუშავებინა სამხედრო ექიმს, მედიცინის დოქტორს კრეიტონს. მარკიზი პაულუჩჩი დიდად აფასებდა დე-მორვოს გაზსა და კრეიტონის წამლობას, სასწაულსავით მოქმედობსო, მაგრამ ქართველობას არა სწამდა არც მორვოს გაზი და არც კრეიტონის ჯანაოზობა. ტყესა და მთას უფრო ენდობოდა და ქუდ-მოგლეჯილი გარბოდა ჭირიან ქალაქიდან ორთაჭალის, და დირსიჭალის ბაღებში და უფრო შორს, სადაც, მისის ფიქრით, ჭირი ვერ უწევდა. ლტოლვილთა რიცხვი 1811 წლის შემოდგომაზე 10,000 სული იყო. ხალხი სიცივით კანკალებდა, ბავშვობა იყლიტებოდა, მაგრამ ნებით არა ბრუნდებოდა ქალაქში, ვიდრე მარკიზმა ძალად არ შემოარეკინა.

მაშინდელი ბრძოლა ჟამთან იგივე იარაღის ჩხარუნი იყო, სხვა არაფერი. კავკასიის გუბერნიის სამხედრო გუბერნატორი ბრისკორნი ასე გვისურათებს ბრძოლას. გაჩ-

48) Акты, т. V, გვ. 36.

ნდა თუ არა ს. ობილნოეში ჟამი, სამხედრო ყარაული შემოვარტყი, არც არავინ შევუშვი შიგა და არც არავინ გამომიშვიაო. თვით სოფელში მოვსპე მისვლა-მოსვლა ერთის ოჯახისა მეორესთან. იმ სახლს, სადაც ჟამია, ყარაული შემოვარტყიო; ნივთები და ავეჯი ცალკე შენობაში დავალაგებინე. ვისაც სოფლიდან გასვლა ესაჭიროება, სასტიკ კარანტინში უნდა დარჩეს რამდენიმე დღე, ნივთებსა და ტანისამოსს აპკურებენ და მხოლოდ მერმე გაუშვებენ სხვაგან წასასვლელადო. - თუ საყარაულოდ გუბერნატორმა ბრისკორნმა დონის მშიერი ყაზახები მიუჩინა ობილნოელებს, კაი ხეირსაც დააყრიდნენ "ცალკე შენობაში" დალაგებულს ნივთსა და ავეჯსა.[49])

ტფილისში ჟამის მოსასპობად მარკიზ პაულუჩჩიმ განსაკუთრებული კამიტეტი დააწესა, სახელად "მცხოვრებთა ჯანმრთელობაზე მზრუნავი კამიტეტი". თავმჯდომარედ გაუჩინა კამიტეტს თ. დარჩია ბებუთაშვილი. წევრებად დაინიშნენ: ტფილისის კამენდანტი პოდპოლკოვნიკი ლევენცოვი, საექიმო გამგეობის ინსპეკტორი ექიმი რიზენკო, სამხედრო დოქტორი პრიბილი, დახელოვნებული გადამდებ სენთან ბრძოლაში, ტფილისის ნაცვალი, ანუ პოლიცმეისტერი და ერთიც საპატიო მოქალაქე. - კამიტეტის დაარსების ამბავს მოახსენებს მარკიზი პოლიციის მინისტრს ბალაშოვს და ამგვარ ატესტაციას უკეთებს დარჩია ბებუთაშვილს: ტფილისის მკვიდრთა შორის ყველაზე საპატიო კაცი დარჩია ბებუთაშვილია, ზედ მიწევნით იცნობს ქიდსა და პატარას, ყველასაგან პატივცემულია და დიდი გავლენა აქვს ქალაქელებზეო. მეფობის დროს ქალაქის საქმეებს დარჩია განაგებდა, რუსის მთავრობის ერთგულია, რაიცა არა ერთგზობით დაუმტკიცებიაო.[50])

კამიტეტის თავმჯდომარე ჩვენი კაცია და, როგორცა სჩანს საბუთებიდან, დარჩია ბებუთაშვილს ქართული, შინაური წამლობა უფრო სწამდა, ვიდრე ექიმ დე-მორვოს

---

49) Ibid. გვ. 347.

50) Ibid. გვ. 31.

გაზი და დოქტორ კრეიტონის დარიგებანი. კარანტინებში დარჩიამ უპირატესობა ძმარსა და მარილ წყალს დაუთმო. ქალაქში შემოსასვლელ კარებებთან გამართულ კარანტინებში ბებუთაშვილმა დაადგმევინა ხარიხები. საშველ-სასმლის მომტანი სოფლელობა ხარიხებს იქით იდგა, აქედან კიდევ მოქალაქენი. აღკრძალული ჰქონდათ ერთმანეთის მიკარება და შეხება. საქონლის ფასში რომ შერიგდებოდნენ მსყიდველ-გამსყიდველი, ნავაჭრ საქონელს ხარიხების ქვეშ გამ-ოახოხებდნენ და მსყიდველები ჩაიბარებდნენ. მერმე ფულებს თეფშებზე დაალაგებდნენ, ამოავლებდნენ ძმარში და მხოლოდ ამის შემდეგ ხარიხას ქვეშ გაახოხებდნენ. ჩაიბარებდა გამყი-დავი გარეცხილ ფულს და შინ მიდიოდა. სჯეროდა სოფლელს უებრობა ამ წამლისა, თუ არა, ღმერთმა უწყის, ან რა თვალით უყურებდნენ კარანტინის ექიმები დარჩიას ოსტატობას, საბ-უთებიდან არა სჩანს.

ასე იკვებებოდა ტფილისი 1811 წელსა და 1812 წ. გაზაფხულზე. ხუთ აპრილს 1812 წ. მარკიზმა სიხარულით აუწყა ბალაშოვს, ჟამი სრულიად მოისპო, შიში აღარაფრისაა, ფულიც აგრე რიგად ბევრი არა დახარჯულა რა, სულ რაღაც 3000 მ. თეთრი, ლტოლვილი ქალაქელობაც ბაღებიდან ოჯახებში დაბრუნდაო.[51])

ტყუილად დაიტრაბახა მარკიზმა, სენი მოისპოვო. ჟამი იფეთქებდა ხოლმე საქართველოს სხვა-და-სხვა ადგილს თითქმის 1816 წლამდე. მაგალითად, ქართლში 1815 წ. აი სადა და სადა ყოფილა ჭირიანობა: ვარიანში მომკვდარა ერთი დედაკაცი და 10 სული საეჭვო ავადმყოფობით გამხდარა ავად. ქვემო-ნიქოზში ხუთი მომკვდარა და 17 სული საეჭვო აღმო-ჩენილა, ს. ერედვში ჭირი აუტანია ქვემო-ნიქოზიდან ოსის დედა-კაცს, სულ რაღაც ორიოდე საათი გაჩერებულა ერთ ნაცნობ ოჯახში, მეორეში ღამე გაუთევია და მერმე ოსეთში წასულა. მოსდებია ამ ოჯახებს ჟამი და მუსრი გაუვლია, გაწყვეტილა 12 სული. საექიმოდ დივიზიის დოქტორი

51) Ibid. გვ. 32.

მინერვინი რომ მისულა, კიდევ ყოფილა ამ ორ ოჯახში ორი დედა-კაცი ავადმყოფი და 5 საეჭვო. მინერვინს ერთ ქოხმახში სამი ჭირიანი მიცვალებული უნახავს. რადგან ერედველები დამფრთხალან და ზედ არავინ ეკარებოდა, მინერვინს ცეცხლი მოუკიდებია სახლისთვის და მკვდრებთან ერთად დაუწვავს, ს. ზერტში 10 გარდაცვლილა, და ავადმყოფი უნახავს მინერვინს 28 საეჭვო. ჟამს უჩენია თავი აგრედვე კირბალში, გორში, სასირეთში, ქვემო-ხანდაკში, სადაც შემოუტანიათ სენი მათხოვარა ჯავახებს, დოესში, ქვაყრილში, წილკანში და მჭადის-ჯვარში.[52])

დაწვრილებით ჟამის ამბავი განძრახ მოვიხსენიეთ. მრავლად დამართულმა კარანტინებმა თითქმის შესწყვიტეს მისვლა-მოსვლა ტფილისსა და სოფლებთა შორის, სადაც სანაქებოდ პარპაშობდა საეგზეკუციო კამანდები. აღელვება რომ ჩააქრო კახეთში მარკიზმა, ხალხსა და თავად-აზნაურობას უსაყვედურა, რატომ დროზე არ მატყობინებდით მოხელეთა საძაგლობასა, რატომ საჩივარი არ შემოგქონდათ ჩემთან, ხომ კარგად იცოდით, რომ ჩემი კარი ღიაა მთხოვნელ-მომჩივარისთვისაო. - სიტყვით ადვილი სათქმელია, კარი ღია მაქვს, თამამად შეგიძლიანთ საჩივარი მომართვათო, მაგრამ საქმით სულ-სხვა იყო. ჯერ ერთი ადგილობრივი მოხელენი საჩივარსა ჰმალავდნენ და ქალაქში არა ჰგზავნიდნენ. მეორე კიდევ ისაა, რომ ვსთქვათ გამწარებულმა კაცმა განიძრახა პირდაპირ მთავარმართებლის ნახვა, აიბარგა და დაიძრა ტფილისისკენ. ადგილობრივი მოხელენი ხშირად ბილეთს არ აძლევდნენ ტფილისში თავისუფლად შესვლისას, ან დიდის ხნით აჩერებდნენ მცხეთის კარანტინში. ცხადია ასეთივე დაბრკოლება იქნებოდა გამეფებული დანარჩენ კარანტინებშიაც. შინიდან წამოღებული საგზალ-ნუგზალი შემოეხარჯებოდა კარანტინში მომჩივარს და ხელ-ცარიელი იქიდან უკანვე ბრუნდებოდა, რადგან ტფილისში შესვლას ვეღარც-კი ჰბედავდა, ვაი თუ ქალაქში მშიერ-მწყურვალი გადვიღრძო, ან

52) Ibid. გვ. 350 - 351.

სიცივისაგან გავიფიჩხოვო. ამ მიზეზს ასახელებს გამომძიებელი კამისია იმის გამოსარკვევად, თუ რატომ არ ჩამოდიოდნენ საჩივლელად მოხელეთაგან ტანჯულ-წამებულნი.[53])

შეუძლებელია მარკიზს არა სცოდნოდა, თუ რა ხდებოდა ობობას ქსელად გადაქცეულ კარანტინებში, მაგრამ მაინც პაულუჩჩი თავმომწონეთ ატყობინებს პოლიციის მინისტრ ბალაშოვს 1811 წ. 12 ნოემბრის თარიღით: ყოველ დღე მოველი, რომ ჟამი მეც შემხვდება, რადგან ჭირიანი ადგილებიდან აუარებელი ქაღალდი მომდის. მცხოვრებლებიც განუწყვეტლივ შემოდიან ჩემთან საჩივრებით და ხომ მოგეხსენებათ, რა მოუთმენლები არიან აზიელები. მეორე დღესვე თუ პასუხი არ მიეცი საჩივარზე, თავს იკლავენ და წუწუნებენ - სამართალს ვერ ვეღირსეთო. დიდათა ვფრთხილობ, მაგრამ რას იზამ, ჭირს სად გაექცევი. თვით კანცელარიაში შემომეპარა სენი და ხაზინდარი ხორუნჟი ბატალშჩიკოვი მომიკლაო.[54])

ასე იცოდნენ თავის მართლება განა მარტო მარკიზმა, სხვებმაც. ორი ათასის ვერსის სიშორეზე მყოფი პოლიციის მინისტრი ბალაშოვი განა კი დაფიქრდებოდა, ეგები სიტყვა სხვაა და შეიძლება საქმე სხვა იყოსო. ქაღალდზე ხომ კოხტად იყო გამოყვანილი, საქართველო ბედნიერია მხნე მთავარმართებლის ხელშიო და სხვისა რიღასი დარდი ექმნებოდა.

VII

რუსის მართვა-გამგეობამ იმედი გაუცრუა ქართველობას. ან-კი როგორ აიტანდა კაპიტან-ისპრავნიკების და ვახტერების ბატონობას, ან მეჭიანურე პროკურორის ლაზღანდარობას? იმედ გაცრუებული ერი ხან-და-ხნობით ხმას

53) утв.. ტ. II, გვ. 341 - 342.

54) Акты, т. V, გვ. 33.

იმაღლებდა და იარაღით დააპირებდა ხოლმე დაკარგულ უფლების დაბრუნებას. კმაყოფილი არ იყო რუსის მართვა-გამგეობისა სამღვდელოებაც. მართალია, კათოლიკოსი ანტონი მეორე ჯერ არ ჩამოეგდოთ ტახტიდან, მაგრამ ყველაფრიდან სჩანდა, რომ ივერიის თავისუფალი ეკლესია დიდხანს ვეღარ იბოგინებდა. კილო და მოქმედება თ. პ. დ. ციციშვილისა სახეიროს არას უქადდა ძველის-ძველ ავტოკეფალურ საყდარსა. ეპარქიები შეამცირეს, მრავალი სამრევლო ეკლესია დახურეს, გააუქმეს საეკლესიო მამულები და ხაზინას ჩააბარეს მათი მოვლა-პატრონობა. საეკლესიო მამულების გამგე მოურავები საეკლესიო აზნაურნი გაირიყნენ და მშიერ-მწყურვალი იხოცებოდნენ. ასეთი ძალმომრეობის გამო აიმრიზა სასულიერო წოდება და ულუკმა-პუროდ დარჩენილი საეკლესიო აზნაურობა. ასეთ გუნებაზე დაყენებული სამღვდელოება და აზნაურობა მუდამ მზად იყო აჯანყების დროშა აეფრიალებინა რუსების წინააღმდეგ და მართლაც არც ერთს ამბოხებას ისე არ ჩაუვლია საქართველოში, რომ მღვდელსა და ბერსა და საეკლესიო აზნაურს მხურვალე მონაწილეობა არ მიეღო უკმაყოფილების ცეცხლის გაღუებაში. თუ კი სადმე იპრიალებდა ცეცხლი, ესენიც უსათუოდ მუგუზალს მიუმატებდნენ ხოლმე. ესაა მხოლოდ სათქმელი, რომ ერთობა არ იყო. ერთი რომ ხალხს უჩხიკინებდა და აჯანყების გზაზე აყენებდა, მეორე ენატანიაობას რჩეობდა და აბეზღებდა მრევლს მთავრობასთან ჯილდოს დასაცინცლად. ქვემოდ დაწვრილებით იქნება მოხსენებული, თუ რა უპატიოსნო ხელობა იკისრა თელავის კარის მოძღვარმა არქიმანდრიტ ელევთერ ზუკაკიშვილმა, როგორ განუდგა სამწყსოს და მაინც სულ წაწყმედილი მოძღვარი დაუჯილდოვებელი დარჩა, ასე რომ საქმე სახვეწურად გაუხდა.

სწორედ ასეთივე ბედი ხვდა წილად ჩვენს მოწინავე წოდებას - თავადობას. მადლიერი არავინ იყო რუსობისა, ვერ შეეთვისა მათს ზნე-ხასიათსა, არ მოსწონდა ახალი მართვა-გამგეობა, ოცნებობდა, ნატრობდა ძველ დროსა და ჟამსა, ელანდებოდა გმირი მეფე, მისი ქველობა - ვაჟკაცობა და სულ

იმის ფიქრში იყო - როდის იქნება მალე წავიდნენ ჭროღა თვალებიანი და ქერა-თმიანი სტუმრებიო. დიაღ, ასეთი იყო სულის ვითარება მაშინდელის თავადისა. ამბოხების გუნებაზე დამდგარი თავადი ხმალსა და თოფს არ ერიდებოდა და ოცნების განსახორციელებლად ბევრისაგან ბევრი თავს აკლავდა მტერსა, ჰკარგავდა ქონებას; ბევრს უთელია ყინულიან ციმბირის უგზო-უკვლო ველ-მინდორი და დაბურული ტყე-ღრენი, ბევრი სამუდამოდ გადახვეწილა ოსმალეთს, ან სპარსეთში, მაგრამ მაინც სიმტკიცე არა ჰქონდათ. საქმეს დაიწყებდნენ ხოლმე და ბოლოს-კი ვეღარ ატანდნენ. ერთი რომ პატიოსნურად ატარებდა სახელსა და ვაჟკაცურად უხვდებოდა მოქნეულ ხმალსა, მეორე მელასავით სოროში ძვრებოდა, კუდს აქიცინებდა და მტრის სარდალს გზასა და კვალს უჩვენებდა მოძმისა და სამშობლოს დასანიავებლად. ორთავე ჯურის თავადებს ბლომად ვიხილავთ ქვემოდ, თვით აჯანყების და თოფ-ზარბაზნის გრიალის ამბავს რომ მოგახსენებთ 1812 წელს კახეთში. ტყუილად კი არ გვაყვედრიდნენ მაშინდელი მოხელენი, ჩვენ რომ არ მოგშველებოდით, მტერი ისე წაგახდენდათ, რომ თქვენი სინსილა გაწყდებოდაო. შინ, საქართველოში, თუ ნაკლებად ჰყავდა რუსობას მოკეთე, არც მეზობლობაში მოეპოვებოდათ მოტრფიალენი. სპარსეთი და ოსმალეთი დიდი ხანია ალმაცერად უცქერიდნენ რუსების ჩამოთესლებას საქართველოში. ოსმალეთის მოსაზღვრე ფაშებმა, სპარსეთის ბატონმა ბაბა-ხანმა და მისმა მემკვიდრე აბას-მირზამ ძილი დაჰკარგეს თითქმის და ათას ხათაბალას უტეხავდნენ საქართველოს მთავარ-მართებლებს. საყვედურით ახრჩობდნენ ქართველობას რუსების დაპატიჟებისათვის და თან ჯავრსა ყრილობდნენ, საცა-კი მოასწრებდნენ სიცოცხლეს უსპობდნენ. რა კი ცალ-ცალკე ვერა დააკლეს-რა რუსეთსა, განიზრახეს შეერთება და 1810 წელს ოსმალეთმა და სპარსეთმა შეჰკრეს ფორმალური კავშირი რუსეთის წინააღმდეგ. სული და გული კავშირისა გახლდათ ინგლისი, რომელმაც ამ დროს მოიმაგრა ფეხი სპარსეთის ტერიტორიაზედ ბენდერ-ბუშირში. ინგლისი ბზესავით აბნევ-

და ოქროს სპარსეთის შაჰის კარზე, სპარსელებს აგულიანებდა რუსების წინააღმდეგ და სულ იმას ჩასჩიჩინებდა, თუ რუსეთმა ფეხი არ ამოიკვეთა საქართველოში, სპარსეთი სამუდამოდ დაიღუპებაო. ღონე მიხდილი სპარსეთი კარგადა ჰგრძნობდა, რომ რუსები სპარსეთს ხეირს არ დააყრიდნენ და საომრად ემზადებოდა, მაგრამ უბედურობა ის იყო, რომ რიგიანი ჯარი არა ჰყავდა და იარაღი არ უვარგოდა. ინგლისი უმალ დაეხმარა გამგონე სპარსეთს. ოცი ათასი თოფი ჩამოუტანა და უბრალო საპოლიტიკო აგენტის მაგიერ გაამწესა თეირანში უფლება მოსილი მინისტრი, რომელსაც თან გამოაყოლეს ინსტრუქტორები ჯარის გასაწაფად, ზარბაზნების ჩამოსასხმელად, ციხე-სიმაგრეთა ასაშენებლად და სხვა. გულმხურვალედ შეუდგნენ ყიზილბაშები სამზადისს და ელოდნენ მოხერხებულ დროს რუსებზე თავ დასასხმელად.[55])

ფორმალური საბაბი ომის გამოცხადებისა მუდამ მზად გახლდათ - რუსებმა უკანონოდ აჰხადეს გვირგვინი ბაგრატიონთა გვარსაო. უკანონობის მომქმედნი უნდა დაისაჯნენ და საქართველოს ტახტი დაუბრუნდეს კანონიერ მემკვიდრეს ალექსანდრე ბატონიშვილს, რომელსაც სპარსეთის მთავრობამ ათას ორასი თუმანი როჭიკი (ჯამაგირი) გაუჩინა წელიწადში.[56]). დაუძინებელი მტერი რუსის მთავრობისა ბატონიშვილი ალექსანდრე არწივივით თავს დასტრიალებდა მღელვარე საქართველოს, ნაღვერდალს აღუებდა და ამბოხების ჭიაკოკონას ამზადებდა. მოუსვენარი ტახტის მაძიებელი ხან ერევნის სახანოში ამოჰყობდა თავსა, ხან თვით სპარსეთში, ხან დაღესტანსა და ლეკეთში და ხან ახალციხის საფაშოში. ყველგან, საცა-კი გაჩნდებოდა რუსების მოძულე ბატონიშვილი, სასურველი და სანეტარო სტუმარი იყო. მისი სტუმრობა და შფოთის ატეხა რუსის მართვა-გამგეობის წინააღმდეგ ერთი და იგივე იყო, ასე ვსთქვათ სინონიმი. ეტყობა, ან

55) იხ. Акты. т. IV გვ. 761. утв. т.II გვ. 287.

56) მასალები... გვ. 117.

ქართველ კაცის სახელს, ან ბატონიშვილ ალექსანდრეს რაღაც უცნაური, მიმზიდველი და ანდამატური ძალა ჰქონია. ამ დღეებში (1904 წ.) რუსის სამსახურის პოლკოვნიკ, ანწუხელ ლეკმა[57]) ღიმილითა და თავმოწონებით მიამბო, ბატონიშვილი ალექსანდრე დაღესტანს რომ ამოვიდოდა ხოლმე, ჩვენს ოჯახში თურმე დასდებდა ბინასაო. კარგად მახსოვს, - ბავშობა - სიყმაწვილეში ზღაპარსავით მიამბობდნენ, თუ სად ისვენებდა და რომელ ოთახში იძინებდაო. დრო და ჟამმა თავისი გაიტანა, ალექსანდრეს ნადგომი ოთახები დაინგრა. სიძველისა გამო დაიფუშა ის ორი ხის ყუთიც, სადაც ბატონიშვილის ნივთები ელაგაო. ეს კი ლამაზად მახსოვს, რომ დიდის მოწიწებით და სიყვარულით ინახავდნენ ჩვენს ოჯახში ამ უბრალო ყუთებსა და უფრთხილდებოდნენ ნიშნად პატივისცემისა ძვირფასის სტუმრის ნაქონარ ნივთებსაო.

1812 წელს, არეულობის დროს, ბატონიშვილმა ალექსანდრემ გაავსო კახეთი, ხევი და მთიულეთი პროკლამაციაწერილებით.

ფრიად საყურადღებოა ტონი, კილო და შინაარსი წერილ-პროკლამაციებისა. მნიშვნელობას არაა მოკლებული აგრედვე სტილი წერილებისა. დასახასიათებლად მაშინდელის დროისა და თვით ტახტის მაძიებელ ბატონიშვილისა მოვიყვანთ რამდენიმე წერილს მცირედის შემოკლებით.

აი რა წერილი გაუგზავნა ბატონიშვილმა 16 მაისს 1812 წელს საენდრონიკო და სავაჩნაძოში დაბინავებულ თავადობას, აზნაურობას, ერსა და მოხელეობას სპარსეთიდან. მრავალს ძმურის სიყვარულით აღვსილ მოკითხვას მოახსენებს და შემდეგ ბრძანებს; "თქვენმა ეგეთმა სახელგანთქმულმა და ნამუსიანმა სიმხნემა ოთხსავე მხარეს, აღმოსავლეთს, დასავლეთს, სამხრეთს და ჩრდილოეთს მიაწია და ყოველნი ერანისა ხალხნი თქვენის ძლევისა და ქებისა გვირგვინისა შემფხზველნი არიან. დღეს იდიდნენ საქართველოსა შინა მცხოვრებელნი და დღეს დაგვირგვინდა დიდებისა დაგვირგვინებითა. რა

57) გვარსა და სახელს სხვა, უფრო მოხერხებულ დროს, მოგახსენებთ.

ქება მოგიძღვანოთ ანუ რა წყალობა აღგითქვათ, რომელნიც უმაღლეს ღირსეულობისა და პატივისა ღირსნი ხართ, ესრეთ დაცემულის სახლის აღმმართველნი, მეფის ირაკლის შვილების მომძიებელნი, იმის თქვენზე მამაშვილურის პატივისცემისა არა უგულებელს მყოფელნი. აფერუმ თქვენს გულისხმიერებასა და ბარაქალა თქვენს კეთილის - გამორჩევასა და შაბაშ თქვენსა ეგრეთსა სიმხნესა და მამაცობასა! რავყო? თუ გხადოთ შვილად, მამაზე უმეტეს გამოაჩინეთ მოწყალებიანი მომგონებლობა, და თუ გიწოდოთ ძმად, არავინ ძმათაგანმან უყო ძმასა ესე ვითარი კეთილნი. გარნა თვალნო, რომელ გონება თვალისაგან ნათობს და მეფის ირაკლის ოჯახის ფრთენო; ჭეშმარიტად თუმცა ჩვენ შვილნი ვახლდით სანატრელს მეფეს, მაგრამ უმეტესი მამობრივი მოწყალება და სიყვარული თქვენთვის არ მოუკლია, - ზოგნი შვილურად, ზოგნი ძმურად და მოხუცებულნი მამობრივის პატივისცემით იზრდებოდით ჩვენს სამეფო პალატში და განსვენებული მეფეც თქვენთვის ზრუნვისაგან არ განისვენებდა. აწე ძმანო, თქვენ უმეტესს მაგიერი აღასრულეთ, რომელ იმის დაცემული ოჯახი ერთის სარწმუნოების მტერთა და უცხო თესლთაგან*) თქვენ სვეტნი ძლიერებისა შეიქმენით და მიზეზნი ჩვენის სამეფოს სახლის აღდგენებისა. მზეებრ თქვენ სახელი ყოველსა ქვეყანასა მოჰფინეთ და განსვენებული, თქვენ მიერ საყვარელი მეფეც ადიდეთ და იმის შვილებსაც თავისუფლებისა გიხაროდენისა ხმასა გვცემთ. დასაბამითგან ეგ ბატონყმობის სიყვარული არავინ ქმნა ვითარ თქვენ. ამისათვის ყოველთაგან ქებულნო პატივით და სასურველად საყვარელნო და მეფის ირაკლის მადლითნო პირმშნო შვილნო და ჩვენნო უსაყვარელესნო ძმანო! თუმცა წერილით გეხმაურებით, მაგრამ ასე მგონია თქვენში ვზიავარ და პირის-პირ საყვარლად შემოგფრფენთ და გეხმაურებით; ღმერთმან უმეტესად ადი-

*) ესე იგი რუსებისაგან. სარწმუნოების ერთგვარობას დიდად ვაფასებდით და ვებღაუბებოდით. ალექსანდრეს წერილი გვიჩვენებს, რომ მამინდელ ქართველობას მალე შეუგნია, რა შვილიცა ყოფილა ქებული ერთსარწმუნოება.

დოსთ ყოვლის სახელის აღმატებით და ჩვენც სიხარულით მაგიერი ასრულება გვღირსებოდეს ღვთით.

შემდგომად ამისა აქაურს ვითარებას იუწყებთ, ღვთის მოწყალებით შაჰზადა მობრძანდა დიდის ჯარებით და ხაზინით გოგჩაზედ და ყაზახის მთაზედ ვაპირებთ მოსვლას ზარბაზნებით, თორმეტის ათასის ქვეითის სარბაზით და ოცდაათის ათასის სხვის ჯარით. იქით ოსმალოსა ხრიდან კიდევ სარასკარი მოდის დიდის თადარიგით, თოფხანით და სამოცდაათი ათასის კაცით, რომ ნახევარი ჯარი ახალციხის მამულში გადმოვიდა;[58]) ქვეიდამ კიდევ ერთი შაჰზადა განჯის მხარეს უნდა მოვიდეს ოცდა-ათის ათასის კაცით. დიდრონი თადარიგები არის და აქ რომ სარდალი არის, ამას გუმბრზედ ისტუმრებს შაჰზადა. მაგრამ თქვენის ამბის მაყურებელნი ვართ, როგორცა მანდეთგან თქვენი ამბავი მოგვივა, ისე საჩქაროთ გამოვწევთ; რა გვარსაც თქვენ შემოგვითვლით და მოგვწერთ საჩქაროთ, იმისი პასუხი გვაცოდინეთ. სხვა აქაურს თადარიგისა და ჯარების ამბავს ამ წიგნის მომტანნი მოგახსენებენ და რაც ამათ მოგახსენონ, ჩვენი სიტყვა არის და თქვენც ისე მოიქეცით და ღვთის შემწეობით ჩვენი საქმე რიგიანად წარემართება". ბეჭედი მეფის ძის ალექსანდრესი. ქ. „შაჰზადას რაყამი თიანეთზედ გავისტუმრეთ და იქიდამ მოგივათ და ნახამთ".[59])

ამ გვარისავე შინაარსის წერილები დაუგზავნა ბატონიშვილმა ალექსანდრემ ქიზიყელებს, ანწუხელებს, ჭარელებს, მანავში ჩერქეზიანთ, საგარეჯოელებს და მათ მეზობლებს,

---

58) შაჰზადა-შაჰის შვილი, ტახტის მემკვიდრე. გოგჩას მოსული შაჰზადა აბას—მირზაა, სარბაზი ინგლისელების მიერ გაწრთვნილი რეგულიარული ჯარია. ბატონიშვილი დავით სარბაზს სარბასტად იხსენებს. სარასკირი—ყარსის ფაშა იგულისხმება. პირობისამებრ სარასკირი და ახალციხის ფაშა ბორჯომის ხეობით, ან თრიალეთით უნდა შემოსულიყვნენ. საქართველოს რუსის მხედრობის ამოსაწყვეტად. სპარსელები—განჯიდან. თვით ალექსანდრე ქართლში უნდა შემოპარულიყო და აეჯანყებინა ქვეყანა. შემოიპარა კიდეც და ომი გაუმართა რუსობას, მაგრამ მოკავშირეთ რაღაც კინკლაობა მოუვიდათ, უღალატეს ალექსანდრეს და მარტოდმარტო დასტოვეს. წერილში მოხსენებული ხაზინა, თოფხანა, ზარბაზნები სულ ინგლისელებისაა. რაყამი ფირმანია.

59) Акты, ტ.V, გვ. 355, 356.

თიანელებს და ფშავლებს. იცოდა ბატონიშვილმა რითი მოეგო ფშაველის გული და ხატისათვის საჩუქარი გაუგზავნია.

სწორედ ცის ნამივით მოევლინებოდა კახელობას ეს შესანიშნავი და სანაქებოდ დაწერილი უსტარი, ზომიერად და მარჯვედ შეზავებული დიპლომატიის მარილ-პილპილით. ერთი დახედეთ, რა ჰანგს არ ჟღარუნებს დიპლომატი ბატონიშვილი! სანატრელ მეფე ირაკლის მალმალ იგონებს, რადგან, მარტო სახელი პატარა კახისა ჟრუანტელს ჰგვრიდა კახელსა. თქვენ ქველობა-ვაჟკაცობას სპარსეთის აშუღნი და მოშაირენი დამღერიანო; მზეებრ თქვენი სახელი ქვეყანას მოეფინაო; ქება-დიდებით ამკობს და მეფე ირაკლის ოჯახის ფრთას უწოდებს კახელობას. შხამიანი და გესლიანი კილოთი იგონებს ერთმორწმუნე სტუმარსა და თითქოს დოქტორი რეინეგსის აღზრდილი კი არა, შატობრიანის მოწაფეაო, მელანხოლიურის, გულჩაწყვეტილის კილოთი იგონებს დანგრეულ, "დაცემულ" სამეფოსა და ოჯახს ირაკლისას, რომლის სამეფო სრა-პალატებში აღზრდილან კახელები, ზოგნი შვილურად, ზოგნი ძმურად და მოხუცებულნი მამობრივის პატივის ცემით. დაგვამახინჯა უგემურმა სწავლა-განათლებამ და დავკარგეთ გრძნობა "კეთილის გამორჩევისა", შინაური რომ არა ვიცით რა, სხვისას ვეპოტინებით და ქურციკივით ვხტუნაობთ სხვისა ნიჭისა და ტალანტის გაგონებაზედ, აი თუ გინდ ტალეირანისა. რა მოსატანია ამ ქლესა დიპლომატის დასნეულებული, უკბილო დიპლომატიური მიწერ-მოწერა ბატონიშვილ ალექსანდრეს გონიერებით სავსე წერილთან შედარებით. ყოველი ფრაზა, ყოველი სიტყვა ლახვარივით გაგჰმირავდა მსმენელსა. მარტო ეს რადა ღირს: საყვარელის მეფის შვილებს "თავისუფლების გიხაროდენის" ხმა გაგვაგონეთო, ან ეს: თუმცა წერილით გეხმაურებით, მაგრამ ასე მგონია თქვენში ვზივარ და პირის-პირ საყვარლად შემოგფრფქნთ, ესე იგი ფარვანასავით თავს გევლებით და გეხმაურებითო.

მაშინდელი ქართველი, მალულად წამკითხავი ბატონიშვილის უსტარისა, უნებლიედ მოიგონებდა უკვე განსვენებულს ,,თ. პ. დ. ციციშვილსა და თანამედროვე

მთავარმართებელს მარკიზ პაულუჩჩის. უცნაური და გაუგებარი იყო მათი ლექსთა კონა, მართალია სურნელოვანი და დამბნელი, მაგრამ რაღაც უცხო სუნი უდიოდა. შტიალი, დატუქსვა, ხიშტი, როზგი, ღალატი, ბუნტი, უმადურობა, ნედოიმკა, კარანტინი, კამანდა, ეგზეკუცია, პრავიანტი, ბეგარა და სხვა, სულ ამისთანები. სადაც მუხრან-ბატონი და ფუბერნიის მარშალი თამაზ-ორბელიანი არ დაინდეს და დასტუქსეს, პატარა თავადებს რაღას მოერიდებოდნენ. ძილის გუდა და მოქრთამე მოხელე, მეჭიანურე პროკურორი, გალეშილი ჯარის კაცი, ხეპრე, ბრიყვი, ღორმუცელა და უღვთო კამისიონერი, გაბერილი, გაბღენძილი უთვისტომო ჩინოსანი, აი ვისა ჰხედავდა მუდამ ჟამს მაშინდელი ქართველი. სულისა და გულის შემხუთავი ატმოსფერა დააწვა საქართველოს, გააბრუა და, თითქოს მძიმე ლოდიაო, ჯერ დაანარცხა დედამიწაზე და მერე ლაზათიანად მიჭეჭყა. ამისთანა გარემოებაში თოფის წამალსავით მოქმედებდა ალექსანდრეს პროკლამაცია, მაღალ კილოსა და ჰანგზე დაწერილი, და ოცნების მორევში ალივლივებდა გათახსირებულ ქართველსა. წარსული ხომ ჯერ რეალური ფაქტი იყო, ის წარსული, როდესაც ქართველი ნამუსიანად ქუდს ატარებდა და ვახტერების საქირდავად არ გამხდარიყო.

ზემოთ გაკვრით მოვიხსენეთ და ხელ-ახლა ვიტყვით, რომ მარკიზი პაულუჩჩი თვალს არ აშორებდა ბატონიშვილ ალექსანდრეს. ვინ იცის, რა ჯილდოს არ გაიღებდა მთავარმართებელი, ოღონდ კი ალექსანდრე გათოკილი ენახა, მაგრამ არ იქნა, ვერ დაიჭირა ავტორი "ცეცხლის მომდებ წერილებისა".[60] რომ ვერა გააწყო რა და ვერ შეიპყრო მაშფოთარი, მარკიზმა გული გაიკეთა და დამშვიდებული კილოთი მოახსენა უქვეშევრდომილესად იმპერატორ ალექსანდრე პირველს, - არა ღირს ბატონიშვილის დასაჭერად განსაკუთრებულის ღონის ძიების მიღება, თავისთავად რა ფასი აქვს ბატონიშვილს, ჩვენ თუ არ გავაზვიადებთ მის ძალა-მნიშვნელობასაო.

---

60) დედანში: зажигательныя письма.

VIII

ამბოხების მეთაურნი და სულის ~~ჩამდგომელნი~~ დიდს ყურადღებას აქცევდნენ საქართველოს ~~ხამხედრო~~ გზას და იქ მობინადრე ქართველობას და ოსობას. რუსის მხედრობას და მთავრობას გზად და კვალად ჩვენში დასამკვიდრებლად მარტო ვიწრო დარიალის ხეობა ჰქონდა, რადგან შავი ზღვა ოსმალეთს ეჭირა და კასპიისა სპარსეთს. დარიალის ხეობა თუ შეიკვროდა, რუსობას საქმე ისე გაუჭირდებოდა, რომ ეგები სამუდამოდ გამოსთხოვებოდა "საქართველოს ტურფა ხეობა-ველ-მინდორსა". ესაა მიზეზი, რომ ბატონიშვილ ალექსანდრემ წერილი მისწერა ხევის ბატონს და რუსობის ერთგულს ყმას, გაბრიელ ყაზბეგს, - გზა გააფუჭე და რუსობას ნუღარ გამოატარებ მაგ გზითაო. მხარი დაუჭირე ფშავ-ხევსურებსა, ეგენი ხომ შენი სისხლი და ხორცია. დიდ სამსახურს გამიწევ, თუ თხოვნას ამისრულებ, დამიჯერე, ჩემო გაბრიელ, რუსების წყალობა წარმავალია, ვითარცა ქარი, ჩვენი-კი უცვლელი და საუკუნო. ათას წილად გირჩევნია მიენდო მეფე ირაკლის შვილსა, ვიდრე რუსეთის სიტყვა-წყალობასაო.[61]) გაბრიელმა არ უღალატა რუსის მთავრობას, არ შეისმინა ალექსანდრეს სიტყვა და ძველებურად მხნედ ეხმარებოდა რუსის სარდლებს ამბოხების ჩაქრობაში, აჯანყების ნაპერწკალი კახეთიდან არაგვზე რომ გადმოვიდა. ალექსანდრემ, ალბად კარგად იცოდა, რომ ვერას გახდებოდა ყაზბეგთან და ისევ მთიულებთან და არაგველობასთან ამჯობინა დაეჭირა საქმე. 1812 წელს თექვსმეტ მაისსავე მიწერილი წერილი იმნაირადვე ძლიერი და აზრიანია, როგორც ზემოდ მოყვანილი. წერილი იმდენად ნათელია, რომ განმარტებას არა საჭიროებს, ხოლო თითო ოროლა ფრაზა ხაზს გაუსმელადაც მკითხველს გულის ფიცარზედ მოხვდება და მკერდს აუტოკავს. "ქ. საქართველოს

61) იხ. Акты, ტ. V. გვ. 360.

მეფეს-ძე ალექსანდრე ძმურის სიყვარულით მოგიკითხავთ, ერთობით მთიულეთის მოხელენო და სრულიად არაგვის თემის მთიულეთის ხალხნო, ჩვენ მიერ მრავალი სიყვარულით აღსავსე მოკითხვა გეუწყოსთ. მერმეთ თქვენი ეგეთი სიმხნე და ვაჟკაცობის ხმა ყოველს ქვეყანაზე განითქვა და ჩვენის ოჯახისათვის აგრე თავდადებულნი ხართ, მთელი ერანის ხალხნი თქვენ გაქებენ. ჭეშმარიტად, ბაგრატოვანთ ოჯახის ერთგულნი და უნჯნი ყმანი ხართ.[62]) თუ ღმერთმა მოგხვედა, ჩვენი დიდება თქვენი იქნება და ყოვლის თქვენ მიერის სათხოვრისა წყალობით გულ-შესრულებულნი იქნებით და ძმებსავით საყვარელნი.[63]) რომელნიც დღეს ამისთანას ჩვენ დაცემულს სამეფოს სახლს შეეწევა, მამანიც ისინი იქნებიან და ძმანიცა. ყოველთვის თქვენ ჩვენთან პირნათელნი ხართ და ღმერთმან სულ აგრე პირნათლად გატაროსთ. ახლა არის შემწეობის დრო, ახლა არის სამსახურის ჟამი და წყალობის მიღებისა, თქვენ ეს ვალი დაგვდევით და ყოვლის თქვენის წადილის სათხოვრით გული შეისრულეთ. ხევს უნდა ჯარით გარდახვიდეთ, გუდამაყრელთ და ხევსურთათვისაც მოგვიწერია, ეგრეთვე მოხევეთათვის, რომ ჩვენი ოჯახის მტრისა და თქვენის მტრის რუსთ მოსასვლელი გზა წაახდინოთ, რომ ჯარმა ვეღარ გამოიაროს და საქართველოში მყოფის რუსისა, ღვთის შემწეობით ჩვენ ვიცით. ვინც მაინთ მხარეს ჩვენი მუხანათი არის და ახლა თქვენთან მოვა და გაირჯება, იმას თქვენ არწმუნებთ, რომ ჩვენგან არა გარდახდეს რა და თქვენ იმისნი თავდებნი იყავით ერთიანად თემნი და იმ საქმეზედ იმხნევეთ და კვლავ როგორც ლომურათ ყოფილხართ, ისე

---

62) უნჯი—საუნჯე, ძვირფასი. დ. ჩუბინაშვილის აზრით უნჯი სომხური სიტყვა ყოფილა.

63) თურმე ალექსი პეტრეს ძე ერმოლოვი (ჩვენში მთავარ-მართებლობდა 1816-1827 წ.) პირველი ყოფილა, რომელსაც გაუბედნია და ოფიციალურ პრიკაზებში სალდათებს „ამხანაგები" დაუძახა. ქებით აღნიშნავენ ამ გარემოებას რუსის ისტორიკოსნი. შეიძლება ერმოლოვმა ნაპალეონს ნიპბაძა, მაგრამ ბატონიშვილი ალექსანდრე რომ მეომარ ფშავ-ხევსურებს და არაგველებს ძმებად და ამხანაგებად ინსენიებს, ნეტა ვის მიბაძა? ნაპოლეონის ამბები ჩვენამდის კანტი-კუნტად მოდიოდა.

ლომურად გაისარჯენით, ბაგრატოვანთა და ლაშარის ჯვრისა და გუდანისჯვრისა, მოძმის სამეფოს ოჯახის მტრისა და საძირკველით ამომღების მტერის სისხლი თქვენც უხვად, ღვარად და ღვარად ადინეთ. სანატრელი მამა ჩვენი მეფე ირაკლი ამისთვის გდებდათ დიდ პატივს, რომ ამისთანას დროში იმის შვილებს გამოგვდგომოდით. თქვენი ჩვენს ოჯახზედ მრავალ რიგად სახელოვნად გარჯილი ძველი ხმალი მოიგონეთ და რჯულისა და თქვენის საყვარელის მეფის ირაკლის შვილებისათვის თქვენს ნამუსიანს სახელსა და თავს ნუ დაზოგავთ, საუკუნოთ თქვენი გულოვნებაც ასახელეთ და მეფის ირაკლის ოჯახი და სახელი ადიდეთ, რომ ყოველმა ცას ქვეშეთ კაცმა თქვან: მეფეს ერეკლეს ამისთანა ერთგულნი ყმანი დაუგდია თავის შვილებისათვისო. თქვენ ამ ხმით იდიდნეთ და განსვენებულს მეფესაც საფლავში პატივი ეცეს და რაღა მოგახსენოთ მამანო, ძმანო და შვილნო, - ეს არის სიმხნისა და გამოჩინებისა ჟამი და ჩვენის სამსახურისა და ახლა თქვენ იცით და თქვენმან მრავალ რიგად სახელიანმან ხმალმან".[64])

ფშავლებს რომ საჩუქარი გაუგზავნა ხატისათვის, არც არაგველები დაივიწყა ალექსანდრემ. აი რა მოწიწებით ათავებს ბატონიშვილი წერილს: "ქ. მაგათს უდიდებულესობას ლომისისა მთავარ-მოწამეს წმინდას გიორგის მცირე რამ შესაწირავი მოვართვით და თქვენ შესწირეთ უძლეველსა მაგას ჩვენდა წარსამატებლად ყოველსა ზედა საქმესა და მტერსა ჩვენსა საძლეველად". ზურაბა გაბიდაური ფშავში გაუგზავნია ალექსანდრეს. ჯერ მოიკითხავს ძმურის სიყვარულით ფშაველ ხევის ბერებს: ხახა ბერიძეს, ხადილა გიჯურაშვილს, ცარიას და ლაშქარასა, მოუწონებს მხნეობა-ვაჟკაცობას და შემდეგ შეატყობინებს, რომ სხვა და სხვა მხრიდან შემოესევიან საქართველოს სპარსეთისა და ოსმალეთის ჯარები რუსების გასაწყვეტად. ჩვენი მოუსვლელობა შეუძლებელია, სწერს ბატონიშვილი და სთხოვს იგინიც მზად იყვნენ მტერთან საერთო ბრძოლისათვის. სთხ-

64) Акты, ტ. V, გვ. 357.

ოვს აგრედვე ხევის ბერებს გაუგზავნოს მისი წერილები, გაბიდაურს რომ გამოატანა, თუშებსა და გაბრიელ ყაზიბეგი-შვილსა. ჩემი ამბავი, ან რა სამზადისში ვარ, ზურაბ გაბიდაურს გამოჰკითხეთო, უთვლის ბატონიშვილი თუშეთის თავ კაცებს. ყველაზე უფრო ერთგული ბაგრატიონთ ოჯახისა თქვენ იყავით და განა საფიქრებელია, რომ ამისთანა დროს არ იელვოს მრავალ გზის განთქმულმა თქვენმა ხმალმაო. ლაშრ-ის-ჯვრისა და თქვენის თავის იმედით იყავით, ბაგრატიონთაც სანატრელად მიაჩნდით, მაშ მიეკედლეთ ფშავლებს და საერთოთ გაისარჯეთ მტრის დასამხობად და დასაქცევადაო.[65] საყურადღებოა აგრედვე ვიღაც სომეხ ავეტიქას წერილი, სპარსეთიდან გამოგზავნილი აბელ ჩოლაყაშვილის სახელო-ბაზე. ვინაა ეს ავეტიქა, ცნობები არა გვაქვს, მაგრამ ეტყობა ბატონიშვილ ალექსანდრეს ამალაში ყოფილა და ქართლ-კახ-ეთიდან გაჰყოლია ლტოლვილსა. ცოტა არ იყვეს, ენა-ჭარტა-ლობა ეტყობა ავეტიქას წერილს, მაგრამ მაინც გადმოვიღებთ ქართულად. ბევრი იმისთანა ამბავია ავეტიქას წერილში, რაც სხვა წყაროებში არ მოიპოვება.

ვიცი, რომ გიამება აქაური ამბები და მოგახსენებ: შაჰი იმყოფება თავრიზში, შაჰზადე-კი ერევანშია და დიდი ჯარები ახლავთ თანა. სარდლები ყაზახის მთებზე არიან დაბანაკებ-ულნი. ჩვენი ბატონიც[66] იქაა ამალით. წინად და ეხლა ჩამოსული თავადობა და გლეხ-კაცობა რომ ვიანგარიშოთ, გამოვა ესე 500 - 600 კაცი. ქართლიდან დაწყებული ქიზიყამ-დის სულ აქ შეიკრიბნენ. შენ რაღასა ზიხარ მანდა? შარშან, ბოლნისის გზაზე რომ შეგხვდი, გირჩიე წამოსულიყავი ბატ-ონიშვილთან, მაგრამ არ დამიჯერე და უარი მითხარი. ეხლა მაინც ჩამოდი და დაამშვენე აქაურები. აბა რა საჭირო იყო, ომანი და იოსები რომ ჩამოვიდნენ? ბატონიშვილი წყალობის თვალით გიყურებთ თქვენა. ბევრჯელ უთქვამს - დიდი სამს-ახური მიუძღვით ჩოლოყაანთ ჩვენ წინაშე, ჩვენ-კი

65) ibid. გვ. 360.

66) ibid. გვ. 360. ესე იგი ბატონიშვილი ალექსანდრე.

ჯერჯერობით ვერაფრით გადუხადეთ სამსახურიო. თუ გგონია რომ რუსები მაგრად მოიკიდებენ აქ ფეხსა, ტყუილად გარჯილხარ. მე უფრო ძალიან მინდოდა, რომ რუსები საფუძვლიანად დამკვიდრებულიყვნენ ჩვენში, მაგრამ ეს არ მოხერხდება. ჯერ ერთი აქ, საყიზილბაშოში, მრავლისაგან მრავალი და ურიცხვი ლაშქარი იკრიბება, მეორე კიდევ ისაა, რომ მანდ იარაღს ისხავს კახელი, ქიზიყელი, მთელი ქართლი, კახეთი, მთა და ველი, ლეკი, ერთგული და მუხანათი. ერთი სიტყვით, ყველა მზად არის მანდეთ წამოვიდეს და შამოესიოს რუსის მხედრობას შვიდი-რვა მხრიდან, ზემოდან და ქვემოდან. ერთ კვირაზე მანდ ვიქნებით. ხომ კარგათ შიცნობ, განა ცუდს რამეს მოვინდომებ შენთვის? რაც ადრე ჩამოხვალ, ის ემჯობინება შენთვის, გეყო რაც უერთგულე რუსებს. გახსოვს, რუსებს წინ რომ მიუძღოდი საგარეჯოდან და გზას უჩვენებდი, მერე ქართველებმა რომ დაგიჭირეს და შენი მოკვლა უნდოდათ! არა, განა არ იცი, რომ რუსები მალე დაივიწყებენ შენ სამსახურს? ბატონიშვილსაც რომ ისე ემსახურო, როგორც ემსახურებოდი რუსებს, ყველა სურვილს აისრულებ. ოღონდ-კი ჩამოდი აქა და მე ვიცი და ჩემმა კაცობამა.

თავს მოვიკლავ, შევეხვეწები ბატონიშვილს და მოვანიჭებინებ იმ წყალობას, რითაც შენი გული შეჯერდება. ჩვენი ბატონის წყალობა მუდმივი, საუკუნოა, რუსებისა კი დროებითი, წარმავალი. გარწმუნებ, რუსები საქართველოში ვერ იბოგინებენ, - მოდი, კარზე მომდგარ ბედნიერებას წიხლს ნუ ჰკრავ.

კარგად ვიცი, რომ ბოლოს და ბოლოს რუსები გაგაუბედურებენ. ქართველობა, ქიზიყელობა და მოქალაქენი აქ ბლომად შეიკრიბნენ.

ალექსანდრე ბატონიშვილი ერევნიდან ქართლით კახეთს რომ ამოვიდა, თან მცირე მხედრობა ახლდა. ამის გამო საფიქრებელია, რომ ავეტიქა განზრახ აზვიადებდა ქართველების რიცხვს ბატონიშვილის ბანაკში ერევნის სახანოში, მაგრამ ეპატივება ერთგულ ყმას გადაჭარბება - გადამეტება. გულით

სურვებია აბელ ჩოლაყაშვილის ჩათრევა რუსების წინააღმდეგ განზრახულ შეთქმულობაში და სურვილის მისაღწევად ქართველ მეამბოხეთა რიცხვი გაუბერია.

ფრიად საყურადღებოა აგრედვე წერილი ბატონიშვილ ალექსანდრესი, დაწერილი 11 ივლისს 1812 წ. აზრი წერილისა ისაა, რომ რაკიღა სისხლი დაღვარეთ რუსისა, ეხლა მეტი ჯანი აღარა გაქვთ, რუსობას ზურგი უნდა შეაქციოთ და ჩემს მხარეს გადმოხვიდეთო. ჩვეულებრივ სალამ-ქალამის შემდეგ ალექსანდრე მოახსენებს სრულიად თელავს ზეით თემის ხალხთ: "თქვენგან გამოგზავნილთ თავად-აზნაურთ და გლეხთ ყოველთავე ღვთის მოწყალებით მშვიდობით აქ ჩვენთან მოაწიეს და ამ თავადებს შაჰზადა რომ მობრძანდება, წინ მივაგებებთ. ჩვენც მზადებაში ვართ, რომ ამ რამდენიმე დღეს ღვთის შემწეობით მანდა ვართ და ჩვენს სისხლსაც თქვენს სისხლში გავრევთ. ჩვენ მამა-პაპათაც მრავალჯერ დაუქცევია თქვენთვის სისხლი, ჩვენც თავი შემოწირული გვაქვს, - ღვთით ჩვენი მანდ წამოუსვლელობა არ იქნება. ამაზე სარწმუნო მექმენით, რომ ერთს კვირას თქვენთან სიცოცხლე ათასს წელიწადს სხვაგან ცხოვრებას მირჩევნიან. როგორც ჩვენს სიყვარულზედ და ერთგულობაზედ მხნედ შოქცეულხართ, ახლაც ისე სიმხნით აღიჭურვენით და მზანი იყვენით. ესეც კარგად იცით, რომ რადგანაც სისხლში გაერიენით და მაგდენი რუსი გასწყვიტეთ, ღმერთმან ნუ ქნას, რომ მაგათ ძალი მოიცვენ, არას დროს არ შეგარჩენენ და მათი ფიციც დასარწმუნებელი არ არის. თუ ლბილს სიტყვას გეუბნებიან, მაინც უკანასკნელი რუსებისა სიცრუე-ორპირობა და გაუტანელობა არის: ბუნებით მუხთალნი არიან. ჩვენ რომ არა დაგვეშავებინა-რა და შემწეობის მაგიერ ასე დაგვამხეს, თქვენ რომ აგრე სისხლში მორეულნი ხართ, ხომ კარგად იცით, არც გიცოდებენ და არც შეგარჩენენ და არც ჰეშმარიტება მაგათში მკვიდრობს და თუ თქვენგანით ვისითმე მოტყუებით და ანუ ნივთის მოყვარებით გაცთუნებენ, მაინც უკანასკნელი საფრთხე არის, რომ მაგათგან უკანასკნელ ერთგულთა და ორგულთ მისაგებელი ერთი მიეგება ყოველთათვის -

ციმბირი. თქვენ მაგათ რბილ სიტყვას და სიცრუეს ნუ აჰყვებით და ნუ ენდობით, როგორც მხნედ მოქცეულხართ, ისევ ისე მხნედ აღიჭურვენით და მზანი იყავით, რომ ღვთის მოწყალებით ჩვენც მანდ მომსვლელნი ვართ და კიდეც მოვალთ. სხვას ჩვენს თადარიგსა და სიტყვას თქვენ მიერ გამოგზავნილების კაცების წერილებით და პირითა სცნობთ.[67])

ისტორიის ღირსება, ვითარცა მეცნიერებისა უეჭველად მოითხოვს, რომ ისტორიკოსი ფრთხილად იყვეს კვლევა-ძიების დროს და ყოველი ისტორიული ცნობა კრიტიკის ქარცეცხლში გაატაროს. ბატონიშვილის წერილი საშინელი სასტიკი ატესტაციაა მაშინდელ ძალმომრეობაზე დაფუძნებულის მართვა-გამგეობისა და მის წარმომადგენელ მოხელეთა, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ალექსანდრე ტახტის მაძიებელია, მონატური დამხობილის სამეფოს აღდგენისა და მაშასადამე პირადად დაინტერესებული. ამ ყოფაში ჩაყენებული ბატონიშვილი, რაღა თქმა უნდა, მტერს აღარ დაინდობს, გათათხავს და თავზე ლაფს დაასხავს. სწორედ ასედაც იქცევა ალექსანდრე. თიანელ თავად-აზნაურობას, მოხელეთა და ხალხს ეუბნება, - რუსები ბუნებით მუხანათნი არიან, ჭეშმარიტება მაგათში არა მკვიდრობს, სწორისა და მრუდის გარჩევა არ იციან, ერთგულისა და ორგულის მისაგებელი ციმბირიაო. ეგები ბრძოლის ტაქტიკა მოითხოვდა მტრის ლაზათიანად შემკობას, მაგრამ ბატონიშვილის მიერ ბოძებული ატესტაცია მაინც საშინელია და ნამეტანი. ამ შესანიშნავის ისტორიულის ორ-პირად მოყვანილის დოკუმენტის, ქართულად და რუსულად, შესამსუბუქებლად მხოლოდ ის შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ საქართველოს მთავარ-მართებლებმა, სხვილმა და წვრილმა მოხელეებმა მრავალი საბუთი მისცა ბაგრატოვანთა გვარის მხნე და საუკეთესო წარმომადგენელს საქვეყნოდ ეთქვა-მოგვატყუეს, სიტყვა გატეხეს, ერთი სიტყვით მუხანათები არიანო.

---

67) ibid. გვ. 359 წერილის ზოგიერთი ადგილი რუსულად ასეა: „Вы и то хорошо знаете, что такъ какъ истребили столько русскихъ, то не дай Богъ, чтобы они усилились, - ни въ какомъ случаѣ они вамъ не простятъ..."

ალექსანდრე თუ ამკობდა ლაზათიანად რუსის მოხელეებს, არც ესენი ინდობდნენ მოსიარულე ტახტის მაძიებელს. მთავარ-მართებელნი: ციციშვილი, გუდოვიჩი, ტორმასოვი, პაულუჩჩი და რტიშჩევი დიდ წყალობას ჰპირდებოდნენ ალექსანდრეს ოღონდ დაბრუნდი, გადასახლდი რუსეთში და რასაც მოითხოვ, აგისრულებთო.

ალექსანდრემ არ ინება რუსის მთავრობის წყალობა. კავკასიას განაგებდა 1816-1827 წ. გენერალი ალექსი პეტრეს ძე ერმოლოვი, "კავკასიის პროკონსულად" წოდებული. ერმოლოვმა იუკადრისა თურმე ტკბილი მიწერ-მოწერა ალექსანდრესთან, საჩუქარ-წყალობის დაპირება-აღთქმა და ერთ-ერთ წერილში, რომელიც მიუწერია ლტოლვილ ბატონიშვილისათვის, ასეთი აზრი გამოუთქვამს:

"ადამიანი, რომელმაც სახელი გაითქვა გარყვნილობით, ტუტუცი და მხდალი, ჭაბუკობიდანვე მოკლებული მამის ლოცვა-კურთხევას მტერთან გაქცევისათვის, შეუძლებელია საშიში იყოს. ამის გამო გახვრეტილ გროშად არ მიღირს სიცოცხლე ან სიკვდილი ამისთანა ფლიდი კაცისაო.[68])"

ერმოლოვი რუსის საუკეთესო გენერალი იყო, დროს შესაფერი არც განათლება აკლდა და არც სიმამაცე. დეკაბრისტები ოცნებობდნენ - ერმოლოვი თვისის სახელოვანის კავკასიის კორპუსით მობრუნდება რუსეთში და თვითმპყრობელობას შეზღუდავსო. ამ ხმამ იმპერატორ ნიკოლოზ პირველამდე მიაღწია, შეკრთა იგი, და "პროკონსული" სამსახურიდან დაითხოვა. - განათლებულმა და მამაცმა გენერალმა მაინც თავი ვერ შეიკავა და რაკი ქართველზე მიდგა საქმე, სრული ბარბაროსობა გამოიჩინა. მხდალი, ტუტუცი, გარყვნილიო. რაკი მტერი იყო ქართველი ბატონიშვილი ალექსანდრე, განა ასე მურდლად უნდა შეემკო იგი დეკაბრისტების მეგობარსა და იმედს, გენერალ ერმოლოვს? ჯენტლმენი თავის დღეში ამას არ იკადრებს. ან რა სათქმელია ალექსანდრეზე, გარყვნილი იყოვო. იდეით გატაცებულ ადამიანს წუთი არა

68) იხ. утв. р. владычества на Кавказъ, т.XII, გვ. 98. соч. В.И. Иванейко.

ჰქონდა მოსვენება, მიწის მგელივით ხან დაღესტანს ამოჰყოფდა თავს, ხან ახალციხის საფაშოში, ხან ფიმერეთ და ქართლ-კახეთს და ხან, ვინ იცის სადა და განა ამისთანა მღელვარე ცხოვრების მიმდევარი მოიცლის სიბილწე-გარყვნილებისთვის? არა, ეს პსიხოლოგიის წინააღმდეგია და ერმოლოვის აზრი მტკნარი და ხალასი ცილის წამებაა. ისტორიული საბუთიც არ მოიპოვება ერმოლოვის ცრუ აზრის დასამოწმებლად.

ეკახეთის ამბოხების დროს ერევანს განაგებდა ჰუსეინ-ყული-ხანი, რომელმაც ორჯელ იფრინა რუსის მხედრობა, ერთხელ ციციშვილისა და მეორედ გუდოვიჩის უფროსობით. მაინც გული დამშვიდებული არა ჰქონდა და ყველაფრით ხელს უწყობდა ალექსანდრეს. ერევანში ვიღაცას ხმა დაეყარა, ვითომ აბას-მირზას ელჩები გაეგზავნოს ტფილისს და შერიგებას თხოულობსო. შესმენია თუ არა ეს ამბავი, ჰუსეინს მაშინვე წერილი გაუგზავნია კახეთსა, არაგვისა და ქიზიყის თავად-აზნაურთათვის და საერთოდ ერისათვის. არ დაიჯეროთ, მტკნარი ტყუილია ის ხმა, ვითომც შაჰ-ზადა რუსებთან შერიგებას აპირობსო. ძველებურად მხნედ იყავით და შესაფერ ჯილდოს მიიღებთ ჩვენის ხელმწიფე-ბატონისაგან, თვით ჩვენგან და მეფე ალექსანდრესაგანაო.[69])

ამ წერილით მტკიცდება, რომ სხვა-და-სხვა ხანები და თვით სპარსეთის შაჰი ბატონიშვილ ალექსანდრეს საქართველოს მეფედ აღიარებდნენ.

IX

მაშ აგრე, უხეირო მთავრობა საკუთარის ხელით თვითონვე ამზადებდა უზომოდ გაბეგრილის, საეგზეკუციო კამანდებით დაწიოკებულის და უსამართლობის კორიანტელში გახვეულის ერის აჯანყებას. რა ჯოჯოხეთის ცეცხლად გადაე-

69) Акты, ტ. V, გვ. 356.

ქცა კახელობას მარტო ბეგარა, არც-კი დაიჯერებთ, საბეგრო ურმის და ტვირთვის საზიდავ ცხენის რიცხვი რომ მოგახსენოთ. მარტო ქართლ-კახეთს, ყოფილა ისეთი დრო, გაუყვანია უსასყიდლოდ წელიწადში 112,154 ურემი და 99,780 ~~ხეხარგო~~ ~~ცხენი.~~ ეს ციფრი აღნიშნულია თავად ალექსანდრე ~~ბაგრატიონ~~ ~~ბაგავაძის წერილში და~~ გამომძიებელ კომისიის საქმეში.[70]) ზემოდ უკვე ~~მოგახსენეთ,~~ რომ აღარც საქონელი და აღარც ურემი თითქმის აღარ უბრუნდებოდა პატრონსა. ანგარა ხეირი დაეყრებოდა ~~საქონელსა~~ ~~და~~ ურემს მაშინდელ გზებზე ქართლ-კახეთიდან გასულს ფოთსა, ყარსსა, ერევანს და ამისთანა შორეულ მანძილზე. მეურმე და ცხენის გამყოლიც ნახევარზე მეტი დაავადებულ-დასნეულებული ბრუნდებოდა შინა. ბ-ნ ანოსოვის ~~ციტატაში,~~ მკვიდრი ჰკვნესოდა და ჰგმინავდა ოჯახის ასაკლებ ~~ხაურმე~~ ~~ბეგრისაგანაო.~~[71])

იგივე ~~კაპიტანი~~ ანოსოვი ~~გვიამბობს,~~ რომ სულის მოაფავ ერის მოთმინება უკიდეს წერტილამდე იყო ასული, ~~ხმები~~ ~~ისე~~ ~~დაჭიმული~~ ~~იყო,~~ ~~რომ~~ ~~დღე-დღეზე~~ ~~უნდა~~ ~~გაწყვეტილიყო.~~ აი, ამ წარმოუდგენელ ვითარებაში ჩავარდნილს კახელობას ეგზეკუცია ჩაუყენეს პურის შესაკრებად. გავარვარებულს ჯოჯოხეთს მუგუზალი რომ მიუმატეს, სწორედ ასეთი საქმე დაემართა დამშეულ კახეთს 1812 წელს. მუგუზალის როლი ეგზეკუციამ შეასრულა. შიმშილით გამწარებული გაფცქვნილ-გაძარცული ერი თავს ძლივსღა იკავებდა. ან-კი რისა ეშინოდა, რაღა უნდა დაეკარგა? სასოწარკვეთილი ერი ყველაფერს მოიქმედებდა, ოღონც-კი თავი დაეღწია როგორმე მაჯლაჯუნასავით მოწოლილ უღვთო უსჯულობისაგან. საკმარისი იყოვო მცირედი ნაპერწკალი, ბრძანებს ~~ოფიციალური~~ ~~ისტორიკოსი,~~ რომ უცბად, ~~ერთბაშად~~ ~~შოსდებოდა~~ ალი ასაფეთქებელ მასალას, რომლითაც სავსე იყო მაშინდელი ~~კახეთი.~~

---

70) იხ. �... ტ.II, გვ. 344.

71) ibid. რუსულად „Население буквально изнемогало подъ бремемъ крайне раззорительной подводной повинности".

ნაპერწკალმაც სწორედ იქ გაიელვა, სადაც ყველაზე ნაკლებად მოელოდნენ ჭიაკოკონას გაჩენას.

ეს ადგილი გახლავთ სოფელი ახმეტა დღევანდელ თიანეთის მაზრისა.[72])

ცეცხლის ჩანელების შემდეგ, თვით მარკიზმა პაულუჩჩიმ ასე დააფასა თვის, მიერვე გაგზავნილ საეგზეკუციო კამანდების ჩაყენება კახეთის სოფლებში. "კახეთი ჭლელავდა და ჰბორგავდა. ზოგიერთი სწორედ გიჟსავით იყო გადარეული. ამისთანა დროს ეგზეკუციის ჩაყენება სწორედ იმასა ჰგავდა, ცეცხლს რომ ქონი მოასხა. არა საიმედო კაცებმა ისარგებლეს ეგზეკუციის გაგზავნით სოფლებად, დაუწყეს ხალხს ჩიჩინი და ჩვენთვის საზარალო ჩაგონება და ხელი შეუწყეს საერთო კორიანტელის ამოვარდნასო.[73])

დაფასებით კარგად დააფასა მარკიზმა ეგზეკუციის მნიშვნელობა, მაგრამ გამოტეხით მაინც არ გამოტყდა და ამბოხების ატეხა არა საიმედო კაცებს მოახვია თავზე. ეჭვი არა გვაქვს, მარკიზი ამ სიტყვებს რომ სწერდა, ბატონიშვილი ალექსანდრე ჰყავდა ნიშანში ამოღებული. ისე გამოდის, ალექსანდრე რომ არ ყოფილიყო და არ ჩაეგონებინა კახელებისათვის აჯანყება, წამებული ერი კრინტს არ დასძრავდა და საეგზეკუციო კამანდების ვაჟკაცობა-გმირობას ისე მორჩილებით აიტანდა, როგორც აუტანია ბევრი სხვა უსამართლობა-შეწუხება. კეთილშობილი მარკიზი დიდადაა შემცდარი. ჩამგონებელი და მოჩიჩინე მაშინ ჰპოულობს მომხრესა და მოკავშირეს, როცა ნიადაგი უკვე მომზადებულია ამბოხება-აჯანყებისათვის. თუ ალექსანდრე არ იქმნებოდა, სხვა ვინმე გამოჩნდებოდა. საქმე ისაა, რომ თორმეტის წლის უსამართლო მართვა-გამგეობამ და დარბევამ საქართველო ააოხრა, გაატიალა; ძველი წესი და ჩვეულება მილეწ-მოლეწა და მის ნანგრევებზე ისეთი შენობა ააგო, რომ პირუტყვს არ შეესვლებოდა შიგა. რაკი ასეთი იყო ვითარება საქმისა, რაღა

72) ibid. გვ. 351, 352.

73) იხ. Акты, ტ. V, გვ. 67.

საჭიროა ხრიკების მოგონება, არა საიმედო და მავნე კაცების გამოყვანა სცენაზე ჯვარზე საცმელად. მაგრამ რას იზამ, რომ მუდამ ჟამს ერთ-ფეროვანად და ერთგვარად მოქმედობს მოხელეს წყეული დაჟანგებული მანქანა. თითქოს მოსვენებით ვერ დაიძინებს, თუ მოხელემ წარა-მარად მავნე და არა საიმედო ვინმე არ გამოატყვრინა ცოდვადა საზიდავად.

ვინაიდგან კახეთის აჯანყების ჯერ გაჩენაში და შემდეგ ჩაქრობაში დიდი ღვაწლი მიუძღვის მარკიზ პაულუჩჩის, საჭიროდ მიგვაჩნია გიამბოთ ამ მთავარ-მართებლის ცხოვრება და ვეცდებით მცირედად მაინც დავასურათოთ ამ გენერლის მოქმედება-მოღვაწეობა ჩვენში.

მარკიზი ფილიპე ოსიპის ძე პაულუჩჩი იტალიელია ჩამომავლობით, დაბადებული იტალიაში, ქ. მოდენაში, 1779 წ. მაშასადამე, მარკიზი ჩვენში რომ მთავარ-მართველობდა, 1811-12 წ., სულ ახალგაზრდა ყოფილა, ასე 32 - 33 წლისა. ჩქარი ამაღლება და მაღალი ხარისხის შეღება ჩვეულებრივი მოვლენაა მეთვრამეტე საუკუნისა და მეცხრამეტეს პირველის ნახევრისა. ჭაბუკობაშივე მარკიზი შესულა სამხედრო სამსახურში, მონაწილეობას იღებდა სარევოლიუციო ომებში და რადგან ნიჭი და მხნეობა გამოიჩინა, გენერლობაც მალე მიიღო. დიდ-ხანს არ გაგრძელდა მარკიზის სამსახური საფრანგეთის ჯარში. ნაპოლეონის მიერ შემოღებული წესი და რიგი იტალიაში არ ეპიტნავა, ცხარე ხასიათის ახალგაზრდა მარკიზს და თავი მიანება საფრანგეთის ჯარში სამსახურს.

ომიანობასა და მღელვარებით სავსე ცხოვრებას მიჩვეული მარკიზი უსაქმობას ვერ აიტანდა, დასტოვა იტალია და რუსეთს ესტუმრა. ესეც ჩვეულებრივი მოვლენა იყო წარსულის დროისა. 1807 წელს მარკიზი მიიღეს რუსის სამსახურში პოლკოვნიკის ჩინით. რუსის გენერალ მიხელსონის უფროსობით მარკიზმა მონაწილეობა მიიღო ოსმალეთთან ბრძოლაში, ხოლო 1808 წელს შვედების წინააღმდეგ გალაშქრების დროს უბოძეს გენერლობა.

1810 წ., თიბათვეში, მარკიზი გამოგზავნეს საქართველოში და დანიშნეს აქაურის ჯარის გენერალ-კვარტირმეისტ-

რადგან მორიგ გენერალად ამავე 1810 წ. საქართველოს მთავარ-მართებელი გენერალი ტორმასოვი ეომებოდა ოსმალებს ჯავახეთში. ჯარს უფროსობდა მარკიზი, რომელმაც დაამარცხა ოსმალონი ჭ. ახალქალაქთან და წაართვა ეს მაგარი ციხე. გამარჯვებულ მარკიზს უბოძეს გენერალ-ლეიტენანტობა და წმინდა გიორგის ჯვარი მესამე კლასისა. ჯილდო დიდზე უდიდესია, რადგან თვით გენერალ ციციშვილს განჯის აღებისათვის მხოლოდ ინფანტერიის გენერლობა მისცეს და მესამე კლასის გიორგი-კი ვერ გაიმეტეს, რამაც დიდად ატკინა გული ფიცხის ხასიათის პატრონს სარდალსა.

კავკასიის ლინიაზე დაუსრულებელი დავი-დარაბა ჰქონდათ გამართული სამოქალაქო და სამხედრო უწყებათა მთხელეთ. ერთმანეთში ვერა რიგდებოდნენ, შუღლისა და უთანხმოების გამო შესამჩნევად ფერხდებოდა რუსთა მფლობელობის დამკვიდრება როგორც საქართველოში, აგრედვე ჩრდილო-კავკასიაში. ესაა მიზეზი, რომ პეტერბურგის მთავრობამ 1811 წ. ასტრახანისა და კავკასიის, გუბერნიები ჩააბარა გენერალ რტიშჩევს. პირველად ეს გენერალი ემორჩილებოდა ტორმასოვს, მაგრამ ტორმასოვი რომ გადააყენეს საქართველოს მთავარ-მართებლობიდან 6 ივლისს 1811 წ. და მის ადგილზე დანიშნეს მარკიზი პაულუჩჩი, რტიშჩევი სრულიად დამოუკიდებელი შეიქმნა საქართველოს მთავარ-მართებელისაგან. ამ გვარად მარკიზი უფროსობდა მხოლოდ იმ ჯარებს, რომელიც საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში იყო დაბანაკებული. ესეც უნდა აღვნიშნოთ, რომ მაშინდელ საქართველოსა, ასტრახანისა და კავკასიის გუბერნიების სირონად დაინიშნა ვლადიკავკაზის ციხე-სიმაგრე. ვლადიკავკაზი და სამხედრო პოსტები საქართველოს სამხედრო გზაზე კობამდე გენერალ რტიშჩევის ჯარებს ეჭირათ. სურსათი დაკმაყოფილება ამ ჯარებისა რტიშჩევისავე მრავალეობას შეადგენდა, ხოლო სამხედრო განკარგულება, ბრძ შენახვა და მართვა-გამგეობა პატარ-პატარა ერებისა ვლადიკავკავიდან მოყოლებული ს. კაიშაურამდე პაულუჩჩის დააკისრეს.

მარკიზი სულ რაღაც სამიოდე წელიწადი იყო ჩვენში, მთავარ-მართებლობაში-კი ერთი წელიწადიც არ შესრულებია. 1812 წ. აპრილის ოცში საქართველოში დაბანაკებულ ჯარის უფროსობა ჩაიბარა ახალმა მთავარ-მართებელმა რტიშჩევმა. მარკიზი დაიბარეს პეტერბურგს და დანიშნეს პირველის ლაშქრის შტაბის უფროსად. ახალს თანამდებობაზე მარკიზი დარჩა რამდენიმე დღე, რაღაც უთანხმოება მოსვლია სამხედრო მინისტრ ბარკლაი-დე-ტოლისთან და შტაბის უფროსობიდან გადააყენეს და ჩააბარეს ლიფლიანდიისა და კურლიანდიის გენერალ-გუბერნატორობა. 1826 წ. სრულიად მიატოვა მარკიზმა რუსეთი და დაბრუნდა სამშობლო იტალიაში, სადაც გაამწესეს პიემონტის ჯარის უფროსად.[74])

რუსებს ჩვენი არა ესმოდათ-რა, ქართველებს კიდევ რუსებისა. ერთმანეთის გაუგებრობამ დიდი ზარალი და უბედურობა მიაყენა დატანჯულს საქართველოს. ცხადია, რომ პირდაპირ ევროპიდან მოსული მთავარ-მართებელი უფრო ნაკლებად იქმნებოდა მომზადებული საქართველოს მართვა-გამგეობისათვის. ვამბობთ პირდაპირ, რადგან მარკიზი გადმოსახლდა რუსეთში 1807 წელს და სამი წლის შემდეგ მორიგ გენერლად საქართველოში დაინიშნა. ამ მცირე ხანს რუსულ ენასაც-კი ვერ შეისწავლიდა ომიანობის ქარ-ცეცხლში გართული ახალგაზრდა სარდალი და ქართველი კაცის ზნისა და ხასიათის შესწავლისათვის სად მოიცლიდა. საქართველოს ისტორიის შესასწავლად არც მარკიზის წინამოადგილეთ გაუცხელებიათ თავი და მართავდნენ ქვეყანას ღვთის ანაბარად. ამის გამო საბუთი არა გვაქვს გადაჭარბებით დავემდუროთ მარკიზსა და ვუსაყვედუროთ ჩვენის ქვეყნის უცოდინარობა. ჩვეულობად არა ჰქონდათ მაშინდელ დიდ მოხელეებს შესწავლა და შეგნება იმ ქვეყნისა, რომლის ბედი და უბედობა ხელში უვარდებოდათ. ღვთის წინაშე, სავალდებულო ჩვე-

74) იხ. ლექსიკონი ბროკჰაუზისა, ტ. 45, გვ. 52, сборн. свѣд. о Георг. кавалерахъ Кавказск. войскъ, А. Л. Гизетти, გვ. 14, утв. ტ. II, გვ. 276. Акты, ტ. IV, გვ. 56.

ულობად არც დღესაა მიჩნეული საპატრონოდ და მოსავლელად მიცემულის ქვეყნის შესწავლა და შეგნება.

ბატონიშვილ დავითს, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მეტის-მეტად არ მოსწონს მარკიზი პაულუჩჩი და ხშირად ტირანად იხსენიებს. კაცი ელამი რაგვარათაც თვალითა, ეგრეთვე სულითაცა და მოქმედებითა, ვინაიდან აქვნდა მას სული იტალიანურიო. რა შუაშია აქ მარკიზის იტალიანობა, ბატონიშვილი არ განგვიმარტავს. ალბად, იეზუიტობას თუ სწამებს პაულუჩჩის. პაულუჩჩი შეეხმიანა ერევნის ბეგლარ-ბეგს ჰუსეინ-ხანს - ციხე დამითმე და ერევნის სახანოს მცხოვრებთ სრულიად ყმად დაგიტოვებო. ხანი შეჰპირდა, თხოვნას აგისრულებო. მარკიზმა გენერალი ლისანევიჩი გაგზავნა ერევნის ციხე-ქალაქის ჩასაბარებლად ორი ათასი მხედრობით. ჰუსეინმა შეჰკრიბა ჯარი და დამალა ეჩმიაძინს. "მიიწევნენ რა რუსნი, ეკვეთნენ სპარსნი და აოტნეს რუსნი და სირცხვილეულ იქმნა მარკიზი ესე ვითარისა და უგუნურისა შეცთომისათვის".[75]) სულ ასე იცის გულდამწვარმა ბატონიშვილმა, საცა კი მოასწრებს მარკიზს, კარგად გაჯოხავს, გესლიანი ლექსით შეამკობს და რაკი გულს მოიოხებს, დაწყნარებით განაგრძობს თავის საინტერესო მატიანეს.

მართალია, მარკიზის მთავრობის დროს კახეთი გაბედნიერდა საეგზეკუციო კამანდებით, მაგრამ რა ვუყოთ. ეგზეკუცია მარკიზს ხომ არ მოუგონია, რა იარაღიც მისცეს ხელში, სწორედ ამ იარაღს იქნევდა ნაპოლეონის სარევოლიუციო ჯარის ნაუფროსალი. ჩრდილო-იტალიას და საფრანგეთში თუ დესპოტიას ამსხვრევდა, აქ, ჩვენში, "მორჩილების გრძნობას" ამტკიცებდა სწორედ იმ საშუალებით, რა საშუალებითაც მისი წინამოადგილენი მოქმედებდნენ. ეგზეკუცია მარკიზამდე ყოფილა და ვინ იცის კიდევ რამდენ ხანს არ გადაკარდება მონგოლთა ურდოთაგან გადმონერგილი ინსტიტუტი...

---

75) ფასალები. გვ. 99.

სხვებთან შედარებით მარკიზის სანაქებოდ ბევრი რამ ითქმის. ჯერ ერთი ვერცხლი არ უყვარდა, ანგარებით არ იყო შებოჭილი მისი სული და გული. სძულდა ქრთამი და მოქრთამეს არ ინდობდა. ერთ უნტერ-აფიცერს ხუთი მანათი ქრთამი გამოერთმია ჯარის-კაცისათვის. მარკიზმა სასტიკად დასაჯა მოქრთამე შპიცრუტენით.[76)]

აფიცრები ძალიან ეტანებოდნენ ბანქოსა და სასმელს. ჩაიბარა თუ არა კავკასიის კორპუსი, მარკიზმა სასტიკი ბრძანება გაუგზავნა ჯარის უფროსებს, არავის დავინდობ, თუ შევამჩნიე ვისმე ლოთობა და ბანქოს თამაშიო. პაულუჩჩის არც ის მოსწონდა, რომ ჯარის-კაცებს ხასები ჰყავდათ. ხასის ყოლა სარწმუნოების წინააღმდეგიაო, ბრძანებდა მარკიზი. ვისაც სარწმუნოება არა აქვს, ხელმწიფესა და სამშობლოს პატიოსნად ვერ ემსახურება, რადგან სინიდისი სუფთა არ ექნებაო. არ უყვარდა აგრედვე საჩუქრები. ჩვეულებად გადაქცეოდა მაშინდელ აფიცრობას საჩუქრის მირთმევა მთავარ-მართებლისათვის და ამისათვის ბრძანება გასცა, ვინც საჩუქარს გამომიგზავნის, იცოდეს, რომ მაწყეინებს და ცუდის თვალით დავუწყებ ყურებასო. არც ის მოსწონდა, რომ სამხედრო კაცნი წერილებით მიმართავდნენ ხოლმე მთავარ-მართებლის კანცელარიის მოხელეებს სხვა და სხვა თხოვნა-მუდარით. ვისაც საქმე აქვს, პირდაპირ მე მომმართოსო, მაშუალი რა საჭიროაო. ჯარის უფროსებს აფრთხილებდა, ტყუილ მოხსენებას ერიდენით, ჭეშმარიტებას ნუ აბნელებთ, ჯარის მოქმედება-მოძრაობას მტრის წინააღმდეგ ბუშტივით ნუ ჰბერავთ მოგონილ ამბებით, თორემ ხელმწიფის წინაშე გამოვამჟღავნებ ამისთანა ვაჟბატონებსო.

ამ პატარა მაგალითებიდან ცხადადა სჩანს, რა ცუდის თვალით უყურებდა მარკიზი ჯარში გამეფებულ საძაგლობას

---

76) ორპირად გამწკრივებენ ჯარის კაცებს, მათრახებს დაურიგებენ და უბრძანებენ თითოჯერ უთუოქონ დამნაშავეს, შუაში რომ გაივლის ხშირად დამნაშავე ბოლომდის ვერ მიაღწევდა ხოლმე და დასისხლიანებული უგონოდ იქცეოდა. მათრახებს ზუზუნი რომ გაქონდა, ხორცის ნაფლეთები ტანიდან პასტასავით ცვივოდა ხოლმე. მოქრთამე უნტერ-აფიცერი ხუთას კაციან წრეში გაატარეს.

და რა მაღლად აყენებდა ჯარის-კაცის პატიოსან სახელსა. მარტო ჯარისაგან არ თხოულობდა პაულუჩჩი ზნეობის სისპეტაკესა. თურმე ბატონიშვილ ანასტასიას, თ. ციციშვილის მეუღლეს, სუბუქად ეჭირა თავი. საქართველოს ეგზარხოსს ვარლაამს (ერისთავი) წერილი გაუგზავნა, ანასტასიას ცუდად უჭირავს თავი, ნათესავები სირცხვილით იწვიან მისი მაცქერალნი, ქალაქიც გაირყვნება წამხედურობით. ურჩიე მოიშალოს ცუდი ყოფაქცევა, თორემ მონასტერში ვუკრამ თავსაო.

რა წერილები მისწერა მარკიზმა თ. თამაზ ორბელიანს და კონსტანტინე მუხრან-ბატონს, პურის დარჩენილი ხარჯი დროზე რომ ვერ შეიტანეს, ზემოდ მოვიხსენიეთ. თ. სოლომონ არღუთაშვილმა სთხოვა პაულუჩჩის, სამხედრო კამანდები მიბოძე ჩემ სოფლებში დასაყენებლად, რადგან მტაცებელი ავაზაკები მიოხრებენ მამულსაო. "წინად, ჟამთა მეფობისა, შეატყობინა მარკიზმა არღუთაშვილს, მცხოვრებნი თვითონ იცავდნენ თავიანთ სოფლებსა. თუ ეხლა ხალხს სიმხდალე შეეპარა, იცოდეთ, რომ მხდალთა დასაფარავად არ შევაწუხებ ჯარსა, ვინაიდგან ჯარის მოვალეობა ისაა, რომ დაიფაროს სამზღვარნი სრულიად საქართველოისა მტრის შემოსევისაგან და არა მტაცებელ-ყაჩაღებისაგან".

მარკიზი სცდილობდა მოესპო დღევანდლამდე დარჩენილი ჩვეულება. ახალს მთავარ-მართებელს ხანები ძღვენს უგზავნიდნენ. წერილით აცნობა ამიერ-კავკასიის ხანებს, ჩემი პატივისცემა თუ გიდევთ გულში, საჩუქრის გამოგზავნაზე აიღეთ ხელი, აი თუ ჯარისათვის საჭირო სურსათს დროზე მომაწვდით პირიან ფასებში, ნამდვილ პატივისცემად ამას მივიღებო. თქვენის დახმარების წყალობით ხაზინას სარგებლობა მიეცემა და სწორედ ეს იქნება სასარამოვნო საჩუქარი ჩემთვის. მაშინ თქვენს ერთგულობას სიამოვნებით უმაღლესს კარსაც მოვახსენებო.

მეტიჩარა თავადიშვილები არა ჰყვარებია პაულუჩჩის. 1811 წ. პეტერბურგს ასულან ორი ჩვენი თავადიშვილი ანდრონიკაშვილი და ერისთავი და განუცხადებიათ - სპარსე-

თიდან ბატონიშვილ ალექსანდრეს ჩვენ გამოვიყვანთო. პეტ-ერბურგიდან შეატყობინეს პაულუჩჩის, დახმარება აღმოუჩინე ანდრონიკაშვილს, რადა პირნათლად აასრულოს დაპირებაო. მარკიზს ეწყინა და როგორც შემდეგში ერმოლ-ოვმა ამანაც დააფოლა ალექსანდრეს მნიშვნელობა, ბატონი-შვილს თავის თავად არაფერი ფასი არა აქვს, ერთი რაღაც უტვინო კაციაო. რაკი საწადელი ვერ აისრულა, ესე იგი რაკი მეფობა ვერ დაიბრუნა, მნიშვნელობა დაეკარგებოდა, მაგრამ რადგან დიდად ვსცდილობდით მის დაჭერას, ანუ ვე-ხვეწებოდით, ოღონდ დაბრუნდი და წყალობას არ მოგაკ-ლებთო, როგორც ალექსანდრემ, ეგრედვე თანამოზიარეთ დაიჯერეს, რომ იგი დიდად საჭირო ყოფილა რუსეთისათვის. მე კი სულ სხვა გზას დავადექიო. ქართველებს სულ იმას ჩავჩიჩინებდი, რომ სახელგანთქმულ რუსის მხედრობას არა-ფრისა ეშინიან. ჩვენთვის სულ ერთია, სადაც ენებოთ, იქა ბრძანდებოდნენ მეფე სოლომონი და ბატონიშვილი ალექს-ანდრე. - გულს იკეთებდა მარკიზი, თორემ ნამდვილად ასე არ იყო.

რაც უნდა მაგრად გაბმულიყო მარკიზი მაშინდელ ცხოვრების ბლანდებში, მაინც ევროპიელობას სავსებით ვერ დაჰკარგავდა. ევროპიელობა მარკიზისა გამოიხატა იმაში, რომ დიდის პატივისცემით მოეპყრა წარსულ დროის გმირთა და მოღვაწეთა. მეფე ერეკლესა და გიორგის ძეგლები აუგო მცხეთის ტაძარში თავისის კანცელარიის საფასით: "რათა სახსოვარ ვყო შთამომავლობისათვის, აწერია ერეკლეს ძეგლს, სახელი იმ ხელმწიფისა, რომელმაც იმეფა დიდებით 54 წ., მათის იმპერატორებითის დიდებულების ალექსანდრე პირველის სახელით აღვაშენე ძეგლი ესე 1812 წ. საქართვ-ელოს მთავარ-მართებელმა მარკიზმა პაულუჩჩიმ".

პატივით მოეპყრა მარკიზი განსვენებულ ჯავათ-ხან განჯელის ოჯახობას. ნება მისცა დაბრუნებულიყო სპარსეთს და თან წაეღო გვამი ჯავათ-ხანისა და მისის შვილის ჰუსეინ-ყულიაღასი. ეს ის ჯავათ-ხანია, რომელიც ზედ ზარბაზანზე აკუწეს ხმლით თ. ციციშვილის ჯარისკაცებმა 1803 წ.

დიდის წარჩინებით და პატივით გადმოასვენა მარკიზმა ტფილისს განსვენებულ თ.პ.დ. ციციშვილის გვამი ბაქოდან, მის მიერვე შეკეთებულ და გამშვენებულ სიონის ტაძარში "სამშობლოს შესანიშნავის შვილის და ღირსეულის გენერლისა". თავწარკვეთილი გვამი ამოიღეს 1807 წელს სანაგვე ხევიდან, ჩასდვეს უბრალო ხის გაფისულ კუბოში და შეინახეს ბაქოს ერთ-ერთ ეკლესიის სარდაფში. ხუთის წლის განმავლობაშიო, ბრძანებს გულმტკივნეულად კაპიტანი ანოსოვი, ფიქრად არავის მოსვლია, ცივ დედა-მიწისთვის მიებარებინათ ქრისტეანულის წესით და "საომარის პატივით" გვამი იმ კაცისა, რომელმაც თავი თვისი არ დაზოგა ქველობით აღსავსე სამსახურში და მტლედ დაედო იგი სამშობლოსაო.[77]

ასეთი იყო მარკიზი პაულუჩჩი, რომელსაც წილად ბედმა არგუნა უცნაური როლი, ჯერ ნებსით თუ უნებლიეთ, ხელი შეეწყო ამბოხების ასაფეთქებლად და შემდეგ "ამოწვდილი მახვილით" (manu militari) ჩაექრო იგი.

X

კახეთი რომ იწეწებოდა და იგლიჯებოდა საეგზეკუციო კამანდებით, ამ დროს თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის მიყრუებული სამოურავო შედარებით განცხრომით ბრძანდებოდა. მოუსავლობა-შიმშილობამ ამ კუთხესაც გაჰკრა ბასრი კლანჭები, მაგრამ სამაგიეროდ თიანელებს ჯერჯერობით არ ეწვნიათ, თუ რა გემოსი იყო მარკიზის მიერ ჩაყენებული ეგზეკუცია. კვნესა და გმინვა ბარისა მთას ესმოდა, გარკვევით მოდიოდა ამბავი ოჯახებში ჩაყენებულ ჯარის ავკაცობისა, მთა სწუხდა, მოძმე კახელის დარბევას რომ ჰხედავდა, მაგრამ რაკი თვითონ არ ეხილა და არ განეცადა ეგზეკუციის მრავალ-ფეროვანობა, კუშტად იდგა და დროს ელოდა, ვნახოთ ბედი რას მოგვიტანსო.

77) ეფ. ტ. II, გვ. 277 - 285.

ოფიციალური წყარო, ესე იგი მარკიზი პაულუჩჩი და ამ მთავარ-მართებლის მოხსენებაზე დამყარებული ბ-ნი ანოსოვი ასე მოგვითხრობენ ქარიშხალის ამოვარდნის ამბავს: 1811 წლის გასულს მთავრობამ გაანაწილა, რომელ ოლქს და კუთხეს რამდენი პური უნდა გამოეტანა სასურსათო მაღაზიების შესავსებად. ხვედრი ფულიც, რაც ეკუთვნოდა ფშავ-ხევსურეთის და თიანეთის სამოურაოს შეწერილ პურისა, გაუგზავნეს თიანეთის მოურავს პოდპოლკოვნიკ თავად ივანე ჩოლაყაშვილს. მართალია, ჩვენ ზემოდ ვიხილეთ, რომ მთავრობის მიერ გაგზავნილი ფული სვავმა და მსუნაგმა კამისიონერებმა ჩაჯიბეს და მარტო ბეები დაურიგეს ხალხსა, მაგრამ გავყვეთ მარკიზსა, რომელმაც "ბუნტისა" და "რევოლიუციის" ამტეხად გამოიყვანა პოდპოლკოვნიკი ჩოლაყაშვილი.

ჩოლაყაანთ გვარში მემკვიდრეობით გადადიოდა ფშავ-ხევსურეთის და თიანეთის მოურავობა. სწორედ აი ამ გვარის კაცს, თ. ივანეს გაუგზავნეს ფული ხალხისთვის დასარიგებლად. მოურავ ჩოლაყაშვილს გამოგზავნილი ფული მიუთვისებია და მარკიზის მოწმობით თიანელებისა და ფშავ-ხევსურებისაგან 600 მანათი თეთრი ქრთამად გამოურთმევია, რადგან პირობა დაუდვია, გაწერილ პურს ხაზინა აღარ მოგთხოვთ, მე ვიცი და ჩემმა კაცობამაო. ხალხმა სიხარულით მიართვა მოურავ ჩოლაყაშვილს 600 მ., ვინაიდან პური თავის სამყოფი არა ჰქონდა და სასურსათო მაღაზიაში რას გაიტანდა. რაკი ვალი ასე ადვილად მოიხადეს, ასე თუ ისე გულიც დაიმშვიდეს და სჯეროდათ, რომ ეგზეკუცია კარს არ მიადგებოდა.

მწარედ მოსტყუვდნენ თიანელები!

გომბორის მთის კალთებზე, მდინარე ალაზნის ხეობაზე, შეფენილია პატარა სოფელი ახმეტა.[78]) განთიადისას, 31 იანვარს 1812 წ., ახმეტაში, მოულოდნელად ეკკლესიის ზარი ჩამოჰკრეს. გულ-გახეთქილი ახმეტელები ეკკლესიის ეზოს მიაწყდნენ და თქვენს მტერსა და დუშმანს, რაც იმათ ამბავი

78) დღეს კაი მოზრდილი სოფელია. თითქმის 2000 სული ორთავე სქესისა იქმნება.

შეიტყეს, - თელავიდან "ზეკუცია" მოდის პურის მოსაკრეფადო.

მთავრობა დიდად ეშურებოდა ჯარისათვის საჭირო პურის შეგროვებას და რაკი თიანეთის სამოურავოდან მარცვალი ხორბალი არ შეჰქონდა ხალხსა, ამის გამო თელავის კაპიტან-ისპრავნიკმა საეკზეკუციო კამანდები მიუსია სამოურავოს. მოახლოვებული კამანდა რომ დაინახეს, ახმეტელები კვარსავით აენთნენ, გონების თვალით წარმოიდგინეს დაწიოკება ჯალაბისა, აოხრება ოჯახისა და სახლ-კარისა და სიბრაზისაგან თვალთაგან სულ ცეცხლის ნაპერწკალი აკვესეს. თვით მარკიზი პაულუჩჩი ატყობინებს მაშინდელ პოლიციის მინისტრ ბალაშოვს, რომ ახმეტელების სიბრაზე-გამწარებამ, კამანდის მოახლოვების გაგონებაზე, უაღრესობამდე მიაღწიაო: გონებადაბნეული ახმეტელობა მივარდა კამანდას, სცემა და სირცხვილ-ნაჭამი უკან გარეკა. მეორე დღეს, პირველ თებერვალს, თელავიდან წამოვიდა პატარა რაზმი ეგერებისა და დრაგუნებისა. მიუახლოვდა თუ არა რაზმი ახმეტას, ახმეტელებმა თოფები დაახალეს. ამ ჟამად მარტო ახმეტელები არ იყვნენ, გვერდში უდგათ მატნელები და შორიდან საშველად ჩამოსულები: თიანელები, ფშავნი და ხევსურნი.

ხეირი არც სოფელ თიანეთში დაბანაკებულ კამანდას

დააყარეს. თიანელები შეიკრიბნენ ეკლესიის გალავანში და შეუდგნენ თათბირს - რა ღონე ვიღონოთ და როგორ მოვიშოროთ დავიდან საეგზეკუციოდ მოსული სალდათები. ბჭობა-თათბირში რომ იყვნენ გართულნი თიანელები, უცბად მოთათბირეთა წრე გაარღვია სახე და გონება ამღვრეულმა დედა-კაცმა და შიგ შუა წრეში დაერჭო. გახელებული მანდილოსანი მივარდა ქმარსა, მოჰგლიჯა ქუდი, გადაახურა თვისი მანდილი და დაიკივლა: "დღეიდან შენ ცოლი და მე ქმარი; ნამუსი ამხადეს; მივდივარ, მსურს შური ვიძიო შენს მაგიერო. ეს სიტყვები რომ გაათავა, წაჰგლიჯა ქმარს ხანჯალი და გაშმაგებული ადამიანი ხანჯალ ამოწვდილი გაქანდა სახლისაკენ, სადაც ბინა ჰქონდა საეგზეკუციო კამანდას".

სირცხვილისაგან გადარეულის დედა-კაცის ამბავს მოგვითხრობს თავადი ბებუთაშვილი სამხედრო ჟურნალ "ვოენი სბორნიკში" 1867 წ. მე-6 და მე-7 ნომრებში, რომელიც ამ ჟამად ხელთ არა გვაქვს, რომ შევამოწმოთ. ნამუს-ახდილი დედაკაცი ის მანდილოსანი ხომ არ არის, თიანელ გალეშილმა აფიცრობამ რომ აწამა ღვინისა და ძაბრის შემწეობით.

გაალმასებულმა მანდილოსანმა თავისი გაიტანა. თიანელები გადირივნენ, აენთნენ და უკან გამოეკიდნენ გახელებულ დედა-კაცს. კამანდის ბინას გარს შემოერტყნენ, აფიცერი აჰკუწეს და სალდათები ასჩეხეს. ორიოდე სალდათი გადარჩა სიკვდილსა და თავს უშველა გაქცევით.

პირველი სისხლი დაინთხა, ბრძანებს კაპიტანი ანოსოვი, ხალხს ვნება აეშალა და ყმად გაუხდა გულის თქმასაო.[79])

ქართველი ისტორიკოსი, ბატონიშვილი დავით, ცოტა სხვანაირად გადმოგვცემს პირველის სისხლის დანთხევის ამბავს. ვეღარ მოითმინეს თიანელთ ესე ვითარი სირცხვილი (მანდილოსნის გაბიაბრუება) და იქმნა შფოთი ქართველთა და რუსთა შორისო. ხოლო პირველად მისცეს მიზეზი შფოთისა რუსთა მით რამეთუ დაკოდეს თიანეთს ამბოხის დროს რამოდენიმე თიანელნი. იხილეს რა ესე თიანელთა, მოსწყვიტნეს ყოველნივე რუსნი ასე ასორმოცდაათ კაცამდე და შემდეგ ჩავიდნენ ს. მატანს.

საეგზეკუციო კამანდები მრავალ-რიცხოვანი არ გახლდა. ბევრი-ბევრი თითოში ყოფილიყო 10-20 სალდათი. იოანნე ბოდბელი მოახსენებს პაულუჩჩის, რომ სოფლად ჩაგვიყენეს 12 სალდათიო. პურის მოსაკრებად, სოფლის ასაკლებად და დასაწიოკებლად არცაა საჭირო ამაზე მეტი. თუ ბატონიშვილ დავითის ცნობა მართალია, თიანელებმა ამოსწყვიტეს 2 თებერვალს 1812 წ. 150 სალდათიო, მაშ უნდა ვიგულისხმოთ, რომ საეგზეკუციო კამანდას თიანელებმა ზედ მიაყოლეს მეცხოვნე ჯარიც, ესე იგი ის სალდათ-აფიცრები, რომელნიც

---

79) Утв... ტ. ii, გვ. 353 - 355; Акты, ტ. V, გვ. 106 - 108.

ფშავ-ხევსურეთის და თიანეთის სამოურაოში იყვნენ ჩაყენებულნი მშვიდობიანობის დასაცველად და რუსის მართვა-გამგეობის სახელის გასამტკიცებლად.[80])

აჯანყების პირველ პერიოდს ასე აუწერს მარკიზი პაულუჩჩი უქვეშევრდომილესს რაპორტში იმპერატორ ალექსანდრე პირველს:

თელავის კაპიტან-ისპრავნიკის მიერ გაგზავნილი საეგზეკუციო კამანდა მიუახლოვდა ს. ახმეტას 31 იანვარს 1812 წ. ახმეტელებმა, თვალი მოჰკრეს თუ არა კამანდას, ჩამოჰკრეს ზარი, სოფელი ფეხზე დააყენეს, ეცნენ კამანდას, კარგად მიბეჟეს და გარეკეს. შეშფოთებულმა კაპიტან-ისპრავნიკმა ეგერებისა და დრაგუნთა მცირე რაზმი გაგზავნა ახმეტას კამანდის საშველად და თვითონაც ქართველ თავადიშვილთა თანხლებით გაეშურა ახმეტისაკენ, რათა გამოეძია და გამოეკვლია, თუ რა ხდებოდა ახმეტაში. სულ რაღაც თორმეტი ვერსი არც-კი გაევლო კაპიტან-ისპრავნიკს თელავიდან, ამბავი მოურბევინეს,-ახმეტელებმა, მატაან-თიანელებმა და ფშავ-ხევსურებმა ალყა შემოარტყეს ეგერთა და დრაგუნთა რაზმსაო. ნუ სჩადით კანონის წინააღმდეგ საქმესა, არიგებდა კაპიტან-ისპრავნიკი და მასთან მყოფი თავადიშვილები, მაგრამ დარიგებამ ვერ გასჭრა. მეამბოხეებმა თოფები დაახალეს კაპიტან-ისპრავნიკსა და თავადიშვილებს. გულგახეთქილი კაპიტან-ისპრავნიკი ფიცხლავ დაბრუნდა თელავს და მოითხოვა ჯარები ამბოხების ჩასაქრობად.

კახეთის ოლქის უფროსი გენერალ-მაიორი პორტნიაგინი ამ დროს ს. საგარეჯოში იდგა. შეიტყო თუ არა თელავის კაპიტან-ისპრავნიკისაგან, ს. ახმეტაში ამბოხება დაიწყოვო, გენერალ პორტნიაგინმა უბრძანა გომბორზე დაბინავებულ მაიორ ვრონსკის წასულიყო თელავს სამი როტა ჯარით აჯანყების ჩასაქრობად. ვრონსკის გასაძლიერებლად გენერალ პორტნიაგინმა გაგზავნა 250 კაცი ნარველ დრაგუნის პოლკისა მაიორ ესიპოვის უფროსობით. ამავე დროს პორტნიაგინმა

---

80) იხ. მასალები... გვ. 101 - 102.

შეატყობინა ტფილისს გენერალ-მაიორ ბარონ კლოტ-ფონ-იურგენსბურგს, საჩქაროდ მომაშველე ორი როტა ჯარი სამის ზარბაზნითაო.

კახეთის აჯანყების ამბავმა ტფილისს მოაღწია 3 თებერვალს და, მარკიზის სიტყვით, დიდი აურ-ზაური გამოიწვია. საფიქრებელი-კია, რომ ელდა ეცემოდა მარტო მოხელეობას, თორემ მაშინდელი ტფილისი მიჩვეული იყო ამბოხება-აჯანყებას და "კახეთის ბუნტი" პირისპირ გაწუწკებულ მოხელეებისა, რომელთა ვერაგობა-მუხანათობას ტფილისელებიც კარგად იცნობდნენ, აგრე რიგად არ შეაფიქრიანებდა. ჟამსა იარაღის ჩხარუნისა, ახმეტელების საქციელი - ცემა-ტყეპით გამობრუნება სადავლოდ მისულის კამანდისა, ვის გააკვირვებდა და შეაშფოთებდა? ვინ იცის, ეგები კიდევაც უხაროდათ, რომ გაუთლელმა ახმეტელებმა ჯავრი ამოჰყარეს თავგასულ ჯარის-კაცებისა.

მეამბოხეთა ძალა თანდათან იზრდებოდა. ახმეტელებს, თიანელებს, მატნელებს და მარელისელებს, 3-ს თებერვალს მიემხრნენ ახლო მახლო სოფლები და თავადიშვილები. 4 თებერვალს მეამბოხენი მიადგნენ თელავსა და თელაველ სომხების შემწეობითა და დახმარებით შეცვივდნენ ფორშტადტში[81]), აიკლეს რუსის აფიცრებისა და მოხელეთა სადგურ-ბინები, რამდენიმე სალდათი მოჰკლეს და დაიტაცეს რაც სასურსათო ორ მაღაზიაში პური შეეგროვებინათ. თელავის კამენდანტმა მაიორ შმატოვმა ძლივ-ძლივობით თავი შეასწრო ციხეში 50 ჯარის კაცით და მხნედ გაუძალიანდა კარზე მომდგარ მტერსა. გომბორიდან წასული მაიორი ვრონსკი სამი როტა ქვეითა ჯარით უბრძოლველად ვერ შევიდოდა თელავის ციხეში. მეამბოხენი ჩაუსაფრდნენ ვრონსკის ფორშტადტის ყოველ კუთხეში და თოფები დაუშინეს. ცხარე ბრძოლის შემდეგ ვრონსკიმ გაარღვია მეამბოხეთა წრეები და

---

81) ფორშტადტი — ციხე-ქალაქის წინ მდებარე გამაგრებული ადგილია, ანუ ჩვენებურად გარეთ-უბანი. როტაში მშვიდობიანობის დროს 100 კაცი ითვლება, ომის ჟამს 215; ესკადრონი ცხენოსანი რაზმია, ითვლება ესკადრონში 128 მხედარი და ამდენივე ცხენი.

ციხეში შევიდა. მაიორს მოუკლეს 11 კაცი, 10 დაატყვევეს; დაუჭრეს 2 აფიცერი და 30 ჯარის-კაცი. - საგარეჯოდან წასულს მაიორ ესიპოვს უარესი დღე დაეყენეს მეამბოხეებმა. მართალია, მაიორ ესიპოვმა ბევრჯელ მოიგერია მეამბოხენი, წინაც გაილალა, მაგრამ ბოლოს მოიმწყვდიეს ვიწრო გასავალში და თითქმის ნახევარი რაზმი გაუწყვიტეს. მოჰკლეს აგრედვე თვით ესიპოვი. დარჩა ამ რაზმიდან ცოცხალი 148 დრაგუნი. რაღა თქმა უნდა, ცოცხალნი ვერც ესენი გადარჩებოდნენ, მაგრამ გაჭირვების დროს 80 მეციხოვნე ეგერი და ორი აფიცერი გამოეშველნენ, დაჰკრეს ზურგიდან მეამბოხეებს, თავგანწირულად ეკვეთნენ და როგორც იყო გადაარჩინეს სრულიად ამოწყვეტას. დრაგუნები და მეციხოვნენი ციხეში ვაი-ვაგლახით შევიდნენ. ზარალი საგრძნობელი მოუვიდათ რუსებს. ამ ბრძოლაში დაჰკარგეს 156 ჯარისკაცი. ამ რიცხვში ითვლება მაიორი ესიპოვი, არტილერიის პარუჩიკი ვრონსკი და სასურსათო კომისიონერი მეცამეტე კლასისა სობოლევი. - დოკუმენტებიდან არა სჩანს, რა საქმე ჰქონდა ბრძოლასთან ამ თხუნელა მეცამეტე კლასის მოხელეს. ალბად, თუ დატორღიალებდა სასურსათო მაღაზიასთან. ამ დღესვე შემოაკვდათ მეამბოხეებს ერთი ეგერი, მაღაზიის საყარაულოდ მიჩენილი.

5 თებერვალს გენერალ-მაიორ პორტნიაგინმა კიდევ მოსთხოვა მაშველი ჯარი გენერალ იურგენსბურგს, რომელმაც ხუთსავე თებერვალს ტფილისიდან გაუგზავნა ორი როტა ჯარი და სამი ზარბაზანი.

მარკიზ პაულუჩჩის უქვეშევრდომილეს მოხსენებაში 26 მარტის თარიღით 1812 წ. N85, სადაც დაწერილებითაა აწერილი აჯანყების დროის სამხედრო მოქმედებანი,[82]) ერთი უცნაური ამბავი ეჩხირება ადამიანს თვალში და უნებლიედ იპყრობს ისტორიის მკვლევარის ყურადღებას. მეამბოხენი თავად-აზნაურთა მეთაურობით თელავს რომ გარს

82) იხ. ეს რაპორტი აკტების მეხუთე ტომში, გვ. 67 - 82. რაპორტი იმოდენაა, რომ მთელი წიგნი გამოვა, ცალკე რომ დაბეჭდონ.

შემოადგნენ, გარეთუბანში მცხოვრები თელაველი სომხები მიემხრნენ და ამათის შემწეობით შეცვინდნენ ფორშტადტში. თითქოს სწყინს და ეთაკილება მარკიზს თელაველ სომხების მონაწილეობა "რევოლიუციაში" და სევდიანი კილოთი მოახსენებს იმპერატორს: "თვით თელავის გარეთუბანში მცხოვრებ სომხების დახმარებით აიკლეს მეამბოხეებმა რუსის მოხელეთა ბინა-სადგურნიო. არც ერთი მათგანი არ შესულა ციხეში მის გასამაგრებლად და საპატრონოდაო".[83]) ვითომ რაო, განა ამბოხება- აჯანყება, ანუ, მარკიზისებურად რომ ვსთქვათ, რევოლიუცია, ქართველი კაცის პრივილეგიაა, თუ რა არის? კახელობამ უსამართლო მართვა-გამგეობას ვერ გაუძლო, ხმა ამოიღო და უკეთესი ბედი მოითხოვა. ტყუილადა ჰგონია მარკიზს, რომ კახეთის დამჩაგვრელი მართვა-გამგეობა თელაველ სომხისათვის თვალისა და გულის გამახარებელ წალკოტად, ან ოქროს მადნად გადიქცეოდა. მეჭიანურე-მოჩანგურე პროკურორი პლახოტინი ერთ-ნაირად მოახვედრებდა ჩოგანს ქართველსაც და სომეხსაც. რაკი "ზეკუციაზე" მიდგება ხოლმე საქმე, გამრჩევი ვიღაა, ეს ქართველია, ეს სომეხიაო. მოსმული ცელი ერთგვარად აწვენს ძირს ყანასა. და ეკალს, დიახ, სწორედ რომ უცნაურია მარკიზის ჩივილი და საყვედური. სულ რაღაც თერთმეტმა წელმა გაიარა მას აქეთ, რაც რუსობა დამკვიდრდა საქართველოში და იქვე სათავეში უმაღლესი მოხელე ღვარძლის თესვას შეუდგა მეზობელთა შორის, ერთი რომ ერთგულია, მეორე მოღალატეაო და ამ კილოზე მომართული მოხსენება თვით ხელმწიფეს წარუდგინა. - მოთხრობის დასასრულს ვიხილავთ, რომ მთავარ-მართებელმა რტიშჩევმა უფრო ნათლად და გარკვევით აღიარა მარკიზის აზრი, - სომხებს ერთგულობის ატესტატი უწყალობა და ქართველობას მაშფოთარისა.

ოფიციალურ წყაროების მიხედვით ნაამბობი თელავის ალყის შემორტყმაზე კახელ მეამბოხეთა მიერ ძალიან განს-

---

83) ანდდანიც: „Бунтовщики, по содѣйствію имъ самихъ Армянъ живущихъ въ предъмѣстьи г. Телава, изъ коихъ ни одинъ не вошелъ въ крѣпость для защищенія оной... ворвались въ форштадтъ"...

ხვავდება ბატონიშვილ დავითის ისტორიიდან. სურათის შესავსებად მოვიყვანთ დავითის ნათქვამსაც, ხოლო ალაგ-ალაგ შევცვლით ტექსტის ენას, რადგან ძნელი გასაგებია და ამძიმებს აზრთა დენას. დალაგებული, მატიანისებური კილო-კი ბატონიშვილისა ფრიად სასიამოვნოა და სწორედ ცოდვა იქნება მისი შელახვა და შებღალვა.

"ხოლო ოდეს შთავიდნენ თიანელნი მატანს, - გვიამბობს ბატონიშვილი დავით, - შემოეყარნენ ამათ მატნელნი და ახმეტელნი სრულიად. იქ მყოფნი რუსნი და რაოდენნიმე ტუსიშვილნიცა მოჰსწყვიტნეს მით, რამეთუ ეპყრათ რუსთა მხარე. ჰსცნეს რა ესე ყოველივე კახთა, აღადგინეს შფოთი დიდი სრულიად კახეთსა შინა და იწყეს სრვა და ხოცვა სოფლებში ყოველთა რუსთა, რომელნიცა იდგნენ მათ შორის იასაულად პურის ასაკრეფად. მეამბოხენი მივიდნენ და მოადგნენ თელავს. მაშინ გადაიყვანეს კახთა მეფის ძის იოვანეს შვილი გრიგოლ ქართლიდან, და მოკრბნენ ლეკნიცა ვიდრე ოთხი ათასამდე კახთა საშველად და ჰყვეს კახთა თვისა ზედა უფროსად თავადი ქობულოვი ოთარ მდივანი".

დავითის ისტორიის ეს ადგილი ნათლად გვიჩვენებს, რომ ამბოხებამ ამ ჟამად მაღალ-მნიშვნელოვანი ხასიათი და მიმართულება მიიღო. საშველად მოიწვიეს ოთხი ათასი ლეკი, ამოირჩიეს სარდალი თავადი ოთარ ქობულაშვილი, მდივანი, და რაც უფრო საყურადღებოა - ქართლიდან მოიწვიეს ბატონიშვილი გრიგოლ იოვანეს ძე. ეს გრიგოლი კახელებმა მეფედ გამოაცხადეს, ხოლო როდის, - არა სჩანს. ამ გვარად უმნიშვნელო აშლა საეგზეკუციო კამანდების თვითნებობის წინააღმდეგ პოლიტიკურ ბრძოლად გადაიქცა. მეამბოხეებმა მეფე იშოვნეს, დღეიდან მისის სახელით დაიწყეს ბრძოლა და სრული პროტესტი გამოუცხადეს რუსის მთავრობას, რომელმაც, კახელების აზრით, უკანონოდ და წინააღმდეგ ხელშეკრულობისა, მოშალა მეფობა და სამეფოს ნანგრევებზე ააგო კაპიტან-ისპრავნიკების, კამისიონერების და საეგზეკუციო კამანდების უფლება-ბატონობა.

"ჰსცნა რა ესე პარტნეგინმა, - განაგრძობს დაკარგულ ტახტის მემკვიდრე ბატონიშვილი, - რომელიცა იმყოფებოდა საგარეჯოს, გარდააშველა თელავს მყოფთა რუსთა სამასი სალდათი ცხენოსანი დრაგუნი. მივიდნენ რა ვარდის-უბანს, იქმნა მუნ ბრძოლაი და სრულიად მოისრნენ რუსნი იგი კახთა მიერ და რუსთა წინამძღოლიცა მაიორი ესიპოვი მოჰკლეს და ერთიცა სხვა მაიორი და ორნიც აფიცერნიცა. მცირედნი დანაშთნი შევიდნენ ციხესა თელავისასა, რომელიცა აქვნდა რუსთა გამაგრებული. იყო მათთანა ალექსანდრე სვიმონის ძე მაყაშვილი, ეშკაღსბაში მეფისა გიორგისა. გარს მოადგნენ კახნი თელავსა და მოჰკლეს რუსებმა ციხიდან პაატა ჯანდიერიშვილი".

აქ დასახელებული მაყაშვილი, განსვენებულ მეფე გიორგის სახლთ-ხუცესი, ის ალექსანდრე მაყაშვილია, რომელიც თიანეთის მოურავად დაინიშნა პოდპოლკოვნიკ თ. ივანე ჩოლაყაშვილის სიკვდილის შემდეგ იქვე აჯანყების დასაწყისშივე და რომელიც მთის ხალხმა მოურავად არ მიიღო. ჩოლოყაშვილი სიკვდილმა იხსნა სასჯელისაგან, თორემ, რომ ეცოცხლა, უეჭველია, ციმბირის გზების სატკეპნად გაიგზავნებოდა სხვებთან ერთად. ალექსანდრე სვიმონის ძე მაყაშვილმა-კი, ვითარცა შეჰფერის ერთგულ ყმას ახლადგაჩენილის მთავრობისასა, მის მხედრობას შეაფარა თავი და ჩაიკეტა თელავის ციხეში.

ამბოხების ჩანელების შემდეგ ალექსანდრე მაყაშვილი თელავის მოურავად დაამტკიცეს.[84])

XI

აჯანყება, ანუ ოფიციალურად "ბუნტი", რაკი დაიწყო, სისწრაფით ვრცელდებოდა. მისი ატეხა, როგორც ზემოდ მოვიხსენიეთ, პაულუჩჩიმ თ. ივანე ჩოლაყაშვილს დააბრალა.

84) მასალები... გვ. 102 - 103; Акты, ტ. V, გვ. 377, 400, 527.

უკვე განსვენებულს რაღას დააკლებდა და ნათესავებს მისწვდა გაჯავრებული მარკიზი. ივანეს ნათესავები, ბრძანებს მთავარმართებელი, სხვა-და-სხვა გაიძვერაობით სცდილობდნენ ხელში ჩაეგდოთ თიანეთის სამოურაო და ამის გულისათვის ხალხი წააქეზეს და მთავრობას მიუსიეს. ამ გვარად "ბუნტის" ალი მოედო მთელ კახეთსაო.[85]) აჯანყების მეთაურნი მიწის მგელსავით ხან ერთ სოფელში, ხან მეორეში გაჩნდებოდნენ ხოლმე და ზოგს ტკბილი სიტყვით, ზოგს ძალითაც თავისკენ იბირებდნენ. ბოდბის-ხეველებმა და პრასიანელებმა პირდაპირ გამოუცხადეს მარკიზ პაულუჩჩის თავიანთ მოურავის ანდრონიკაშვილის პირით: ამბოხება თიანეთში დაიწყო და ჩვენამდე იქიდან მოვიდაო. შეგვეშინდა აკლება-დანიავებისა, ბევრი ჩვენგანი კიდეც დაარბიეს და იძულებული ვიყავით მეამბოხეებს უკან გავყოლოდითო. რაკი კახელებმა საქმე წააგეს და რუსები თავიდან ვერ მოიშორეს, ქიზიყელებმა თავი მოიკატუნეს. ჩვენ რა, კრავები ვართ, თიანელები რომ არ ყოფილიყვნენ, ვითომც ხმასაც არ ამოვიღებდითო. გამოძიების დროს ტყუილად გაიტეხეს სახელი ქიზიყელებმა. მართალია, დაწყებით თიანელებმა დაიწყეს აჯანყება, მაგრამ ქიზიყელებმა სინსილა გაუწყვიტეს და მეტი რაღა უნდოდათ. მაინც თავის მართლებამ ვერ გასჭრა და "ბუნტოვშჩიკები" სასტიკად დაისაჯნენ.

ამბოხების ნაპერწკალი ალაზნის პირიდან გომბორის მთით ივრის ხეობას მოედო და ტფილისის მახლობელ სოფლებს უწია. რუსთა მხედრობის სუსტი რაზმები დაიბნენ და რიგიან წინააღმდეგობას ვერ უწევდნენ აღელვებულის ერის ძალას. ამავე დროს წერილი წერილზე მოდიოდა ალექსანდრე ბატონიშვილისაგან. სპარსეთის ტახტის მემკვიდრე, შაჰზადა აბბას-მირზა მაცდუნებელ ფირმანებს უგზავნიდა ქართველებს. მოვდივარ თქვენ საშველადო, სწერდა აბბასი ქართველებს, მხნედ იყავით და ებრძოლეთ რუსებსა. დიდძალი ფულიც უკვე კაიხანია, რაც გამოვგზავნეო.

---

85) Акты, ტ.V, გვ. 107.

აბბას-მირზას პროკლამაცია ფრიად საყურადღებო დოკუმენტია, ამბოხებას აორკეცებდა და ქართველობას იმედს უნერგავდა, რომ ტყუილად არ ჩაივლის განწირულის სულის კვეთება და თავიდან მოვიშორებთ დაუპატიჟებელ სტუმრებსაო. ამისათვის საჭიროდ მიგვაჩნია ამ პროკლამაციის გადმოთარგმნა მცირედის შემოკლებით.[86]) დიდია და გძელი, მაგრამ რა ვუყოთ. მაშ სად და როგორ გაიცნოს ქართველმა კაცმა მისი შინაარსი, თუ არ ამ ისტორიულ ამბავში?

"უმაღლესი ბრძანება ქვეყანას მოეფინა"... ასე იწყება პროკლამაცია. -- "გეუწყოთ, რომ ვიდრე თქვენი შიკრიკნი მოაღწევდნენ ერევანს და ერევნიდან ჩვენამდე თავრიზს, ჩვენ უკვე გვაცოდინა და მოგვახსენა ერევნის ბეგლარ-ბეგმა, მაღალხარისხოვანმა ჰუსეინ-ხანმა: დიდ მხნეობას და ვაჟკაცობას იჩენენ ქართველები, ექვსი ათასი რუსის სალდათი ამოსწყვიტეს ქიზიყში და რამდენიმე ზარბაზანი წაართვესო. ალექსანდრე-მირზამაც მოგვახსენა, რომ ჩემდამი ერთგულობას იჩენთ და ჩემის მოსვლის მოლოდინში ხართ. ამაობაში ~~თავრიზს~~ ჩამოვიდნენ შიკრიკნი ავეტიქ-ბეგი და გიორგი და მოგვახსენეს თქვენი გარეშოება[87]) ~~დავრწმუნდით~~ თქვენს ვაჟკაცობა-მხნეობაში და კეთილგონიერებაში. მივხვდით, რად ელაქუცებოდით რუსეთს და ხმას არ იღებდით. ელოდით გაზაფხულის დადგომას, რადგან სწორედ გაზაფხულზე გვქონდა განზრახული მანდეთ წამოსვლა. გამოვტყდებით და გეტყვით, რომ თქვენი სამსახური ერთი საუკეთესო სამსახურთაგანია. მაშ ესეც იცოდეთ, იმისთანა წყალობას მოგანიჭებთ, რომ სხვა წყალობა მასთან სახსენებელი არ იქნება. ნათელით შეიმოსოს სახე და პირი თქვენი! ზამთარი გავიდა, გაზაფხული კარზე გვადგია. გამარჯვებას ჩვეული ჯარი უკვე

86) სახელი პროკლამაცია ჩვენი მოგონილი არ გეგონოთ. სწორედ ~~პროკლამაცია~~ ჰქვიან აბბასის წერილს. იხ. Акты, ტ. V, გვ. 86 - 88. ჯერ სპარსული ტექსტია დაბეჭდილი და შემდეგ რუსული თარგმანი. ქართულიც იქნებოდა, მაგრამ ვინ იცის სადაა იგი. სტილი პროკლამაციისა სწორედ რომ სპარსულია, ფერადოვანი, გაბერილი, ზვიადი.

87) ეს ის ავეტიქაა, რომლის წერილიც ზემოდ იყო მოყვანილი; ვინაა გიორგი, არ ვიცით.

მზადაა. ამ დღეებში თავრიზიდან ავიყრებით, თან გვახლავს ზარბაზნები, რომელნიც ჯოჯოხეთსავით ნაპერწკალს აკვესებენ; მოგვაქვს ცეცხლმფრქვევი ზარბაზანი და მოგვყავს უშიშარი ცხენოსანი ჯარი. წამოვალთ ვითარცა ნიაღვარი, მთასა და ველს დედა-ბუდიანად რომ ჰგლეჯს. მაღალხარისხოვან ერევნის სერდარს და მაღალხარისხოვან ალექსანდრე-მირზასაც უბძანეთ ჩვენზე წინ წამოვიდნენ საქართველოსკენ გაწყობილი ჯარით. უფლის შეწევნითა და წყალობით ჩვენს მხედრობას და ქვეითა ჯარს რუსები ვერ გაუმკლავდებიან და ამ წელსვე მთელი საქართველო და ქალაქი ტფილისი გასუფთავდება მათის საძაგლობისაგან (დედანში: вся Грузія и г. Тифлисъ очистятся отъ ихъ гадостей) და ყოველი ქართველი, დიდი და პატარა, მოიპოვებს მყუდრო ცხოვრებას. სიცოცხლე, ქონება და სახელი მანდაურის მკვიდრისა ხელუხლებელი გახდება".

პატარა შევისვენოთ. როგორღაც გეხამუშება და თან გეცინება, პროკლამაციის ამ ადგილს რომ ჰკითხულობ. სასაცილო როგორ არაა, გეთაყვათ. ყიზილბაში აბბას-მირზა ქართველობას ჰპირდება იმას, რასაც დღეს ბრალიანი და უბრალო ქუდმოგლეჯილი დაეძებს. სწორედ არ ეკადრებოდა დიდ ნაპოლეონის სარდალს, კეთილშობილ მარკიზ პაულუჩჩის რომ ქართველობა დაანატრულა თვით პირვანდელის კაცის უფლებას. მართალია, იმპერატორი ალექსანდრე პირველიც დაჰპირდა ქართველობას 1801 წ. 12 სექტემბრის მანიფესტით ბევრს კაი-კაებს, მაგრამ თუ რაღაც ათიოდე წლის განმავლობაში საყიზილბაშოდ გახდებოდა საქმე, ვგონებთ, ასეთს ამბავს ვიცე-კანცლერი სოლომონ ლეონიძეც ვერ წარმოიდგენდა.

შაჰზადა ბოდიშს მოიხდის, აქამდისინ ვერ წამოველიო, რადგან ჯარი და არტილერია მზად არ იყოვო. ჩვენი სურვილია ერთი შეტევით გავაქროთ რუსები, მათი სახსენებელი ამოვაგდოთ და მოვრჩეთ და მოვისვენოთო. ყარაბაღისაც ეხლა აღარ გვეფიქრება. ცოტა რამაა გასაკეთებელი, მაგრამ დაუმთავრებელს დაამთავრებს ყარადაღაგის საყარაულო ჯარიო.

"ამ ჟამად, ბძანებს აბბასი, ჩვენ სარბაზებს სული უკაწკაწებთ და მშიერ ლომსავით მონატურნი არიან შეხვრიპონ საქართველოში მყოფ რუსების სისხლი. გავჩნდებით თუ არა მანდა, საქართველოს დავიმორჩილებთ, რუსის მთავარმართებელს და მის სალდათებს გავსწუვეტავთ, ან დავატყვევებთ. ამას შემდეგ თქვენ, ქართველებს, საშუალება მოგეცემათ, დასტკბეთ წყნარის ცხოვრებით და მოისვენოთ თავ-თავის ალაგას."

"რუსების საქმე რა-კი ცუდად წავიდა, წერილს წერილზე გვიგზავნიან და გვემუდარებიან, იარაღი დავდოთ და ზავი ჩამოვაგდოთო. ხრიკებს მიმართეს რუსებმა, რომ თავი როგორმე დააძვრინონ განსაცდელსა. ასე მოუვიდათ რუსებს, რადგან კაი ხანია იწვნიეს თვალთაგან ცეცხლმფრქვეველ სარბაზთა დაკვრის სიმტკიცე და ჩვენდა ზარბაზანთა გრგვინვა, რომლის ძალა იალბუზსაც-კი ვერხვივით არყევს. რაკი რუსები მიხვდნენ, რომ გულნაკლული ქართველები, ყარაბაღელები და განჯელები ჩვენს მფარველობას რჩეობენ და რაკი ისიც გაიგეს, რომ ოსმალეთის სარასკირი დაიძრა ახალციხისა და იმერეთისაკენ ჩვენ მხედრობასთან შესაერთებლად, ზავის ჩამოგდებაზე გააბეს განძრახ მითქმა-მოთქმა. არ დაუჯეროთ რუსებსა, ზავი მოჭორილი ამბავია. საქართველოსაკენ გალაშქრება გადაწყვეტილი საქმეა, მოემზადეთ ჩვენ დასახვედრად და ქვეყანაზე ხმა დაარხიეთ, რომ მოვდივართ უძლეველი მხედრობით".

ქართველები არც ისე ტუტუცნი იყვნენ, რომ ვერ მიხვედრილიყვნენ აბბასის პროკლამაციის ბაქიობას. კარგად იცოდნენ, რომ ყიზილბაშთა სარბაზნი თვალთაგან ცეცხლს უხეიროდ აკვესებდნენ, რომ მათის ზარბაზნების სროლისაგან იალბუზს ზანზარი არ გაუდიოდა. ბაბა-ხანისა და აბბას-მირზას დროის სპარსეთი ვეღარ ლომობდა. სამუდამოდ წარვიდა დრო დიდებისა და თავს ზარდამცემ ჭექა-ქუხილისა. ლანქარანში კოტლიარევსკი ყბაში რომ მძიმედ დასჭრეს სპარსელებმა, მაიორი ივანე ნიკოლოოზის ძე აფხაზიშვილი ერთის ბატალიონით მიესია და სულ კუდით ქვა ასროლინა სპარსელებსა.

განა მარტო ეს ამბავია საკვირველი, წარსულიდან სხვა უფრო ბევრ მაგალითს მოიგონებდა ქართველი კაცი, მაგრამ შაჰზადას, პროკლამაცია მაინც დიდად მოქმედობდა ამბოხებაში გაბმულ კახელობაზე. მარტო იმედიც დიდი რამაა ბრძოლის დროს და იმედს-კი უხვად აძლევდა აბბასი რუსის მხედრობასთან მებრძოლ ქართველებს.

თელავს ჩაკეტილი რუსები დიდ გაჭირვებაში ჩაცვინდნენ. კამენდანტ შმატოვის მეციხოვნენი, ძალზე შეთხელებული და შებერტყილი რიზმები ვრონსკისა და განსუნებულის ესპოვისა დიდ ხანს ვერ გაუძლებდნენ აჯანყებულებს. შაშველი ჯარი გინ იცის, რიდის მოვიდოდა, ან მოვიდოდა-კი? მარკიზი შორს იყო საქართველოდან, ერანში საქმეებს არიგებდა, კახეთის ოლქის უფროსს, გენერალ პორტნიაგინს და მარკიზის მაგიერს ტფილისში გენერალ კლოტ-ფონ-იურგენსბურგს დავთრები აერიათ, ისე მოულოდნელად მოევლინათ "ბუნტი", და არ იცოდნენ - როგორ მოეგვარებინათ წამხდარი საქმე.

უფერულად მიმდინარეობდა გულ გამაწყალებელი ალყა თელავისა. ვიდრე ციხეში მიეტანდნენ მაიორ შმატოვის შეციხოვნე ჯარზე და თვით ციხეზე, მეამბოხეებმა, როგორც "განათლებულ ერთა წესი და რიგი" მოითხოვს, კამენდანტს შეუთვალეს - ჯიუტობა არას გარგებს, საშველი არსაიდანაა, დაგვნებდი და ხიცოცხლეს გაჩუქებთო. ვინაიდან საშშობლო ისტორიის ყოველი წვლილი საყურადღებოდ მიგვაჩნია, სავსებით შოვიტანთ კახელ მეამბოხეთა შეთვლას, — ციხე ჩაგვაბარეთო. აქტებში, სამწუხაროდ, მხოლოდ ძველი უვარგისი რუსული თარგმანია დაბეჭდილი, დედანი კი სადღაც გადუკარგავთ და რედაქტორს არ დაუბეჭდია.

აი რა შეუთვალეს მეამბოხეთ კამენდანტსა და ისპრავნიკს:

"ბატონო თელავის კამენდანტო და ისპრავნიკო! საერთოდ აქ შეკრებილნი გეფიცებით უფალსა, წმინდა ჯვარსა და სახარებას, თუ ჩვენ რჩევას დაიჯერებთ და მშვიდობით გამოხვალთ ციხიდან, არას დაგიშავებთ და როგორც ძმასა და

საკუთარ მამას არ ვაწყენინებთ, აგრედვე თქვენ ცოდოში არ ჩავდგებით. კარგად იცოდეთ, საცა კი რუსის ჯარი იდგა: ქიზიყში, არაგვზე, საგარეჯოს, მტკვრის გამოღმა, კახეთში და ქართლში, ყველგან ამოსწყვიტეს და მათი სახსენებელი ძირიანად ამოაგდეს. სადაც დამორჩილდნენ და ქედი მოიხარეს, სიკვდილს გადარჩნენ და განთავისუფლდნენ. ფიცით გარწმუნებთ, გამოხვალთ თუ არა ციხიდან, მშვიდობით გაგისტუმრებთ. თუ გაჯიუტდებით და რჩევას არ შეისმენთ, თქვენ იცით; ჩვენ ჩვენი ვალი შევასრულეთ. იცოდეთ-კი, რომ დღეიდან მოლაპარაკებაზე ხელს ავიღებთ და ერთს სიტყვასაც ალარ მოგაწვდით. ხომ ჰხედავთ ამ შეკრებილ ჯარსა, ყველანი თქვენ საწინააღმდეგოთ შეიკრიბნენ აქა. გვერწმუნეთ. თქვენ ვეღარა გიხსნით რა, ან ვინ მოგეშველებათ! რა სარფაა ტყუილ-უბრალოდ სიკვდილი".[88])

კამენდანტ შმატოვს პასუხი გაუგზავნია მეამბოხეთათვის. რასა სწერდა მაიორი შმატოვი არ ვიცით, ან რას მისწერდა მაშინდელი მაიორი თუ არა იმას, - ნუ "ბუნტობთ", დამორჩილდით კანონიერ მთავრობას, ნუ ჰღუპავთ ცოლსა და შვილსა და სხვა. შმატოვის პასუხს ძალზე გაუჯავრებია მეამბოხენი და მეორედ ასე შეუთვალეს: "კამენდანტო! ისპრავნიკო და საერთოდ მანდ შეკრებილნო! თქვენი წერილი მივიღეთ და შევიგნეთ - რასაც გვირჩევთ. სწორედ ტუტუცი უნდა იყვეს ამისთანა წერილის დამწერი, (დედანში: "писано по глупости"). კარგა ხანია, გიცნობთ, რა შვილებიცა ბრძანდებით და მარტო ჩვენ კი არა ვართ თქვენი წინააღმდეგი, მთელი კახეთი, ქართლი ფეხზე დადგა თქვენ გასაწყვეტად, რადგან მხეცურად გვავიწროვებდით და სულსა გვხდიდით. (დედანში: "зверское притъсненіе"). ჩვენი და თქვენი შერიგება შეუძლებ-

88) Акты, ტ.V, გვ. 61 - 62.

ელია, კმარა: მახეში აღარ გავებმით და არ მოვტყუვდებით. ესეც იცოდეთ, რომ მარკიზი მოჰკლეს ყაზახელებმა სოფ. სალაოღლუში.[89]) ქიზიყში რაც რუსის ჯარი იდგა, სულ გაანადგურეს ქიზიყელებმა და ჭარელ ლეკებმა. აგრედვე გაიჟლიტა რუსის მხედრობა ბორჩალოსა, ქართლსა, საგარეჯოსა და არაგვზე, თქვენი მაშველი და თანაშემწე აღარავინაა. რადგან ქრისტეანები იყავით, (ალბად, ცუდათაა რუსულად ნათარგმნი ეს ადგილი, თორემ განა ამბოხების დროს რუსები გათათრდნენ? რუსულად ასეა: вы были христіане), არ გვინდოდა თქვენი სისხლის დანთხევა ტყუილ-უბრალოდ და გირჩევთ: მოკეთე აღარა გყავთ, ყველანი თქვენი მტერი და წინააღმდეგი ვართ. თუ ნებაყოფლობით გამოხვალთ ციხიდან, სიცოცხლეს გაჩუქებთ და არავითარ ზიანს არ მოგაყენებთ. უკეთუ რჩევას არ შეისმენთ, არავის დაგინდობთ და სულ გაგჟლეტავთ. ციხიდან ფეხს არ მოვიცვლით, აზრად არ გაიტაროთ ფიქრი, რომ ციხის აღებას ვერ მოვახერხებთ. ჩვენი განზრახვა და აზრი ისაა, რომ ვინც კეთილშობილი თქვენგანი გამოვა, კეთილშობილურადაც მოვექცევით და პატიოსნურად ვაცხოვრებთ, ტყუილად თავს ნუ ამოიჟლეტავთ, - არა, სულელები ნუ კი გგონივართ, - რით ვერ გაიგეთ, რომ ჩვენის ხელიდან ვეღარავინ გიხსნის და რაზე უნდა მოსწყდეთ. რჩევით ამას გირჩევთ და ახლა თქვენ იცით. იყვეს ნება თქვენი".[90])

მაიორ შმატოვმა კახელ მეამბოხეთა ულტიმატუმი არ მიიღო, რჩევა არ შეისმინა და ციხეში უფრო მაგრად ჩაიკეტა. ჩაკეტით ჩაიკეტა შმატოვი ციხეში, მაგრამ გაძლება-კი ძნელი იყო. კაცს კაცზე ჰგზავნიდა საგარეჯოსა და ტფილისს, ჩქარა მომეშველეთ, თორემ გაძლების საღსარი აღარა მაქვსო.

---

89) ს. სალა-ოღლი, ანუ სალახლუს ვითარება იხილე ა. ყ-ძეს წერილში „საქართველოს მეფეთა ბრძანებანი", „მოამბე", 1900 წ., № 6. სალახლუ ყაზახის მაზრაშია, რომელიც მეფეთა ერეკლე და გიორგის დროს საქართველოს ნაწილი იყო. იგი ვექილიანთ გვარის წინაპრებისთვის უწყალობებია მეფე ერეკლეს. ქართულად ამ სოფელს სალალი ჰქვიან.

90) Акты, ტ. V, გვ. 82.

გენერალ-პორტნიაგინს ტფილისიდან მიუვიდა ს. საგარეჯოს ორი როტა ჯარი სამის ზარბაზნით. მოსულებს მიუმატა ეგერთა ერთი როტა და აპირობდა თელავში გაგზავნას შმატოვის საშველად. რადგან აჯანყება თელავის მაზრიდან სიღნაღისაში გადავიდა, ორი მაშველი როტა ეცოტავა პორტნიაგინს და შეუთვალა ბარონ კლოდტს - კიდევ მომაშველე ორი როტა ზარბაზნებითაო.

რაღა მოგაშველო, როცა ტფილისში სულ ექვსი როტა ჯარი მყავსო, შეუთვალა ბარონმა პორტნიაგინს. ტფილისი საქართველოს უპირველესი ადგილია და უჯაროდ ხომ ვერ დავტოვებო. ამისათვის უბრძანა კახეთის ოლქის უფროსს, წინად რომ ხერსონის პოლკის ორი როტა ჯარი მოგაშველე, შეუერთე საგარეჯოში მყოფ ჯარებსა, შემოიკრიფე აგრედვე სხვა და სხვა სოფლად გაბნეული წვრილ-წვრილი რაზმები და ტფილისს დაბრუნდიო. შეშინებულ ბარონს სრულიად დაავიწყდა ციხეში გამომწყვდეული შმატოვი, იმის ფიქრსა და დარდში იყო, როგორმე ტფილისი შეენარჩუნებინა და საქმე ასაბარგებლად არ გახდომოდა. ქართლის ოლქის უფროსს გენერალ-მაიორ სტალს იმავე ბარონ კლოდტმა მისწერა, ქართველ გრენადერთა პოლკის ორი როტა ტფილისში გამომიგზავნე და ორი როტაც მაგავე პოლკისა ერთის ზარბაზნით ღართის-კარში (მცხეთის ახლოა) გაგზავნე, რომ თვალ-ყური დაიჭირონ არაგვის მარცხენა პირზე მდებარე სოფელ ბულაჩაურზე და ხელი შეუშალონ მეამბოხეთა შეერთებას ქართლელებთან. ბამბაკის ოლქის უფროსს გენერალ-მაიორ ლისანევიჩსაც მისწერა ბარონმა, ფიცხლავ მომაშველე ერთი ბატალიონიო.

მაიორი შმატოვი კი დახმარებას თხოულობდა. ს. ანაგას დაბანაკებული დონელ ყაზახთა მერვე პოლკი პოზდეევისა უნტერ-შტაბ-ესაულ კუზნეცოვის უფროსობით თელავისაკენ გაემართა, მაგრამ აჯანყებულებმა გზა მოუჭრეს, ანაგის პურის მაღაზიებს ცეცხლი წაუკიდეს და კუზნეცოვი ისე დაამარცხეს, რომ ცოცხალი ძლივს გადარჩა. გულ-გახეთქილი კუზნეცოვი რამდენიმე ყაზახითა და ბაირაღით მიიჭრა საგარ-

ეჯოს, სადაც ბინა ჰქონდა დადებული ნარვის დრაგუნთა პოლკსა. მანავსა და კაკაბეთს იდგნენ ამავე პოლკის ესკადრონები. მეამბოხენი შემოერტყნენ დრაგუნებს და სულ გასწყვეტავდნენ, რომ მაიორ კორობსკის არ მოესწრო საგარეჯოდან ხერსონის პოლკის ერთის როტით. კაკაბეთში ერთი ესკადრონი იდგა, გადარჩა სიკვდილს მხოლოდ 17 დრაგუნი. ესკადრონის უფროსი მაიორი მარტინოვი მძიმედ დაიჭრა და მალე გარდაიცვალა. მანავისა და კაკაბეთის ყაზარმები დასწვეს, ხოლო დრაგუნების ავეჯი, ტანსაცმელი, აგრეთვე ცხენთა მოკაზმულობა ხელთ იგდეს და დაიტაცეს. საგარეჯოსაკენ წამოსულ მაიორ კორობსკის მეამბოხენი მოსვენებას არ აძლევდნენ და ფეხ-და-ფეხ მისდევდნენ თოფის სროლით, თითქოს ნეფე-დედოფალს აცილებენო.

მთავრობას გაუჭირდა. კრიტიკული მომენტიო, რომ იტყვიან, სწორედ ისეთი დრო დაუდგათ რუსებსა. გაჭირვების ჟამს მოიგონეს სამაზრო მარშლები, მოურავები და ქაღალდები გაუგზავნეს, ყოველი ღონე იღონეთ, ეგები როგორმე ხალხი დააწყნაროთო. კაპიტან-ისპრავნიკებს კი მისწერეს, შეაჩერეთ სასურსათო პურის მოკრეფაო. პატივცემულ თავადებს და სასულიერო გვამთ ეხვეწებოდა მთავრობა, დაგვეხმარეთ, ჩააგონეთ რამე ხალხსა და ხელი ააღებინეთ ამბოხებაზეო, მაგრამ აღარა სჭრიდა ტკბილი სიტყვა და ჩაგონება. მოციქულებს ზუზუნა ტყვიას უგზავნიდნენ და ახლოსაც არ იკარებდნენ სალაპარაკოდ. თელავისა და სიღნაღის ამბების გასაგებად ბლომად გაიგზავნა შიკრიკი და ენატანია, მაგრამ ვაი თქვენს მტერს, რაც ამათ ბედი დაემართათ. საცა კი მოასწრებდა გაბოროტებული და გაალმასებული ხალხი ენატანიას, ან მთავრობის შიკრიკს, იქვე განუკითხავად ანდერძს უგებდა და წუთი-სოფელს ასალმებდა.[91])

---

91) ibid ტ. V, გვ. 69 - 71.

XII

კაპიტან-ისპრავნიკების მამა-შვილური მართვა-გამგეობა გამოურკვეველის მიზეზის წყალობით საოცრად გაიფურჩქნა ქიზიყში. საქართველოს ამ განაპირა კუთხემ არ იცოდა ბატონ-ყმობის უღელი. საქართველოს მეფენი, განსაკუთრებით ერეკლე მეორე, მოდარაჯე ქიზიყს შვილსავით უცქეროდა და დიდად აფასებდა ომში ქიზიყელის სარისტიანობას და ვაჟკაცობას. ნივთიერად ყველაზე ღონიერი ქიზიყი იყო. აი სწორედ ეს ღონიერი კუთხე ამოიღეს თვალში კაპიტან-ისპრავნიკებმა, კამისიონერებმა, სასურსათო და უთვის-ტომო მოხელეებმა და შეუდგნენ არხეინად, დოინჯშემოყრილნი დუმის თლას. მარტო ურიცხვი ბეგრის ურმის გამოყვანით წელში გასწყვიტეს ქიზიყი და პირქვე დაამხეს მისი დოვლათიანობა. ნივთიერ წახდენას ზედ დაერთო ზნეობრივი ტანჯვა. "პატარა კახის" მიერ გალაღებული ქიზიყელი ცას ეკოწიაწებოდა, ტოლ-ამხანაგად არავისა სთვლიდა და დახეთ ბედსა და მის უკუღმართ სამართალსა! ზვიადისა და გოროზის გულის პატრონ ქიზიყელს თავზე დაასვეს ხეპრე და გაუთლელი ჯარის-კაცი, რომელიც ხიშტის ცემით და საბეგრო ურემზე წოწიალით სულს ართმევდა და ამაყობას ულახავდა. ჩვენის ფიქრით, ეს განსაკუთრებული გარემოება უნდა იყვეს მიზეზი, რომ ქიზიყში ამბოხებამ მწარე და სასტიკი ხასიათი მიიღო. მართალია, ქიზიყელმა ბევრჯელ ქართველი კაცის ჩვეულებრივი თანდაყოლილი გულკეთილობა გამოიჩინა და ტყვედ წაყვანილი, უკვე უმწეო ჯარის-კაცი ოჯახში დამალა და სიკვდილს გადაარჩინა, მაგრამ პირველში, ამბოხებამ რომ იფეთქა, თავი ვერ შეიკავა და სასტიკად მოიქცა. თითქოს შურს აგებდა და ჯავრსა ყრილობდა იმაზე, ვინც ოჯახს ნამუსი აუხადა და ადამიანობა დაუმცირა.

ქიზიყელ მეამბოხეებმა ქალაქი სიღნაღი ხელში ჩაიგდეს და მთელი რაზმი მეციხოვნეთა დაატყვევეს, სულ 70 კაცი.

ჭავჭავაძიანთ სიძე, ცნობილი რუსის პოეტი ა. გრიბოედოვი, შემაძრწუნებელ ამბავს მოგვითხრობს. საცოდავი მეციხოვნენი ჯერ თურმე გაუტიტვლებიათ მეამბოხეებს და მერმე ნება დართეს, საითაც გინდათ გაიქეცითო. გაქცეულ დედა-შობილა ჯარის-კაცებს დაუშინეს თოფები და სათითაოდ ამოსწყვიტეს, სწორედ ისე, როგორც მონადირე ნადირობს ფრინველზე და მხეცზე. სიღნაღის კამენდანტი მაიორი გეინე, რამდენიმე აფიცერი და სამოქალაქო მოხელე ეკლესიაში შეცვინდნენ და ჩაიკეტნენ. ეკლესიაზე იერიშს ხომ ვერ მიიტანდნენ და ამის გამო მეამბოხეებმა ფიცით შეჰფიცეს, მანდედან გამოდით და ხელს არ გახლებთო. გეინემ ფიცი ირწმუნა და ეკლესიიდან გამოვიდა. საცოდავ გეინეს ანდერძი იქვე, ეკლესიის კარის წინ, აუგეს. მოსჭრეს ენა და გადააყლაპეს, შემდეგ ნაკუწ-ნაკუწად ასჩეხეს. ქვედა-ნოვგოროდის დრაგუნის პოლკის კამანდირი მაიორი პოტლოგი და აფიცრები სასტიკად აწამეს. ისეთი ტირანობა ჩაიდინეს მეამბოხეებმა, ამბობდა მარკიზი პაულუჩჩი, რომ კაცობრიობა შეძრწუნდება ამ ტირანობის ამბავი რომ გაიგონოსო.[92])

ქიზიყელთა საქციელი არც ბატონიშვილ დავითს მოსწონს, ან რა მოსაწონია ბარბაროსობა. მტერი გაჰგმირე მახვილით, მოუსპე საღსარი მტრობისა და დაუმიწე ბოროტის ჩამდენი მარჯვენა. ამას იქით მტრობა აღარ უნდა მიდიოდეს. ტიტველა კაცზე ნადირობა, ან უიარაღო კაცის წამება სულს აშფოთებს და ეროვნულ ბრძოლის გამაკეთილშობილებელ იერს უკარგავს. მემატიანე ბატონიშვილი ასე აგვიწერს ამ ფრიად სამწუხარო ამბავს. "მაშინ ქიზიყელთაცა მოსწყვიტეს რუსნი და ნაშთნი გამაგრდნენ ციხესა სიღნაღისასა ორ დღე. შემდგომად ორისა დღისა ევედრნენ რუსნი, რათა განუტევონ მშვიდობით და გარდაუყარეს ფული ციხიდან ქიზიყელთა, რომელთაცა იავარ ჰყვეს ყოველნივე ფული იგი. მაშინ ვინაიდან ქიზიყელთა ვერღარა გამოუღეს ციხე სიღნაღისა, (ესე იგი ვერ აიღეს), შემოსნეს მღვდელნი და მისცეს სახარება

92) იხ. Акты, ტ-V, გვ. 73; утв. გვ. 356.

და ჯვარი და შეჰფიცეს, რათა მისცენ ციხე და განუტევონ მშვიდობით რუსნი. შეჭირვებულნი რუსნი ერწმუნენ მღვდელთა მათ და გამოვიდნენ გარეთ. მხილველთა ქიზიყელთა უყვეს ზედასხმაი და განტეხეს ფიციცა და მოსწყვიტნეს სრულიად; კამენდატიცა მუნებური მოჰკლეს და სუდიეები, ესე იგი რუსთა მუნებურნი მდივან-ბეგნი და კაპიტან-ისპრავნიკიცა. იავარ ჰყვეს ხაზინაი, ტყვია-წამალი და პურნი, რომელნიცა აქვნდათ ამბართა მხედრობისათვის".[93])

ს. ბოდბისხევში ბინა ჰქონდა დადებული ყაბარდოს პოლკსა. ჟამსა ამბოხებისასა ბოდბისხევში იდგა პოლკის მეორე ბატალიონი პოდპოლკოვნიკ სტეფანოვის უფროსობით. მეამბოხეებმა სტეფანოვს სიღნაღის გზა მოუჭრეს და ს. ბოდბისხევს ალყა შემოარტყეს. სიღნაღის კამენდანტმა და მეათე კლასის კამისიონერმა გავრილენკომ 100 ჯარის-კაცი გამოუგზავნეს პოდპოლკოვნიკ სტეფანოვს საშველად შტაბს-კაპიტან ჩიჟევსკის უფროსობით, მაგრამ ამაოდ. სიღნაღსაც ალყა ჰქონდა შემორტყმული და ჩიჟევსკი გზას ვერ გაიკვლევდა. რა დღე დააყენეს სიღნაღის მეციხოვნეთ, ზემოდ მოვიხსენიეთ, აქ ის უნდა მიუმატოთ, რომ მეამბოხეებს დახმარება გაუწიეს სიღნაღის მცხოვრებლებმაც.

ს. ბოდბისხევს მეამბოხენი ყოველის მხრიდან გარს შემოერტყნენ და გაშმაგებულნი შიგ შუაგულ სოფელში შეცვინდნენ. მეამბოხეებს შეუერთდნენ ბოდბისხეველები და ეცნენ პოლკის შტაბ-კვარტირას. პოდპოლკოვნიკმა სტეფანოვმა თავი მოუყარა ბატალიონს ბაირაღებთან და ხშირ ბინდამდე მტერს იგერიებდა. ეს იყო 6 თებერვალს. მთელი დღე თოფის ხათქა-ხუთქი არ შეწყვეტილა. დიდი ზარალი მოუვიდა სტეფანოვს. მოუკლეს ორი აფიცერი და 212 ჯარის-კაცი. მთელი ამმუნიცია პოლკისა და 470 თოფი დაჰკარგა სტეფანოვმა. დანაშთენი ჯარით სტეფანოვი გაიპარა ღამე დაბა ყარა აღაჯს, სადაც იყო ქვედა-ნოვგოროდის დრაგუნთა პოლკის შტაბ-კვარტირა.

---

93) მასალები... გვ. 103.

ხეირი არც სოფელ ბოდბისხევს დაეყარა. მეამბოხეებმა ცეცხლი წაუკიდეს და მთლად გადაბუგეს. დაიწვა სასურსათო მაღაზიები, პოლკისა და როტის ცეიხჰაუზები, პოლკის კანცელარია, პოლკის ქარავანი (ობოზი), აფიცრების და ჯარისკაცთა საკუთარი ქონება და სახელმწიფო ნივთები (ესე იგი ამმუნიცია).

ღამით გაპარულს სტეფანოვს მეამბოხენი გზაში წამოეწივნენ და მოსვენებას არ აძლევდნენ. ყარა-აღაჯს სტეფანოვი გათენებისას ჩავიდა.

ყაბარდოს პოლკს სახელი ჰქონდა გავარდნილი ჩვენში. ეს ის პოლკია, რომელმაც 1800 წ. მდ. იორზე თავ-პირი დაამტვრია ლეკებს. ამ გამარჯვებისათვის იმპერატორმა პავლემ პოლკს უწყალობა მალტის ბაირაღები და რესკრიპტი. ლუდანი რესკრიპტისა პოლკის კანცელარიაში ინახებოდა და ცეცხლმა ჩანთქა.

ყარა-აღაჯს იდგა ქვედა ნოვგოროდელთა დრაგუნთა პოლკის ორი ესკადრონი. ერთი როტა ეგერებისა როგორღაც დასხლეტოდა მეამბოხეთ და ამანაც ყარა-აღაჯის ციხეს შეაფარა თავი. ამ მხედრობას მიემატა პოდპოლკოვნიკ სტეფანოვის ბატალიონის ნაშთი. მეამბოხეებმა ალყა შემოარტყეს ციხეს და ახლო-მახლო ადგილებში გაიმაგრეს.

მეამბოხეებს, ყარა-აღაჯს რომ შემოადგნენ, უფროსობდა თავადი მამაცი სვიმონ პაპას ძე ბებურიშვილი. ბრძოლაში მოიკლა სვიმონი და აგრედვე თავადი ოთარ ასლანის ძე ონანაშვილი.

ყარა-აღაჯის მეციხოვნეთ დიდათ გაუჭირდათ საქმე. სურსათი არა ჰქონდათ და იკვებებოდნენ ქეჩით, რომელიც დრაგუნთა ცხენებისთვის ჰქონდათ შომზადებული. ელისეს სასულეთიდან ყარა-აღაჯისაკენ გამოეშურა მაიორი ორბელიანი ყაბარდოს პოლკის ოთხ როტა ჯარით. წვალებითა და დიდის გაჭირვებით ორბელიანი გაუსტეტა მეამბოხეებს და ციხეში შევიდა, შაურამ დახმარების მაგიერ უფრო გაუძნელდა საქმე მეციხოვნეთ, რადგან საუმელი თვითონაც არა ჰქონდათ და ხეტეკრებისთვის რა მიერთმიათ. "შემეჭირდნენ რუსნიო,

ბრძანებს მემატიანე დავითი, და ლამობდნენ გამოსვლასა, [illegible] ლეკით წამოსულმან ყაფლან ყაფლანისშვილმან (ორბელიანი, მაიორი) [illegible] ათასითა მხედრობითა[94]) და დაუწყო ტკბილი საუბარი და ვედრება [illegible]". თუ ყარა-ალაჯს გადარჩა ვინმე სიკვდილს, ამ ყაფლან ორბელიანის მადლობელი უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ ზემო ნათქვამიდან სჩანს, რომ ღვაწლი არ დაუფასეს. იმის მოსვლით საქმე უფრო გამწვავდაო, რადგან სურსათის ნაკლებობა იყოვო.[95])

კახეთის ოლქის უფროსს გენერალ პორტნიაგინს მთლად დაებნა დავთრება, არ იცოდა როგორ მოქცეულიყო, რა [illegible] [illegible] [illegible]

იღებდა ნიშანსა. შუადღისას რუსებს დააკლდათ 25 დრაგუნი და მრავალი ცხენი. საქმე მეტის-მეტად გაუჭირდათ საგარეჯოს ციხის დამცველთ. მეამბოხენი მთებიდან ვაკეზე ჩამოვიდნენ და იერიშისათვის მოემზადნენ. სწორედ ამ სასოწარკვეთილების ჟამს მეციხოვნეებს ხსნა მოევლინათ. ტფილისიდან მომავალ გზიდან გაისმა ზარბაზნის გრიალი. საშველად წამოსული მაიორი ბუხვოსტოვი ხერსონის პოლკის ორი როტით მიუახლოვდა საგარეჯოს და ზარბაზნით აცნობა მოსვლა. მეამბოხეებმა დასცალეს ვენახები და მთებზე ავიდნენ. ალბად, იფიქრეს, დიდი ჯარი მოდისო. პორტნიაგინი მაინც ვერას გახდა და საგარეჯოში ვერ დადგებოდა. ბარგი-ბარხანა მთლად დასწვა და 8 თებერვლის ღამეს გამოიპარა მოსავლელ ტყის გზით. ცხენები ლაგამ-აღვირით მოჰყავდათ. გამოპარულებს მეამბოხენი აგრე რიგად არ აწუხებდნენ, ალბად, ვერ გაიგეს, რა გზით წამოვიდა პორტნიაგინი. ზარალიც აგრე რიგად დიდი არ მოსვლია საგარეჯოში გენერალს, სულ დააკლდა 35 ჯარის კაცი. ტფილისამდინ სამი დღე იარა და 12 თებერვალს მშვიდობით ტფილისში ჩამოვიდა.[96])

ბატონიშვილი დავით ცოტა სხვაგვარად აგვიწერს საგარეჯოს ამბავს. "ყამსა ამას გარდვიდნენ კახნი საგარეჯოს. მოკრბნენ საგარეჯოელნი და ბრძვეს პარტნეგინს ღიანარალს, იძლივა პორტნეგინი და მივიდა ხაშმსა, ხოლო კახთა მოჰსწვნენ სადგურნი მათნი და თივანიცა რუსთანი და მიუხდნენ ხაშმზედან. იქმნა მუნ ბრძოლაი მიშველებულსა მხედრობასა რუსთასა შორის, რომელიცა მიაშველა პორტნეგინსა ღიანარალ ბარონ კლოტმან ხუთასნი მხედრობანი რუსთანი. მაშინ იძლივნენ და მოსწყდნენ მრავალნი და ნაშთნი წავიდნენ ტფილისად და კახნიცა აღვიდნენ ხაშმისა თავსა სამებას. ხოლო ყაფლანმაცა დაუტევა ყარა-აღაჯის ციხე და წარემართა ტფილისისაკენ მხედრობითა თვისითა, რომელ არღარა დაშთა რუსი ქიზიყისა სამფლობელოსა შინა. ესე იყო თვესა თებერვალსა 5-სა".

---

96) ibid. გვ. 358 - 359; Акты, ტ. V, გვ. 72.

კახელები რომ სამებას ავიდნენ, მართალია; ისიც მართალია, რომ თებერვლის 10-12 რიცხვებში მთელი კახეთი გასუფთავდა რუსთა მხედრობისაგან, ივრისა და ალაზნის ხეობებზე აღარ იყო ჯარი ამ ჟამად, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ რუსობას ჯერ-ჯერობით ეჭირა თელავის ციხე და ყარა-აღაჯისა, სადაც თავი შეაფარა სიკვდილსა და ამოწყვეტას გადარჩენილმა მხედრობამ.

მაშ ესე, თებერვლის შუა რიცხვებში 1812 წ., შიდა და გარე კახეთი თითქმის გასუფთავდა რუსთა მხედრობისაგან, მათი მართვა-გამგეობა ხუხულასავით დაიფუშა ერთი შებერვით. თელავისა და ყარა-აღაჯის მშიერ-მწყურვალი მეციხოვნენი სათვალავში არაა მისაღები. ტლანქი უღელი, გამოჩორკნილი კაპიტან-ისპრავნიკთა და კომისიონერთა მიერ, ზედ შუაზედ გადატყდა და ნატეხები შიგ თავში მოხვდა პატივცემულ სასურსათო მოხელეთა და მათს მსგავსებსა. კახეთმა ძველებურად, ქართულად ამოისუნთქა და ქართულადვე დაიწყო ცხოვრება, ფიქრიანობა და აზროვნება. გულშემზარავი ჭყივილი საეგზეკუციო კომანდებისა აღარ გაისმოდა "კურთხეულ კახეთის" ველ-მინდვრებში, სოფლიდან სოფლად აღარ დაძუნძულებდნენ სამგლე იასაულები უნტერ-აფიცრებით საბეგრო ურმების მოსაკრეფად. ერთის სიტყვით, კახეთი მხიარულობდა, ამაყობდა გამარჯვებით და სუსხიანი თებერვალი რომ არ ყოფილიყო, ან ღვინო რომ არ შეესვა საეგზეკუციო კომანდებს, საყვარელ გაუთავებელ მრავალ-ჟამიერსაც ზედ დააყოლებდა.

ზემოდ მოვიხსენიეთ, რომ კახელებმა მეფე ამოირჩიესო. ბატონიშვილმა დავითმა იძუნწა და არ შეატყობინა შთამომავლობას, როდის ამოირჩიეს, სად, ან რა ცერემონიით მეფე. მაყრიონს და ქორწილს რა ლაზათი აქვს, თუ თავში "ნეფე" არაა გამოჭიმული. კახელებიც ასე მოიქცნენ, ბევრი ძებნაც არ დასჭირებიათ მეფის საშოვნად. იქვე კახეთში ყოფილა ბატონიშვილი გრიგოლი იოანეს ძე. თვით იოანე გიორგის ძე ამ ჟამად მოსკოვში იმყოფებოდა და როგორ დაავიწყდათ გრიგოლი და სხვებსავით თავი არ უკრეს რუსე-

თისკენ, ვერ გავიგეთ. გრიგოლი ერთად ერთი ბატონიშვილია, რომელიც დავიწყებოდათ მაშინდელ მთავარ-მართებლებს. დავიწყებული ჰყოლიათ თვით ქართველებსაც, თუმცა ბატონიშვილ დავითის უშვილობის გამო ქართველები ამ გრიგოლს ისე უცქეროდნენ, როგორც კანონიერ მემკვიდრეს. ამბოხების მეთაურებმა გრიგოლი მეფედ რომ გამოაცხადეს, კახეთი სიხარულით ფეხზე აღარ იყო. მცირე უკმაყოფილება არავის გამოუცხადებია, იმის გარჩევაშიც არავინ შესულა, რა კაცია გრიგოლი, შესძლებს მეფობას ამ ვნება და მღელვარებით სავსე დროსა, თუ არა. ამ საგნის გარჩევასა და გამოძიებას არავინ კისრულობდა. რაკი ხმა გავარდა, მეფე ამოვირჩიეთო, ყველამ ერთხმად იწამა და შეჰფიცა ერთგულობა, მეფობისთვის სიკვდილი და სამსახური. მოგეხსენებათ, რა ძნელია ქვრივობა და კახელებსაც ბავშვივით უხაროდათ, რომ ასე ადვილად გაათხოვეს მთელი თერთმეტი წელიწადი ქვრივობაში მყოფი საქართველო და საშუალება მიეცათ ძაძა გამოეცვალათ და გძელი წვერუში, ნიშანი მგლოვიარობისა, დაეპარსათ. კახელებს ალბად ერთი რამ ეწყინებოდათ ქორწილ-მხიარულობის დროს. აქ აღარ იყო კათოლიკოზი ანტონი. გენერალ ტორმასოვმა სწორედ უდროო დროს გაისტუმრა რუსეთს საქართველოს ეკლესიის უფროსი. კახელებს აკლდათ სუფრის მაკურთხებელი.

ბატონიშვილი გრიგოლი მალე შეეჩვია ახალ თანამდებობას და კარგად შეითვისა მეფობა. კახეთის ეკლესიებში გრიგოლს იხსენიებდნენ როგორც კანონიერ მეფეს.

ახლად არჩეული მეფე გრიგოლი მხნედ შეუდგა მეფობას. მთელ საქართველოს შეატყობინა ეს ამბავი და მოითხოვა მხნეობა და მამაცობა მტრის დანარჩენ რაზმების გასაწყვეტად. ყაზახი და ბორჩალო კანონიერი ნაწილი იყო მაშინდელის საქართველოსი, შესანიშნავ საერთაშორისო ისტორიულ ტრაქტატში 1783 წ. ეგენი მოხსენიებულია, როგორც განუყრელი ნაწილი სამეფოსი. მეფე გრიგოლმა ამათაც დაუგზავნა წერილები - დადგა ჟამი რუსების გაწყვეტისაო.

ყაზახელ აღალარს, მამედ-ჰასან აღას, ჩავარდნოდა ხელში ერთი ამ ქაღალდთაგანი. მამედ-აღამ ქაღალდი არავის აჩვენა, არც აღალარებს და არც ხალხსა, აიღო და ყაზახის მოურავ პოდპოლკოვნიკ თავ. ბებუთაშვილს გაუგზავნა.[97]) ბებუთაშვილმა კიდევ ქაღალდი უმაღლეს მთავრობას წარუდგინა. მარკიზი პაულუჩჩი, ქაღალდის თარგმანი რომ წაიკითხა, გულნატკენად მოახსენებს იმპერატორ ალექსანდრეს, ამ ქაღალდიდან ვსცანი, რომ მარტო კახეთის უბრალო ერი კი არ არის ამბოხებაში ჩათრეული, მთელი თავად-აზნაურობა იღებდა მონაწილეობას "ბუნტში"-ო. არც ერთი გვარი არ დარჩენილა, რომ ამ გულის ასამღვრევ და სულის შემაშფოთებელ ქაღალდზე ხელი არ მოეწერაო.[98])

XIII

ტფილისს დაბრუნებულმა გენერალ პორტნიაგინმა, როგორც უფროსმა ჩინით, ჩაიბარა საქართველოს გამგეობა მარკიზის მოსვლამდე. მეამბოხენი მოუახლოვდნენ ტფილისის გარშემო მდებარე სოფლებს. ს. ავჭალაში მეამბოხეებმა დაიჭირეს ქართლიდან წამოსული ბეგრის ურმები, დატვირთული სასურსათო პურით. შვიდი ურემი წაართვეს და მეურმეები გარეკეს. მცხეთის კარანტინს უბრძანა პორტნიაგინმა - გორიდან აღარავინ გამოუშვათ ქალაქში მტკვრის მარცხენა ნაპირით, თორემ ვაითუ მეამბოხეებმა ხელთ იგდონო.

ბორჩალო ზედ აკრავს საქართველოს დედა-ქალაქს. აქაურმა მოურავმა პოდპოლკოვნიკ თ. ერისთავმა შეატყობინა პორტნიაგინს, კახეთიდან ჩამოვიდნენ მეამბოხეთა გამოგზავნილი კაცები და თათრობას აგულიანებენ რუსების წინააღმდ-

97) თუ არა ესცდები, ეს ბებუთაშვილი მამა უნდა იყვეს ცნობილის გენერალ ვასილი იოსების ძე ბებუთაშვილისა.

98) Акты, ტ. V, გვ. 72.

ეგაო. თავს ნუ დაზოგავ, სწერდა პორტნიაგინი ერისთავს, ან როგორმე დაატყვევე მოღალატენი, ან სიცოცხლეს გამოასალმეო.

შიში მოელოდა ქალაქს მარტყოფიდან. მდ. იორიდან მოყოლებული მარტყოფამდე მეამბოხეებმა ყველაფერი ხელთ იგდეს და ქალაქს ემუქრებოდნენ. პორტნიაგინმა მარტყოფს გაგზავნა ხერსონის პოლკის ბატალიონი ოთხის ზარბაზნით პოლკოვნიკ ტიხანოვსკის უფროსობით, თვითონ-კი ტფილისის გამაგრებას შეუდგა. საიდუმლო ადგილებში ყარაულები ჩააყენა და ზარბაზნები ბატარეებზე დაალაგა.

მარტყოფელებმა მოჰკლეს სოფელში ჩაყენებული ურიადნიკი იარკოვი და ორი ყაზახი. მარტყობის პოსტის ხუთი ყაზახი შეიბრალეს და სიცოცხლე აჩუქეს, ესაა მხოლოდ, რომ რაც რამ ებადათ, წაართვეს და გაძარცულნი ტიხანოვსკის გაუგზავნეს. მათკენ მიმავალი პოლკოვნიკ ტიხანოვსკის ჯარი რომ დაინახეს, მეამბოხენი ხაშმის გზას დაადგნენ და ივრის ხეობისაკენ წავიდნენ. თვითონ მარტყოფელები, რაკი სიკეთეს არას მოელოდნენ მათზე ამხედრებულ ჯარისაგან, საჩქაროდ აიბარგნენ და დედა-ბუდიანად შეეხიზნენ მთიან და ბუნებით მაგარ ხეობას. შუა-გულ თებერვალში მთაში ასვლა დიდად სასიამოვნო არ იქნებოდა მარტყოფელ წვრილ-ფეხობისთვის, მაგრამ რა გაეწყობოდა, საცა არა სჯობს, გაცლა უმჯობესია.

პოლკოვნიკი ტიხანოვსკი გატრიალდა მარტყოფიდან და გამოეკიდა მეამბოხეებს ხაშმის გზაზე. ს. ხაშმთან შეიკრიფა თითქმის 4 ათასი მეამბოხე. აქ იყვნენ თუშნი, ფშავნი, ხევსურნი და თელავის მახლობელ სოფლელნი. მეთაურობდნენ მაშფოთართ კახელი თავადიშვილები. ხაშმს რომ მიუახლოვდა ტიხანოვსკი, მეამბოხეებმა თოფები დაახალეს, მაგრამ არ შეუშინდა მამაცი (ასე ეძახის მარკიზი ტიხანოვსკის) პოლკოვნიკი ტყვიის წვიმას და იერიში მიიტანა მეამბოხეთა ბანაკზე, რომელთაც ეპირათ ვენახები და სოფლის გარეშე მდებარე სერები. ტიხანოვსკი პირდაპირ ვენახებსა და სერებზე წავიდა, უმთავრესი ძალა მხედრობისა-კი გაგზავნა ბანაკის შუაგულში, ანუ ცენტრისაკენ. გაწვრთნილ

ჯარის იერიშს ვერ გაუძლეს მეამბოხეებმა. დიდი ზარალი მოუვიდათ ხიშტებისაგან, თითქმის 200 კაცი დაკლდათ მოკლული. ორიოდ-სამიოდე ფშაველი და ხევსური ტყვედ ჩაუვარდათ რუსებსა. იძლივნენ მეამბოხენი და მაგარ მთებს შეაფარეს თავი. რუსებს სულ მცირედი ზარალი მოუვიდათ. სათქმელადაც არა ღირს ამ ზარალის აღნიშვნა. ერთი გრენადერი მოუკლეს და 10 ჯარის კაცი დაუჭრეს. სწორედ დაუჯერებელია ეს ზარალი. ოთხი ათასმა კაცმა, თუნდ შორიდანაც თოფი რომ დაახალოს ბატალიონს, ნუ თუ მარტო ერთი გრენადერი უნდა წააქციოს და 10 დასჭრას. მარკიზი პაულუჩჩი ასე მოახსენებს იმპერატორს და ჩვენც, გინდა თუ არა, უნდა ვირწმუნოთ.

ხაშმელების უბედურობა მოხდა 19 თებერვალს. პოლკოვნიკ ტიხანოვსკის სიტყვით, ხაშმთან დამარცხებამ თავს ზარი დასცა მეამბოხეებსაო. მეორე დღეს ბოდიშის მოსახდელად მისულან პოლკოვნიკთან ყარაბულახელნი, უჯარმელები, ხაშმელები, სართიჭალელები და მუღანლოელები და უთხოვნიათ - ნება მოგვეცი ჩვენ ბინებზე დავბრუნდეთო. რაკი ნებართვა აუღიათ, მთებიდან ცოლ-შვილი ჩამოუყვანიათ და თავ-თავიანთ სახლებში დაბინავებულან.

ტიხანოვსკის თანა ჰყავდა ერთგული ქართველი თავადიშვილები. ამ თავადიშვილების წყალობით და აგრედვე დეკანოზ მარკოზოვისა პოლკოვნიკ ტიხანოვსკიმ მარტყოფელებს პირჯვარი დასწერა და ხელმწიფის მორჩილებაერთგულობაზე დაითანხმა. მარტყოფელებმა შეისმინეს ჩაგონება დეკანოზისა და რუსეთის ერთგულ თავადიშვილებისა და მიიღეს ფიცი რუსეთის მთავრობის ერთგულობაზე.

რუსები რომ ეწვივნენ ჩვენს ქვეყანას, დიდ ხანს ვერ დაამყარეს საქართველოში სიწყნარე, სიმშვიდე და მორჩილება. ჯერ კიდევ ქედ-მაღალი იყო მაშინდელი ქართველი, მონური მორჩილება ეხამუშებოდა და ხშირად "ბუნტობდა", ანუ, ჩვენებურად რომ ვსთქვათ, ტლინკებს ისვროდა. სამხედრო კამანდები და ზოგჯერ დიდი ლაშქარი აყუჩებდა ზარბაზნის ყუმბარით, ან ხიშტით გაავზნებულ ქართველს და

დაწყნარების შემდეგ ერთგულობის ფიცს მიაღებინებდა ხოლმე. ისე გახშირდა ერთგულობის ფიცის მიღება, რომ ბოლოს ყოველი ფასი დაეკარგა ფიცის მიღებას. ერთისა და იმავე კუთხის მკვიდრს მრავალჯერ მიუღია ფიცი ერთგულობისა და მაინც გაუტეხია იგი. ეს გარემოება უნდა იყვეს მიზეზი, რომ შემდეგ დროებში ჩვენში ჩალის ფასად გახდა ფიცი. ორიოდე გროში თუ დახარჯე, რამდენიც გნებავთ, იმდენს იშოვნით ტყუილ მაფიცარს. ყველაფერს საფუძველი ისტორიაში უნდა მოუძებნოს კაცმა. ორ-სამ დღეში არა ტყდება ხასიათი ერისა, ორ-სამ დღეში არ იხრწნება ზნე და რწმენა ერისა. დიდი შრომა და ღვაწლია საჭირო ერის გათახსირებისათვის და აკი არ იშურებდნენ არც ერთსა და არც მეორეს ერის კარგის თვისებათა შესაბღალად.

დროა ახლა ქართლს მივხედოთ. მაშინდელმა საქართველომ არ იცოდა, რა ხილი იყო დღევანდელი სტრატეგია და ტაქტიკა. მართალია, არ იცოდა სამხედრო მეცნიერების დედააზრი, მაგრამ ის-კი კარგად იცოდა, რომ რუსების ამოსაწყვეტად საჭიროა მასაზრდოებელი გზა მოეჭრას რუსის მხედრობას. ეს გზაა დღევანდელი საქართველოს სამხედრო გზა, ანუ დარიალის ვიწრო ხეობა. თუ დარიალის ხეობას შეჰკრავდნენ მეამბოხენი და შიდა რუსეთიდან მაშველ ჯარს აღარ შემოუშვებდნენ, თუ ამ ერთად-ერთი გზით რუსები სამხედრო მასალას ვეღარ მოზიდავდნენ, ცხადია, რომ რუსების ბატონობა ჩვენს ქვეყანაში საეჭვო შეიქმნებოდა. ამისათვის კახელებმა გაშალეს თუ არა ამბოხების დროშა, ანანურის მაზრაში შიკრიკები აფრინეს, აიშალენით და ჩვენთან ერთად იმოქმედეთ რუსთა მხედრობის წინააღმდეგაო. რადგან არაგველობა და მთა იმავე ტაფაში იწვოდა, როგორშიაც ქართლ-კახეთი იხრაკებოდა და უფრო მეტადაც, ვინაიდან სამხედრო გზაზე მუშაობა და სამხედრო მასალის ზიდვა აუტანელ ტვირთად დააწვა ანანურის მაზრის მკვიდრსა, შიკრიკებს ბევრი ხვეწნა და მუდარა არ დასჭირდათ. არაგველებმა, მთიულებმა, გუდამაყრელებმა და მთის დანარჩენ მკვიდრთ სიხარულით მოისმინეს შემონათვალი და აცნობეს

კახელობას - თქვენთან ერთად გავწყდებით და მტერს ბოლოს მოვუღებთო. სულ რაღაც ერთმა კვირამ გაიარა, რაც თიანეთსა და ახმეტას "ბუნტი" დაიწყო, და მთელი ანანურის მაზრა აჯანყების ბოლსა და კვამლში გაეხვია. თებერვლის ათს 1812 წ. ფასანაურის პოსტზე მდგარი რუსები გაულიტეს, ანანურისა და ღართის-კარის მეციხოვნეთ ალყა შემოარტყეს და სამხედრო გზაზე მისვლა-მოსვლა სრულიად მოსპეს.[99])

დაწვრილებით ანანურის აჯანყების ამბავი ასეა. თებერვლის 9-ს "უსიამოვნო" ამბავი მოუვიდა ბარონ კლოტს. სოფ. ბულაჩაურს 1000 მეამბოხე შეიკრიფა და მათი რაზმი ყოველ დღე მატულობსო. თითქმის სოფელი არ დარჩენილა ანანურის მაზრაში, რომ ამბოხების გზას არ დასდგომოდა. თვით ანანურს, საქართველოს "კარს" (რუსულად: ключъ) ალყა შემოარტყეს და ციხეში აღარავის უშვებდნენ. ანანურის სათემო ისპრავნიკმა მოსწერა ბარონს თებერვლის ათსა: არ ვიცი როგორ ვუშველო ანანურსა. ყველა ამბოხებას მიეცა და მშველელი არავინაა. ანანურს 1000 კაცი ახვევია გარსა, ყოველ დღე მატულობს მათი რიცხვი და მე-კი ათიოდე კაცი-ლა შემრჩა ერთგული. საგურამოს მინდვრებზე თავი მოიყარა 500 კაცამდე და აპირობენ ღართის-კარს დაეცნენ. რაკი ასეთ გაჭირვებაში ჩაცვინდნენ ანანურის მეციხოვნენი, ბძანება გაეგზავნა კაპიტან საგინაშვილს, რომელიც ტფილისში მოდიოდა ქართლიდან საქართველოს გრენადერთა პოლკის ორი როტა სალდათით, მიეშველოს ღართის-კარს, სადაც დაბანაკებული იყო ორი როტა ჯარი, შეაერთოს ჯარები და იმოქმედოს არაგველ მეამბოხეთა წინააღმდეგ. ამასთანავე კაპიტან საგინაშვილს დაევალა გაგზავნოს პატარა რაზმი ს. მუხრანს სახელმწიფო სასურსათო მაღაზიის დასაცველად და გაგზავნოს ორმოცდაათი ჯარის კაცი მცხეთის ხიდის შესანახად. მცხეთის ხიდს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც ეს ხიდი რომ გაეფუჭებინათ, ტფილისი სავსებით მოსწყდებოდა ანანურის მაზრას და საქართველოს სამხედრო გზასა.

---

99) იხ. Акты ტ.V, გვ. 70 - 74; утв. ტ. II, გვ. 360.

ანანურის სათემო ისპრავნიკის ფართი-ფურთობიდან არაფერი გამოვიდა. შეეკრიფა რაღაც 200 სოფლელი და დააპირა ანანურის გზის გარღვევა და შიგ ციხეში შესვლა. ისპრავნიკს და მის მხლებლებს მეამბოხეებმა თოფები დაუშინეს, მიუახლოვდა თუ არა ციხეს და ორის ტყვიით ფეხში მძიმედ დასჭრეს. მხლებლები შემოეფანტნენ და აჯანყებულთ შეუერთდნენ. ფეხში დაჭრილმა ისპრავნიკმა მოჰკურცხლა და გორში ბრეგვა გაადინა.[100])

სასიამოვნო ამბავს ანანურიდან არც მუხრან-ბატონი, გენერალ-მაიორი თ. კონსტანტინე ივანეს ძე ატყობინებდა მთავრობას. მუხრან-ბატონი დიდი და გავლენიანი მემამულე გახლდა, მთავრობა ენდობოდა და ამისთვის სწორედ ეს ქართველი ფეოდალი გაგზავნეს ხალხის დასაწყნარებლად. თავადმა კონსტანტინემ შეჰკრიფა ორასიოდე წვრილ-ფეხა აზნაური და გლეხობა, თან წაიყვანა მაიორი თორნიკე ერისთავი და ანანურის ციხისაკენ გაემართა, მაგრამ შეშინდა რუსის ერთგული გენერალი, შეშინდა აგრედვე რუსების ერთგული თორნიკე ერისთავი[101]) და იერიში ვერ მიიტანეს ანანურზე. ისე შიში არაა აქ მოსატანი, როგორც ისა, რომ მუხრან-ბატონი ვერ ენდობოდა რაზმსა. გაჭირვების დროს უღალატებდა რაზმი, როგორც უღალატა ანანურის სათემო ისპრავნიკსა. ამისთვის ბარონ კლოტს მოსწერა-რუსის მხედრობა მომაშველე, თორემ ჩემის ჯარით ვერას გავაწყობო.

გენერალ ბარონ კლოტმა საჩქაროდ ქაღალდი გაუგზავნა ქართლიდან წამოსულ საქართველოს გრენადერთა ბატალიონის კამანდირს პოდპოლკოვნიკ უშაკოვს - ტფილისში ნუღარ ჩამოხვალ, შემოიკრიფე ღართის-კარისა და მუხრანის მეციხოვნენი და პირდაპირ ანანურს გასწიე ციხის საშველადაო. ჯაშუშების ხელით ბარონმა გაუგზავნა ბრძანება ვლად-

---

100) Ibid. გვ. 71. კარგი სიტყვაა ხმარებული მარკიზის უქვეშევრდომილეს მოხსენებაში იმის გამოსახატავად, თუ როგორ აპირებდა ისპრავნიკი ანანურში შესვლას, — "покусился было пробиться въ крѣпость Анануръ сквозь мятежныя толпы".

101) Ibid. 71. რუსულად: " также вѣрный и усердный къ Россіи".

იკავკავის ციხის უფროსს გენერალ-მაიორ დელპო

ისას პოდპოლკოვნიკი უშაკოვი მიუხტა დუშეთს, აიღო ფორ-შტადი და შემდეგ თვით დუშეთის ციხე. ბრძოლა გაგრძელდა სულ ორ საათს. ციხეში თურმე 30 მეციხოვნე ყოფილიყო და ეს 30 კაცი ორ საათს ებრძოდა ქართველ გრენადერთა პოლკის ხუთ როტას, რომელშიაც სულ ცოტა ხუთასი კაცი იქნებოდა. უშაკოვის მოწმობით, ძალიან ბევრი მეომარი მოუკალით მეამბოხეებსაო ორთავ შეტაკებაში, მჭადის-ჯვრის სერებზე და დუშეთზე, თვითონ კი ეს ზარალი მოსვლია: მოუკლეს 10 ჯარის-კაცი; დაიჭრა კაპიტანი თ. ივ. ნ. აბხაზი (რუსულად: აბხაზოვი) და 22 ჯარის კაცი.[102])

პოდპოლკოვნიკი უშაკოვი დუშეთისაკენ რომ წავიდა მჭადის-ჯვრის გზით, მისწერა წიგნი ღართის-კარში კაპიტან საგინაშვილს, დუშეთისაკენ წამოდი და მომეშველეო. საგინა-შვილმა 11 თუბერვალს წაიყვანა სამი როტა ჯარი, 40 ყაზახი და გასწია დუშეთს. თანა ჰქონდა ერთი ზარბაზანი. გზა ტყე-ტყე მიდიოდა, გაიარა თუ არა ექვსიოდე ვერსი, საგინა-შვილს წრე შემოავლეს მეამბოხეებმა და თოფები დაუშინეს. იქვე ბრძოლის დასაწყისში საგინაშვილი მძიმედ დაიჭრა; მისი მაგიერობა იკისრა პორუჩიკ ცაცკამ, მაგრამ ეს აფიცერიც დაიჭრა. დარჩა რაზმი უკამანდიროთ.

ბრძოლა გამწვავდა. მეამბოხეთა რიცხვი მატულობდა და 1500 კაცამდისინ ავიდა. რაღა უნდა ექნა საგინაშვილს? მტრის გარღვევა რადგან შეუძლებელი გახდა, უბრძანა ჯარს უკან დაბრუნებულიყო და იმავ საღამოს ღართის-კარში ჩამოვიდა რაზმი. ზარალი აგრე რიგად დიდი არ მოსვლია საგინაშვილს: მოუკლეს 6 ჯარის კაცი; დაუჭრეს სამი აფიცერი და 18 ჯარის კაცი. მოუკლავთ აგრედვე ერთი ქართველი თავადიშვილი სოლომონ მაღალაშვილი.[103])

სულ სხვანაირად აგვიწერს ბატონიშვილი დავით ბრძ-ოლის ამ ეპიზოდს. აი რას მოგვითხრობს მემატიანე: "მაშინ არაგვის პირმანცა აღადგინა შფოთი პირისპირ რუსეთისა!

---

102) ibid 73.

103) ibid გვ. 73.

შთაეხმარნენ ფშაველნი და მოჰსწყვიტნეს ყოველნივე მუნ მყოფნი რუსნი ფასანაურსა და ანანურსა, ხოლო კამენდანტი ანანურისა გამაგრდა ციხესა შინა. მაშინ ბარონ კლოტმან ღიანარალმან, რომელიცა იყო მოადგილედ მარკიზისა ტფილისსა, ვინაიდან მარკიზი ჟამსა მას იმყოფებოდა ბაქუს, წარავლინა არაგვიანთა ზედა პოლკოვნიკი უშაკოვი ათასითა მხედრობითა და მუხრანის ბატონიშვილი კონსტანტინე, ძე იოვანე მუხრან-ბატონისა, წარატანა თანა, რამეთუ ესე კონსტანტინე იყო ფრიად ერთგული რუსთა და არა კეთილობისა მოსურნე ქართველთა და მოვიდა კობიანთ-კარს და დაესხა კობიანთ თავსა. იქმნა მუნ ბრძოლა ძლიერი, იძლიევნენ რუსნი და მოკლეს რუსი ასორმოცდა ათი კაცი და სიღამემან გაჰნყარნა. მაშინ კონსტანტინემან დაუწყო ტკბილი საუბარი, მიიტყუა ფიცით სამოცდაათნი კაცნი არაგვის პირისანი - აი უსჯულო სვინიდისი! - და სრულიად მოაშთობინნა იგინნი რუსთა (ესე იგი დაახრჩეს); მოწვა კობიანთ-კარი და დუშეთი, გარდავიდა რუსთა მხედრობითა და მოწვა ანანური, პაველეური და ციხისძირი. ჟამსა ამას მოვიდა ბულაჩაურზედა სხვა ახალი სამასი კაცი რუსთა მხედრობა. იქმნა მუნ ბრძოლაი. იძლიევნენ რუსნი ბულაჩაურითგან, მოკლეს წინამძღვარი მათი მაღალაშვილი სოლომონ, ძე დავითის და დაჰკოდეს კაპიტანი საგინაშვილი ზურაბ, ძე პაპუასი. ჰსცნა რა კონსტანტინემან, გარდაუძღვნა ანანურით რუსთა და მოაწვევინა ბულაჩაური სრულიად.

მარკიზი არასა ბრძანებს, მართლა დაახრჩობინა კონსტანტინე მუხრან-ბატონმა 70 კაცი არაგვის პირისა თუ არა. მემატიანე დავითი გადაჭრით ამოწმებს ამ საშინელ ამბავსა და შეწუხებულ-აღშფოთებული კილოთი ღაღადებს: აი უსჯულო სვინიდისოვო!

საჭიროა სხვა ისტორიული საბუთი, რომ ბრალიანს ბრალი დავდოთ და თუ კონსტანტინე უდანაშაულოა, ეს საშინელი მსჯავრი ისტორიისა ავხადოთ.

XIV

მეამბოხეებმა, როგორც ზემოდ მოვიხსენიეთ, შეჰკრეს საქართველოს სამხედრო გზა და ცოტა არ იყვეს, გული მოიფონეს, - რუსის მაშველი მხედრობა საქართველოში ვეღარ შემოვა და აქაურებს ჩვენც გავუსწორდებითო. მაინც გული ეთანაღრებოდათ, ვაითუ რუსების ერთგულმა გაბრიელ ყაზბეგმა გზა გახსნას და კავკასიის ქედზე ჯარი გადმოატარ-ოსო.[104]) გულის მოსაგებად, ასე გაშინჯეთ, მეფობაც-კი შესთავაზეს მეამბოხეებმა გაბრიელსა, მაგრამ ყაზბეგმა სახ-ელ გატეხილ ქართულ მეფობას რუსის ჩინ-ორდენები არჩია და ერთხელ მიღებული ფიცი ერთგულობისა არ გასტეხა.

შეატყობინეს თუ არა, რომ ფასანაურის პოსტს მეამბოხენი გარს შემოეხვივნენო, პოლკოვნიკი გაბრიელ ყაზბეგი ვლადიკავკაზს აიჭრა და პირადად სთხოვა ციხის კამენდანტს გენერალ-მაიორ დელპოცოს, ჩქარა ჯარი გაგზავნე გზის გასახსნელად, თორემ მერე გვიანღა იქნებაო. დელპოცო დაფაცურდა, ჩამოვიდა ლარსში და უბრძანა მაიორ ბარსოვს წასულიყო ანანურს ერთი როტა სუზდალის პოლკის ჯარითა და თან წაეღო ერთი ზარბაზანი. ძნელი იყო ზარბაზნის გადმოთრევა და ჯარის გადმოყვანა შუაგულ ზამთარში კავკასი-ონის ქედზე, მაგრამ სიძნელისა არ ეშინოდა გაბრიელსა და იმედი ჰქონდა, რომ ჯარსაც უვნებლად მოიყვანდა ანანურს მორჩილ მთიულთა დახმარებით და მთასაც მორჩილების გზაზე დააყენებდა. გაბრიელის იმედსა და დაპირებას უბრალო ბაქიობად არ მიიღებდა რუსის მთავრობა, რადგან ყაზბეგი

---

104) მარკიზი ყაზბეგს ასე ახასიათებს: истинно усердный и вѣрный. იხ. Акты, ტ. V, 83-73.

მართლა რომ გამოცდილი და სარისტიანი კაცი იყო. ვინ მოსთვლის რამდენჯერ დაუხსნია გაბრიელს გაჭირვებისაგან რუსის მხედრობა.[105])

ჟამსა იწროებისასა იმედიანი სიტყვა და დაპირება გაბრიელისა დიდი ნუგეში იყო გენერალ პორტნიაგინისათვის, კრუხივით რომ მოიკალათა ტფილისში და გარედ გასვლას რომ ვეღარ ბედავდა. სანუგეშო ამბები გამოუგზავნეს შეშინებულ გენერალს ქართლისა და ბამბაკის ოლქის უფროსებმაც. ბამბაკის უფროსი გენერალი ლისანევიჩი ატყობინებდა, საჩქაროდ გიგზავნი ერთ ბატალიონ ჯარსა და ბატალიონი რომ უფრო მალე ჩამოვიდეს ტფილისს გამოვისტუმრე მოკლე უზუნლარის გზით, თუმცა სასიარულოდ ძნელი და უვარგისია ეს გზაო. ამასთანავე ჩემდა მიერ რწმუნებულ დისტანციის სამზღვრები მაგრად შევკარი, რომ საქართველოში მომხდარ აჯანყების ხმამ აქაც არ მოაღწიოსო. გენერალი სტალი კიდევ იმას იწერებოდა ქართლიდან, რომ თუმცა აჯანყება ჯერ არ დაწყებულა, მაგრამ ხალხი სიხარულით ფეხზე აღარა სდგა, კახელების აჯანყების ამბავი რომ გაიგოვო. ერისთვიანთ მადლობელი უნდა ვიყვნეთ, რომ ქსნის-პირელნი არ შეუერთდნენ მაშფოთართ, თუმცა კაცი-კაცზე მოსდიოდათ და უთვლიდნენ, ერთად ვიმოქმედოთ რუსების წინააღმდეგო. მართალია, არხეინადა ვარ, მაგრამ ვინ იცის, აუტკივარი თავი რაზე ავიტკივო და ამის გამო წინადვე სამზადისს შევუდექი, თუ ვინიცობაა აჯანყება დაიწყოვო. გაბნეული კამანდები შევკრიფე და იმისთანა ადგილებში ჩავაყენე, რომ ამბოხების დროს ერთმანეთს უცბად გაუწოდოს დახმარების ხელიო.[106])

ურიგო ამბავს არც პოდპოლკოვნიკი უშაკოვი იწერებოდა. დუშეთის დამორჩილების შემდეგ უშაკოვი დაუყოვნებლივ გაემართა ანანურისაკენ. დუშეთიდან ორი ვერსის მანძილზე ანანურის გზაზე დამდგარ რუსის მხედრობას წინ

105) ვინც არ დაიზარებს და თვალს გადავლებს ისტორიულ ამბავს „მთიულეთი 1804 წ.", სავსებით გაითვალისწინებს, თუ ვინ იყო გაბრიელ ყაზბეგი და რა სიკეთე მოუტანა მაშინდელ რუსის მთავრობას რუევა-მოძრაობის დროს.

106) Акты, ტ. V, გვ. 74.

გადაეღობნენ აჯანყებულნი და სროლა აუტეხეს. ბრძოლა გაგრძელდა დილის 6 საათიდან საღამოს 5 საათამდე. უშაკოვმა გზა გაიკვლია, ანანურს ავიდა და შეება აჯანყებულთ, ციხეს რომ ეხვივნენ გარსა. იძლივნენ მეამბოხენი და გამარჯვებული უშაკოვი ციხეში შევიდა. მართალია, ანანური განსაცდელს გადარჩა, მაგრამ თვით მაზრა ანანურისა ჯერ კიდევ დამშვიდებულად ვერ ჩაითვლებოდა, რადგან მარტო კახეთიდან მოსული მეამბოხე 1000 კაცამდე ადიოდა. ანანურში მომქმედ კახელობას უფროსობდა თ. იოსებ სიდამონოვი. ეს რაზმი დათარეშობდა არაგვის მარჯვენა ნაპირზე და ჯერჯერობით უშაკოვთან შეტაკება არა ჰქონია.

პოდპოლკოვნიკ უშაკოვის რაზმი დაბანაკდა ანანურის ციხის გვერდზე. მეამბოხენი მოსვენებას არ აძლევდნენ რაზმსა და სხვა და სხვა მხრიდან მიუხტებოდნენ ხოლმე. ამგვარმა სითამამემ ძალზე გააბრაზა მხნე და გამარჯვებული პოდპოლკოვნიკი და განიძრახა მოუსვენარ მტრის სამაგალითოდ დასჯა. ენა-ტანიებმა შეატყობინეს, რომ ანანურიდან სამი ვერსის მანძილზე დაბანაკებულია 70 კაცი მეამბოხეო. თებერვლის 17 უშაკოვმა თან წაიყვანა 159 გრენადერი, ჩუმად მიეპარა ღამე მეამბოხეთა ბანაკს, ეკვეთა და თითქმის სავსებით გაჟლიტა. გადარჩა სიკვდილს 15 კაცი და ესენიც ტყვედ წამოიყვანა გულადმა პოდპოლკოვნიკმა. უშაკოვს მცირე ზარალი მოუვიდა, მოუკლეს ორი გრენადერი და დაუჭრეს ორი. ასეთი მცირე ზარალი იმის მაჩვენებელია, რომ რუსები მძინარეებს დასხმიან თავსა. უშაკოვმა ხელთ იგდო ერთი უმთავრესი მეთაური არაგვისპირელ მეამბოხეთა, სწორედ ისა, რომელმაც ლაზათიანად შეამკო ანანურის კამენდანტი და სთხოვა ციხე ჩაგვაბარეო. შიშისა და მაგალითისათვის დატყვევებული მეთაური ჩამოაღრჩეს 18 თებერვალს, დილით. მეამბოხეთა ბანაკის აკლებამ და უმთავრესად მეამბოხის ჩამოღრჩობამ თავზარი დასცა მეამბოხეებსაო, იწერებოდა უშაკოვი, გული გაუტყდათ და მორჩილება ითხოვესო. მთელი ანანურის მაზრის მცხოვრებლებმა ხელმწიფე იმპერატორის ერთგულობაზე ფიცი მიიღეს და დაყუჩნდნენო. სწორედ ამ

ჟამად ტყვეობიდან გამოექცათ არაგვისპირელებს ერთი ყაზახი და უშაკოვს მოახსენა ფასანაურის პოსტის ამოწყვეტის ამბავი. რუსეთიდან ფასანაურში ახლად ჩამოსულიყო ერთი როტა სალდათი და სწორედ ეს ახლად ჩამოსული როტა გაანადგურეს მეამბოხეებმაო.

ზემოდ მოვიხსენიეთ, რომ კონსტანტინე მუხრან-ბატონმა "მოაშთობინა" 70 კაცი არაგვისპირისანი. ბატონიშვილ დავითის მოთხრობა და უშაკოვის მოხსენება რომ დაუპირისპიროთ, უეჭველად უნდა ვიფიქროთ, რომ ორივენი ერთსა და იმავე ფაქტს გვიამბობენ. შორიდან სხვა და სხვაობა ეტყობა, მაგრამ არსებითად ერთი და იგივეა. ვითომდა მამაცი უშაკოვი, 150 გრენადერით, ქურდულად თავს დაესხა მძინარე არაგველებს და უმოწყალოდ შემუსრა, ხოლო წინამძღოლი ხალხის თვალწინ ჩამოაღრჩო. უშაკოვი თავისთავად ღამე უცხო და უცნობ ადგილს ვერ გაითარეშებდა. ეჭვი არაა, რომ ვინმე ქართველი წაუძღვებოდა წინა და გზას უჩვენებდა. გზის მაჩვენებლად გამოდის გენერალი კონსტანტინე მუხრან-ბატონი, ასე რომ გაოცებით ნათქვამი დავითისა: "ჰოი უსჯულო სვინიდისოვო", მნიშვნელობას არა ჰკარგავს.

რაკი ანანურელები მიფანტ-მოფანტა პოდპოლკოვნიკ უშაკოვმა, თავისუფლად დაიწყო სიარული სოფლიდან სოფელს, ზოგან ძალით აფიცებდა ხალხს ხელმწიფე იმპერატორის ერთგულობაზე, ზოგან-კი თავის ნებით მიდიოდა "მამაც" სარდალთან დამფრთხალი სოფლელობა ფიცის მისაღებად. მართალია, ანანურის ციხე სამწუხარო სურათს წარმოადგენდა, რადგან მეამბოხეებმა სახელმწიფო თივა მოიტაცეს, წაიღეს აგრედვე რაც პური მოეგროვებინათ რუსებს სასურსათო მაღაზიაში, მრავალ მოხელეს სახლ-კარი დაუწვეს და ქონება დასტაცეს, მაგრამ ამ ზარალს ვიღა იდარდებდა, რაკი მაზრა დააწყნარეს და ხალხს ფიცი მიაღებინეს. სუზდალის როტაც გადმოვიდა მთაზე დიდის გაჭირვებით და კაიშაურში დადგა, ასე რომ საქართველოს სამხედრო გზა გაიხსნა და რუსის მთავრობამ დიდი ხიფათი და განსაცდელი აიცილა თავიდან. ერთი სიტყვით მამაცმა უშაკოვმა საქმე გაჩალხა და

იმედით სავსე რაპორტებს უგზავნიდა ტფილისში პორტნიაგინს. ერთი რამ ვერ მოაგვარა უშაკოვმა და ეს ერთი იყო, რომ ჩრდილს აყენებდა მის გამარჯვებას. უშაკოვმა ვერას გზით ვერ მოახერხა ხელში ჩაეგდო კახეთიდან მოსული მეამბოხენი. მერე ცოტანიც ხომ არ იყვნენ! თითქმის ათას კაცამდე იქნებოდა კახელების რაზმი. იგინი დაბანაკდნენ სოფ. საშაბუროს და ელოდნენ მთის პასუხს. რაზმის მეთაური და უფროსი თავადი იოსებ სიდამონოვი (ერისთავი) კარგა ხანია წასული იყო მთაში დახმარების სათხოვნელად. არაგვის ბატონ ბეჟან ერისთავის შვილი თავადი იოსებ ერისთავი გაემგზავრა გუდამაყარს და მეცადინეობდა აეღელვებინა როგორც გუდამაყარელნი, აგრედვე სხვა ხეობათა მცხოვრებნი.[107])

ნათქვამს თავი რომ მოვუყაროთ, თვალწინ ასეთი სურათი დაგვეხატება: თებერვლის ოცს შეკრული საქართველოს სამხედრო გზა გახსნა ორპირად წასულმა ჯარმა. ანანურისა და დუშეთის მაზრათა მკვიდრნი დაწყნარდნენ, დუშეთისა და ანანურის ციხენი ისევ რუსებს დარჩათ. არაგვზე დარჩა საბრძოლველად მხოლოდ თ. იოსებ სიდამონოვის ათასკაციანი რაზმი, ს. საშაბუროში დაბანაკებული. ტფილისის მიდამოები გასწმინდა მეამბოხეთაგან პოლკოვნიკმა ტიხანოვსკიმ. მთელი კახეთი, დღევანდელი თიანეთისა, თელავისა და სიღნაღის მაზრები, მეამბოხეებს ეჭირათ ხელში გარდა თელავისა და ყარა-აღაჯისა. თელავში მოემწყვდნენ მაიორები შმატოვი და ვრონსკი 300 ჯარის კაცით და ყარა-აღაჯის ციხეში შეიკრიბა: ქვედა ნოვგოროდელ დრაგუნთა პოლკის ორი ესკადრონი, ს. ფხოვლიდან ჩასული ეგერთა ერთი როტა, ს. ბოდბისხევიდან ძალზე შებერტყილი ერთი ბატალიონი ყაბარდოს პოლკისა და ელისეს სასულთანოდან მოსულ მაიორ ორბელიანის უფროსობით ორი როტა ყაბარდოს პოლკისა ერთის ზარბაზნით.

ასეთი იყო საქმის ვითარება თებერვლის ოცსა. 21 თებერვალს თვით მარკიზი პაულუჩჩი ჩამოვიდა ყარაბაღიდან ტფილისს. მარკიზი ისე ჩქარობდა მოსვლას საქართველოში,

---

107) Ibid. ტ. V, გვ. 74 - 75.

რომ ორი დღის მეტი არ გაჩერებულა ქ. შუშაში. ყარაბაღის სახანოს საქმეების მართვა-გამგეობა და მოწყობა მიანდო მამაცობით განთქმულ გენერალ მაიორ ი.ვ. კატლიარევსკის და თვითონ ქუდმოგლეჯილიო რომ იტყვიან, ისე მოეშურებოდა ტფილისისაკენ. ელდა ეცა რომ მოახსენეს, ორი კვირაა რაც აღარ ვიცით, რა დაემართა ყარა-აღაჯის ციხეში მომწყვდეულ ჯარსაო. ცეცხლივით აენთო მარკიზი, პორტნიაგინი რომ დაინახა ტფილისში გულ-ხელ-დაკრეფილი. იმის მაგივრად რომ კახეთს მოუარო, უპატრონო, იმის მაგივრად რომ რაკი კახელობა "აბუნტდა", შემწეობა მოგეთხოვა და ამბოხება მოგესპო, ჩამობრძანებულხარ ტფილისში, თან წამოგიყვანია მთელი პოლკი და ანანურისა და ტფილისის ჯარების უფროსობა გიკისრიაო. ერთი მიბრძანე, ამიხსენი და გამაგებინე, რაა მიზეზი ამ უცნაურის საქციელისაო, სწერდა მარკიზი შეშინებულს პორტნიაგინს. გენერალ პორტნიაგინმა რაპორტი მიართვა მარკიზსა, ავადა ვარო და ამ გვარად სავსებით ჩამოშორდა აჯანყების საქმეს და შემდეგში აღარაფერი მონაწილეობა აღარ მიუღია საქმეთა მსვლელობა-მიმდინარეობაში.[108])

ციბრუტივით დატრიალდა პაულუჩჩი. თავად ციციშვილის მიმბაძველი იმასავით აპირებდა მოქმედებას, ესე იგი ფიცხად უნდა შეუტიო მტერსა, რომ გონებას ვერ მოვიდეს და დავთრები დაებნასო. ანანურისა და ტფილისის მაზრათა ოლქის უფროსად დაადგინა გენერალი კლოდტ-ფონ-იურგენსბურგი, პორტნიაგინის ავადმყოფობის გამო კახეთში სამოქმედო ჯარის უფროსობა თვითონ იკისრა. ბამბაკიდან მოსულ ბატალიონს უბრძანა - წადი ს. ხაშმს, შეუერთდი ტიხანოვსკის და უცადეთ ჩემს ბრძანებასაო. უშაკოვს კიდევ მისწერა, დაუყოვნებლივ დაეცი თავსა საშაბურაში შეკრებილ მეამბოხეებს, დაამარცხე და ს. ბულაჩაურში ჩადიო. ს. ბულაჩაური მნიშვნელოვანი ადგილია, რადგან აერთებს ანანურისა და თიანეთის მაზრებს. ღართის-კარის პოსტის უფროსს მაიორ

108) იხ. �... ტ. II. გვ. 364 - 365.

კრუჟკოვს უბრძანა-დაუყოვნებლივ ადი სამშაბუროს 150 კაცით და დახმარება გაუწიე უშაკოვსაო. ასეთ მზადება-განკარგულებაში რომ იყო მარკიზი, სამწუხარო ამბავი შეატყობინა ყაზახის მოურავმა, 1000 ლეკი ჩამოვიდა ალაზანზე და კახელობას შეუერთდაო. აქაც არ მისვენებენ მეამბოხენიო, წუწუნებდა მოურავი, კაცებსა ჰგზავნიან და აქაურ თათრობას აგულიანებენ ხელმწიფე იმპერატორის მხედრობის წინააღმდეგაო. მაგრამ ამისთანა გულ-გასაწვრილებელ ამბებს თავს ვეღარ დაუდებდა მარკიზი, რადგან 23 თებერვალს თვითონ აპირებდა ხაშმში ასვლას, ჯარის უფროსობის ხელში აღებას და კახეთისაკენ გალაშქრებას.

ვიდრე ტფილისიდან გავიდოდა მარკიზი, უშაკოვმა ერთხელ კიდევ დაამარცხა მეამბოხენი და ამ დამარცხებით საბოლოოდ დაამხო მათი ძალა. საშაბუროში გამაგრებულ მეამბოხეთ გარს უვლიდა უშაკოვი სამის მხრიდან. ქვემოდან ღართის-კარის პოსტიდან გაჩქარებული მიდიოდა მაიორი კრუჟკოვი, რომელსაც გზა შეუკრა ცხრა სანგარით ბულაჩაურიდან გამოსულმა კახელობამ. კრუჟკოვმა სანგრები აიღო და შეუერთდა უშაკოვს, შეერთებულის ძალით დასცეს საშაბუროს სიმაგრენი და, თუ მარკიზს დავუჯერებთ, სამაგალითოდ დაამარცხეს აჯანყებული კახელობა და არაგველობა. ასი მოკლული ბრძოლის ველზე დასტოვეს, ვინც ცოცხალი გადარჩა, აირია, იარაღი დაჰყარა და არაგვს მიაწყდა მარცხენა ნაპირას გასასვლელად, რადგან ბულაჩაურის მხარეს რუსობა არ იყო. არაგვში გატოპვის დროს დიდძალი ხალხი დაირჩოვო, მოახსენებს მარკიზი იმპერატორს. საშაბუროს ბრძოლაც იაფად დაუჯდა ბედნიერ სარდალ უშაკოვს: მოუკლეს ორი ჯარის-კაცი და დაუჭრეს ხუთი.

საერთოდ უხეიროდ და უგემურად მიდიოდა აჯანყების საქმე ქართლში. რაიონი მოქმედებისა მცირე და პატარა იყო, თითქმის არ გასცილებია არაგვის ხეობას. მიზეზი უგემურობა-უფერულობისა ისაა, რომ თავად-აზნაურობა გვერდში არ ამოუდგა გლეხ-კაცობას, როგორც კახეთში, სადაც თითო-ოროლას გარდა მთელი თავადობა გაეხვია მღ-

ელვარების კომლში. ყაზახ-ბორჩალო-ბამბაკს რომ შეუთვალეს, თქვენც აჯანყდით და შემოგვიერთდითო, ქაღალდზე 31 თავადმა მოაწერა ხელი. კახელები იმოდენა მხნეობას იჩენდნენ, რომ მთელი დეპუტაციაც-კი გაგზავნეს ერევანს თ. სოლომონ ბებურიშვილის ვაჩნაძედა ტატო აღათოშვილის მეთაურობით (რუსულად ტატილას ეძახიან) ბატონიშვილ ალექსანდრესთან ერევანს და ცალკე დეპუტაცია თვით სპარსეთს შაჰ-ზადა აბას-მირზასთან. ქართლში სულ სხვა იყო. უპირველესი გვარები: ერისთვიანი, მუხრანიანი, ამილახვრიანი რუსებს ერთგულობდნენ და აბა რაკი დიდი თავადიშვილები ხელს არ შეუწყობდნენ მთავრობის წინააღმდეგ ერის მოძრაობას, რა გამოვიდოდა და აკი არაფერიც არ გამოვიდა. პოლკოვნიკ გაბრიელ ყაზბეგს მეფობაც კი შესთავაზეს, ოღონდ ეღალატნა რუსებისთვის, მაგრამ ვერ გასტეხეს მთის ბატონი.[109]) თვით მარკიზი გააოცა გაბრიელის ერთგულობის სიმტკიცემ. ქართველებს ისე ძრიელ სწყუროდათ რუსების თავიდან მოშორება, მოახსენებს პაულუჩჩი ალექსანდრე პირველს, რომ ოღონც თავისი საწადელი აესრულებინათ და უკან არ დაიხიეს დიდი საქმის წინაშე, ყაზბეგს აღუთქვეს მეფობა და ყურმოჭრილ ყმობაო.

რაკი დიდებულები მოძრაობას მტრულად უცქეროდნენ წვრილფეხობამ ვერა გააწყო რა და ამის გამო პოდპოლკოვნიკი უშაკოვი ასე ადვილად იხვეჭდა გმირობის სახელსა და იმოსავდა თავსა დაფნის გვირგვინებით. ყაზბეგისა, ერისთვ-

109) Акты, ტ. V, გვ. 81.

იანთ, ამილახვრიანთ და მუხრანიანთ ერთგულობის გამო ქართლის გამგე გენერალი სტალი სულ ადვილად იჭერდა კახეთიდან გამოგზავნილ მოციქულებს და ასაჯანყებელ ბარათებს, რომელსაც ტფილისში ჰგზავნიდა.[110])

ქართლიდან სულ ორმა თავადიშვილმა დაუჭირა მხარი აჯანყებას. ერთი, ზემოდ უკვე დასახელებული თ. იოსებ ერისთავი, არაგვის ბატონის შვილი და მეორე თავადი სიმონ მაჩაბელი. სიმონი წინ გაუძღვა ახლად არჩეულ მეფე გრიგოლს, უვნებლად გაატარა შუაგული ქართლი და შეევიდა მტკვრის მარჯვენა მხარეს: - სათარხნოსა და საციციშვილოსა, ააჯანყა რამდენიმე სოფელი, მაგრამ ვერას გახდა. გენერალი სტალი ფეხდაფეხ დასდევდა მაჩაბელს და როგორ დაემალებოდა მდევარს, რა კი მეზობლები ხელს არ უწყობდნენ? ვერც დაემალა და ხელში ჩაუვარდა სტალს. ის-კი მოახერხა მაჩაბელმა, რომ ბატონიშვილი გრიგოლი, ანუ ახალი მეფე, ტყვეობას დროებით გადაარჩინა და უვნებლად გაისტუმრა კახეთს, სადაც აჯანყების ნიადაგი უკედ იყო მომზადებული. თ. სიმონ მაჩაბელი გენერალ სტალმა ტფილისს გაგზავნა საპატიმროში, სადაც ამბოხების ჩაქრობის შემდეგ გამომძიებელ კამისიასთან უნდა ჰქონებოდა საქმე.

---

110) მარკიზი პაულუჩჩი უკვე შევრდომილესად ხშირად მოახსენებს იმპერატორს — ამასთანავე გაახლებ წერილების დედანს და თარგმანსაც. ეს ის წერილ-ბარათებია, რომლებსაც კახეთის მეამბოხენი ჰგზავნიდნენ ქართლსა, ყაზბეგთან, ყაზახ-ბორჩალოს, ერევანს და სხვაგან, მაგრამ არც თვით წერილებია დაბეჭდილი აკტებში და არც თარგმანები. მაშ სადაა ეს წერილ- ბარათები? ვფიქრობთ, რომ სამუდამოდ დაილუპა აღნიშნული ძვირფასი დოკუმენტები საქართველოს ისტორიისა. გამიგონია, — დიმიტრი ბაქარიას ძე ბაქრაძე, რომელიც აკტების ბეჭდვაში მოხაწილეობას იღებდა, თურმე ბევრჯერ მდუღარე ცრემლებს ალვრიდა როცა ზოგიერთ დოკუმენტს ამხედნენ. ნეტა ეს ის დოკუმენტები ხომ არაა, რომელთაც განსვენებული ისტორიკოსი სტიროდა და ჰგლოვობდა.

XV

თ. პავლე ციციშვილი განჯას რომ მიადგა, ჯავათ-ხანს შეუთვალა, ევროპიელთა წესი და ჩვეულებაა, ვიდრე სარდალი ცეცხლსა და მახვილს აალაპარაკებს, მოვალეა ეცადოს მშვიდობიანად გაათავოს სადავო საქმე და ამის გამო სთხოვდა ხანსა, განჯა ჩამაბარე უბრძოლველად, სისხლის დაუღვრელადო. ციციშვილის მოტრფიალე მარკიზ პაულუჩჩიც სწორედ ასე მოიქცა. ვიდრე ცეცხლითა და მახვილით მოედებოდა მეამბოხე კახეთს, განცხადება (ყბად აღებული ობვეშჩენიე) გაუგზავნა ერთგულ ქართველებინ ხელით. მარკიზი ჰფიქრობდა, ეგები უფალმა ინებოს და გაკერპებული კახეთი მოქრისტიანდეს, იარაღი დაჰყაროს და კაპიტან-ისპრავნიკების მამა-შვილური ბატონობა-პარპაში არჩიოს და ხელი აიღოს მეფობის აღდგენაზე, რომელიც მაშინდელ ქართველის თვალში შინაურ თავისუფლებას მოასწავებდა. ცდა ბედის მონახევრეაო და 22 თებერვალს შიკრიკები აფრინა კახეთს და აბგებით პროკლამაციები გაატანა.[111])

დღევანდელ კახეთში ბევრი საამურად ჭიკჭიკებს რუსულად, თუმცა ბევრია ისეთიც, რომელიც უგემურად საუბრობს ამ ენაზე. ასე რომ რუსულად დაწერილ პროკლამაციას ადვილად გაიგებს და შეისმენს დღევანდელი თავად-აზნაურობა. მაშინ სულ სხვა გახლდა. თუ ამტვრევდა ვინმე, ისიც ორიოდე ჯახრაკი მოურავი, ან ახლად, რუსობის ყალიბზე გამომცხვარი მოხელე. ცხადია, რომ ამის გამო მარკიზის პროკლამაცია ქართულად იქმნებოდა ნათარგმნი. მაგრამ თარგმანი არაა დაბეჭდილი აკტებში და იძულებული ვართ ვთარგმნოთ იგი რუსულით.

---

111) პროკლამაცია იგივე განცხადებაა, ანუ ობვეშჩენიე. მაშინაც უყვარდათ უცხო ტომის სიტყვათა ხმარება.

აი რა შეუთვალა მარკიზმა აჯანყებულ კახეთს.[112]) "კახელებო, რას სჩადიხართ! რამ დაგიბრმავათ თვალი და გონება, რას ეტრფით, რა გწადიანთ! ნუ თუ გონება ისე დაგებნათ და ისე გადირიეთ, რომ ვეღარა ჰხედავთ რუსის მხედრობის ძალასა და ძლიერებას, იმ მხედრობისა, რომელმაც არ იცის, რაა დამარცხება და უკან დახევა! ნუ თუ დაგავიწყდათ ქრისტეანობა და დაბრმავებული ვეღარა ჰხედავთ, რომ განგება უფლისა მზადაა შეგმუსროთ ვითარცა ფიცის გამტეხ-ელნი! სად გაგონილა, რომ ფიცის გამტეხელს ეხეირნოს. ნუ დაივიწყებთ და გახსოვდეთ, რომ იარაღი აღიღეთ მათის იმპერატორების დიდებულების მხედრობის წინააღმდეგ, იმ მხედრობისა,. რომელიც თქვენსავით ქრისტეს თაყვანის მცემელია, მფარველი და დამცველი თქვენის სახლ-კარისა, ოჯახისა და ავლა-დიდებისა გარეშე მტრისაგან, რომელსაც სული უკაწკაწებს თქვენ ჩასაყლაპად და გასანადგურებლად! ისე როგორ დაგიყენხთ გამჩენმა თვალი, , რომ გასტეხეთ ერთგულობის ფიცი მათის იმპერატორებითის დიდებულების მხედრობისა, ის ფიცი, რომელიც მიიღეთ თვით ღვთისა პირისა წინაშე და შეისხით იარაღი წინააღმდეგ თქვენისავე მფარველ-პატრონებისა, საკუთარის სამშობლოისა და სარწმ-უნოებისა! მაშ ასე: ვინაიდან გულის მწუხარებით გავითვალ-ისწინე უფსკრული, საითკენაც ბაწარაღებით მიილტვით და მიაქანებთ საკუთარ უდანაშაულო ოჯახობასაც, მოვალეობად მივიჩნიე, ვიდრე ვიღონებ, რასაც მოვალეობა და თანამდებობა მავალებს, შემდეგი გამოგიცხადოთ: კახელებო! წინ ორი გზა გიდევსთ: ერთი წაგიყვანთ ხსნა-სიკეთისაკენ, მეორე აუცილე-ბლად დაგღუპავთ. თვითონ მე მოვდივარ კახეთს ძლიერის მხედრობით სიწყნარე-მშვიდობის ჩამოსაგდებად თქვენში. ამა-სთანავე ხელი ჩემი გაწვდილია შეივრდომოს მოწყალებით ცოდვილი, ვითარცა შეივრდომა და შეიწყალა მამამ უძღები თვისი შვილი. მაშ აირჩიეთ გზა, რომელსაც გიჩვენებთ

112) ღვთის წინაშე რომ სთქვას ადამიანმა, მაშინდელი მკვირცხლად დაწერილი მთავრობის განცხადება სჯობიან დღევანდელ უფერულად და უხალისოდ შეთუთხნილებს.

საკუთარი კეთილ-გონიერება. გეფიცებით პატიოსან სახელსა და გარწმუნებთ, რომ არავის დავსჯი, ვინც იარაღს აიყრის, მოინანიებს ცოდოს და მოითხოვს პატიებას, ვინც ცოლ-შვილით ოჯახს დაუბრუნდება და ხელახლა მიიღებს ხელმწიფე იმპერატორის ერთგულობის ფიცსა. მაგრამ ესეც იცოდეთ, ვინც-კი შემხვდება იარაღით ხელში, ვინც-კი არ დაემორჩილება კანონიერ მთავრობას, ცოცხალს არ გავუშვებ, ღირსეულს სასჯელს გავუჩენ და ულმობელად მოვეპყრობი."[113])

კახელებმა ძალიან მალე აახლეს პროკლამაციის პასუხი. ეწყინა პაულუჩჩის, რომ არ გასჭრა მისმა სიტყვამ და ხელმწიფეს შესჩივლა, - მოწყალება-პატიებას დავპირდი აჯანყებულთ და მორჩილების მაგიერ რაღაც მიქარვას მოჰყვნენო.[114])

კახელების პასუხი, ანუ "მიქარვა", ან კი რად ეპიტნავებოდა ბრწყინვალე მარკიზს. გულუბრყვილოდ დაწერილი წერილი სასტიკი და ულმობელი კრიტიკაა მარკიზისა და მის წინამოადგილეთა მართვა-გამგეობისა, მოკლედაა ანუსხული ყველა ის საძაგლობა და ბარბაროსობა, რასაც თამამად და დაუსჯელად სჩადიოდნენ ჯარის-კაცნი, კაპიტან-ისპრავნიკები, ვახტერ-კამისიონერები და უთვისტომო მსუნაგი მოხელენი. აბა რად ესიამოვნებოდა მარკიზს, პირში რომ უთხრეს, - თქვენც საძაგელი ხართ და თქვენი მოხელენიცაო.

"მთელი კახეთის თემი, მთასა და ბარში მცხოვრები, - უთვლიდნენ მეამბოხენი მთავარ-მართებელს, მოგახსენებთ, რომ წიგნის ხალხი არა ვართ,*) გვაკლია გამოცდილება და ვერ გავიგეთ თქვენი მონაწერი. საიდან მოიგონეთ, რომ ჩვენ ქრისტე უარვყავით, ხელმწიფეს ვუღალატეთ და ფიცი გავტეხეთ. თუ რამე ჩავიდინეთ, მიზეზი და საბაბი თქვენ თვითონა ბძანდებით. რაც მანიფესტით ნაბძანებია უმოწყალ-

113) Акты, ტ. V, გვ. 82.

114) რუსულად: отъять, наполненный вздорными причинами, которыя якобы подвигли ихъ к бунту. ibid. გვ. 77.

*) რუსულად: неопытны въ письмахъ.

ესი ხელმწიფისაგან, არაფერი შეასრულეთ. ყველაფრის მიზეზი თქვენ თითონ იყავით, ვინაიდან ბრალიანისა და უბრალოს გარჩევა არ იცოდით, ისე ჰხოცდით ხალხსა და აღრჩობდით. ვხედავდით ამ უსამართლობას, მაგრამ ვითმენდით, რადგან შევფიცეთ ხელმწიფე იმპერატორსა, ერთგული ვიქნებითო. ამას გარდა, ეგზეკუციისა და ხიშტების საშუალებით მიგქონდათ რაც რამ გვებადა. გვიჟლეტდით ცოლ-შვილსა, საზდო პური მოგვტაცეთ და შიმშილითა გვხოცავდით და ნუგეშად გვეუბნებოდით-ბალახი სძოვეთო. არა, ქორფამ ბალახი როგორ უნდა სძოვოს, სად გაგონილა? იმოდენა ბეგარა გაგვიჩინა მთავრობამ, რომ საქონელი გაგვიწყდა და ტყეებში ურმის საშენი მასალა გამოილია. ვეღარ ავიტანეთ ასეთი გათახსირება და შეურაცხყოფა და გულში გავიფიქრეთ - სჯობს კაცმა სხვას აუგოს ანდერძი, ვიდრე საკუთარის თვალით იხილოს ცოლშვილის აწიოკება და შიმშილით სიკვდილიო. დაჭეშმარიტებით ვიცით, რომ ხელმწიფე იმპერატორს აზრად არ მოუვა ხალხის გაჟლეტა. საბაბი არეულობისა თქვენ თითონ მოგვეცით. ჩვენ ვეღარ მოვრიგდებით. რაც იქნება, იქმნეს, თავი და ცოლშვილი გავწირეთ. კოდ პურში 1 მან. 20 კ. გვაძლევდით, ვისაც პური არა ჰქონდა, კოდის საფასურად 4 მ. ართმევდით. ხელმწიფისათვის' არ გვიღალატნია და არც მოღალატენი ვართ. თქვენ თვითონ არღვევდით იმპერატორის ბრძანებას და ვეღარ ავიტანეთ ამდენი უსამართლობა და უნამუსობა. ჩვენსა და თქვენს შორის ხიდი ჩატყდა, ერთად ვეღარ მოვთავსდებით. ჩვენი სიცოცხლე რა სიცოცხლეა; ისედაც მკვდრები ვართ და ბარეღამაც მართლა დავიხოცებით. თხოვნა გავუგზავნეთ იმპერატორს და თქვენ-კი სადღაც მიმალეთ და ხელმწიფეს არ აცოდინეთ. გვატყუებდით, თვალთმაქცობდით და ჩვენც ვითმენდით. ბასტა, მეტის ატანა აღარ შეგვიძლიან. გათავდა ყველაფერი; გადავწყვიტეთ სიკვდილი და დავიხოცებით კიდევაც".[115])

---

115) Ibid. ტ. V, გვ. 82.

ჩვეულებრივი თხოვნა-მუდარა, ანუ დღევანდელ ტერმინოლოგიით "პეტიცია", დაჩაგრულ ერისა არა სჭრის ხოლმე. მოქსოვილ სიტყვებით დაწერილ მუდარას ან წითელ მაუდს ქვეშ ამოსდებენ, ან კიდევ უდარდელად წაიკითხავენ, ერთს გულიანად გაიღიმებენ და მდაბალ ხარისხის მოხელეს გადასცემენ შესანახად შთამომავლობის საცოდნელად და მეისტორიეთა თავში საცემად. კახელების პეტიციებსაც ასეთი ბედი ემართებოდა, ან-კი რა საბუთია ვიფიქროთ, რომ მარკიზის დროს სხვა ბედი ერგებოდა წილად დაჩაგრულის ღრმად ამონაკვნესს? კახელებმა რომ წაიყვედრეს პაულუჩჩის, ხელმწიფეს არ ატყობინებდი ჩვენ მწუხარება-გაჭირვებას,*) შენი ხელქვეითი მოხელენი თვით იმპერატორის ბრძანებას არ ასრულებდნენ და შენ-კი ყურს არ იბერტყავდიო და რადგან ისიც შემოუთვალეს, ჩვენ შორის ხიდი ჩაინგრა, ან ნამუსიანი სიცოცხლე ან სიკვდილიო, მარკიზი შეკრთა, რადგან კახელების სიტყვა-პასუხი ჩვეულებრივ პეტიციას, მოწიწებით და მოკრძალებით დაწერილს, არა ჰგავდა. ეს ერთი. მეორე კიდევ ისაა, რომ ქადილს საქმეც ზედ მოჰყვა. მთავრობის ბურჯი და ძალა ბატონობისა - სამხედრო კამანდები და რაზმები კახელებმა დააწიოკეს, ზოგი ძალზე შებერტყეს და ორ საცოდავ ციხე-სიმაგრეში ცხვრის ფარასავით შელალეს. ასეთი განსხვავება კარგად ესმოდა კეთილშობილ მარკიზს და სხვა რომ ვეღარ მოახერხა, ხელმწიფეს მოახსენა, კახელები ღობეყორეს ედებიან და რაღაებსაც მიჰქარავენო. მაინც ერთი კიდევა სცადა მარკიზმა და პასუხზე-პასუხი გაუგზავნა: სწორედ კარგი სანახავი იქნებოდა თავის დროზე ეს უცნაური პოლემიკა! ამ საკვირველ პოლემიკის ავტორი ერთი მარკიზია, მაგრამ მეამბოხეთაგან პასუხს ვინ აძლევდა, არ ვიცით. ძუნწმა ისტორიამ არ შეგვინახა მარკიზის ლიტერატურულ მოპირდაპირის სახელი და გვარი.

"კახელებო, ხელმეორედ შეუთვალა მარკიზმა, თქვენი პასუხი მომერთვა ს. ხაშმს. იქიდან ვსცანი მიზეზი, რამაც

*) პეტიციონერების საყვედური საერთო მართვა-გამგეობის უკეღმართ სისტემას ახასიათებს და არა მარტო მარკიზისას.

გაიძულათ იარაღი აგესხათ და ამბოხება გაგეჩაღებინათ. - თქვენ თვითონ კარგად მოგეხსენებათ, რომ თქვენი საჩივარი, რაც მე ვუფროსობ ამ ქვეყანას, არ მომსვლია. ისიც კარგად მოგეხსენებათ, რომ საჩივარს, თუ კი ვინმე შემოიტანდა, უყურადღებოდ არ დავტოვებდი, უმალ სასტიკად გამოვიძიებდი და ჯეროვან სიმართლეს მივუძღებდი მომჩივანსა. რადგან, თუ მწუხარება ვინმე მოგაყენათ, ჩემ დროს არა ყოფილა და არც არაფერი ვიცოდი თქვენის შეწუხებისა, ამიტომ ამ ჟამად გიგზავნით ყოვლად სამღვდლო ნინო წმინდელსა, ჩემს საკუთარ მოძღვარს პატრ ონოფრეს და მაიორს თავად სოლომონ ავალიშვილს და მათის პირით გატყობინებთ მოწყვეტილ სიტყვას: გონს მოდით, ხელი აიღეთ განზრახვაზე, დაიშალენით და დაბრუნდით თავ-თავიანთ სახლში. შინ რომ დაბრუნდებით, ნებას გაძლევთ მაშინ შემოხვიდეთ ჩემთან საჩივარ-თხოვნით და მეც ყოველ ღონეს ვიღონებ სამართალი გაგიჩინოთ და ყოველ გზით შეგიმსუბუქოთ მწუხარება. ესეც იცოდეთ, თუ ახლაც არ შეისმენთ ჩემს სიტყვას, არ მიიღებთ ამ განცხადებას, მაშინ უკაცრავად ბრძანდებოდეთ, ისე მოგექცევით, როგორც შეჰფერის მუხანათსა და მოღალატეს".[116])

მოციქულები ვერას გახდნენ, აღარა სჯეროდათ მთავარმართებლის სიტყვა-დაპირება. ციციშვილიდან მოკიდებული ყველა ჰპირდებოდა მფარველობა-პატრონობას და მის მაგიერ მშიერ ბავშვებს ტყეში ისტუმრებდნენ საძოვრად, თქვენ ბალახიც გეყოფათ საკვებად, პური, ღვინო და სხვა რაც ზინათი და დავლათია, სოფლად, ჩვენ უფრო მოგვიხდებაო. რაკი მთავრობის სიტყვას ეხტიბარი გაუტყდა ხალხში, საკვირველიც აღარაა, რომ პატივცემულმა ყოვლად სამღვდელო ნინო წმინდელმა და პატრმა ონოფრემ გამწარებული ერი ვერ დაიყოლიეს და "ბუნტობაზე" ხელი ვერ ააღებინეს. სხვანიც ბევრი დაგზავნა მარკიზმა აჯანყებულთა დასაწყნარებლად, მაგრამ მათს საპატიო მისსიას არავითარი ნაყოფი არ მოჰქო-

116) Ibid. ტ. V, 66 - 68.

ნდა. ერთი ამ მოციქულთაგანია კარის ეკლესიის არქიმანდრიტი ელევთერ.

ბერი ელევთერ ტიპიური მოვლენაა საქართველოს ძაძა მოსილ წარსულისა. ერთი რომ თავს აკლავდა სამშობლოს სახელსა, მეორე, მისივე მეზობელი, იღვწოდა და ოფლსა ღვრიდა დამჩაგვრელის გასახარელად და სამშობლოს დასანგრევად. მათი ფიქრი და გონება ტფილისს, საქართველოს ამ დედა-ბოძს, კი არ დაჰქროდა, მის დიდებისა და აყვავებისათვის კი არ უძგერდა მკერდში გული, არა და არა. სატრფიალოდ ხან თეირან-თავრიზი გაუჩნდებოდა, ხან სტამბოლი და ხან კიდევ ვინ იცის რა ჯანდაბა და დოზანა.

არქიმანდრიტი ელევთერ კარის ეკკლესიის მოძღვარი ყოფილა. მაშასადამე საპატიო თანამდებობა ჰქონებია და ნივთიერადაც უზრუნველ ყოფილი უნდა ყოფილიყო. მეფობა რომ მოიშალა, უპირატესობა არ მოსპობია, მაგრამ მაშინვე თ. ციციშვილს დაუწყო ტორღიალი, მოჰყვა კუდის ქიცინს და მთელი თხუთმეტი წელიწადი სწორედ საძრახის ხელობაში გაატარა. ელევთერის ჯურისანი ზოგი ბედს მალე ეწეოდა ხოლმე, ზოგი-კი გულნაკლული რჩებოდა. ასევე დაემართა კარის ეკლესიის მოძღვარსაც. რაკი არ დაუფასეს უმწიკვლო სამსახური, ადგა და გააშანშალა უშველებელი მოხსენება და მიართვა საქართველოისა და იმერეთის კანტორას 1815 წ. 29 ოქტომბერს. მოხსენებაში სულ ცხრა მუხლია, სადაც დაწვრილებითაა აღნუსხული ღვაწლი და მოქალაქობა ამ პატიოსანის ბერისა. მოხსენება ასე თავდება: "არიან სხვანიცა ჩემ მიერ აღსრულებულნი სამსახურნი ერთგულებისა ზედა მათის დიდებულებისისა; გარნა სიგრძისათვის წარმოდგენისა დავიდუმებ. ამასთანა წარმოვადგენ ჩემდამო მოცემულთა ათესტატებთა მათ მიერ, რომელთაცა ხელის მწერანი მუნ იჩვენებიან, და ვითხოვ უქვეშევრდომილესად ამა უწმიდესის სინოდის კანტორისა მიერ, არა დადუმებულ იქმნეს ერთგულებითნი სამსახურნი ჩემნი და არა დაკლებულ ვიქმნე ღირსებითსა კმაყოფასა და ჰყოს ამან უწმიდესის სინოდის

კანტორამან წარდგენა ამა სამსახურთა ჩემთა უწმიდესსა სინოდსა შინა".[117])

არქიმანდრიტ ელევთერის თვალწინ საქართველოს ჭირნახულ ეკკლესიას მზე და მთვარე დაუბნელდა, კათალიკოსი ანტონი მეორე მეტ ხორცსავით მოჰგლიჯეს სამშობლო ეკკლესიას, მის მაგიერ რაღაც კანცელარია შეხანხლეს და იმის მაგიერ რომ გვერდი აუქციოს, იწუხოს და იგლოვოს ობლობა და ქვრიობა ეკკლესიისა, თვალცრემლიანი ემუდარება ელევთერი, დაუჯილდოვებელს ნუ დამტოვებთო. ღვაწლისა და ამაგის აღსანიშნავად არდგენს სამხედრო კაცთაგან ბოძებულ "ათესტატებს".

მოხსენების ცხრანივე მუხლი ერთიერთმანეთზე უკეთესია და სათითაოდ ყველას მოვაქცევთ აქა, სადაც-კი მოიხდენს აქ მოთხრობილი ისტორიული ამბავი კახეთის აჯანყებისა 1812 წ. "ვინაიდან, ასე იწყობა ელევთერის მოხსენება, ვხედავ მე, უწმიდესის სინოდის კანტორას შემცვლელად ყოველთა სასულიეროთა საქმეთა და მას შინა დაწესებულთაცა სამღვდელოებითთა ხარისხთა, რომლისა შორის შესრული თავის თვისთა ვითარებითთა შეხდომათა ზედა, უწმიდესის სინოდის კანტორა ვალად რაცხს, რათა აჩვენოს კმაყოფილება, წინამდებარისაებრ აღმოჩინებისა საქმეთასა, ამისათვის მეცა აღსრულებულსა თანამდებობითსა ვალსა შინა გებული, ერთგულებასა ზედა მათის იმპერატორების დიდებულების ყოვლად უაღუსტოეს მონარხის, ყოვლად უმოწყალესის ხელმწიფისასა და შემწირველი დაუზოგველად სისხლისა ჩემისა ვიდრე უკანასკნელს წვეთამდე, წარმოვადგენ ქვემორე შედგენილთა მოხსენებათა".

ეს მოხსენება რომ იწერებოდა, სულ რაღაც 15 წელიწადი იყო გასული კნორრინგის ჩამოსვლის შემდეგ საქართველოში და როგორც ჰხედავთ რუსულმა ენამ უკვე თვისი ძლიერი გავლენა იქონია ქართველ გონება-აზროვნობაზე და

117) არქიმანდრიტ ელევთერის მოხსენება ლროებით გვათხოვა ისტორიაში ღრმად ჩახედულმა მდ. პ. კარბელაშვილმა, რისთვისაც მადლობას ვსწირავთ, თუმცა არ საჭიროებს ასეთს მადლობას.

ენაზე. წინად თუ ქართველი ამაყობდა - სისხლი დავღვარე სამშობლოს ხაკეთილდღეოდ, მტერს მედგრად ვებრძოლე და ჩემიანებზე არ გავახარეო, ახლა სულ სხვა ჰანგი გამეფდა. სახელად და ჯილდოს მისაღებად კარის ეკლესიის მოძღვარი თამამად გაიძახის "დაუზოგველად შევსწირე მონარხის ერთგულებასა სისხლი ჩემი ვიდრე უკანასკნელს წვეთამდეო", რომელიც პირდაპირი თარგმანია რუსულისა "до послъдней капли крови".

"დროსა განსვენებულის კნიაზ ციციანოვისა, განაგრძობს არქიმანდრიტი ელევთერ (მუხლი პირველი), უძლეველის მხედრობით ერევანს წასვლისასა[118]), აღირივა მთები, არაგვი და ფშავ-ხევსურეთი და მას ჟამსა მართვიდა წესითა ღუბერნატორობისათა კნიაზ ვოლხონცკი (ვოლკონსკი). ამას ვოლხონცკის მოეწერა ჩემთვის ესრეთ, კნიაზ ალექსანდრე მაყაევს და კნიაზ დავით ქობულოვს,[119]) გაჰყევ შესაწევნელად მას ზედა რაიცა საქმე მათთვის მიგვინდვია და ამის სამსახურისათვის არა დაგაგდებ მე წარუდგენელსა, ღირსებისამებრ სამსახურისა, და ელოდეცა კმასა ჯილდოსაო. მე მოწერილისაებრ ღუბერნატორისა გავჰყევ ხსენებულთა თავადთა შესაწევნელად, და ავედით რა თიანეთის სოფელს და დავიბარეთ ფშავ-ხევსურთა უფროსნი კაცნი და ჩამოვაყვანინეთ და დაუდევით მათ ჩვენის მხრით საქმენი, და ამით აღრეულება იგი მათი დავამშვიდეთ და ბუნტიცა იგი მათი დავაცხრეთ. მის საქმისა აღსრულებისა მიზეზითა დავჰყავ მუნ თვე ერთი და ამას განგრძელებულსა ხანსა მყოფი კინაღამ მომკლეს დამშვიდებამდე, და ესე რომელ ვაცნობეთ ღუბერნატორსა, (კვალადცა) გაემეორებინა ჩემთანა მოწერა, ამა შენსა ერთგულსა სამსახურსა ხელმწიფეს წარვუდგენო".

---

118) იხ. "მთიულეთი 1804 წ." ციციშვილის გალაშქრება ერევანს მეტად ცუდად დასრულდა. ერევანი ვერ აიღეს და ჯაში სირცხვილ ნაჭამი ტფილისს დაბრუნდა. დამონებული აზრი ელევთერისა მექანიკურად, თუთიყუშსავით იმეორებს — უძლეველი ჯარიო.

119) ჩვენი გვარების დამახინჯებაც იქვე თავშიეე დაიწყო ჩვენისავე ხელშეწყობით. გადაგვარების გზას ჩვენვე ვკაფავდით.

როგორც ჰხედავთ, მოხსენების პირველი მუხლი ისეა დაწერილი, როგორც ეხლა სწერენ ბიუროკრატ-მოხელენი თხოვნებს ჯილდოსა და საჩუქრის მისაღებად. "ხალხი აღირ-ივაო", "დავაწყნარეთ", "დავამშვიდეთო", "კინაღამ მომკლ-ესო", "ბუნტიო" და მრავალი ამისთანა საშინელი სიტყვანი, რომ თხოვნამ "ქვა გახეთქოს" და სისხლის ჯვარი გამოვიდეს, ან სხვა რაიმე წყალობა. არქიმანდრიტი ელევთერ გონებისა და აზრის მომჯადოვებელ პეტერბურგსაც თვალს არ აშორებს.

"შემდგომად ამისა, მოახსენებს არქიმანდრიტი ელევთერ სინოდის კანტორას, მეფის ძე ფარნაოზ მოვიდა კახეთს[120]) და გაჰყვნენ კახთაგე თავადები და შევიდნენ მთიულეთს, და ამა მიზეზისა აღრევისა გამოცა მოეწერა მასვე ღუბერნატორს ვოლხონცკის, ეცადე რომელ მანდ დანარჩომთა ხალხთა შორის სხვა აღრეულობა არღარა მოხდეს-რა, და შეაგონეცა აღურ-ეველობა და დამშვიდება. მეცა ბრძანებულისაებრ სოფლითი სოფლად ვვლე კახეთსა შინა, და ესრეთითა გულსმოდგინებ-ითა ერთგულებითა მივეც ხალხი დაწყნარებასა, რომლისაცა წერილები მომთხოვა მე მათმან აღმატებულებამან ღენერალ-მაიორმან ახვერდოვმან[121]) თვისსა ღუბერნატორობისა დროსა და მოთხოვნისა ამის გამო წარმოვუდგინე მას იგი ვოლხონ-ცკის მოწერილნი, რომელიც თვით მან ღენერალმან ახვერდ-ოვმან მიიღო და იცისცა ჭეშმარიტება".(მუხლი მეორე).

"ამავე ღენერალ-მაიორის ახვერდოვის ღუბერნატორო-ბის შინა, მქონდა მე ამის მიერ დარწმუნებული საქმენი, პირდაპირ მოწერილითა მისითა, კახეთისა, და სადა რომელიცა რა მომხდარ იყო, წინააღმდეგი ხელმწიფისა და მართველობ-ისა, მეცნობებინა, და ვჰყავიცა ყოველთვის, რომელ რაიცა შეეხებოდა ჭეშმარიტსა ერთგულებასა ჩემსა, განმართვისა-თვის მამულისა, წარმოვუდგენდი და ვეცადიცა ამისთანა

---

120) ფარნაოზის თავგადასავალი ნაამბობია "მთიულეთში 1804 წ.", კარი X, გვ. 246 - 286.

121) ზემოდ მოხსენებული ქრცხინვალელი სომეხი პუპლიაშვილი. ქართლის გუბერნატორად ნამყოფი.

ხალხის მრავალჯერ დამშვიდებასა, რომლისაცა სამსახურისა-თვის აღმეთქო მე მის მიერ წარდგენა წინაშე უმაღლესისა კარისადა".(მუხლი მესამე).

ერთი კარგად დამიხედეთ, რითი მოაქვს თავი მეფე ერეკლეს კარის ეკლესიის არქიმანდრიტ ელევთერსა! გენერალ ახვერდოვს შპიონობა და ჯაშუშობა დაუვალებია, კახეთსა და ყველგან, სადაც-კი რამე მოხდეს ხელმწიფისა და მთავრობის წინააღმდეგი, შემატყობინე ხოლმეო. არ უთაკ-ილნია სამარცხვინო ხელობა, პირნათლად აუსრულებია და-ვალებული საქმე, უბეზღებია სამშობლო ქვეყანა და იმის მაგიერ რომ დაემალა სათაკილო ხელობა, საჯაროდ გამოდის და ხმა მაღლა ღაღადებს - ესა და ეს ჩავიდინე "განმართვის-ათვის მამულისა" და სთხოვს უწმიდესის სინოდის კანტორას - რადგან ენატანიობისათვის ღენერალი დამპირდა - წარგადგენ "წინაშე უმაღლესის კარისა" და არკი წარმადგინაო, ახლა თქვენ იცით და თქვენმა სინდისმაო. ესე გამოდის რაღა! მარჯვე ენატანიას, საუბედუროდ, უბრალო რამ დავიწყებია - მურდა-ლი ენის პატრონს კაცად არავინ აგდებს, ნასუფრალს გადუუ-რიან, მორჩა და გათავდა. აკი კანტორასთან სახვეწურად გაუხდა საქმე ენამეტყველ ბერსა.

შემდეგი, მეოთხე მუხლი მოხსენებისა, უარესია. კარის ეკლესიის არქიმანდრიტს ისეთი საქმეები ჩაუდენია, დღეს რომ ცოცხალი ყოფილიყო, სისხლის სამართლის წესით გაასამარ-თლებდნენ და კატორღაში უკრავდნენ თავსა. აი თქვენის ყურით მოისმინეთ, რას მოახსენებს კანტორას მთავარ-მარ-თებელთა გულმავიწყობით დაუჯილდოვებელი ელევთერი. "ოდეს შემოვიდოდა დრო კახეთსა შინა პურის დაფასებისაი და კამენდანტი და ისპრავნიკი მუნებურნი დამისწრებდიან მეცა დაფასებისათვის პურისა და დააფასებდნენ კოდს ექვსს აბაზად, მაშინ სარგებლობისათვის ხაზინისა, მე დავაფასებდი ხუთს აბაზად და მაშინვე ჩემის მხრით მივსცემდი ორი ათას კოდს, ანუ ათას ხუთას კოდს, და ოდესმე ათასს კოდს, შეხვედრისაებრ მოსავლისა და შემდგომად ყოველი ხალხი მისცემდა ესეთ,

ვინაიდგან, მაგალითად დაედებოდათ ერთგული ჩვენება ჩემ მიერისა გულს მოდგინებისა."

რა სანატრელი "სამებაა" და! სვავი "კაპიტან-ისპრავნიკი", კანონის შემლახველი კამენდანტი და სულის მოძღვარი არქიმანდრიტი იკრიბებიან ერთად და ბჭობენ - რა მოაგვარონ, რა მოიგონონ, რომ ფასები დასცენ და იაფად იყიდონ პური. ხალხი შიმშილით იხოცება, კოდი პური ბაზარში ოთხი-ხუთი მანათია, დამშეული ერი ცოლშვილს აგირავებს, ან ჰყიდის; თავს ბალახ-ბულახით ირჩენს და ამ დროს ქართველი კაცი, ერის სულიერი მოძღვარი, ხელს უწყობს კაპიტან-ისპრავნიკსა და კამენდანტს გაღატაკებულ სამწყსოს გაფცქვნაში, მონაწილეობას იღებს ჯოჯოხეთურ საბჭოში და პირველობას თვითონ კადრულობს. დიაღ, ტყუილად არ დაუძახეთ ზემოდ არქიმანდრიტს ელევთერს სულწაწყმედილი მოძღვარი.

XVI

23 თებერვალს 1812 წ. მარკიზი პაულუჩჩი კახეთისაკენ დაიძრა. სოფ. ხაშმში აპირებდა ასვლას, პოლკოვნიკ ტიხანოვსკის მაშველ ბატალიონით მოღონიერებულ რაზმს ჩაიბარებდა და ამ სოფლიდან შეუტევდა გათამამებულ მტერსა. მთავარ-მართებელი ისე ჩქარობდა ამბოხების რაიონში ასვლას, რომ საიმედო ამალაზე არც-კი უფიქრია, თან იახლა მხოლოდ 40 დრაგუნი და 40 ყაზახი.

სწორედ ბედი სწყალობდა იტალიელ სარდალს, მარკიზად წოდებულს, როგორც ეძახის დავით ბატონიშვილი.

ჟამსა მის მთავარ-მართებლობისასა საქართველოს მეზობლად მყოფი მტერი ახალციხელი შერიფ-ფაშა და კარელი (Карскій) აბდულა-ფაშა თითქოს განგებ ტანში მოიშალნენ, მოდუნდნენ და სულითა და ხორცით მოეშვნენ. ძალიან იყვნენ მოწადინებულნი ლაზათიანად შეეხურებინათ მარკიზი და ვერაფერი კი ვერ დააკლეს. სულ რაღაც ორი თვის წინად

7-8 დეკემბერს 1811 წ. მარკიზმა პოლკოვნიკ კატლიარევსკის უფროსობით წაართვა შერიფ-ფაშას ახალქალაქის ციხე და შიგ რუსის მეციხოვნენი ჩააყენა. მარჯვენა რომ მოეკვეთათ შერიფ-ფაშისთვის, ის ერჩივნა, ვიდრე ამ ციხის დაკარგვა და იმის ფიქრსა და ზრუნვაში იყო, როგორმე დრო ეხელთა და ახალქალაქი უკან დაებრუნებინა.

მოსიყვარულე თვალით პაულუჩჩის არც კარელი ფაშა აბდულა უყურებდა. საქმე ისაა, რომ აბდულას სულთამხუთავივით აეტუზა მაგიზ-ბერდის ბატონი ყარა-ბეგი.[122]) მარკიზი შეუჩნდა ჩრჩილივით ყარა-ბეგს, რაკი აბდულას დასუსტება სწადდა და ყურში სულ იმას ჩაჰკაკანებდა, თუ შეუტევ აბდულას, ჯარს მოგაშველებო. პოლიტიკა-დიპლომატიას მოკლებულ ყარა-ბეგსაც მეტი არა უნდოდა-რა. აბდულას საფაშოდან გადავაგდებ და მარკიზის დახმარებით და ლოცვა-კურთხევით კარელ ფაშობას გავიკრამო. მაშინდელი ბრწყინვალე პორტაც ხომ ფაშობას იმას აძლევდა, ვისაც მხარ-ბეჭზე ძლიერი მკლავი ება. ამის გამო ყარა-ბეგი სულ მუშტზე იყურებოდა, წკიპურტებს ესროდა აბდულას, ხან საქონელს მოსტაცებდა და ხან შიგ საფაშოში მიუხტებოდა ხოლმე.

ასეთი იყო პოლიტიკური ვითარება მაგიზ-ბერდისა და ახალციხისა, კახეთის მეამბოხეთა დეპუტაცია რომ ეწვია შერიფ-ფაშას. მოციქულებმა მოახსენეს ფაშას:[123]) თუ მარკიზის ჯავრის ამოყრა გინდა, დრო სწორედ ეხლაა. მთელი ქართლ-კახეთი აჯანყდა, მარკიზი ყარაბაღშია, შეუტიე რუსობას თრიალეთიდანაო. ჭკუაში დაუჯდა შერიფ-ფაშას მოციქულთა რჩევა და 21 თებერვალს, სწორედ იმ დღეს, რა დღესაც მარკიზი ტფილისს ჩამოვიდა ყარაბაღიდან, თავს დაეცა ახალქალაქში დაბანაკებულ რუსის მეციხოვნეთ. მცირე

122) მაშინ მაგიზ-ბერდი მდებარეობდა სპარსეთისა და ოსმალეთის სამზღვრებ შუა. ერთი კუთხით საქართველოსაც ემხრობოდა, რადგან შურაგელი, ნაწილი იმ დროინდელ საქართველოისა, რუსეთს ეჭირა. მაგიზ-ბერდი პურით იყო მდიდარი, მოსავალი უხვი იცოდა. ომშილობის დროს კახეთში აქედან მოაქონდათ ხორბალი. ბაბაკში (რუს. памбакъ; დავით ფაბაკს ეძახის) დაბინავებული რუსის ჯარი მაგაზ-ბერდის პურით იკვებებოდა. იხ. Акты, ტ. V, გვ. 57, 191, 192.

123) აკტები არას გვეუბნება, სამოციქულოდ ვინ გაგზავნეს კახელებმა შარიფასთან.

იყო მეციხოვნეთა რიცხვი, მაგრამ მაინც უკუაგდეს შერიფას ჯარი. დამარცხებული ფაშა ჩამოვიდა ხერთვისს, დაასვენა ჯარი და ხელმეორედ აპირებდა ახალქალაქზე გალაშქრებას, მაგრამ რაკი აბდულა-ფაშის დამარცხების ამბავი მოუვიდა, თავი მიანება ახალქალაქს და ახალციხეს დაბრუნდა.

მოთმინებიდან გამოსული აბდულა-ფაშაც დროს ელოდა, რომ კისერი მოეგრიხა საქართველოს მთავარმართებლის მეგობარ ყარა-ბეგისათვის. უკეთეს დროს ვერ იშოვნიდა და 1000 საუკეთესო ჯარის-კაცი შეუსია ყარა-ბეგის მამულსა. ყარა-ბეგმა რუსებს აცნობა, აბდულა გალახვას მიპირებსო. ტფილისის პოლკის მაიორ თავად სავარსამიძეს გაატანეს გუმბრიდან 200 ჯარის-კაცი, 70 ყაზახი, 40 გუმბრელი მილიციონერი თათარი და უბრძანეს ყარა-ბეგს დაეხმარეო. ფიცხლავ დაიძრა თავადი სავარსამიძე[124]), შეუერთდა ყარა-ბეგის ცხენოსან ამალას და სოფ. პერტიშთან ეკვეთა აბდულას რჩეულ ჯარსა. გაბედულად და თამამად დაჰკრა სავარსამიძემ მტერსა, უკანასკნელი დაიბნა, წინააღმდეგობა ვეღარ მოახერხა და გაიქცა. გამარჯვებულთ დიდ-ძალი დავლა იშოვნეს, თოფ-იარაღი, სამი ბაირაღი, 300 ცხენი და სამიც დაფი. თ. სავარსამიძეს მოუკლეს 8 ჯარის-კაცი და დაუჭრეს 31. თვით თავადი სავარსამიძე დაიჭრა ბრძოლაში.

ახალქალაქის მეციხოვნეთა სიმტკიცემ და თ. სავარსამიძის გამბედავობამ (რუს. Смълость) დიდი სამსახური გაუწია მარკიზ პაულუჩჩის. ოსმალეთის სამზღვარზე რომ დიდი საქმე გასჩენოდა, შერიფასა და აბდულას დამბლა ნაკრავივით რომ არ ებრძოლათ, ვინ გაითვალისწინებს, რა დაემართებოდა კეთილშობილ მარკიზსა.

ბედი სწყალობდაო, რომ მოგახსენეთ, მარკიზსა, სრული ჭეშმარიტებაა. მთაში გაბრიელ ყაზბეგი იღვწოდა და მუშაობდა შეურყევლად ვითარცა სალი კლდე; ყარსისაკენ თ. სავარსამიძე მეხივით თავს დაეცა აბდულა-ფაშას და დაამარცხა. შინ კიდევ, შიგ შუაგულ კახეთში, არქიმანდრიტი ელ-

---

124) სავარსამიძიანთ გვარი, ვგონებთ, სრულიად ამოვარდა.

ევთერ, აღტყინებული "მამულის გამართვისათვის" ერთგულად უზიდავდა ამბებს უფროსებს.

მაშ დავუბრუნდეთ ხაშმზე ასულს ქუდბედიან მარკიზს და მივყვეთ კვალ-და-კვალ აჯანყების ჩასაქრობად ამხედრებულს ლაშქარსა.

მოწყვეტილი სიტყვა შემომითვალეთო, მისწერა პაულუჩიმ ხაშმიდან მეამბოხეებს. მოციქულებად გაუგზავნა არქიელი და რამდენიმე თავადიშვილი. ორი საათის შემდეგ პასუხს გაახლებთო, მაგრამ ორი საათი კი არა, მთელი 25 თებერვალი დაილია და არავითარი პასუხი არ მოვიდა. უნაყოფო დიპლომატიური მიწერ-მოწერა დასრულდა, არქიმანდრიტ-არქიელების მიგზავნ-მოგზავნა პატრიოტურთ გათავდა. ბოლო მოეღო აგრედვე "რუსთა კერძოის" მჭერელ თავადთა რაშთა ჭენებას ერთის ბანაკიდან მეორე ბანაკამდინ. იარაღს უნდა გადაეწყვიტა სადავო საქმე - ან თავისუფალი საქართველო, ან კაპიტან-ისპრავნიკების ბატონობა.

მარკიზი ბრძოლის თადარიგს შეუდგა და ყველაფერი რომ გაამზადა, დააპირა თავს დასცემოდა მტერსა დილით, 26 თებერვალს.

სოფელი ხაშმი გაშლილია ივრის ხეობაზე, ტფილისიდან 37 ვერსზე, ქებულია საუკეთესო ვენახებით და მოშხამულ-მოწამლული ჰავით. ექვსი ვერსის მანძილზე ხაშმიდან მდებარეობს მონასტერი სამება, განთქმული ისტორიაში. ვახუშტის სიტყვით, სამებას ეკუთვნოდა გარეჯის უდაბნო. ვის არ ეხსომება ტანჯვა-მღელვარებით სავსე ცხოვრება უკანასკნელ სამებელის მღვდელ-მთავარ იოსებისა, რომელმაც დღენი თვისი რუსეთს დალია. 1734 წ. იმპერატრიცა ანნა იოანნეს ბრძანებით იოსებ სამებელი დაინიშნა ნოვგოროდელ ეპისკოპოზ თეოფანეს მოადგილედ.

სამების ტაძარი უგუმბათოა. დ. ზ. ბაქრაძის დროს სამების ტაძარი დაურღვეველი ყოფილა, ჰქონია გალავანი და მინგრეულ-მონგრეული შენობანი. მონასტერი გაუქმებულა მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, რადგან ლეკებმა

მოსვენება აღარ მისცეს და ბოლოს მოინელეს კიდეც სამებელთა ტახტი.[125])

აი სწორედ ამ ჭირნახულ და დაღესტნელ ლეკთა მიერ აოხრებულ სამებას შეეფარნენ კახელი მეამბოხენი, მის წმინდა კედელთა შორის დასდეს ბანაკი და ელოდნენ დიდი ნაპოლეონის შეგირდსა. რამდენი შეიკრიბა სამებასთან კახელობა, დანამდვილებით არ ვიცით. ალბად, შეშინება თუ უნდოდათ რუსებისა და ხმა დაჰყარეს, - ექვსი ათასი ვართო, მაგრამ მარკიზმა არ დაიჯერა, ექვსი ათასზე გაცილებით ნაკლები იქნებოდნენო.

დილა ადრიან 26 თებერვალს მარკიზი გაემართა სამებისაკენ 600 ჯარის კაცით და 2 ზარბაზნით. წინ გაისტუმრა პოლკოვნიკი ტიხანოვსკი, რომელიც დაეცა მეამბოხეთა ყარაულს და დაამარცხა. მართალია, დიდად გვიშლიდა ხელსა დაბურული ტყე, საძაგელი ამინდი და ხევ-ხუვებიო, მოახსენებს პაულუჩჩი იმპერატორს, მაგრამ ჩვენ ჩვენი გავიტანეთ, იერიშით მიველით თვით მეამბოხეთა ბუნაგზე, მივლეწ-მოვლეწეთ იგი და დამარცხებული მტერი წინ გავილალეთ მთებსა და ხევებში თითქმის სამის ვერსის მანძილზეო. კახელებს მოვუკალით 40 კაცი და ორი ტყვედ ავიყვანეთო. რაკი მივფანტ-მოვფანტე ეს უღირსი მაშფოთარნი, ძრწოლა-შიშისა და მაგალითისათვის ბრძანება გავეცი, რომ ტყვედ აყვანილნი იქვე ბრძოლის ველზე ჩამოეღრძოთ. ამ სისასტიკეს მარკიზი იმითი ამართლებს, რომ ტყვედ ჩავარდნილებს, დატყვევების ჟამს, იარაღი ესხათო.[126]) ეს რა საბაბია, ვერ გავიგეთ. საომრად წასულ კაცს იარაღის მაგიერ მაშ ია-ვარდის თაიგული უნდა სჭირებოდა ხელში?

სამების მონასტრიდან მარკიზი ს. პატარძეულს ჩავიდა. აქ ეახლა არქიმანდრიტი ელევთერ, რომელიც მთავარ-მართებელს გაეგზავნა ს. საგარეჯოს იქაურების "მოსარჯულებლად". ვინაიდან არქიმანდრიტმა საგარეჯოელები ვერ დაიყოლია

---

125) იხ. Акты, ტ.V. გვ. 1074. დ. ბაქრაძის თხზულება.

126) Ibid. ტ. V. გვ. 77.

და გრძნობა ერთგულობისა მონარქისადმი ვერ გაუღვივა გულში, მარკიზმა გადასწყვიტა თვითონ წასულიყო ჯარით საგარეჯოს 27 თებერვალს და მუხანათებისთვის იარაღით ჭკუა ესწავლებინა.

პირველი გამარჯვება სამების მონასტერთან იაფად დაუჯდა მარკიზსა. მოუკლეს მხოლოდ ყაზახთა პოლკის კამანდირი მაიორი დანილოვი და 6 ჯარის კაცი.

სამებასთან ომი და ბრძოლა ისე ავსწერეთ, როგორც მთავარ-მართებელი მოახსენებს უქვეშევრდომილესად ხელმწიფე იმპერატორსა. რადგან თავისი თავის მტერი არავინაა, სამხედრო კაცნიც გარდახდილ ომთა ამბავთა დიდად აზვიადებენ. ვინ არ იცის, რა ღირსებისანი არიან ბრძოლის ველიდან გამოგზავნილი რელიაციები! სხვა წყარო არა გვაქვს მარკიზის ნათქვამის შესამოწმებლად და ვართ აგერ ერთ გაჭირვებაში. ბატონიშვილი დავით სრულიად არ იხსენიებს სამებასთან ბრძოლას. ალბად არ ყოფილა, თორემ როგორ გამოეპარებოდა პირველი შეტაკება ყარაბაღიდან დაბრუნებულის მთავარ-მართებლისა მეამბოხე კახელებთან? მარკიზის გამარჯვების არ მცოდნე ისტორიკოსი ისეთ ამბავს გვიამბობს, რომ სწორედ დაუჯერებელია. აი თვით მეფის ძის სიტყვანი: "მაშინ მარკიზი მოსრულიყო ტფილისს ბაქუით. ჰსცნა რა ესე, მოიკრიფნა ყოველსა ადგილსა რუსნი, წარემართა და მივიდა ხაშმსა, შეესივა ხაშმსა და მოასვრევინა უბრალონი ქრისტიანენი მარკიზმან ვიდრე ასამდე ჩჩვილითურთ მსგავსად ირიდისა და მუნ მოკლეს ხიშტითა მონაზონი აბაშიძის ასული მარიამ, დედიდაშვილი მეფისა ირაკლისა, ოთხმეოცდა ათისა წლისა დედაკაცი. ჰსცნეს რა კახთა, სამებას მყოფთა, ძალის მორთვა (შემატება) მარკიზისა, გარდვიდნენ მთასა და მიიქცნენ თავისადვე და მარკიზი მივიდა პატარძეულს".[127])

საკვირველი და საოცარი ამბავია. მემატიანე ხსენებით კი ახსენებს სამებას, მაგრამ ომზე არას ამბობს. 80 წლის ბებერ მონაზონის ხიშტით გაპობა, ან "ჩჩვილთა" ცხენის

---

127) მასალები... გვ. 104.

ქუსლით გასრესა ომად როგორ მოეჩვენა ჯერ ისევ ევროპაში ბრძოლის ველზე სარდლობით სახელმორჭმულ მარკიზ პაულუჩჩის!

შეშინდა საგარეჯო და მარკიზს თავი დაუკრა. ეტყობა ხაშმელების აკლება-აწიოკება ელევთერის მჭერმეტყველებაზე ძლიერი ყოფილა. სული ტკბილია, მოგეხსენებათ, და საგარეჯომაც წუთიერი ბედნიერება არჩია ამ ჟამად ვაჟკაცურად მტრის დახვედრას. საგარეჯოს რომ შევიდა პაულუჩჩი, მეამბოხენი იქ აღარ დახვდნენ, დაეტოვებინათ გატეხილი სოფელი და სხვაგან წასულიყვნენ. საგარეჯოს მალე სხვა სოფლებმაც წაჰბაძა, მაგალითად კაკაბეთმა, კანდაურმა და მანავმა. ამ ადგილ-მდებარეობის თავადებმაც ქედი მოიხარეს და ერთგულობის ფიცი მიიღეს, მაგალითად: ჩერქეზიანთ, მაყაანთ და ყარალაშვილმა.

27 თებერვალს მარკიზი კაკაბეთს ჩავიდა. აქ მოეგება წინ პოდპოლკოვნიკი სტეფანოვი. ყარა-აღაჯის ციხეში სურსათი გამოჰლეოდა და შიმშილით სიკვდილს ციხიდან გამოსვლა ამჯობინა. მთელი სამი დღე იგერია კახელი მეამბოხენი და ბოლოს მშვიდობით კაკაბეთს მიაღწია, სადაც მარკიზს შეუერთდა. ზარალი მცირე მოსვლოდა სტეფანოვს. რადგან სტეფანოვის მხედრობა ძალზე იყო გალახული ცალკე უსურსათობით და ცალკე სამი დღის ლაშქრობით, მარკიზმა საგარეჯოში დასტოვა იგინი და თვითონ სოფ. მაღაროსაკენ გაემართა.

რამდენიმე დღის წინად, ვიდრე სტეფანოვი ყარა-აღაჯის ციხეს მიატოვებდა და ტფილისისაკენ წამოვიდოდა, 400 ჯარის კაცით და ერთი ზარბაზნით .გაგზავნა მაიორი ორბელიანი მეამბოხეებთან, ციხეს რომ გარს ერტყნენ. ორბელიანს დაბარა, ეცადე, ეგები როგორმე დაიყოლიო აჯანყებულნი, ხელი აიღონ ბუნტობაზე და სახლში დაბრუნდნენო. ბუნტის კაცებმა არ მოისურვეს ლაპარაკი და დაუშინეს თოფ-ზარბაზანი. ეწყინა ორბელიანს ასეთი თავხედობა, ეკვეთა მეამბოხეთ, განდევნა სიმაგრიდან, გაფანტა და წაართვა ის ერთად ერთი ზარბაზანი, რომლის რიგიანი ხმარება შეიძლება არც კი

იცოდნენ. ორბელიანის გამარჯვების შემდეგ სტეფანოვმა მშვიდობით დააღწია თავი ყარა-აღაჯს და კაკაბეთში მარკიზს შეუერთდა.

ასე კარგად წავიდა მარკიზ პაულუჩჩის საქმე თავშივე. ერთი რამ აფიქრებდა მთავარ-მართებელს. ენატანიებმა შეატყობინეს, კახელები იმასა სცდილობენ, როგორმე ერთი თვე გაუძლონ რუსებსა და მერე ფიქრი აღარა აქვთო. მარტში გზები გაიხსნება და ყიზილბაშთა მხედრობა დაიძვრის არაქსიდან შაჰ-ზადას და ბატონიშვილ ალექსანდრეს მეთაურობითო. რაკი ესენი გაჩნდებიან საქართველოს სამზღვრებზე, მაშინვე მთელი საქართველო იარაღს აისხამს და რუსობას შეებრძოლებაო.

დარდსა და სევდას ის თუ გაუქარვებდა ამ ამბით შეწუხებულ მარკიზსა, რომ იმერეთიდან გენერალ-მაიორ სიმონოვიჩმა ყაბარდოს პოლკის ერთი ბატალიონი გამოუგზავნა საშველად. პაულუჩჩი მაღაროს რომ მივიდა, ყაბარდოს პოლკის ბატალიონი ქართლის სამზღვარს უახლოვდებოდა.

მეამბოხეთა ადვილად დასამარცხებლად რიგიანი სამხედრო გეგმა შეიმუშავა პაულუჩჩიმ. უმთავრესი მხედრობით თვითონ სიღნაღის გზას დადგა, ჯერ ქიზიყელებს გაუსწორდებოდა, დააწყნარებდა, ერთგულობის ფიცს მიაღებინებდა და აქედან ველისციხით თელავს ავიდოდა იქ გამომწყვდეულ რუსობის დასახსნელად. გომბორზე რომ წასულიყო, ათასი ხიფათი მოელოდა. უღრან ტყე-ტყე სიარული და მერე შუა გულ ზამთარს ადვილი არ იყო ქვეითა ჯარით. ვინ იცის სად ჩაუსაფრდებოდნენ მეამბოხენი და ეგები სავსებითაც გაეჟლიტათ მცირე რაზმი რუსის სარდლისა და თვით პაულუჩჩიც ტყვედ წაეყვანათ. განგებას ეს რომ ენებებინა, სამუდამოდ ჩაიფუშებოდა რუსების საქმე საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში. რაღა თქმა უნდა, რომ ბოლო მოეღებოდა იმ პოლიტიკასაც, რომელსაც სახელად აღმოსავლეთ აზიის პოლიტიკა ჰქვიან და რომელმაც რუსეთის იმპერიის ცხოვრებაში ამჟამად სათვალსაჩინო ადგილი დაიჭირა. ქიზიყში შესვლას ის უპირატესობა ჰქონდა კიდევ, რომ მეამბოხე

რაიონს მარკიზი მოსწყვეტდა სამაჰმადიანო სახანოებს, გზას მოუპრიდა შიკრიკ-მოციქულებს და დიდად გაუძნელებდა კახეთში შემოსევას აბას-მირზას და ბატონიშვილ ალექსანდრეს, გაზაფხულის დადგომას რომ ელოდნენ.

თვითონ რომ ქიზიყის გზას დაადგა, პოდპოლკოვნიკ უშაკოვს უბრძანა პაულუჩჩიმ, რაკი ანანურელები და არაგველები დაამარცხე და მანდაურები დააწყნარე, რაკი საქართველოს სამხედრო გზა გაიხსნა გაბრიელ ყაზბეგის შემწეობით, რაკი მანდ გადმოსულ კახთა მაშფოთართ საშაბუროსთან ჭკუა ასწავლე და ქართლი მეამბოხეებმა ვერ აიყოლიესო, მანდედან აიყარე, თიანეთზე წამოდი, გზა-გზა მტერი შემუსრე და თელავს ჩამ̣ოდი, სადაც მე ქვემოდან მოვდივარო. ამ გვარად პაულუჩჩი და უშაკოვი შუაში მოიმწყვდევდნენ კახელებს, რკალივით გარს შემოეხვეოდნენ, და ან უნდა დამორჩილებოდნენ მთავარ-მართებელს, ან გადახვეწილიყვნენ დაღესტანს.

გ̣ეგმის სისრულეში მოყვანას ხელს უწყობდნენ ნიჟიერი სარდალნი პოლკოვნიკი ტიხანოვსკი და პოდპოლკოვნიკი უშაკოვი. უკანასკნელს შესამჩნევად ეხმარებოდა გენერალ-მაიორი თავადი კოსტანტინე მუხრან-ბატონი, ხოლო რა ნაირად იტანდა გენერალი პოდპოლკოვნიკის უფროსობას, სწორედ ვერ გაგვიგია. ასეთი ხელქვეითობა პირდაპირ ეწინააღმდეგება სამხედრო წესსა და დებულებას. გამოდის, რომ ჩვენი წინაპარნი მაშინდელ სამსახურში თავმოყვარეობაზედაც ხელს იღებდნენ.

მაღაროსაკენ მიმავალ პაულუჩჩის მოახსენეს, რომ სოფ. ქოდალოს პატარა ციხისათვის თავი შეუფარებია რუსის ჯარის-კაცებსა და თუ მალე არ უშველეთ, შიმშილით გასწყდებიანო. ქოდალოს ციხეში დამალულიყო 80 ჯარის-კაცი. პირველად ამბოხებამ რომ იფეთქა და გაბრაზებული ხალხი საეგზეკუციო კამანდებს მიესია, პურის მოსაკრეფად რომ იყვნენ დაგზავნილნი,[128]) სხვა და სხვა სოფლებიდან აქ

---

128) მარკიზის სიტყვით "для выбивки провіанта". Акты, ტ.V. გვ. 78.

მოიყარა თავი კამანდების ნაშთმა, ციხე ძალით დაიჭირეს და ვაი-ვაგლახით მოეწყვნენ. მთელი 23 დღე გაუძლეს უბედურებმა მეამბოხეთა იერიშებს. სასმელად წყალი რომ არა ჰქონდათ, თოვლს ადნობდნენ და იმასა სვამდნენ. ბედი იმათი, რომ ციხეში მომწყვდეულთა გასანთავისუფლებლად მთავარ-მართებელმა გაგზავნა ტიხანოვსკი ორი როტა ჯარით. მეამბოხენი გაიფანტნენ, ბრძანებს მარკიზი, გაჩნდა თუ არა ციხესთან პოლკოვნიკი ტიხანოვსკიო. თუ ვერწმუნეთ პაულუჩჩის მოწმობას, ქოდალოელებს სწორედ გული გახეთქიათ შიშისაგან. ტიხანოვსკის რაზმს რამდენჯერმე დაუცლია მხოლოდ თოფი, ზარბაზანიც კი არა ჰქონიათ თანა და მარტო თოფის სროლას ისე შეუშინებია მეამბოხენი, რომ გაქცევით უშველიათ თავისათვის. ორი მეამბოხე დაუჭერია ტიხანოვსკის და პაულუჩჩის ბრძანებით იქვე ჩამოუღრჩვია, რა არის მაყურებელი შეშინდეს, გული გაუსკდეს და მთავრობის ურჩობა აღარ გაბედოსო.[129])

29 თებერვალი გახლდა, სოფელ ქოდალოს უბედურობა რომ დაატყდა თავსა. ტყვედ აყვანილების ჩამოღრჩობამ შიშის ზარი დასცა აჯანყებულთ. ამავე 29 თებერვალს პაულუჩჩის ეახლნენ ქიზიყის თავი კაცები (ქევხა-მამასახლისები), ბოდიში მოიხადეს და მორჩილება გამოუცხადეს. მაშასადამე მთელი ქიზიყი და სიღნაღის მაზრა დამორჩილდა რუსის მთავრობას, ქედი მოიხარა პაულუჩჩის წინაშე და მარკიზსაც დაუბრკოლებლივ შეეძლო ზევით, თელავისაკენ წასულიყო. რადგან ხელის შემშლელი აღარაფერი იპოვებოდა, მთავარ-მართებელმა გადასწყვიტა დაუსვენებლივ წასულიყო და მართლაც 1 მარტს თელავისაკენ გაემართა.

29 თებერვალს ქიზიყმა თავი დაუკრა პაულუჩჩის, 27 თებერვალს-კი ახლად არჩეულ ქართლისა და კახეთის მეფე გრიგოლმა იმედით სავსე წერილი გაუგზავნა ქიზიყის თავადიშვილობას, მოხელეთა და ერსა. მოწიწებით სალამს გიძღვნით, სწერდა გრიგოლი, შაბათ დღეს დიდის ჯარით ხაშმზე

---

129) იხ. Акты, ტ. V, გვ. 79.

მივდივართ, თქვენი-კი არა ვიცი რა, რას აკეთებთ, ან რასა ჰფიქრობთ. გეკედრებით, ნუღარ დაახანებთ და თქვენც ხაშმისაკენ წამოდით. ყოველ გარემოებას შეგატყობინებთ წერილის მომტანი. ნოშრევანა. დაგვიანება აღარ შეიძლება, რაც შეიძლება მალე დაიძარით და ტეკებიც თან წამოიყვანეთ. ქართლის ამბების გაგება თუ გსურთ, აი რა ხდება იქა. ცხინვალის მხარეს რაც რუსობა იყო, გაჟლიტეს, ხიდები დაანგრიეს და ყოველი ქართელი ჩვენს მოლოდინშია. ორთავ ლიახვისპირელნი უკვე შეიკრიბნენ. რუსებს რაც ჯარი ჰყავდათ, ხაშმზე შეაგროვეს, ეს ჯარი რომ ამოუწყვიტოთ, რუსები უჯაროდ დარჩებიან. მაშინ ტფილისი, არაგვი და ქართლი ჩვენს ხელში იქნება. თხოვნა ჩვენი ესაა და ახლა თქვენი ნებაა.

ავად იყო თუ კარგად, 27 თებერვალს პაულუჩჩიმ კაკაბეთს მიაღწია, მაშასადამე, ხაშმი, საგარეჯო, პატარძეული, მანავი უკვე დამორჩილდა მთავრობასა და როგორ მოუვიდა გრიგოლს, რომ ოცდაშვიდისათვის ქიზიყელებს ხაშმში იწვევს, ძნელი გამოსარკვევია. საჭირო იყო წინიდან დახვედრა მარკიზისა და არა ზურგიდან მოქცევა.

პირველ მარტის თარიღით გრიგოლ მეფე ცხარე წერილს უგზავნის ეშიკ-აღაბაშ ნინია ზურაბის ძე ჩოლაყაშვილს. თიანეთიდან მოყოლებული ქუდზე კაცი გამოვიდა, 4000 ჯარი შეიკრიბა ჩემთან. ქუდზე კაცს დაუძახე და შენის ჯარით შემეგებე, თორემ იცოდე, ასე თუ არ მოიქეცი, ჩემსა და ჩემთან შეკრეფილ ჯარის წინაშე მოღალატედ გამოხვალო.

ქართველ თავადიშვილებს არ უყვარდათ წყრომის ბარათის მიღება. შემდეგ გამოჩნდება, რომ ნინია ეშიკ-აღაბაშს არ ეპრიანა გრიგოლის ბრძანების კილო და იქნება ესეც იყვეს მიზეზი, რომ ნინიამ ჯარი გრიგოლ მეფეს-კი არ მიაშველა, მარკიზთან წარსდგა და მოახსენა: "გიჩვენო მე გზაი ვაკე, უკეთუ მომცე ნიჭი რამეო".[130])

---

130) ნიჭი—საჩუქარი. ეშიკ-აღაბაში გენერალ-ადიუტანტია (ჩუბინ). გრიგოლის წერილები იხილე Акты, ტ.V, გვ. 44.

მზე და მთვარე ისე არ განსხვავდება, როგორც ბატონიშვილ დავითის მატიანე აკტებისაგან. წესსა და რიგსაა მოკლებული მატიანე, ესე იგი სისტემატიურად ვერაა დალაგებული მარკიზ პაულუჩჩის ლაშქრობის ისტორია, ცნობანი მცირეა, მაგრამ რაც არის, დიდად განსხვავდება მთავარ-მართებლის უქვეშევრდომილეს მოხსენებიდან. ხაშმიდან მოკიდებული მაღარომდე პაულუჩჩის ლაშქრის მსვლელობა, აკტებს თუ სავსებით ენდო კაცი, მოგაგონებთ უბრალო სამხედრო გასეირნებას, ჯარს სავარჯიშოდ რომ გაიყვანებენ ხოლმე, რა არის ჯარის-კაცს მუხლში წყალი არ ჩაუდგესო. დავითის ნათქვამს თუ ყური დაუგდეთ, სულ სხვა სურათი დაგვიდგება თვალწინა. აი მოისმინეთ თვით მისი სიტყვანი: "კაკაბეთით შთავიდა (მარკიზი პაულუჩჩი) ქიზიყს წინამძღვანველობითა ენდრონიკაანთათა. მაშინ ყაფლანცა (ორბელიანი, მაიორი) შეეყარა მხედრობითა თვისითა ლაკბესა ზედან,[131]) და თანა წარიყვანა მან იგინი, ვინაიდან მათ (ენდრონიკაანთ) ეპყრათ კერძო რუსთა (ესე იგი რუსის მომხრენი ყოფილან) და ონანაანთაცა (ვაჩნაძე) ეპყრათ კერძოი რუსთა. ხოლო გლეხთა კახელთა ჰსცნეს რა სიცბილი თავადთა, მოწვეს სახლი სვიმონ ანდრონიკაშვილისა და მოსტყვენეს სახლიცა სოლომონ ანდრონიკაშვილისა. მუნ მოერივნენ ქიზიყელნიცა, უფროსნი კაცნი მუნებურნი და წარვიდა ქიზიყს. მისრულმან ნუკრიანს, მუნ მოაშთო[132]) ორი კაცი ქიზიყელი, რომელიცა ყარა - ღაჯს შეეპყრათ რუსთა. მხილველთა ხალხთა წინამხრისათა, შეშინებულთა, აღიყარნენ და მიმართეს ლეკთა. მხილველი ამისი მარკიზი ფრიად შეშინდა და მსწრაფლ წარუვლინა მოურავი მათი იოსებ ენდრონიკაშვილი, ძე მელქისადეკისა, რათა დაამშვიდოს ხალხი იგი და უკუნაქციოს სახლადვე თვისად, რომელთაცა მისცა პირი მტკიცე უვნებლობისა. მაშინ მისრულმან იოსებ უკუნ

---

131) ლაკბე მინდორია. მდებარეობს სიღნაღის ახლოს.

132) მოშთობა — გაგუდვა; удавить, задушить. სიცბილი — სიგიჟე, სისულელე.

აქცივნა ხალხნი იგი და დაამშვიდა ქიზიყი, ხოლო მარკიზი აღიყარა ქიზიყით და წარვიდა შიგნით კახეთსა". [133])

პაულუჩჩის, როგორცა სჩანს, დიდი შიში გამოუვლია. ქიზიყელებს ლეკებისთვის უთხოვნიათ შველა, დაგვიხსენით სარდლისაგან, რომელმაც ხალხის შესაშინებლად თოკი და საბელი წაიმძღვარა წინა. ეტყობა, კეთილშობილმა მარკიზმა საღრჩობელა დაიშურა მეამბოხეთათვის, ღირსნი არ არიან ჩამოღრჩობისაო, და როგორც ქეციან ოთხფეხს, თოკს აბმევინებდა და სულსა ჰხუთავდა. ასეთის ტირანობით გონება დაბნეულმა ქიზიყმა ლეკეთისაკენ გაიწია, ჯერ კი ჯავრი იყარა მოღალატე თავადიშვილებზე და სახლ-კარი გადაუწვა.

ზემოდ მოვიხსენიეთ, რომ ბედი სწყალობდა მარკიზსაო. ბედნიერმა ვარსკვლავმა ამ გაჭირვების დროსაც არ უღალატა პაულუჩჩის. ქიზიყელივე მკვიდრი, სიღნაღის მოურავი, იოსებ ანდრონიკაშვილი, მისი სახლის კაცები და სხვანი, რომელთაც "ეპყრათ კერძოი რუსთა", დატრიალდნენ ხალხში, მოიგეს მისი გული დაპირებით - "მისცეს პირი მტკიცე უვნებლობისა" და აყრილი ხალხი დააბრუნეს სახლად თვისად.

დიაღ, ბაჯაღლო ოქროდ ეღირებოდა იოსებ ანდრონიკაშვილის ასეთი ნამდვილი სამსახური. ქიზიყის უფროსმა კაცებმა რომ თავი დაუკრეს მარკიზსა, იოსების უნარი და გარჯილობაა. აგრე ადვილად ვერ გამოიცვლიდნენ გულსა გაბოროტებული ქიზიყელები, მოქარგულ ენით რომ არ დატრიალებულიყო მოურავი იოსებ მელქისედეკის ძე ანდრონიკაშვილი.

რაკი ასე მშვიდობით გათავდა ქიზიყის არეულ-დარეული და სახიფათო საქმე, პაულუჩჩი პირველ მარტს თელავს გაემართა. სიღნაღში დასტოვა მაიორი ორბელიანი ყაბარდოს პოლკის ერთი ბატალიონით. სიღნაღის მაზრის სამხედრო უფროსობა ამავე მაიორ ორბელიანს ჩააბარა.

გულდანდობილი გაუდექი გზასაო, იუწყება პაულუჩჩი, რას მოვიფიქრებდი, თუ სოფ. ჩუმლაყთან მტერი წინ გადამ-

---

133) იხ. მასალები... გვ. 140 - 105.

ეღობებოდა და გზას შემიკრავდაო. ჩუმლაყში კარგა ბლომად შეკრეფილიყვნენ მეამბოხენი. ახალი მეფე გრიგოლიც ჩუმლაყის ბანაკში იმყოფებოდა. საყურადღებოა ეს ბრძოლა, რადგან აქ უნდა გადაწყვეტილიყო ბედი ამბოხებისა, აქვე იყო მეფე გრიგოლი, მაგრამ მარკიზი ძუნწობს და ამ საყურადღებო ბრძოლის შესახებ ძალიან ცოტა ცნობებს მოახსენებს იმპერატორ ალექსანდრე პირველსა. სიტყვა-სიტყვით ასე აგვიწერს პაულუჩჩი ბრძოლას: "დავადექი ველის-ციხის გზას. სრულიად მოულოდნელად მეამბოხენი დაეტაკნენ ჩუმლაყის პირდაპირ ტყეში რაზმსა. გაბედულად შეუტიეს ჯარსა. აბა, რა მომაფიქრებდა, რომ ეს წუწკის-შვილები, რომელთა შორის ერია ძე ბატონიშვილ იოანნესი გრიგოლ, ასეთ სითამამესა და გაბედულობას გამოიჩენდნენ.[134]) რაზმის შუბლიდან გასული ფლანკიორები[135]) ეკვეთნენ მეამბოხეებს და კაი ღონიერი ზარალიც მიაყენეს. ამასობაში რაზმი წინ-წინ მიიწევდა ტყეში. საერთო მწუხარება გამოიწვია პოლკოვნიკ თ. ვახტანგ ორბელიანის სიკვდილმა. თავადი ვახტანგი გახლდა უერთგულესი და თავდადებული თქვენის იმპერატორების უდიდებულესობისაო. მოგვიკლეს 5 ჯარის კაცი, დაგვიჭრეს: ჩემი საკუთარი ადიუტანტი თ. ჭავჭავაძე, 3 უნტერ-აფიცერი და 7 ჯარის კაცი.[136])

რადგან შეღამდა და ბრძოლის განგრძობა შეუძლებელი იყო, სოფლის სიახლოვეს ბანაკად დავდექი. ველისციხიდან ბანაკში მოვიდნენ თავი კაცები და მორჩილება გამოგვიცხად-

---

134) რუსულად: мятежники напали на отрядъ съ такою отважностью, каковой ожидать нельзя было отъ сволочи, между коею находился и сынъ царевича Іоанна Григорій. უგემურად აქვს ნათარგმნი სიტყვა сволочь დ. ჩუბინაშვილს, — ავი ადამიანი, არამზადაო. ჩვენ სიტყვა წუწკი ვარჩიეთ.

135) ფლანკიორს იმას ეტყვიან, გვერდიდან რომ იფარავს მიმავალ რაზმს. ფლან გვერდია.

136) თ. ალექსანდრე გარსევანის ძე ჭავჭავაძე, ცნობილი პოეტი. პოლკოვნიკი თ. ვახტანგ ორბელიანი მამაა ცნობილის პოეტ ვახტანგ ორბელიანისა. ბედის მწარე ირონია თუ გზებავთ აქაა. მამანი ხელს უწყობდნენ ეიღბლო სამშობლოს თავისუფლების დაკარგვაში, შვილნი-კი თავს დასტირიან დაკარგულს თავისუფლებას.

ეს. ჩუმლაყელები ღამე მოსვენებას არ გვაძლევდნენ და თოფებს ესვროდნენ ჩვენ პიკეტებს. არ მინდოდა სოფლის წახდენა, მაგრამ რაკი ჩუმლაყელები ჯიუტობას არ იშლიდნენ, მეორე დღეს დილა ადრიან ვუბრძანე ხერსონის პოლკის ბატალიონს პოლკოვნიკ ტიხანოვსკის უფროსობით იერიშით მისულიყო ჩუმლაყზე. საქმე დასრულდა საათის ერთ ჩარექზე. სოფელი დავწვით და გავძარცვეთ. ზარალი თქვენის იმპერატორების უდიდებულესობის ჯარისა მცირეა. დაგვიჭრეს მხოლოდ 4 ჯარის კაცი. მეამბოხეებს მოუკალით 50 კაცზე მეტი და 2 ტყვედ ავიყვანეთ, რომელნიც ჩემის ბრძანებით, სხვისა სამაგალითოდ და შესაშინებლად, ჩამოაღრჩეს. დანარჩენი მეამბოხენი გაიფანტნენ; მიმალვა მოახერხა აგრედვე ბატონიშვილმა გრიგოლმა"ო.[137])

უთვის ტომო მოხელე, დაბალი წოდების კაცი, ხეპრე და გაუნათლებელი როცა დაბახანურად იქცევა და მაგარ-მაგარ სიტყვებს ხმარობს ქცევა-ლაპარაკში, არ გვიკვირს ხოლმე - რა უნდა მოვსთხოვოთ ამისთანა გაუჩორკნელ ტეტიასაო, მაგრამ ვერ გვიპატიებია დაბახანური მოქმედება და საქციელი ევროპიდან მოსულ მარკიზისთვის. რაზმს დიდ სამსახურს უწევს ქართველობა. ადიუტანტად ქართველი ჭაბუკი ალექსანდრე ჭავჭავაძე ახლავს, შვილი გარსევანისა, რომელმაც ბევრი იშრომა რუს-ქართველთა ტრაქტატის გაწყობისთვის, თავიანთ მემამულეს ებრძვის სიძე მეფე ერეკლესი პოლკოვნიკი თ. ვახტანგ ორბელიანი, მაინც მარკიზი უწმაწურ ლექსთა კონით სარგებლობს და ქართველობას წუწკიშვილებად იხსენიებს. თუ პაულუჩჩი ასე ამკობდა ქართველობას უქვეშევრდომილეს რაპორტში და იმპერატორის კეთილ სმენას არ მოერიდა, ვინ იცის აქ, საქართველოში, როგორ ამკობდა საცოდავ ქართველობას! ვგონებთ, რომ დედ-მამის გინებასაც არ მოერიდებოდა მთავარ-მართებელი.

ჩუმლაყის ბრძოლა ბატონიშვილ დავითს, როგორც სხვა ამბები ამ დროისა, ცოტა სხვანაირად აქვს აწერილი. "მოვიდა

---

137) იხ. Акты, ტ. V, გვ. 79.

მარკიზი ჩუმლაყს; იქმნა მუნ ბრძოლაი კახთაგან, იძლივნენ რუსნი. მუნ მოკლეს ვახტანგ, სიძე მეფისა ირაკლისა, ყაფლანისშვილი, მეუღლე თეკლასი და დასჭრეს მუხლსა შინა ალექსანდრე, ძე გარსევანისა, ჭავჭავაძე, ვინაიდგან მათ ეპყრათ კერძოი რუსთა და პირის-პირ მამულისა თვისისა იყვნენ მტერ. მაშინ დაჭმუნდა (დაღონდა) ამას ზედან მარკიზი. წარდგა ზურაბისშვილი ნინია, მოურავი მარტყოფისა და უთხრა მარკიზსა: "გაჩვენოი მე გზაი ვაკე, უკეთუ მომცე ნიჭი რაიმეო".[138]) ამას ზედან მხიარულ იქმნა მარკიზი, გაუძღვა მინდვრის გზით და მიიყვანა ჩუმლაყს. მივიდა რა ჩუმლაყს, მუნ სოფელსა შინა შეიპყრა კაცნი ხუთნი და დამოკიდნა ხეთა ზედა და მოაშთუნა. იხილეს რა კახთა ტირანული საქმე ესე, შეიპყრეს მათცა ხუთნი სალდათნი და ერთი აფიცარი და მათცა მოჰკიდნეს ძელსა და მოაშთუნეს იგინი პირის-პირ მარკიზისა, რომელსაცა სჭვრეტდა თვალითა თვისითა".[139])

ახლა რა ნაირად უნდა დავიჯეროთ პაულუჩის მოხსენება, რომ ს. ჩუმლაყთან ზურგზე ბოლი ავადინე მაშფოთართაო? თუ თვალწინ ხუთი სალდათი და ერთი აფიცერი ბოძზე ჩამოჰკიდეს კახელებმა და ჩამოაღრჩეს სამაგიეროს გადასახდელად, ეტყობა მეამბოხენი ან გამარჯვებულნი ყოფილან, ან, თუ ეს სადავოა, არც ისე დამარცხებულან, როგორც მთავარმართებელი მოიხსენიებს უქვეშევრდომილეს რელიაციაში.

პირადად მეფე გრიგოლს ს. ჩუმლაყთან დიდი უბედურობა ეწვია. დავადიშვილებმა უღალატეს და მარკიზის მხარეს გადავიდნენ.

ამ სამწუხარო ამბავს ასე მოგვითხრობს მემატიანე დავითი: "მაშინ გრიგოლიცა, ძე იოანესი, განვიდა ალაზანს და მივიდა ნაუტარს ანწუხელთა ლეკთა თანა, ვინაიდან მას თანა მყოფნი თავადნიცა განივლტენ მისგან და მივიდნენ მარკიზისა თანა".

---

138) ჩვენის მოსაზრებით ნინია მოურავი თავადი ჩოლაყაშვილია. თუ გვეშლება, კარგი იქნება გაასწოროს ვინმემ შეცდომა.

139) ძასალები... გვ. 105.

სწორედ უხვად აქვს დაბერტყილი უფლის მიერ ქართველის ბუნებას შური, მტრობა, ღალატი. მართლა რომ ეროვნული უბედურობა და ღვთის რისხვაა ძვალსა და რბილში გამჯდარი დაუდგრომელობა და ცვალებადობა ხასიათისა. დღეს რომ ერთგულობას გეფიცება კაცი, ხვალ ურცხვად გღალატობს, მოდი და რაიმე საერთო საზოგადო საქმე გააკეთე და დაამთავრე. ეროვნული დღესასწაული გამართეს, ბატონიშვილი გრიგოლ მეფედ რომ ამოირჩიეს რაღაც ორიოდ-სამიოდ კვირის წინად და საცოდავ მეფეს სულის მოთქმა და მობრუნება არ აცალეს და "ნიჭის" მისაღებად უღალატეს. - ნუ თუ მართალია ისტორიკოსი, ოდეს ამბობს: "ნათესავი ქართველთა ორგულ ბუნება არს პირველთაგანვე თვისთა უფალთა". არ იქნა, ვერ გვასწავლა ჭკუა მწარე ბედმა.

XVII

მარტის ორსა მთავარ-მართებელმა ჯარი დაასვენა და 3-ს ველის-ციხეს ავიდა. მომეტებული ნაწილი თელავის მაზრის თავად-აზნაურობისა ჩამოეგება თელავიდან მარკიზსა, ცოდვანი მოინანია, ბოდიში მოიხადა და ერთგულობის ფიცი მიიღო.

მეორე დღეს, 4 მარტს, სამხრობისას (3 საათი), მარკიზი თელავს მივიდა, ისე ეჩქარებოდა მთავარ-მართებელს მეციხოვნეთა განთავისუფლება, რომ ქვეითა ჯარი წინანდალში დასტოვა[140]) და მცირე ამალით, 50 ყაზახითა და რაოდენიმე თავადიშვილით, გაეშურა ციხისაკენ. შეშინებული მეამბოხენი მარკიზის დანახვაზე დაფრთხნენ და გაიფანტნენ. ციხიდან პაულუჩჩიმ მიუსია ტრანშეებში გამაგრებულ კახელებს ქვეითა ჯარი, რომელმაც თითქმის უბრძოლველად გარეკა მეამბოხენი და წაართვა ერთად-ერთი ზარბაზანი, ექვს გირვანქიან ყუმბარის მსროლელი.

140) თელავიდან 7 ვერსია წინანდლამდე.

თელავის ციხის გარემდგომნი, ნაცარქექიასავით რომ იქცეოდნენ, სად იყო ამ დროს კახელ მეამბოხეთა წინამძღოლი, მდივანი თავ. ოთარ ქობულაშვილი, რა დაემართა, რასა ჰფიქრობდა, ვერა გავიგეთ-რა. მატიანე დავითი და არქიმანდრიტი ელევთერ კრინტს არა სძრავენ ოთარზე. არას ამბობენ აგრედვე კაპიტანი ანოსოვი და თვით მარკიზი პაულუჩჩი. სწორედ საოცარია ასეთი სიჩუმე. ცოტად თუ ბევრად, როგორც ქვემოდ დავინახავთ, შესაწყნარებელია დავითის სიჩუმე, რადგან იმის აზრით მარკიზი თელავს არ ასულა, მაგრამ სრულიად გაუგებარია მთავარ-მართებლის მიერ ასეთი უყურადღებობა. ნუ თუ ოთარის მოქმედება ისე უმნიშვნელო გამოდგა, რომ ხსენებითაც არ ახსენა რუსის მხედრობის სარდალმა მეამბოხეთა ჯარის წინამძღოლი? ალბად ასე იქნებოდა, თორემ როგორ არ შეიტანდნენ მის სახელს რელიაციაში.

მარკიზი გვიამბობს, ჩუმლაყიდან თელავს რომ მივდიოდი, გზა-გზა არავის შეუწუხებივარო. ახლო-მახლო სოფლებიდან გლეხები მოდიოდნენ, ცოდოებს აღიარებდნენ და შენდობას ითხოვდნენო. ამგვარადვე მოქცეულან თელავის მაზრის თავადიშვილები. სჩანს, საფანელი შემოლევიათ, აფეთქების რაღაც ხუთიოდე კვირა გაუძლიათ, ცეცხლი ჩანელებულა და მშვიდობიანი, მყუდრო ცხოვრება უმჯობინებიათ ეკლიან გზაზე სიარულსა და წვივების დაგაზვას. ასეთი დასკვნა თითქოს სიმართლეს არაა მოკლებული, მაგრამ ხუთი-ექვსის თვის შემდეგ ერთგულობის ფიცმიღებული თავადები ხელახლა გასტეხენ სიტყვას და ბატონიშვილ ალექსანდრესთან ერთად ამბოხების დროშას ააფრიალებენ და რუსის მხედრობას კიდევ შეებრძოლებიან. მიზეზი ასეთის საქციელის ისაა, რომ მოუწყობელ ჯარს დიდხანს არ შეუძლიან ბრძოლა გაწყობილ მხედრობასთან, რაც უნდა სუსტი და უვარგისი იყოს უკანასკნელი, აჯანყებულმა ერმა თუ ერთის შეტევით, პირველშივე, ვერ მოახერხა სრულიად განადგურება განწყობილის ჯარისა, აღფრთოვანება ეკარგება და, მაშასადამე, ბრძოლის

უნარიც ძრიელ უსუსტდება და ხშირად და სამუდამოდ ძალმ-ომრეობის უღელს უმორჩილდება.

თელავში დაბანაკებული პაულუჩჩი უშაკოვს ელოდდა. ესა და გენერალი კონსტანტინე მუხრან-ბატონი (ბაგრატიონი) ბრძოლა-გამარჯვებით მოდიოდნენ თიანეთისაკენ. მუხრან-ბატონის კაცები, 30 ოსი, თავს დაესხნენ მეამბოხეთა საყარა-ულო პიკეტს და მიფანტ-მოფანტეს ყარაულები. რადგან ოსებმა ყარაულებს გზა მოუჭრეს, მეამბოხეთა უმთავრესმა რაზმმა უშაკოვის მიახლოვებისა ვეღარა გაიგო რა და დიდ გაჭირვებაში ჩავარდა. გათენებისას, 5 მარტს, უშაკოვი და მუხრან-ბატონი დაეცნენ მეამბოხეებს და გაჩაღდა საშინელი ბრძოლა. მთელი ოთხი საათი გაგრძელდა ჩეხა. მეამბოხეებს ეჭირათ თიანეთის გზაზე აბორცვილი ადგილი, ოთხ ალაგას ხე-ტყეთი ჩაეხერგათ კლდიანი ფერდობები. ცოტა მოშორებით უფრო ძრიელი სიმაგრე ჰქონდათ, ექვს ალაგას ჩახერგილი. მეამბოხე ყოფილა ასე 400 კაცი. უშაკოვმა იერიშებით აიღო როგორც პირველი, ისე მეორე სიმაგრე. იძლივნენ მებრძოლი მამულიშვილნი და გაიქცნენ თავის საშველად. გზები არ ვარგოდა, ვიწრო ბილიკები იყო კლდეებზე და, მარკიზის სიტყვით, ბევრი მათგანი გადიჩეხა კლდეზე. სიმაგრეებში რუსებს დაუთვლიათ 30 გვამი დახოც-ილ მეამბოხეებისა. უშაკოვს მცირე ზარალი მოსვლია. მოჰკ-ვდომია ერთი გრენადერი და 3 დაჭრილა. მუხრან-ბატონს მოუკლეს ერთი ოსი და ერთიც დაუჭრეს. ასე ადვილად გადარჩა უშაკოვი სახიფათო ადგილზე ბრძოლას. აქედან უშაკოვი და მუხრან-ბატონი დაუბრკოლებლივ ავიდნენ თიან-ეთს და აქაურებიც დაამარცხეს. რამდენი თიანელი გაწყდა ბრძოლაში, არა სჩანს, ხოლო ტყვედ წაუყვანია უშაკოვს 15 კაცი.

რუსებს ჯავრი სჭირდათ თიანელებისა, რადგან ყველაზე პირველად თიანელები მიემხრნენ ახმეტელებს. კაცი მუდამ კაცია და ამიტომ სამაგალითოდ უნდოდათ რუსებს მათი დასჯა. ტყვედ აყვანილ 15 კაციდან აარჩიეს რვა, როგორც მოთავე მეამბოხე და შიგ სოფელში ჩამოაღრჩეს. სწორედ შეუწყნარ-

ებელ სასტიკობას იჩენდა ბატონი უშაკოვი. ულმობელად ეპყრობოდა ტყვედ წაყვანილ მეამბოხეებს, მაგრამ პაულუჩჩი არ უწყრებოდა და ხშირად ქება-დიდებით იხსენიებდა. აფიცრობის თვალიაო, ასე ამკობს უშაკოვს მარკიზი (сей отличный офицеръ).[141])

მარტო სოფელი არტანი არ იშლიდა თავისას, ჯიუტობდა და ცოდვებს არ ინანიებდა. მოსარჯულებლად და ჭკუის სასწავლებლად მარკიზმა გაგზავნა პოლკოვნიკი ტიხანოვსკი არტანში. რაზმის უფროსმა შეუთვალა, დამშვიდდით, მთაში გახიზნული ცოლშვილი დააბრუნეთ და ურჩობაზე ხელი აიღეთო, მაგრამ სრული მთელი დღე უცადა პოლკოვნიკმა და მოსვლით-კი არავინ მოვიდა ერთგულობის ფიცის მისაღებად. არა, ტყუილად რაზე იწუხებდა პოლკოვნიკი თავსა მოლოდინში. თიანელ ამბების გამგონე ვინ ოხერი მივიდოდა რუსების ბანაკში! თავდებად ვინ დაუდგებოდა, რომ ამათაც თიანელებსავით ნახევარზე მეტს არ ჩამოაღრჩობდნენ! ეწყინა პოლკოვნიკ ტიხანოვსკის, რომ მისი სიტყვა არტანელებმა ძირს დაუშვეს და არ ეახლნენ ფიცის მისაღებად და ჩვეულებრივ მოექცა ურჩ სოფელს, ესე იგი წაუკიდა ცეცხლი და მთლად გადაჰბუგა არტანელების სახლ-კარი. ნუგეშად არტანელებს ერთი რამ ექნებოდათ, სიცოცხლე მაინც ხომ შევინარჩუნეთო. არტანის გადაწვით დასრულდა რუსის მხედრობის მოქმედება მარკიზ პაულუჩჩის უფროსობით მეამბოხეთა წინააღმდეგ 1812 წლის გაზაფხულის პირზე.

"ამ გვარადაო, მოახსენებს პაულუჩჩი იმპერატორ ალექსანდრე პირველს, განგებითა ჟოვლად სახიერის უფლისა, რომელიც მფარველობს თქვენის იმპერატორების უდიდებულესობის იარაღს, დაითრგუნა და დაიმსხვრა ზვაობა და კადნიერება უგუნურთი და სულელთა. მაშფოთარი სული კახეთში ძირიან-ფესვიანად ამოვარდა, მართვა-გამგეობის წესი

141) იხ. Акты, ტ. V, გვ. 79 - 80.

და რიგი აღდგენილ არს და სრულიად საქართველო დაწყნარდაო".[142])

რა ზარალი მოუვიდა ქართველობას აჯანყების დროს, დანამდვილებით არ ვიცით. ვისა ჰქონდა თავი აღენუსხა მოკლულ, დაჭრილ, ჩამოღრჩობილ, ან ტყვედ წაყვანილ ქართველისა. რუსის მხედრობის ზარალი-კი მარკიზ პაულუჩჩიმ დაწვრილებით მოახსენა ხელმწიფეს. სულ მოგვიკლეს და უგზო-უკვლოდ დაგვეღუპაო 6 შტაბ-აფიცერი, 13 ობერ-აფიცერი და 300 უბრალო ჯარის-კაციო. პირველად ამბოხებამ რომ იფეთქა და გაალმასებული ერი სამხედრო კამანდებს მიესია, ბევრი ჯარის-კაცი დაგვაკლდა. ზოგი დახოცეს და ვინც ცოცხალი გადარჩა, მონებად გაიხადესო. თითო ოროლა გულკეთილმა თავად-აზნაურმა, სამღვდელო კაცმა და გლეხმა სამას ჯარის-კაცამდე სახლებში დამალა და გაბოროტებულ მეამბოხეებს არ დაანებაო. თქვენის იმპერატორების უდიდებულესობის ძლევა-მოსილმა იარაღმა მტვრად რომ აქცია შფოთით სავსე განძრახვა და გადარეულ და თავხედმა მოღალატეებმა მოწიწებით ქედი რომ მოიდრიკეს[143]), მე მაშინადვე მოვთხოვე დაუყოვნებლივ ჩემთვის წარმოედგინათ დამალული სალდათები. ჯერჯერობით 300 კაცი წარმომიდგინეს. ეგები, ღმერთმა ინებოს და უგზო-უკვლოდ დაკარგულად რომ ითვლებიან, ზოგი მათგანიც ვინმე ცოცხალი აღმოჩნდესო.

ფრიად საყურადღებო უქვეშევრდომილეს 26 მარტს 1812 ✈ მოხსენებას მარკიზი პაულუჩჩი იმით ათავებს, რომ მოკლედ ჩამოთვლის მიზეზებს, რამაც გამოიწვია კახეთის "ბუნტი". ეს მიზეზები, სხვა წყაროებიდან შევსებული, ზემოდ უკვე მოვიხსენიეთ და საჭირო აღარ არის მათი განმეორება.

პაულუჩჩიმ თავისი თავიც არ დაივიწყა, და როგორც მოხელეთა ჩვეულებაა, აჯანყების მიზეზი სხვას მოახვია კისერზე. - საქართველოში (რუს. Грузія) მომხდარ რევოლი-

142) Ibid. გვ. 80.

143) რუსულად: "...подлые измѣнники съ покорностью преклонили буйныя ихъ выи."

უციის ამბები დაწვრილებით მოგახსენეთ, სწერს მეფეს. ნათქვამს ის უნდა დაუმატო, რომ ჩემი თავი უბედურად მიმაჩნია, რადგან ამბოხება დიდი ხანია, რაც მზადდებოდა და იფეთქა მხოლოდ ჟამსა აქაურის მხედრობის ჩემ მიერ სარდლობისასა: ნუგეშად მოვლენილ უბედურობაში თქვენის უდიდებულესობის მართლ-მსაჯულება მაქვს და საკუთარი ჩემი სინიდისი. დარწმუნებული ვარ, რომ თვით გესლიანი შური ჩირქს ვერ მოსცხებს ჩემს მოქმედებას ამ ქვეყანაში, ვინაიდან ჩემის მოქმედება-საქციელის ერთად-ერთი საზრუნავი საგანი იყო - სარგებლობა თქვენის იმპერატორების უდიდებულესობის სამსახურისა, საქართველოს ერის სიკეთეებედნიერება და აღმოფხვრა ბოროტებისაო.[144])

აპრილის გასულს მარკიზი პაულუჩჩი სამუდამოდ გამოეთხოვა საქართველოს და პეტერბურგს გაეშურა. მთავარსარდლობა და მართებლობა ჩააბარა გენერალ რტიშჩევს.

თავად-აზნაურობას ეწყინა, მარკიზ პაულუჩჩის გადაყვანის ამბავი რომ შეიტყო, წარსდგა წინაშე მისა და სთხოვა - ნება მოგვეცით გავგზავნოთ პეტერბურგს დეპუტატი და იმის პირით ვსთხოვოთ ხელმწიფეს თქვენი აქ დარჩენაო. მარკიზმა ნება მისცა. დეპუტატად აირჩიეს ნადვორნი სოვეტნიკი თ. ზაქარია ანდრონიკაშვილი. მარკიზმა დეპუტატი გაისტუმრა და თან წერილი მისწერა პოლიციის მინისტრს, გთხოვთ და გეხვეწებით, ეცადეთ, რომ საქართველოს თავად-აზნაურობის თხოვნა მონარქმა უყურადღებოდ დასტოვოსო. მე ამ დღეებში წამოსვლას ვაპირობ, დაბრუნების ბრძანებამ გზაში რომ მომისწროს, ხელ-ახლა უნდა დავტრიალდე საქართველოში. წასვლა-წამოსვლა სულით-ხორცამდე დამღუპავს და გამაღატაკებსო.[145])

იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა პატივი არა სცა დეპუტად ზაქარია ანდრონიკაშვილის თხოვნას და მარკიზი

---

144) გვ. Акты, ტ.V, გვ. 80 - 81: კაპიტანი ანოსოვი 13 ობერ-ოფიცერს ანგარიშობს მოკლულს, მარკიზი მხოლოდ 10. ანოსოვის ანგარიში უფრო მართალია.

145) Ibid. ტ. V, გვ. 21 - 22.

აღარ დააბრუნა საქართველოში. დეპუტატის გაგზავნა პეტერბურგს უსაღსრობისა გამო ეხლაც ძნელია და მაშინდელ დროს ერთი-ათასად ძნელიც იყო და სახიფათოც. რა მოსწონდა ჩვენ თავად-აზნაურობას მარკიზ პაულუჩჩისა და რაზე იკლავდა თავს, რომ განსაკუთრებული კაციც-კი აახლა იმპერატორს თხოვნა-მუდარით, აქ დაგვიტოვე მთავარ-მართებლადაო, ადვილი გამოსაცნობი არ არის. კაპიტანი ანოსოვი ფიქრობს, მღელვარებამ თვალი აუხილა მარკიზსა და ბოროტების აღმოფხვრას მხნედ შეუდგა. მარკიზი ჭეშმარიტების მოყვარე იყო და მართვა-გამგეობის გადაკეთება დაიწყოვო. მთავარ-მართებლის საქმიანობის ნიმუშები ზემოდ საკმარისად მოვიხსენიეთ და ქვეყნის საკეთილო მაინცა და მაინც ბევრი ვერაფერი ვიპოვნეთ. თავიდანვე გენერალ სტალის მიერ მოხერხებულად და ეშმაკურად გაბმულ ქსელში გაება, ეგზეკუციებით დაარბია კახეთი და როცა ილაჯ-გაწყვეტილ ერმა ხმა ამოიღო, მოწყობილ ჯარით ზურგზე ბოლი აადინა და შესაშინებლად საღრჩობელანი დამართა კახეთის ირგვლივ. არც თუ თავად-აზნაურობას ექცეოდა ლმობიერად ბრწყინვალე მარკიზი. საერთოდ მოღალატეობის დიპლომი უბოძა და ამის შესაფერად ექცეოდა. მაშ რის გულისათვის ეწეოდნენ ხარჯსა და რისთვის გაგზავნეს კაცი პეტერბურგს? ალბად ამის საიდუმლო საფლავში თან თუ ჩაიტანა განსვენებულმა დეპუტატმა თ. ზაქარია ანდრონიკაშვილმა.

რაკი სამუდამოდ ვეთხოვებით ფილიპე ოსიპის ძე მარკიზ პაულუჩჩის, საჭიროდ მიგვაჩნია დავამთავროთ მისი მოქმედების ამბავი ორიოდე ცნობით და ბოლოს ისიც მოგახსენოთ, თუ რა ბედი ეწვია ახლად არჩეულ მეფე გრიგოლს.

ზემოდ დასახელებულ არქიმანდრიტ ელევთერის მოხსენების მეხუთე მუხლი აგვიწერს პაულუჩჩის ექსპედიციას კახეთში. "დროსა, მათის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის მცხეთის მიტროპოლიტის და სრულიად საქართველოისა და იმერეთის ექსარხოსისა და კავალერის ვარლაამისსა, გაიხსნა რა დეკასტირია და ინება მან მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობამან ჩემიცა დეკასტირიასა შინა ჩლენად დადგენა და ამის

გამო ვიყავ აქ ტფილისსა. მას ზამთარს, თვესა თებერვალს, 1812-სა წელსა, ასტყდა ბუნტი კახეთსა შინა, მთავარ-მართებლობისა მარკიზ პაულუჩჩისას, და ამან მთავარ-მმართებელმან ინება კახეთს წასვლა და მეცა თავისთან წასაყვანად ვუნდოდი, სთხოვა მათსა მაღალ ყოვლად-უსამღვდელოესობითსა მწყემსთ-მთავრობასა, და მწყემსთ-მთავარმან ამან მიბრძანა დიდის გულს-მოდგინებით, და დამარიგაცა მსახურებისათვის ერთგულებისა, და გამატანა რა, მივედით აქავ კახეთისა პირსა საგარეჯოს, მომანდო მე ვალად ხალხთა ფრიად აღრეულთა შორის მისვლა, რჩევა და დამშვიდება. მორჩილი ბრძანებისა, შეველ მათ ხალხთა შორის, თუმცა დროსა მას ჩემის შესვლისასა მრავალგან მოინდომეს სიკვდილი ჩემი, გარნა მიხსნა მე ღმერთმან და მაინც დავამშვიდე იგი, და მოვიდნენ მარკიზსა თანა. შემდგომად ამისა აქედან წარსულნი გარდავედით პირიქით, დაგვხვდნენ კახეთის ხალხნი, აგვიტეხეს სროლა და დაგვიწყეს ომი ადგილსა ჩუმლაყის ბოლოსისა და გვესროდნენ-რა, დროსა ამასთანა ვახლდი. სროლამ გასტანა საღამომდინ და მას ღამესა ფრიადისა სიცივისა და თოვლისაგან შეწუხებულმან, გავათენე ტალახს და თოვლსა შინა, ცას ქვეშე, და მეორესა დღესა რა დაამარცხა იგინი მოუმორჩილებელნი პირისპირ მბრძოლნი უძლეველმან მხედრობამან, მასვე დღესა გამგზავნა მე გაღმა მხარს დასამშვიდებლად და თვით წარვიდა თელავს. წაველ მე და აქამდისინ მოვიყვანე ცდა ჩემი, თვით ამღრეველნი გაღმამხრელნი მოვართვი თელავს, შევარიგე და დაუტევე ხალხი დამშვიდებული და თელავის კარის ეკლესიასა შინა ესენი და სხვანი დავაფიცე მე ერთგულებასა ზედა ხელმწიფე იმპერატორისასა. და შემდგომად ამისსა წარმოვიდა რა ტფილისს მარკიზი, დამაგდო მე განგებ თელავს, ესე ვითარის სიტევით, კნიაზ ორბელიანი[146]) მოვა აქ ხალხისათვის დასარწმუნებლად და უნდა ახლდე მასთანა და მასცა მისცე ერთგული შეწევნაო. მოვიდა რა მათი ბრწყინვალება

146) გენერალი დიმიტრი ორბელიანი. ეს გენერალი ასპარეზზე გამოვიდა კახეთში მთავარ-მართებელ რტიშჩევის დროს.

უფალი ღენერალ-ლეიტენანტი და კავალერი კნიაზ დიმიტრი ორბელიანი, დავხვდი მუნ, და ვმსახურე მაშინცა მთლად თელავის უეზდსა შინა და მუნამდე ვახლდი, მანამ შევიდოდა კნიაზი ქიზიყს და მუნითვე უკმო ვბრუნდი და წამოველ ტფილისს. ამა სამსახურთა გამო დამიწვეს მე სახლ-კარი თელავს და ამიკლესცა ყოვლისა ნივთით ჩემით მაშინდელთა ბუნტოვჩიკთა".

როგორც ეტყობა, გულფიცხნი ყოფილან მაშინდელი "ბუნტოვჩიკები". მათთვის მოღვაწე და მოამაგე მოძღვარს, რომელსაც სუსხიან თებერვალში, ჩუმლაყის ბოლოს, ღამე გაუთენებია "ტალახსა და თოვლსა შინა, ცას ქვეშე", რომელმაც ფიცი მიაღებინა კარის ეკლესიაში, პატივი არა სცეს, არ დაუნახეს ამაგი, ჭირნახულობა და სახლ-კარი დაუწვეს. ბარ-ეღამაც არ ეკუთვნოდა ასეთი ჯილდო, მაგრამ რას იზამ, როდესაც ასეთია ერის პსიხოლოგია. საერთო ღრევა-ამბოხების ჟამს მეტიჩარა და ძალად-მაცხონეების ხვედრი ხშირად ცეცხლი და სახლ-კარის გადაბუგვაა ხოლმე.

ჩუმლაყის ბრძოლა სწორედ რომ კისერ-მოსატეხი ეპიზოდი ყოფილა მარკიზ პაულუჩის ცხოვრებაში. საქმე ისე გასჭირვებია მთავარ-მართებელს, რომ ოღონც-კი დაემშვიდებინა ერი და აუღია და ათას რამე სასიამოვნოს შეჰპირებია კახელებს. მეფედ ერთ-ერთ ბატონიშვილს მოგგვრითო, თავიდან მოგაშორებთ "მოსამართლეებს" და კაპიტან-ისპრავნიკებსაო. კახელებსაც ამის მეტი არა უნდოდათ რა, დიდად გახარებიათ და ნიშნად სიხარულისა მარკიზისთვის წარუდგენიათ 300 ჯარის-კაცი თავიანთი აფიცრებით. მართალია თავგაპარსული, მაგრამ რა უჭირს, თმას რა ჭკუა აქვს, ერთ თვეზე უფრო უკეთესი ამოუვიდოდათ. ფრიად საინტერესოა ბატონიშვილ დავითის ამ ამბის შესახებ მოთხრობა და ამის გამო სავსებით და სიტყვა-სიტყვით შემოვიტანთ ამ მოთხრობას. თავადიშვილებმა რომ უღალატეს მეფე გრიგოლს ჩუმლაყთან და მარკიზთან მოვიდნენ, "მაშინ ზაზა

ზურაბიშვილი, ძმა ნინიასი, რომელიცა იყო მეფის ძის ივანეს სახლთხუცესი[147]) და მოსრულიყო მას ჟამს რუსეთით და იყო მარკიზის თანა, შეუჩინა ესე გრიგოლსა, რათა მოიყვანოს იგი მარკიზთანა,[148]) თუმცაღა ანწუხელთა არა სწადდათ განტევება მისი მით, რამეთუ არიან იგინი ფრიად ერთგულ მეფეთა თვისთა, ვითარცა თუშნი. იხილეს რა გლეხთა ღალატი თავადთაგან, განრისხნენ და დაეცნენ თავსა რუსთა ჩუმლაყის ბოლოსა, კვალად იძლივა მარკიზი, ხოლო გლეხნიცა შეეცალნენ ჩუმლაყისა სოფელსა. დღესა მეორესა მივიდა მარკიზი ჩუმლაყს. იქმნა სოფელსა შინა ბრძოლაი ძლიერი, იძლივნენ ჩუმლაყელნი და მოწვეს სრულიად ჩუმლაყი რუსთა. ხოლო იხილა რა მარკიზმან, ვინაიდგან ვერა ძალუძს პირის-პირობამ კახთა, ევედრა ზავსა და აღუთქვა კახთა, რომელ მოგგვრიო მეფის ძეთა თქვენთაო რუსეთით. ამას ზედან მხიარულ იქმნენ კახნი და ჰყვეს ზავი და მოგვარეს გაღმა მხრელთა უმეტეს სამასისა საღდათნი, შეპყრობილნი აფიცრებითურთ, რომელნიცა შეიპყრეს ამბოხსა ამას, აღპარსულნი თმათანი, მით რამეთუ კახთა აღპარსეს პყრობილთა მათ თავნი კიცხვისათვის. და მოყვანასა ზედა მეფის ძეთასა არწმუნა რა გული მარკიზმან კახთა და დამყუდროვდნენ კახნი, მომლოდნელი აღთქმისა მისისანი, რომელ განჰრინებიან[149]) ხელთაგან მოსამართლეთა და კაპიტან-ისპრავნიკთა რუსთასა, უკუნიქცა მარკიზი ტფილისს და მუნით წარავლინა გრიგოლ პეტერბურხს, მისრული გრიგოლ პეტერბურღს, შეიპყრა იმპერატორმან და პატიმრად წარავლინა ციხესა შინა პეტრე ზაოდისასა და მუნ პატიმარ ჰყვეს წელი ერთი".[150])

მარკიზ პაულუჩჩიმ თავი რომ გაიკლა და საქართველოში დარჩენა აღარ ისურვა, ეს ნაძალადევი "აღთქმანი" ხომ არაა

---

147) ბატონიშვილ გრიგოლის მამა იოანე.

148) მოაცდუნა — მოინადირა, შეაცდინა; ცთუნება — обольщать.

149) განჰრინება — გადარჩენა, избавлять, спасать.

150) იხ. მასალები... გვ. 105 - 106.

მიზეზი? რაკი დაპირებულს ვერ აუსრულებდა, რაკი კაპიტანისპრავნიკების ბატონობას ვერ მოსპობდა და რუსეთიდან საქართველოს დაობლებულ ტახტს პატრონს ვერ მოჰგვრიდა, გაქცევის მეტი სხვა რა ღონე ჰქონდა პაულუჩჩის? ასეც მოიქცა. გუდა-ნაბადი აიკრიფა და პეტერბურგის გზას დაადგა, მიუხედავად იმისა, რომ თავად-აზნაურობა კალთებზე ებღაუჭებოდა. წასვლას მარკიზი ისე აშურებდა, თითქოს აქ წყალი ამოუვიდა და რუსეთში ფაფა უცივდებოდა. მისი მოადგილე გენერალი რტიშჩევი იგვიანებდა და ჩამოსასვლელად არ ეშურებოდა. პაულუჩჩი ცხარობდა, ცოფებსა ჰყრიდა და საყვედურით სავსე წერილებსა სწერდა რტიშჩევსა: რაღას იგვიანებთ, მალე მოხედეთ ქვეყანას და მეც გამანთავისუფლეთო.[151])

კახეთის ამბოხებამ სამუდამოდ მოუღო ბოლო ბატონიშვილ გრიგოლსა. ერთი თვით მეფობის გულისათვის თორმეტი თვე პეტრეზავოდის ციხეში ბრძანდებოდა. ანწუხიდან ჩამოიყვანა გრიგოლი ნადვორნი სოვეტნიკმა ზაზა ანდრონიკაშვილმა, ვაჩნაძემ და პაატა ჭავჭავაძემ და წარუდგინეს პაულუჩჩის. გრაფ რუმიანცევს მარკიზი სწერს: რადგან გრიგოლმა ცოდვები მოინანია, ნებაყოფლობით გამოცხადდა ჩემთან და ერთგულობის ფიცი მიიღო და რადგან იმ მეამბოხეთ, ვინც ცოდოს მოინანიებს, პროკლამაციით პატივებას დავპირდი, ამის გამო გრიგოლს ვისტუმრებ პეტერბურგს იმ წესით და უფლებით, როგორც სხვა ბატონიშვილები გამოისტუმრეს რუსეთსაო. ყურის საგდებლად და ბოქაულად მიუჩინა გრიგოლს ხერსონის პოლკის ადიუტანტი პოდპორუჩიკი თ. ბებუთაშვილი[152]) და თარჯიმნად პრაპორშჩიკი თ. ბარათაშვილი. ამ ორმა ქართველმა თავადიშვილმა წაიყვანა

---

151) კაპიტანი ანოსოვი ისე ახასიათებს პაულუჩჩის მოუთმენლობას: "Паулуччи выходилъ изъ себя". მთავარ-მართველი სწერდა რტიშჩევისს: ნურაფრისა გეფიქრებათ, ქვეყანა დაწყნარდა, მშვიდობიანობა აღდგენილია. ბინაც მზადაა თქვენის აღმატებულებისთვის ჩემ სახლში. რა წამს ჩაიბარებთ მხედრობას და ქვეყნის გამგეობას, იმ წუთშივე დავცალ სახლსაო. იხ. ტ. II, გვ. 377.

152) შემდეგ ცნობილი გენერალი ვასილ იოსების ძე ბებუთაშვილი.

მეფედ ნამყოფი ბატონიშვილი გრიგოლ პეტერბურგს 18 მარტს 1812 წ. ბატონიშვილის გზის ხარჯად და ჭამა-სმისთვის მარკიზმა უბოძა თ. ბებუთაშვილს 1500 მ. ასსიგნაციით და 125 მან. ვერცხლი. მოსამზადებლად თვით გრიგოლს ხელში მისცეს 60 მ. ვერცხლი, აგრედვე 280 მ. ვერცხლი, დღეში ხუთ-ხუთ მანეთის ანგარიშზე,ექვს მარტიდან პირველ მაისამდე. თარჯიმანს ბარათაშვილს წელიწადში 200 მ. ვერცხლი ჰქონია ჯამაგირად და ამისთვისაც ჯამაგირი პირველ მაისამდე მიუციათ. თავადი ბარათაშვილიო, მოახსენებს მარკიზი გრაფ რუმიანცევს, ერთგულად მსახურებდა ჩემ კანცელარიაში და თუ ინებებთ მანდ დასტოვეთ თარჯიმანად ბატონიშვილთან. რა ჯამაგირსაც დაუნიშნავთ ბარათაშვილს, თუ მანდ დასტოვებთ, ეგ თქვენ სურვილსა და ნებაზე მომიგდიაო.[153])

ბატონიშვილ გრიგოლის გადასახლებით რუსეთს, ბაგრატიონთა გასაგისი ამოვარდა საქართველოში, იმ ბაგრატიონთა, რომელთაც რამდენიმე საუკუნე იმეფეს საქართველოში.

153) იხ. Акты, ტ. V, გვ. 44 - 45.

ნაწილი მეორე

I

მარკიზ პაულუჩჩიმ უცბად ჩაანელა კახეთის ღრეევა-ამბოხება 1812 წლის გაზაფხულის პირზე. ბედნიერი და ძლევამოსილი მართებელი პეტერბურგს გაეშურა, სადაც პირნათლად შეხვდებოდა იმპერატორ ალექსანდრე პირველს და პირადად უამბობდა, თუ როგორ ძირიან-ფესვიანად აღმოფხვრა თესლი რევოლიუციისა. დასამტკიცებელი საბუთიც ხომ ხელთა ჰქონდა. მეფედ აღიარებული ბატონიშვილი გრიგოლ, პეტრეზავოდის საპატიმროში განისვენებდა ცოდვათა მოსანანიებლად. იმპერატორს ალექსანდრეს და მარკიზსაც შეეძლოთ გული დაემშვიდებინათ და ნაპოლეონთან ომის სამზადისს შესდგომოდნენ. ვინაიდან საქართველოდან იმპერიას საშიშო აღარა მოელოდა-რა, იმპერატორმა საქართველოს მთავარმართებლად მარკიზის მაგიერ დანიშნა არაფრად გამოჩენილი გენერალი ნიკოლოზ თევდორეს ძე რტიშჩევი.

ახალი მთავარ-მართებელი ტფილისს ჩამოვიდა 20 აპრილს 1812 წ. მოსვლისთანავე რტიშჩევი დარწმუნდა, რომ ამბოხების ცეცხლი ჩაქრობით არ ჩამქრალიყო, ხოლო ნაღვერდლად ქცეულნ და ფერფლ წაყრილი, უგემურად ხრჩოლავდა, და დრო გამოშვებით, საქართველოს სხვა და სხვა კუთხეს თოფის წამალსავით იფეთქებდა ხოლმე. ნაღვერდალი კარგა ღონივრად გაღვივდა გაზაფხულის გასულს და მაისში აპრიალდა კიდევაც, მაგრამ რადგან ამბოხების სული და გული

ბატონიშვილი ალექსანდრე ჯერ შორს იყო, ნაღვერდალი მალე ჩანელდა. გაჩნდა თუ არა თიანეთს ბატონიშვილი ალექსანდრე, ეს შეუდარებელი და შესანიშნავი საბერველი ყოველგვარ ამბოხება - რევოლიუციისა და პროტესტისა რუსის მთავრობის წინააღმდეგ, ამბოხების ცეცხლი კვლავ მოედო შინა და გარე კახეთს, ქიზიყს, მთიულეთს და ფშავ-ხევსურეთს; კვლავ გაისმა თოფ-ზარბაზნის გრიალ-ქუხილი, რომელმაც შესანიშნავად დააზარალა კახეთი. ამბოხების ქარბუქი დაიწყო შემოდგომის პირზე და გასტანა თითქმის წლის დამლევამდე. დიდი ვნება და ზიანი მიაყენა კახეთს, ფშავეთს, ხევსურეთს და თიანეთს რუსის მხედრობამ, უზარ-მაზარი სოფლები მტვრათა და ნაცრად აქცია გაალმასებულმა ჯარმა.

ამ სამოქალაქო შინაურ ომის დროს თავი ისახელა და დიდება მოიხვეჭა ჩვენმავე თანამემამულე, გენერალ-ლეიტენანტმა თ. დიმიტრი ორბელიანმა. ასის წლის ამბავია, შორიდან უყურებ ერის განწირულ სულის კვეთებას და გაშტერებული რჩები, ასე როგორ უნდა გასწიროს ადამიანმა თავისი დამბადებელი და აღმზრდელი ქვეყანა, ასე როგორ უნდა გაქვავდეს და გაკლდევდეს, რომ დაიმსახუროს უცნაური მაშინდელ ქართველისთვის სახელი ტირანისა. ამ ლექსით მონათლა ბატონიშვილმა დავით დიმიტრი ორბელიანი სისასტიკისა გამო.

მკაცრობით და გულქვაობით არ ჩამოუვარდება ორბელიანს უკვე ცნობილი არქიმანდრიტ ელევთერ ზუკაკიშვილი. სამშობლოს აღსადგენად შეკრებილ ქართველთა მხედრობას სოფლის მოძღვარნი ლოცვა-კურთხევით ისტუმრებდნენ ბრძოლის ველზე, ჯვრითა და სახარებით აღჭურვილნი დარაზმულ მხედრობას სულის და მხნეობის აღმაფრთოვანებელ ქადაგებას ეუბნებოდნენ. ბევრი მათგანი ტყვიამ გაგმირა, ბევრმა მოწამებრივ განუტევა სული და სისხლი თვისი იაზმად აპკურა თავისუფლების მაძიებელ ერის გარჯა - მეცადინეობას. სიკვდილ გადარჩენილ მოძღვართ აფთარივით სდევნიდა არქიმანდრიტი ელევთერ და საკუთარის ხელით აბდღვნიდა წვერ-ულვაშსა და ასე შერცხვენილთა და გაუპატიურებულთ

ისტუმრებდა ქალაქს გენერალ რტიშჩევთან და ექსარხოს ვარლამ ერისთვიშვილთან. დიდი ღვთის მოსავი და ქრისტეს მოყვარე გახლდაო გენერალი რტიშჩევი, ბრძანებს აფიციალური ისტორიკოსი ბ-ნი ანოსოვი. აკტებიდან არა სჩანს, როგორ თავსდებოდა რტიშჩევის გულში ღვთის მოსავობა და ქრისტეს მოსამსახურეთა წარმოუდგენელი შეურაცხყოფა, წვერ-ულვაშის გლეჯა და ხელსა და ფეხში ხუნდების გაყრა.

1812 წლის შემოდგომის ამბოხების სულის ჩამდგმელი ბატონიშვილი ალექსანდრე ერევნიდან შემოვიდა საქართველოში. საქმე გამარჯვებით ვერ დაგვირგვინდა, ვერა სძლია კახეთმა რუსეთის მთავრობას და ვერ გაანთავისუფლა ტანჯული ქვეყანა კაპიტან-ისპრავნიკების ხელიდან. ასე იცის ნაწილ-ნაწილ აჯანყებამ, ურთიერთ შორის შურმა და მტრობამ. ალექსანდრემ თავი შეაფარა თოვლიან-ყინულიან, თითქმის მიუვალ ხევსურეთს, მაგრამ ფეხ და ფეხ მიმდევარმა მტერმა იქაც არ მისცა მოსვენება. კვირაობით შიმშილს იტანდა ბატონიშვილი ალექსანდრე მწირსა და ულუკმა-პურო ხევსურეთში, გულს არ იტეხდა, მტერს არ ნებდებოდა და მარტო იმის ზრუნვაში იყო, როგორ და რა გზით უყო პირი რუსებს კავკასიის ქედს იქითაო. რაკი ხევსურეთში დგომა აღარ შეიძლებოდა, ალექსანდრე გადავიდა დაღესტანს და დაბინავდა აქაურ თავისუფალ თემებში. ანწუხმა და საერთოდ დაღესტანმა სიამოვნებით მიიღო ძვირფასი სტუმარი. დაღესტანს დაბინავებული ალექსანდრე სხვა და სხვა გეგმას ადგენდა რუსების გასაძევებლად საქართველოს მამულ-დედულიდან. დიდის ხნის ბრძოლით დაღლილ-დაქანცული ბატონიშვილი ერთხელ სასოწარკვეთილებას მისცემია და წერილი მიუწერია რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრ გრაფ ნესელროდესთვის - მზადა ვარ დაგმორჩილდეთ და პეტერბურგს მოვიდეო. ათას წყალობას დაპპირდა გრაფი, ოღონდ მოდი პეტერბურგს და ხელი აიღე რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაზეო. ეტყობა, ამ აზრს ბინა ვერ უპოვნია ბატონიშვილის გულში და მიწერ-მოწერაც შესწყდა. სიკვდილამდის დარჩა შეურიგებელი

მებრძოლი ქვეყნისათვის და ჩავიდა საფლავს უცხო ქვეყანას, ქართველთაგან ცრემლ-დაუყრელი.

II

ახალი მთავარ-მართებელი, გენერალ-ლეიტენანტი ნიკოლოზ თევდორეს ძე რტიშჩევი, ჩამოვიდა ტფილისს 1812 წლის ოც აპრილს. საქართველოში სულ რაღაც ოთხი წელიწადი დაჰყო გენერალმა რტიშჩევმა, მაგრამ ერთი დღე ბედნიერი არ უნახავს. საქართველო ამბოხების ქარ-ცეცხლით მოდებული მშვიდობიან გზას არ ადგებოდა, სპარსეთი და ოსმალეთი არ ისვენებდნენ, თათართა სახანოები ათას დავიდარაბას აჩენდნენ. ამისთანა მოუსვენარ და აბობოქრებულ დროსა და ჟამს საჭირო იყო კაცი მხნე, ძლიერის და გაბედულის ხასიათისა, ნიჭიერი სარდალი და რად მიაყუდა პეტერბურგის მთავრობამ ჯოხი ამ უჩინარ გენერალს, ადამიანი ადვილად ვერ გამოიცნობს. პირველ ორ წელიწადს მაინც საწყალი გენერალი თითქმის დაავიწყდათ პეტერბურგში და ჩვენიდან გაგზავნილ რაპორტებს და უქვეშევრდომილეს მოხსენებათ რტიშჩევისას პასუხსაც არ აღირსებდნენ ხოლმე. ან კი სად ეცალათ ჩვენთვის? ალექსანდრე პირველი დიდ ნაპოლეონს ებრძოდა, 1812 წ. შემოდგომაზე სატახტო ქალაქი მოსკოვი ცეცხლმა შთანთქა და თავზარ დაცემული მკვიდრი მოსკოვისა გაიხიზნა აღმოსავლეთის გუბერნიებში. ალექსანდრე დიდ საგონებელში ჩავარდა, ვაი თუ აქ, მეორე სამეუფეო ქალაქ პეტერბურგშიც მეწვიოს მოუსვენარი ნაპოლეონიო. ამისთანა გარემოებაში მოდი და დალაგებული პასუხი, ან რეზოლიუციები უგზავნე შორეულ საქართველოში ჩარჩენილ გენერალ რტიშჩევსა! სწორედ ღვთის ანაბარად დარჩა რტიშჩევი, მაგრამ ბედი იმისი, რომ ომში გაწვრთნილი გენერლები ჰყავდა და ადგილობრივი ვითარება ხელს უწყობდა.

კაცთაგან დავიწყებულს რტიშჩევს მარტო ყოვლად ძლიერი უფალი სწყალობდა ღვთის მოსავს და სათნოიან გენერალსაო, ბრძანებს კაპიტანი ანოსოვი. ღვთისა რა მოგახსენოთ, რადგან მის განგებას ჩვენ ვერ მივწვდებით, მაგრამ ეს კი კარგად ვიცით, რომ ქართველებისა და საერთოდ ამიერ-კავკასიის ხანების ზნე-ხასიათი და პოლიტიკა ყოვლად უვარგისი და დასაგმობი იყო. რუსების მოძულეთ თითქოს ვერ შეიგნეს საერთო გეგმისა და მოქმედების სიავ-კარგე, იბრძოდნენ ცალცალკე და ამის გამო ყველგან მატლსავით ისრისებოდნენ.

სპარსეთის შაჰმა ბატონიშვილ ალექსანდრეს თავი ჩააბარა თვის მემკვიდრე აბბას-მირზას და დაავალა ყოველგვარი დახმარება გაუწიოს "საქართველოს მეფე" ალექსანდრეს და ხელი შეუწყოს დაკარგულ ტახტის დაბრუნებაში. რასაკვირველია, ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ბაბა-ხანი რუსების განდევნაზე უფრო ფიქრობდა, ვიდრე ქართველ ერის ბედნიერებაზე. ასეა თუ ისე, პოლიტიკური ვითარება სპარსეთისა და მის სულის ჩამდგმელ ინგლისისა მოითხოვდა რუსების გარეკას საქართველოდან. როგორ ასრულებდა აბბას-მირზა მამის ბრძანებას? აბბასი ფირმანებს უგზავნის ერევნის სარდარ ჰუსეინ-ყული-ხანს - დახმარება არ მოაკლო ტახტის მაძიებელ ალექსანდრე მირზასო და ატყობინებდა პტყელ-პტყელ სიტყვებით, აუარებელი ჯარით ამ დღეებში შემოვალ ერევნის სახანოშიო. მაშინდელი ერევნის სახანო მოსამზღვრე იყო საქართველოსი და მაშასადამე აქ გაბატონებულ რუსის მხედრობისაც. თუ დახმარება იყო ჯარით, სწორედ ერევნიდან უნდა შემოსულიყო სპარსეთის ლაშქარი რუსებთან ომის ასატეხად. ერევნელ ჰუსეინ-ყული-ხანს-კი აგრე რიგად არ ეპრიანებოდა სპარსეთის "უძლეველ" მხედრობის გაჩენა სახანოში, რადგან ასეთი სტუმრობა ხეირს არ აყრიდა მის ქვეყანას. ჯერ ერთი შემოსეული ჯარი აამტუტებდა ქვეყანას და მეორე კიდევ ისა, რომ უფლება ხანისა შეიბღალებოდა, და, ვინ იცის, ეგება ჯარის სარდალს ხანი ტახტიდანაც გადაებძანებინა. ხომ მოგეხსენებათ, რომ

თოფ-იარაღში ჩამჯდარი კაცი მუდამ მართალია და ხანის ორგულობის საბაბს იმდენს გამოსძებნიდა, რამდენიც მოენებებოდა. ასეთი თვისება აბჯარ-ასხმულ კაცისა მშვენივრად იცოდა ჰუსეინ-ყული-ხანმა და სულ იმის მეცადინეობაში იყო, რომ არც მწვადი დაეწვა და არც შამფური, ესე იგი თავიდან აეცილებინა სპარსეთის ლაშქრის მოსვლის საჭიროება სახანოში და თან ბატონიშვილისთვისაც არ ეწყენინებინა. ერთხელ ჰუსეინ-ყული-ხანმა გულ დამშვიდებით ჩაჯიბა ოციათასი მანეთი, შაჰმა რომ გამოუგზავნა ბატონიშვილს სახარჯოდ და სააგიტაციოთ კახეთში. ფული ვერ ჩავაბარე ალექსანდრე მირზას, შეატყობინა ჰუსეინმა ბაბა-ხანს, რადგან კაი ხანია რაც ალექსანდრე აქ აღარ იმყოფებაო, თითქოს ერევნის სარდარმა არ იცოდა, სადაც იყო წასული ალექსანდრე.[1])

ქართველი კაცის უპირობა, მეზობლური შური და მტრობა, განკერძოებით მოქმედება და მამლა-ყინწობა, ვინაიდგან დარწმუნებულია, რომ მხოლოდ იგია რჩეული და ქვეყნის მხსნელად მოვლენილი, რომ მხოლოდ მის თავსა და ტვინშია მოთავსებული ქვეყნის სიბრძნე, რომ იგია ერთად ერთი დიდებული სარდალი და მძლეთა-მძლე, რომ მარტოოდენ მისი აზრია მართალი და უცდომელი, ხომ კარგად მოგეხსენებათ. ეს ისტორიული სენი, ქართველ კაცის ძვალსა და სისხლში ღრმად გამჯდარი და ჩაკირული, დღესაც ხომ თვალსაჩინო მოვლენაა ჩვენს საზოგადო ცხოვრებაში და აბა ამ ასის წლის წინად რა იქნებოდა. დიდი კულტურული და შეგნებული შრომაა საჭირო ამ ისტორიულ შხამის ძირიან-ფესვიანად ამოსაგდებად, თორემ რა ყრია, გეთაყვათ, ზიზილ-პიპილა ფრაზებში ძმობა-ერთობაზე ყრმათა და ნორჩთა ასაპილპილებლად და გადასარევად.

სწორედ აქ დასახელებული ჩვენი პოლიტიკური გაუწვრთნელობაა მიზეზი, რომ გამარჯვებით იმოსებოდა ისეთი

---

1) იხ. Акты ტ. V, გვ. 358. ეს ფული ბაბა-ხანმა გამოუგზავნა გოგია პატრელას ხელით (რუსულად: изъ грузинъ Гогіа Патрела), აგრეთვე ძღვნად შვიდი ჯორი და რამდენიმე ცხენი. ibidem, ტ. V, გვ. 361.

ჩლატიანი გენერალიც კი, როგორიც იყო რტიშჩევი. ამ მთავარ-მართებლის დროს 12 ოქტომბერს 1813 წელს რუსეთმა შეჰკრა სპარსეთთან შესანიშნავი ტრაკტატი გიულისტანისა, რომლის ძალით რუსეთს სამუდამოდ დაეთმო სახანონი: ყარაბაღისა, განჯისა, შაქისა, შირვანისა, დარუბანდისა, ყუბისა, ბაქოსი და თალიშისა, ესე იგი თითქმის მთელი დღევანდელი აღმოსავლეთი ამიერ-კავკასია ერევნისა და ისტორიულ მესხეთის გარდა.[2])

ნიკოლოოზ თეოდორეს ძე რტიშჩევმა სამსახური დაიწყო დედოფალ ეკატერინე მეორეს დროს. საოცარი ხანა იყო ეს ხანა რუსეთის ისტორიისა. ნიჭიერი და უნიჭო საარაკო სისწრაფით მიფრინავდა სამსახურის მაღალ ფარდებში და მხოლოდ ნიკოლოოზ რტიშჩევი ბაჯ-ბაჯით მოჩანჩალებდა წინ და მხოლოდ 20 წლის სამსახურის შემდეგ ძლივს ეღირსა გენერალ-მაიორის ჩინს. ასტრახანს წასული კამენდანტად უკან დააბრუნეს იმპერატორ პავლეს ბრძანებით და სამსახურიდანაც სრულიად გამორიცხეს. პავლეს სძულდა დედოფალი ეკატერინე და უდიერად ეკიდებოდა დედის გამწესებულ მოხელეებს. მთელი ცხრა წელიწადი იყო რტიშჩევი დავიწყებული ამა ქვეყნის ძლიერთა მიერ და მხოლოდ, ოსმალეთთან ომი რომ იწყობოდა 1809 წ., მოაგონდათ პავლესაგან ექსორია-ქმნილი გენერალი, უბოძეს გენერალ-ლეიტენანტობა და ჩააბარეს დივიზია. 1811 წ. დანიშნეს კავკასიისა და ასტრახანის გუბერნატორად და ერთის წლის შემდეგ საქართველოს მთავარმართებლად. არ უნდოდა რტიშჩევს საქართველოში მოსვლა, როგორღაც გული ეთანაღრებოდა, მაგრამ რას იზამდა, ალექსანდრე პირველს როგორ აწყენინებდა უარის შეთვლით.[3]) წინაპარნი ნ. რტიშჩევისა თათრები ყოფილან.

ასეთი იყო ახალი მთავარ-მართებელი საქართველოსი.

---

2) Ibid. ტ.V, გვ. III.

3) Утв. Р. влад. на Кавказъ, т. II, გვ. 381 - 382. რტიშჩევმა სამსახური დაიწყო ნავაგინის პოლკში, რომელიც კარგი ხანია ბინდრობს საქართველოში, სახელდობრ ქ. ახალქალაქში.

ტფილისში ჩამოსვლისთანავე, მესამე დღეს, ცუდი ამბები მოუვიდა რტიშჩევს. მარკიზ პაულუჩჩიმ პეტერბურგს შეატყობინა, რომ კახეთის ამბოხება დასრულდა და ხალხი დაწყნარდაო. როგორც ბევრი სხვა, ეს მოხსენებაც მართალი არ აღმოჩნდა. კახელობა სხვა და სხვა ადგილს იკრიბებოდა და რუსის მხედრობას თავს ესხმოდა. ფშავ-ხევსურნი თავისუფლად დათარეშობდნენ თიანეთის სამოურავოში, გადადიოდნენ ანანურის მაზრაში და ანანურიდან მოკიდებული ღართისკარამდე მგზავრებს თავს ესხმოდნენ და სძარცვავდნენ. ფშავლებსა და ხევსურებს მხარი დაუჭირეს ანანურელებმა და ცოტა რომ დასცლოდათ, საქართველოს სამხედრო გზას სრულიად დაუკეტავდნენ რუსეთს.

დაღესტნის მთიდან ჩამოვიდნენ ლეკები და მოედვნენ კახეთის სოფლებს. თელავის კამენდანტი მაიორი შმატოვი დაფაცურდა, ლეკების ჩამოსვლა რომ გაიგო მთიდან, ფიცხლავ გაქანდა ალაზნისკენ, სოფელ ტოგნიანთან გასტოპა ალაზანი და შეება ლეკებს. ლეკები გაიფანტნენ. მაიორი შმატოვი კი ვითომც გამარჯვებული უკან დაბრუნდა. გზაში უცაბედად წააწყდა ჩასაფრებულ კახელებს და ისეთი დღე დაადგა, რომ ძლივს თავი დააღწია. ზარალი დიდი მოსვლია, თუმცა აკტებიდან არა სჩანს, რამდენი კაცი მოუკლეს და რამდენი დაუჭრეს.

ჯერ ისევ მარკიზ პაულუჩჩიმ კახელობას გამოუცხადა, წარსულ ცოდვებს გაპატიებთ, ოღონდ დაწყნარდით, თქვენ თქვენ საქმეს შეუდექით და ერთგულობის ფიცი მიიღეთო. მართალია ასეთი "პროკლამაცია" გაგზავნა კახეთში მარკიზმა, მაგრამ მაინც საჭიროდ დაინახა დაეარსებინა ტფილისში კამისია "ბუნტის" მიზეზის გამოსაკვლევად.[4])

ეხლა რაა კამისია და ადმინისტრატიული გამოძიება და მაშინ რა იქნებოდა, ადვილი მისახვედრია. ზოგი იმას ამბობდა, რომ მთავრობა ხაფანგს გვიგებს, მიგვიტყუებს ე რაღაც კამისიაა, გაგვთოკამენ და შემდეგ დაგვსჯიანო. ზოგი კიდევ კამისიის შემწეობით პირად ანგარიშების გასწორებას სცდ-

---

4) რუსულად: Комиссія по изслѣдованію причинъ происшедшаго въ Грузіи бунта.

ილობდა. დაიწყო უაზრო დაბეზღება და ჯაშუშობა. ერთი სიტყვით ამბოხების მიზეზთა აღმოსაჩენელ კამისიამ გარიგებით ვერა გაარიგა-რა და გაფუჭებით-კი ბევრი გააფუჭა.[5])

გენერალ რტიშჩევმა იფიქრა, ალბად ეს კამისიაა მიზეზი, რომ ხალხი არა წყნარდებაო და შეაჩერა მისი მოქმედება. მთავარ-მართებელმა შეადგინა ახალი განცხადება, ამოარჩია ოთხი კახელი დავადიშვილი: დიმიტრი და მერაბ ანდრონიკაშვილები, ასლან ვაჩნაძე და როსებ ჯანდიერი და გაისტუმრა კახეთში მოსალაპარაკებლად და მეამბოხეთა დასაწყნარებლად.[6])

გენერალ რტიშჩევის მოციქულნი რომ მამაშვილურად არიგებდნენ მეამბოხე კახელებს და უქადაგებდნენ მორჩილებას, ამბოხების საუკეთესო მეთაურნი ივანე ჯორჯაძე და რაფაელ ერისთავი სოფლიდან სოფელში გადადიოდნენ და ხალხს აგულიანებდნენ ასაჯანყებლად. მოქადაგენი ზოგზე ტკბილის სიტყვით მოქმედებდნენ, ზოგს უმტკიცებდნენ ამბოხების საჭიროებას და ამგვარად თავიანთკენ იბირებდნენ და, სადაც არც ერთი ეს ხერხი არ ვარგობდა, ძალის მოხმარებასაც არ ერიდებოდნენ.

ყველაზე საწყენი რტიშჩევისათვის ის იყო, რომ თვით სიღნაღის მარშალი ნინია ანდრონიკაშვილი ღალატობდა მთავრობას. ნინიას თაოსნობით კახელებმა ელჩები გაუგზავნეს სპარსეთში ბატონიშვილ ალექსანდრეს და შეუთვალეს, მზადა ვართ, მობძანდიო. მოციქულები გაგზავნეს აგრედვე დაღესტანს და მოიწვიეს ლეკები საშველად.[7])

მოციქულების გაგზავნ-გამოგზავნა, დაპირება და "პროკლამაციები", რა თქმა უნდა, კარგი საქმეა და ფასი აქვს, როდესაც სრული ნდობა არსებობს მთავრობასა და ერის შორის. მაგრამ თუ ამ ნდობის ძაფი ერთი გაწყდა და მთავრ-

---

5) იხ. Акты, ტ. V, გვ. 459 - 460; Утв... ტ.II, გვ. 386.

6) Акты, ტ. V, გვ. 460.

7) Ibid. ტ. V, გვ. 463.

ობას სახელი და ეხტიბარი გაუტყდა, წყლის ნაყვა გამოვა ახალ-ახალი დაპირების გამოაშკარავება. ვგონებთ, რომ თვით რტიშჩევიც ასეთისავე აზრისა იყო თავის "პროკლამაციებზე" და ამის გამო კახეთს გაგზავნა გენერალ-მაიორი სტალი და დაავალა პირუთვნელად გამოიძიე ადგილობრივ მოქმედება თავად-აზნაურობისა, ქართველ და რუსის მოხელეთა და იღონე შესაფერი ღონისძიება წესიერების აღსადგენად მართვა-გამგეობაში და მშვიდობიანობის დასამყარებლად ქვეყანაშიო.[8])

მაისის ცხრას სტალი ჩავიდა სოფ. მუღანლოს, მდინარე იორზე. თანა ჰყავდა ექვსი როტა ყაბარდოს პოლკისა და ორი ესკადრონი ქვედა ნოვგოროდელებისა. აქვე მოუვიდა ორი ესკადრონი ამავე პოლკისა ყარა-აღაჯიდან. ყაბარდოელები სულ 500 იყო იარაღიანი, დანარჩენი ასი ჯარის-კაცი უიარაღო იყო, რადგან ბოდბისხეველებმა წარსულ თებერვალში იარაღი დააყრევინეს. ჯარის სიმცირეს არ მოერიდა სტალი და 13 მაისს ველისციხისაკენ გაემართა. სოფელი დააფიცა ერთგულობაზე და შემდეგ გამობრუნდა სიღნაღისაკენ. აქ გაფანტა მეამბოხენი, დაამშვიდა ხალხი და რაკი საქმე მოაწესრიგა, გაგზავნა თელავს მიტროპოლიტი ბოდბელი მთავარ-მართებლის პროკლამაციით. ბედკრულ და ძალაგამოლეულ პროკლამაციას ვერც არაფერი ბოდბელმა უშველა. აღარა სჭრიდა დაპირება მთავარ-მართებლისა.[9]) ეს ამბავი რომ მოახსენეს გენერალ სტალს, აიყარა სიღნაღიდან და 19 მაისს ავიდა თელავს და დაიჭირა ქალაქი. მეორე დღეს გომბორის გზით ჩავიდა თელავსავე გენერალ-მაიორი დიმიტრი ორბელიანი, რომელსაც დაავალა რტიშჩევმა მიეღო უფროსი სარდლობა კახეთში დაბანაკებულ ჯარისა და ხელმძღვანელობა გაეწია ამბოხების ჩაქრობის დროს. ორბელიანმა თან მიიყვანა ერთი როტა ქართველ გრენადერთა პოლკისა, 150 ყაზახი და

8) Ibid. გვ. 457 - 460.

9) Утв... ტ. II. გვ. 388.

მეოცე დივიზიის პოლკებიდან აკრეფილ ჯარის-კაცთა კამანდა, ასე რომ თელავში შეიკრიფა 1000-ზე მეტი მეომარი.[10])

კახელები ლოდინში იყვნენ, ჯერ პასუხი არ მოსვლოდათ სპარსეთში გაგზავნილ მოციქულებისაგან. ამიტომ აჯანყების მეთაურნი მიყუჩებული ისხდნენ და ამბოხების ნიშანს არ იძლეოდნენ. ზოგი მათგანი თვალის ასაბმელად კიდევაც ეახლა სტალს და მორჩილება გამოუცხადა. თუმცა გასაკეთებელი არაფერი ჰქონდა ორბელიანს, მაინც აიყარა ჯარით, გავიდა ალაზანს და ჩაუარა მარცხნივ ალაზნის პირს. ერთგულობის ფიცი მიაღებინა ხალხს და ცოდვა-დანაშაული შეუნდო. ორბელიანი მარცხენა ნაპირიდან მარჯვნივ გამოვიდა, ჯარის უფროსობა სტალს ჩააბარა და თვითონ 30 მაისს სიღნაღის გზით ტფილისს დაბრუნდა.

გენერალ ორბელიანის ჩამოსვლამ კაი გუნებაზე დააყენა მთავრობა. უხაროდათ, რომ ასე მალე დაწყნარდა ხალხი და მთავრობამ სახელოვანად გაიმარჯვა. სიხარულმა ხომ გულუხვობა იცის და კახეთის საექსპედიციო კორპუსის სარდალი დიმიტრი ორბელიანი დააჯილდოვა მთავრობამ გენერალ-ლეიტენანტის ჩინით, მიტროპოლიტ ბოდბელს უბოძეს სისხლის ჯვარი (ანნასი) პირველის ხარისხისა. უხვი წყალობა და ჯილდოები უბოძეს ერთგულ თავად-აზნაურებს და სასულიერო წოდების კაცთა.

III

რაკი ელჩებმა სასიამოვნო და გამამხნევებელი ამბავი ჩაუტანეს ბატონიშვილ ალექსანდრეს კახეთიდან და მოახსენეს, მზადა ვართ სამშობლოს მტლედ დავედოთ, მხოლოდ თქვენს მობძანებას ველითო, დახანება აღარ ივარგებდა და საჭირო იყო საქართველოსკენ წამოსვლა. ალექსანდრეს განზრახვა ჰქონდა, თვითონ რომ კახეთში ბრძოლას დაუწყებდა

10) Ibid. გვ. 389.

რუსებს, ერევნის სარდარს ჰუსეინ-ყული-ხანს ჯარით ყაზახისაკენ უნდა წამოეწია, რომ რუსის მხედრობას, ბორჩალოსა და სომხეთში მდგომს, დახმარება ვერ აღმოეჩინა კახეთის ჯარისათვის. ამავე დროს მთავარ-მართებელი რტიშჩევი ყარაბაღში იდგა ჯარის ერთი ნაწილით და აბბას-მირზასთან ლაპარაკი ჰქონდა გამართული შერიგებაზე, მაშასადამე ამ სიშორიდან კახეთში მყოფ რუსის მხედრობას დროზე ვერ მოეშველებოდა. ნაფიქრი და განძრახული კარგად იყო, მაგრამ რა ჰქნას კარგმა მონარდემა თუ დუშაში არ მოუვა. ერევნის სარდარი ყოყმანობდა და ზოზინობდა, ყაზახისაკენ არ იძროდა. ალექსანდრეს მოთმინება გამოელია, აღარ მოუცადა სარდარის დაუსრულებელ საომარ მზადებას, ადგა და გამოეშურა საქართველოსკენ, რომლისთვისაც პატრონობა და ხელმძღვანელობა უნდა გაეწია. ამალა ბატონიშვილისა მცირე იყო, სულ რაღაც ასიოდე ქართველი და თათარი. რა გზით შემოვიდა ალექსანდრე ირაკლის ძე საქართველოში, დღესაც არ ვიცით, რადგან აკტებში არეულ-დარეულადაა ნაამბობი მისი შემოსვლის ამბავი. გარკვეულს არც არაფერს მემატიანე ბატონიშვილი დავით გვატყობინებს.

გენერალი რტიშჩევი ყარაბაღს რომ მიდიოდა, საქართველოს სამზღვრებზე მდგარ ჯარის უფროსებს და ყაზახისა და შამშადილის მოურავებს სასტიკი ბრძანებანი დაუგზავნა - ფრთხილად იყავით, თვალ-ყური გეჭიროთ, რომ ბატონიშვილი ალექსანდრე არ შემოგეპაროთო. მარტო ბრძანებით არ დაკმაყოფილდა რტიშჩევი, შამშადილის მოურავს ესეც დაავალა: გამოუცხადე შამშადილის დისტანციის მცხოვრებთ, რომ 2000 ბაჯაღლო ოქროს მიიღებს საჩუქრად, ვინც ცოცხალს მომგვრის ალექსანდრეს, ამ საზოგადო მყუდროების დამამრღვეველსაო.[11]) დისტანციის მცხოვრებთა სასახელოდ უნდა ვსთქვათ, რომ ორმა ათასმა (6000 მ.) ბაჯაღლო ოქრომ ვერავინ მოხიბლა და შამშადილელ თათართა შორის არ

11) Акты, ტ. V, გვ. 361 - 362.

აღმოჩნდა მუხანათი და აღმასრულებელი მზაკვრულის ბრძანებისა.

ყაზახის მოურავმა, პოლკოვნიკ თ. იოსებ ბებუთაშვილმა აცნობა რტიშჩევს, ჯაშუშის პირით შევიტყე, რომ ბატონიშვილი ალექსანდრე ერევნიდან 25 აგვისტოს წამოვიდა საქართველოშიო. აპირებდა ყაზახზე გამოვლას, მაგრამ ვერ მოუხდაო, - რა არის იცოდეთ, რომ მუყაითად ვასრულებ მოვალეობას და ჩემ ყარაულებს ვერ გამოეპარებოდაო. ჩემის ფიქრით, მოახსენებს ბებუთაშვილი რტიშჩევს, ალექსანდრეს ჰსურს გამოიაროს ბოლნისსა და ქვეშზე, ან არა და შევა ქართლში ბორჯომის ხეობით, ან კიდევ ხოვლეს გზითო.[12])

მთავარ-მართებლის მაგიერობას საქართველოში გენერალ-ლეიტენანტი თავადი დიმიტრი ორბელიანი ეწეოდა. ბევრს ეცადა ორბელიანი, რომ ალექსანდრე არ შემოპარულიყო საქართველოში, ყველა შემოსასვლელ გზის პირები შეჰკრა ძლიერის ყარაულებით, მაგრამ ვერას გახდა, ბატონიშვილი გაუსხლტა ყარაულებს და, ორბელიანის სიტყვით, ვითომც 6 სექტემბერს გავიდა მტკვარში მცხეთის ზემოდ და თიანეთში ავიდა.[13])

უფრო სარწმუნო და დასაჯერებელია მემატიანე ბატონიშვილ დავითის მოთხრობა. აი როგორ აგვიწერს მემკვიდრე ტახტისა თავის ბიძის შემოსვლას ქართლში: რაკი აღუთქვეს კახთა პირი მტკიცე, რათა ჰყონ მეფედ თვისსა ზედან ალექსანდრე წარმოემართა ერევნით რაოდენითამე კაცითა, გარდმოვლო მთა თრიალეთისა და ჩამოვიდა ქსილისის მთაზედ. მუნ მიეგებნენ კავთისხეველნი და მოურავი მათი ივანე შატბერა-

---

12) Ibid, ტ. V, გვ. 361.

13) Утв... ტ. II, გვ. 391. რუსულად რაპორტის ეს ადგილი უაზრობას წარმოადგენს... Переправился черезъ Куру, выше Мцхета, и, дорогами, въ ущельяхъ горъ находящимися, пробрался, черезъ деревню Кавтискели, въ Тіонеты. ს. კავთისხევი მტკვრის მარჯვნივაა და რა კი ადამიანი მარჯვნიდან მარცხნივ გადავა, კავთისხევზე როგორღა გაივლის?

შვილი და განიყვანეს მტკვარსა კოწახურის ფონზედ, განვლო მუხრანი, მივიდი ბულაჩაურს და აღვიდა თიანეთს თვესა აგვისტოს 10-სა.[14])

ადვილი მისახვედრია, თუ რადაა არეულ-დარეული ბატონიშვილის ქართლში შემოსვლის დრო. პოლკოვნიკი ბებუთაშვილი იწერებოდა, რომ ალექსანდრე 25 აგვისტოს წამოვიდა ერევნიდანაო. მაშასადამე ტფილისში ეგონებოდათ, რომ სექტემბერზე ადრე ვერ გაჩნდებოდა მტკვრის ნაპირას. ორბელიანი იმასაც ჰფიქრობდა, რომ ბატონიშვილი სომხეთში იმალება, და ავჭალაზე ამოივლისო და ალბად აქ აპირობდა მის დაჭერას. ეტყობა, ორბელიანმა ექვს სექტემბერს გაიგო ალექსანდრეს შემოსვლა და ამავე დღეს რაპორტით მოახსენა რტიშჩევს ეს სავალალო ამბავი. რადგან ბ-ნი ანოსოვი დიდად ენდობოდა რაპორტებს, აიღო იმანაც და ექვსი სექტემბერი უჩვენა ბატონიშვილ ალექსანდრეს ქართლში შემოსვლის დღედ.

ელვასავით მოედო კახეთს, ქიზიყს, მთას და ოსეთს ბატონიშვილ ალექსანდრეს მოსვლის ამბავი თიანეთში. ჯერ წინადვე ჩამოსულ გოჯასპირ ნათანიშვილმა და პაპუა აბელიშვილმა მთელი საქართველო შესძრეს, დღე-დღეზე მობძანდება ალექსანდრე და იარაღი აისხით რუსების გასაწყვეტადაო. რაკი ხმა გავარდა, რომ ალექსანდრე თიანეთშიაო, დაიძრა იარაღ-ასხმული ერი და გაემართა თიანეთისკენ. იმედიანად იყვნენ კახელები. იცოდნენ, რომ ნაპოლეონ პირველი ნაფოტივით ამსხვრევდა რუსის მხედრობას, რომ მოსკოვი უკვე დაიპყრო მტერმა და რიღას შიში ჰქონდათ. უძლეველია ქრისტეს მოყვარე რუსის მხედრობაო, რომ ამბობდნენ, ცარიელი თვალთმაქცობა და საბავშვო ზღაპარი ყოფილაო. აკლებული და აოხრებული მოსკოვი იმის მომასწავებლად მიიღეს, რომ რუსეთის ბუმბერაზობა ცარიელი გაბერილი ტიკჭორაოო.

---

14) იხ. მოთხრობა ახალი, შედგენილი ქართლის ცხოვრებისად, დაბეჭდილი მ. ჯანაშვილის მიერ. გვ. 112.

14 სექტემბერს ალავერდობა იცის, მთელი კახეთი, აქაური სომხობა, თუშ-ფშავ-ხევსურეთი და ლეკები ერთად იყრის თავს ალავერდობას 13-14 სექტემბერს. ალექსანდრემაც ეს ხალხისაგან სათაყვანებელი დღესასწაული აირჩია, რომ თავის თავი მეფედ გამოეცხადებინა და ერისაგან ერთგულობის ფიცი მიეღოვო, მოახსენებს უქვეშევრდომილესად გენერალი რტიშჩევი იმპერატორ ალექსანდრე პირველს. მემატიანე დავით არაფერს ამბობს იმის გამო, ჰქონდა თუ არა ბატონიშვილ ალექსანდრეს ასეთი განძრახვა. იგი მოკლედ ასე სჭრის სიტყვას: თიანეთს მოერთვნენ ფშავ-ხევსურნი და კახთა თავადნი სრულიად და გლეხნი, შთავიდა მატანს, მუნით შთავიდა შილდას, მუნ მოერთვა სრულიად გაღმა მხარი და ანწუხელნი ლეკნი და ქიზიყელნიცა სრულიად.

ჩვენც იმ აზრისა ვართ, რომ ალექსანდრე მეფობის აღდგენის გამოცხადებას მოერიდებოდა ალავერდობას. ღვინო არსად იყო, ეშმაკები ტიკებს ალბობდნენო, სწორედ ის გამოვიდოდა. ჯერ მტერი არ დაემარცხებინა და რას ეგვანებოდა მეფობის გამოცხადება? წინდახედული და ჭირნახული ბატონიშვილი ასეთს ბავშვურ შეცდომას არ ჩაიდენდა.

ალექსანდრე ირაკლის ძე რომ ძალას იკრებდა და საომრად ემზადებოდა, არც მთავარ-მართებელ რტიშჩევის მაგიერი გენერალი დიმიტრი ორბელიანი იჯდა გულზე ხელდაკრეფილი.

ორბელიანი იმასა სცდილობდა, შეეჩერებინა პატარა მანძილზე აჯანყება, რომ სრულიად საქართველოს არ მოსდებოდა. პოლკოვნიკ პეჩორსკის უბრძანა, ქართლიდან გადასულიყო არაგვის ხეობაზე, დაეჭირა სოფ. ბულაჩაური და შეეკრა გზა ანანურიდან თიანეთს მომავლისთვის და აგრეთვე იმათთვის, ვინც თიანეთიდან ანანურს დააპირებდა ჩასვლას. ამგვარად პეჩორსკი სამხედრო საქართველოს გზასაც უპატრონებდა და ერთი ადგილიდან მეორე ადგილს მოხეტიალე მაშფოთართაც მისვლა-მოსვლის გზასაც მოუსპობდა, თუ საჭირო იქნებოდა, მაშველ რაზმსაც მიაშველებდა პოლკოვნიკი თიანეთის მიდამოებში მომქმედ რუსის მხედრობას.

პეჩორსკის ჰყავდა სამოქმედოდ ერთი ბატალიონი მეთხუთმეტე ეგერთა პოლკისა.

მეორე პოლკოვნიკი ტიხანოვსკი 8 სექტემბერს დაიძრა სიღნაღიდან თელავისაკენ. თანა ჰყავდა ხუთი როტა ყაბარდოელებისა. სოფ. ველისციხიდან აიყვანა ერთი როტა, თელავიდან ერთი ბატალიონი და ფეხაკრებით გაემართა ალავერდისაკენ. რადგან ორბელიანის ბრძანება იყო, რომ ტიხანოვსკი უსათუოდ ალავერდს ასულიყო 13 სექტემბერს და ხელი შეეშალა ბატონიშვილ ალექსანდრესთვის თავის თავი მეფედ გამოეცხადებინა, ტიხანოვსკი თითქმის უსვენებლივ მიეშურებოდა ალავერდობას. 14 სექტემბერს პოლკოვნიკი ეწვია მონასტერს ჯარით და ზარბაზნებით, მაგრამ ალექსანდრე არსად იყო. ამ დროს ალექსანდრე ს. შილდაში იდგა. ტიხანოვსკი გამოტრიალდა ალავერდის მონასტრიდან და 20 სექტემბერს შილდას მიადგა. აქ სოფელ შილდას მოხდა პირველი ძლიერი შეტაკება. ტიხანოვსკი იერიშით მივიდა შილდაზე, დაამარცხა და გაჰფანტა მეამბოხენი, თვით ალექსანდრე იძულებული გახდაო თავი შეეფარებინა ვიწრო ხეობაში, საიდანაც გადავიდა სოფელ საბუეს. აკტების მოწმობით, ტიხანოვსკის მომეტებული ნაწილი შილდისა დაუწვავს, ბ-ნი ანოსოვი-კი ამბობს, რომ შილდა სრულიად დასწვა ტიხანოვსკიმაო.[15]) შილდიდან პოლკოვნიკი მივიდა ყვარლის ციხეში, აქ დასტოვა ავადმყოფი ჯარის-კაცნი და 35 დაჭრილი და ალაზანზე დაბანაკდა ფაშაანის ფონზე, რომ გზა არ მოეჭრათ თელავისაკენ.

ასე მოკლედ მოახსენებს გენერალი რტიშჩევი ხელმწიფეს შილდის ბრძოლის ამბავს. მოკლულთა რაოდენობაც არაა ნაჩვენები. დიდად განსხვავდება ამ ამბისაგან მემატიანე დავითის მოთხრობა. აი თვით დავითის სიტყვები, მცირედად ჩვენ მიერ შეცვლილი. "ტიხანოვცკი ღიანარალი განვიდა პოლკითა ერთითა ჭინჭრიანის ფონზე ალაზანში და მივიდა შილდის ბოლოს. მაშინ შილდა განამაგრეს კახთა. მივიდა

---

15) Акты, ტ. V, გვ. 365. Утв. ტ. II, გვ. 393.

ტიხანოვცკი ვენახების ორღობით და რა შიგ გევიდა ორღობეთა, ეკვეთნენ კახნი ვენახებიდან. იქმნა ბრძოლა ძლიერი, იძლივნენ რუსნი და მოსწყდნენ ორასამდე სალდათნი და მოკლეს კაპიტანი ერთი და აფიცარი ოთხი. იხილა-რა ესე ტიხანოვცკიმ უკუნქცევაი მხედრობისა თვისისა, განფიცხნა ფრიად, რამეთუ იყო ესე რუსთა შორის ყოველთა უმამაცესი, მოიკრიბნა კვალად მასვე დღესა მხედრობანი თვისნი და ეკვეთა კვალად კახთა მუნვე შილდას. იძლივნენ კახნი და ლეკნი, მოკლეს რუსთა ლეკთა მძღვანი მისაილ ბელადი და დასჭრეს ერასტიშვილი ალექსანდრე მუხლშლი, აღიღეს შილდა და მოსწვეს სრულიად, ხოლო ალექსანდრე ძლეული მივიდა საბუეს და დადგა მუნ. ტიხანოვცკიცა განვიდა შილდით მხედრობითა თვისითა, მივიდა და დადგა ყვარელში. ვინაიდგან კახნი იქმნენ ფრიად განძვინებულ დაწვისათვის შილდისა, ვერღარა იკადრა ტიხანოვცკიმ ბრძოლაი, რამეთუ უვიდოდა მცირე მხედრობაი".[16])

ამ მოთხრობიდან ცხადადა სჩანს, რომ პოლკოვნიკ ტიხანოვსკის შესამჩნევი ზარალი მოსვლია შილდის ბოლოს ბრძოლაში და ისე დასუსტებულა, რომ განძრევის თავი აღარა ჰქონია, ვიდრე მაშველი ჯარი არ მოუვიდოდა.

ასე თუ ისე, პოლკოვნიკმა ტიხანოვსკიმ ძალზე დააზარალა ქართველები შილდის ბოლოს და თვით სარდალი მეამბოხეთა ბატონიშვილი ალექსანდრე იძულებული გახდა დაეტოვებინა ბრძოლის ველი. პოლკოვნიკი პეჩორსკი რაღას აკეთებდა ამ ხანებში? სექტემბრის გასულს მეამბოხეები სრულიად გაბატონდნენ საქართველოს სამხედრო გზაზე და რუსის მხედრობას მოუჭრეს რუსეთის გზა. ხიდები დაანგრიეს, ხერგები დააკეთეს და რუსეთიდან საქართველოსკენ არავის უშვებდნენ. კაიშაურსა და დუშეთ შორის გზას ყარაულობდა მაიორი ნიკოლსკი. გზის დასათვალიერებლად წამოსულ მაიორს ფასანაურთან დახვდნენ მეამბოხენი და ტყვედ წაიყვანეს. ნიკოლსკის თანა ჰყავდა სულ ოცი ჯარის კაცი. ამათგანი

---

16) მოთხრობა ახალი... გვ. 112 - 113.

ზოგი მოჰკლეს და ზოგიც დაატყვევეს. ტყვედ წაიყვანეს აგრედვე ხორუნჟი მილლერი, რომელსაც პეტერბურგს მიჰქონდა მთავარ-მართებლის მოხსენებანი.[17])

პოლკოვნიკი პეჩორსკი თავის ბატალიონით გაეშურა ფასანაურს ნიკოლსკის საშველად და დასახსნელად, სამი დღე უტრიალა ფასანაურს, მაგრამ ნიკოლსკი განსაცდელისაგან ვერ იხსნა. მართალია, მთელი ოთხი საათი ებრძოდა პეჩორსკი აჯანყებულთ, კიდეც მოახერხა თვით ფასანაურის ფოსტის დაჭერა, მაგრამ რა გამოვიდა. პეჩორსკი მოემწყვრა ფასანაურში, სამხედრო გზა ვერ გახსნა, მეამბოხენი ვერ გაჰფანტა და თვითონაც დიდ განსაცდელში ჩავარდა. თუ მალე მაშველი ჯარი არ მოუვიდოდა ტფილისიდან, ცუდი საქმე დაემართებოდა.

კახეთში წასულ ორბელიანის მაგიერ ტფილისის გარნიზონს უფროსობდა იმერეთიდან გამოწვეული გენერალ-მაიორი სიმონოვიჩი. შეიტყო თუ არა პოლკოვნიკ პეჩორსკის გაჭირვება, სიმონოვიჩმა გაუგზავნა მაშველი ჯარი ბორჩალოს დისტანციიდან, სულ ერთი ბატალიონი პოლკოვნიკ ფონ კრაბბეს უფროსობით. ამავე დროს კავკავიდან დაიძრა მაშველი ჯარი, ორი როტა მეთექვსმეტე ეგერთა პოლკისა მაიორ გურლებუმის უფროსობით.

ფასანაურში მომწყვდეულ პეჩორსკის ბატალიონს სურსათი შემოაკლდა. ძნელი იყო ბანაკიდან შორს სადმე წასვლა პურის საშოვნად, რადგან სამხედრო გზა ღართისკარამდე აჯანყებულთ ეჭირათ, მაგრამ მეტი ჩარა არ იყო, და პეჩორსკიმ უბრძანა კაპიტან კურილას გასულიყო ფასანაურიდან მცირე რაზმით და ანანურიდან სურსათი მოეტანა. კურილამ წამოიყვანა 90 კაცი და გაუდგა სახიფათო გზას. ორჯელ ეტაკნენ მეამბოხენი კურილას. ჩახერგილ ადგილებში უხვდებოდნენ, ანანურამდე სროლით აწუხებდნენ, მაგრამ კურილამ მაინც მოახერხა და ანანურს მშვიდობით მივიდა. რა

17) Ак. ტ. V. გვ. 365. утв. ტ. II. გვ. 394.

ზარალი მოუვიდა ჯიუტს და მხნე კურილას, არა სჩანს აფიციალურ წყაროდან.[18])

17 სექტემბერს გენერალი დიმიტრი ორბელიანი შეუდგა მზადებას კახეთში წასასვლელად. ტფილისსა და მის მიდამოებში დაბანაკებულ ჯარის უფროსობა ჩააბარა გენერალ სიმონოვიჩს და გაუდგა გზას 18 სექტემბერს ღამით. ორბელიანი, გენერალ პოტტოს მიერ "კახელების ღვთის რისხვად" წოდებული (რუსულად бичъ), სიღნაღს მივიდა 20 სექტემბერს, საღამოს პირზე. თანა ჰყვანდა სამი როტა მეცხრე ეგერთა პოლკისა, ერთი ზარბაზანი და 70 ყაზახი. აქ შეიტყო ორბელიანმა, რომ პოლკოვნიკ ტიხანოვსკის ხმას ვერ მიაწვდენს, რადგან კახელებს გზები შეეკრათ. ვერ გაბედა "ღვთის რისხვა" გენერალმა მცირედის მხედრობით ფაშაანს ასვლა და ტფილისიდან დაიბარა ერთი ბატალიონი ხერსონის პოლკისა, ერთი როტა ყაბარდოელებისა და 75 ყაზახი. ჯარი ავიდა სიღნაღს მხოლოდ 26 სექტემბერს და მეორე დღესვე, 27-ს სექტემბერს, ორბელიანი დაადგა გზას. სიღნაღიდან 12 ვერსზე დახვდნენ მეამბოხენი და ბრძოლა აუტეხეს. მთელი სამი დღე არ შეწყვეტილა თოფის გრიალი. კახელები მოსვენებას არ აძლევდნენ გენერალს არც დღე, არც ღამე.

პირველ ოქტომბერს ორბელიანი შეუერთდა ტიხანოვსკის ფააშანის ფონთან. რაკი შეერთება ჯარისა უხიფათოდ მოხდა, ორბელიანმა თვითონ იკისრა შეერთებულ მხედრობის უფროსობა და სარდლობა და გაემზადა მტრის ამოსაგდებად. ორბელიანს ძალიანაც რომ გასჭირვებოდა, მომეტებულ ჯარს ვეღარ მოიშველიებდა, რადგან საკუჭნაოში მეტი აღარ მოიპოვებოდა. სხვა-და-სხვა ალაგას გაბნეულ მცირე გარნიზონებს ხელს ვერ ახლებდა. ერთის სიტყვით, რის მოკრეფაც შეიძლებოდა, მოჰკრიფა და დანარჩენი მის უნარზე ეკიდა.[19])

---

18) Акты, ტ. V, გვ. 367.

19) Утв. ტ. II, გვ. 393 - 394.

IV

აკტებსა და კაპიტან ანოსოვს მოკლედ აქვთ აწერილი გენერალ დიმიტრი ორბელიანის ლაშქრობა სიღნაღიდან ფაშაანის ფონამდე. მოხსენებული იყო მხოლოდ, რომ ორბელიანი სამ დღეს მოუნდა სიარულს და განუწყვეტელი სროლა ჰქონდა მტერთანაო. მემატიანე დავითი სულ სხვანაირად აგვიწერს ამ ლაშქრობასაც. მართლაც, რა დასაჯერებელია, რომ კახელები მარტო შორიდან სროლას დასჯერდებოდნენ. ცხადია, დიდად ეცდებოდნენ, რომ გენერალი არ შეერთებოდა პოლკოვნიკ ტიხანოვსკის და სათითაოდ, ცალ-ცალკე დაემარცხებინათ.

ბატონიშვილ დავითის სიტყვით, გენერალი დიმიტრი ყაფლანისშვილი (ორბელიანი) ათ დღეს იდგა ნუკრიანსა. უსაქმოდ არ დამაშვრალა ათ დღეს ორბელიანი ნუკრიანში. ეზრახა კახელებს და სთხოვა ზავი, მოსთხოვა აგრედვე თვით ბატონიშვილი ალექსანდრე. რადგან არც კახელებმა და არც ქიზიყელებმა არ ინებეს ღალატი და მიცემა ალექსანდრესი, აიყარა ორბელიანი ნუკრიანიდან და წავიდა შიგნით კახეთში ალექსანდრესთან საბრძოლველად. გურჯაანის ბოლოს, ნორჩებში, დაუხვდნენ კახნი და ეკვეთნენ ძლიერად, ხოლო ქიზიყელებმა უკანიდან მოუარეს რუსის მხედრობას და იერიში მიიტანეს. ამ ბრძოლაში რუსის ჯარს დიდი ზარალი მოსვლია, რადგან ორასამდე ჯარის-კაცი დაჰკლებია ორბელიანს და რადგან ათასზე მეტი კაცი არ ეყოლებოდა, გამოდის, რომ რუსის სარდალს ნორჩებში მეხუთედი ჯარისა დაუღუპავს.

დიმიტრი ორბელიანმა პირველად გურჯაანის ბოლოს, ნორჩებში, ისახელა თავი სისასტიკით. რუსებს შეეპყროთ ბრძოლის დროს ტყვედ ქიზიყელი იოსებ მამანიშვილი, ქედურად წოდებული. წარუდგინეს დიმიტრის ქედური. დიმიტრი ყაფლანისშვილმა, ამბობს მემატიანე, ჩამოჰკიდა ქედური ბოძზე პირის-პირ კახთა და ჩამოახრჩობინა. (ოფი

მოერიათ კახელებს და განძვინდნენო, ბოძზე ჩამოკონწიალებული იოსებ მამანიშვილი რომ იხილეს და შეემზადნენ ხელ-ახლა ბრძოლისათვის. გამწარებულ კახელებს რომ ხედავდა ორბელიანი, ვეღარ შესძლო ნორჩებში გაჩერება, აიყარა და წავიდა ტყე-ტყე ველისციხისაკენ. შავ-ტყეში დაუხვდნენ კახელები და შეეტაკნენ. აქაც, მემატიანეს სიტყვით, რუსებს მოუკლეს და დაუკოდეს უმეტეს ასისა სალდათისა. რაკი ვერ მოახერხა ორბელიანმა ტყის გზით გასხლტომა, გამოვიდა ტყიდან მინდორზე და მიადგა ველისციხეს, წაუკიდა სოფელს ცეცხლი და გადასწვა სრულიად. ღამე აქ გაათია და მეორე დღეს გაემართა შიგნით კახეთსა ზედა. მუნცა მრავალ გზის დახვდნენ კახნი და ავნეს ფრიად რუსთა. უღონოდ ქმნილი დიმიტრი მივიდა ალაზანზე და გავიდა ფაშაანთან, რათა შეუერთდეს პოლკოვნიკ ტიხანოვსკის, ხოლო სოფელი ფაშაანი სრულიად დასწვა. კუის წყაროზე გაჩერდა ორბელიანი და აქ ელოდა ტიხანოვსკის, რომელიც თავის მხედრობით მალე მოვიდა ყვარლიდან. კუის წყაროსთან შეერთებული ჯარი აიყარა და ავიდა შილდის ბოლოს. ამ დროს ალექსანდრე სოფ. საბუეს იდგა, მაგრამ რაღაც მიზეზის წყალობით აქ ბრძოლა არ მოხდა.

ბატონიშვილი ალექსანდრე საბუედან შაქრიანს მივიდა, შაქრიანიდან კალაურს და აქედან ველისციხეში ჩავიდა, სადაც ერთ კვირას გაჩერდა. ორბელიანი ფეხდაფეხ დასდევდა ბატონიშვილს და დაწევით-კი ვერ მოეწია. მწუხარე კილოთი მოახსენებს ორბელიანი მთავარ-მართებელს რტიშჩევს ამ უაზრო და უნაყოფო ხეტიალის ამბავს ერთი სოფლიდან მეორე სოფლამდის. ერთ ადგილს საქმეს რომ გავათავებ და ხალხს მორჩილების გზაზე დავაყენებ, გადავდივარ მეორე ადგილს, მაგრამ ბატონიშვილი გაჩნდება დამორჩილებულ სოფელში და ხელახლა გაკეთებულ საქმეს მიწეწავს და მიფუჭებსო.[20])

---

20) იხ. утв. ტ. II, გვ. 359.

ასე ზოზინით მიდიოდა კახეთის დაწყნარების საქმე, რტიშჩევი რომ დაბრუნდა ყარაბაღიდან ტფილისში ოქტომბრის პირველ რიცხვებში. ჩამოსვლისთანავე რტიშჩევმა თვით გენერალი სიმონოვიჩი აფრინა საქართველოს სამხედრო გზის გასახსნელად. თან გააატანა სამი ბატალიონი და უბრძანა, რაც გზაზე ჯარია, შენთვის ჩამიბარებია და გასწმინდე გზა მეამბოხეთაგან თვით ქალაქ კავკავამდეო. ანანურში რომ ავიდა სიმონოვიჩი, გასაკეთებელი აღარა დახვდა რა. პოლკოვნიკმა პეჩორსკიმ, კრაბბემ და მაიორ გურლებუმმა მეამბოხენი დაიმორჩილეს, გზა უშიშარი ჰყვეს და მისვლა-მოსვლა განაახლეს. გუდამაყრელებმა და მთიულებმა ქედი მოიხარეს და ნიშნად მორჩილებისა თავი კაცები გაგზავნეს რუსის მხედრობის სარდლებთან. ჩვეულებისამებრ თავმა კაცებმა კისერზე ხმლები ჩამოიკიდეს და წარსდგნენ წინაშე რუსის სარდლებისა. ითხოვეს შენდობა-პატივება. ერთგულების ფიცი მიიღეს და ამანათები გადასცეს. რაკი ასეთი ამბები დახვდა სიმონოვიჩს ანანურში, გამობრუნდა ფასანაურიდან უკან, ვინც-კი შეხვდა გზაში მოხეტიალე, ზურგზე ბოლი აადინა და პირდაპირ საგურამოს გზით, მარტყოფით, ხაშმით, პატარძეულით და საგარეჯოთი გასწია კახეთისაკენ გენერალ ორბელიანის საშველად.[21])

ველისციხიდან ალექსანდრე გადავიდა ჩალაუბანს, სადაც მოერთვა დაღესტნის მხედრობით ალისკანტი, დიდი ჩინებული ლეკთა მძღვანი. ხუთი ათასი საუკეთესო ლეკი მოიყვანა ალისკანტიმ თანა.[22]) კაპიტანი ანოსოვი ამბობს, ვინ იცის, რამდენ ხანს გაგრძელდებოდა სოფლიდან სოფლად სიარული ალექსანდრესი და უკან დევნა ორბელიანისა, რომლის დროს იღუპებოდა ორივე მხრიდან მრავალი ხალხი, იწოდა და იბუგებოდა სოფლები და ვენახები და რომლის დროს აყვავებული კუთხე იქცეოდა ერთ დაუსრულებელ და თვალუწვდენელ ცეცხლის კოცონად, - მოუფიქრებელი აზრი რომ არ

21) ibid. გვ. 395.

22) იხ. მოთხრობა ახალი, გვ. 113 - 114.

მოსვლოდა ბატონიშვილს თავშიო. ეს წინდაუხედავი აზრი, ანოსოვის სიტყვით, ისაა, რომ ალექსანდრემ თავი მიანება მაგარ პოზიციების რაიონს - საბუე, შილდა, ყვარელს და სიღნაღისაკენ დაიძრაო.

ორბელიანმა რომ შეიტყო ალექსანდრეს დაბანაკება ჩალაუბანს და ალისკანტის მოსვლა დაღესტნის მხედრობით, აიყარა კახეთიდან და ჩამოვიდა ს. ანაგას. ტიხანოვსკი და ორბელიანი გაჩერდნენ ანაგის ბოლოზე, კოდაზედ.

სიღნაღის კამენდანტად ამ დროს იყო მაიორი ორბელიანი, ძმა გენერალ დიმიტრისა. კაპიტან ანოსოვის სიტყვით, სიღნაღის მეციხოვნეთა რაზმი შესდგებოდა ორას სალდათისაგან, მემატიანე დავით-კი ჰმოწმობს, რომ მაიორ ყაფლან ორბელიანს ჰყავდა რვაასი სალდათიო. ყაფლანთანვე იყვნენ ქიზიყის მოურავი იოსებ ანდრონიკაშვილი და ნინია აფხაზიშვილი და სხვანი თავადნიცა მცირენი კახეთისანი. სიღნაღის ციხეს გარს ერტყა კახელობა და ლეკობა და სრულიად მოეწყვიტათ იგი როგორც ტფილისს, აგრედვე კახეთს.

კაპიტან ანოსოვს უკვირს, ალექსანდრემ როგორ დაანება თავი მაგარ პოზიციებს და სიღნაღისაკენ რად დაიძრაო. ჩვენის ფიქრით, აქ საკვირველი არაფერია. სიღნაღის აღებით და მეციხოვნეთა ამოწყვეტით ტფილისი მოსწყდებოდა კახეთს და ორბელიანი ღვთის ანაბარად დარჩებოდა. - ან განძრახვის სისრულეში მოსაყვანად ალექსანდრე წამოვიდა ჩალაუბნიდან და დადგა მაღაროს. მაშინ ორბელიანმა გაიარა წინა მხარი, ამოვიდა ზურგით პრასიანზე, ააოხრა მირზაან-მაჩხაანი და გაემართა მაღაროსაკენ. ქიზიყელებმა გზა შეუკრეს დიმიტრი ორბელიანს, მაგრამ ვერას გახდნენ, რუსებმა აჯობეს.

ალისკანტის ლეკები მხნედ ებრძოდნენ სიღნაღის მეციხოვნეთ და კინაღამ დაიპყრეს ციხე. ორბელიანს ასეთი გეგმა ჰქონდა სიღნაღის გამოხსნისა. დანიშნულ დროს სიღნაღიდან მეციხოვნენი უნდა გამოსულიყვნენ და აეტეხათ ბრძოლა ალექსანდრესთვის. ამავე დროს თვით ორბელიანი ზურგიდან, ს. პრასიანიდან და ზემო მაჩხაანიდან შეუტევდა მტერსა. გეგმა მოხერხებულად აღმოჩნდა შედგენილი და

სანაქებოდ შეასრულეს რუსებმა. მომწყვდეული ორის მხრით ალექსანდრე იძლია და დამარცხდა. ზარალი დიდი მოუვიდაო, სწერია აქტებში, მაგრამ რაოდენობა ზარალისა აღნუსხული არ არის.[23])

თვით გენერალი რტიშჩევი უქვეშევრდომილესად ასე აუწერს იმპერატორ ალექსანდრე პირველს ნოემბრის რიცხვით ბატონიშვილის დამარცხებას. ს. შილდასთან დამარცხებული ბატონიშვილი ქიზიყში ჩაიპარა, სადაც ხელახლა შეჰკრიფა მეამბოხეთა ბრბონიო. ორბელიანი უკან დაედევნა და გზაში შეიტყო, რომ მეამბოხენი და ლეკები თვრამეტ ოქტომბრიდან მოყოლებული ოცდა ერთამდე გარს არტყიან სიღნაღის ციხეს და თოფებს უშენენო. ამის გამო გენერალი ორბელიანი გაეშურა სიღნაღისაკენ დახმარების აღმოსაჩენად, ხოლო ალექსანდრე მაღაროში დაბანაკდაო. ამ დროს სიღნაღის კამენდანტი მაიორი ორბელიანი ციხიდან გამოვიდა, გადასწვა ს. ვაჭირი და შეატყობინა ეს ამბავი გენერალ ორბელიანს. 23 ოქტომბერს გენერალი ორბელიანი სუბუქი მხედრობით ს. პრასიანზე და ზემო მაჩხაანზე წავიდა იმ განზრახვით, რომ ბატონიშვილისთვის უკანიდან ეყელა და რაკი სროლას აუტეხდა მეამბოხეებს, მაშინვე მაიორი ორბელიანიც უნდა გამოსულიყო ციხიდან და დასცემოდა ალექსანდრეს მეორე მხრიდან, ესე იგი პირისპირ. ახლო მდებარე სოფლებიდან ზოგიერთნი მიეგებნენ გენერალ ორბელიანს, მორჩილება მოახსენეს და სთქვეს, შიშმა გვაიძულა და ავჯანყდით, თორემ ამბოხების გუნებაზე არა ვართო. ორბელიანი გორაკს რომ მიუახლოვდა, რომელზედაც ს. პრასიანია დაფენილი, მეამბოხეებმა სროლა დაუწყეს, მაგრამ რუსის მხედრობამ დაუბრკოლებლივ დაიჭირა გორაკიც და თვით სოფელიცაო. მაშინათვე მაიორი ორბელიანი გამოვიდა ციხიდან ქვეითა ჯარით და სომხებით, და მარდად და მარჯვედ აიჭრა გორაზე, მაღაროს პირთან რომაა. რაკი ორივ მხრივ მტერი მოადგა და საშიშო შეიქმნა აქ გაჩერება, ალექსანდრე აიყარა და გაიქცა. სომხები

23) Акты, ტ.V, გვ. 367, утв. გვ. 396.

სამი ვერსის მანძილზე უკან მისდევდნენ გაქცეულ ბატონიშვილს, რომელსაც დიდი ზარალი მოუვიდაო.

ყველა ეს რომ გაითვალისწინა ქიზიყელობამ და იხილა თვისი დაღუპვა და მოტყუება ბატონიშვილის მიერ, რომელმაც ათასი სიკეთე აღუთქვა ქიზიყსაო, სთხოვა გენერალ ორბელიანს, ცოდვები შეგვინდეო. ამის გამო ორბელიანი, როგორმე რომ დააცხროს თავხედობა და სიშმაგე ქიზიყელებისა, სცდილობს და აქეზებს ქიზიყელებს ბატონიშვილის მომხრეების და ლეკების წინააღმდეგ, ვინაიდგან ლეკთა დაუხმარებლივ ალექსანდრე ვერას გახდებაო.[24])

სიღნაღთან დამარცხებული ალექსანდრე მივიდა ჩალაუბანს და იქ გაჩერდა. ბატონიშვილ დავითის სიტყვით, ჩალაუბანი ფრიად მაგარი ადგილი ყოფილა.

ვიდრე აქაურ ამბებს მოუთხრობდეთ მკითხველს, საჭიროდ მიგვაჩნია დაუბრუნდეთ შილდას და რამდენიმე ეპიზოდი მოვიხსენიოთ. თავის თავად ეს ეპიზოდები ბევრს არაფერს წარმოადგენს, მაგრამ შესამჩნევად ახასიათებს თითო-ოროლა ქართველს, რომელთაც რუსთაგან დიდი წყალობა, ჯილდო და ჩინები გაიკრეს. გვიკვირს, უყურადღებოდ რად დასტოვეს პოლკოვნიკ თ. ერისთავის ვაჟკაცობა მემატიანე დავითმა და კაპიტანმა ანოსოვმა.

ზემოდ დასახელებულ უქვეშევრდომილეს მოხსენებაში მთავარ-მართებელი ასე აუწერს იმპერატორს შილდის მეორედ აკლების ამბავს: ცხრა ოქტომბრამდე არაფერი არ იცოდა ტფილისში მყოფმა გენერალ სიმონოვიჩმა, თუ რა კეთდებოდა და რა ხდებოდა კახეთშიო. ცხრა ოქტომბერს კი

---

24) Акты, ტ. V, გვ. 367. რუსულად თავხედობა და სიშმაგე ქიზიყელებისა — буйство.

ორბელიანიდან მოუვიდა ცნობა სიმონოვიჩს ჯაშუშების პირით[25]), რომ შილდასთან დამარცხებული ალექსანდრე ველის ციხესთან გაჩერდაო. აქ შეიკრიფა ლეკთა ოცი დროშაო. სუზდალის პოლკის შეფი პოლკოვნიკი ერისთავი[26]) უფროსობდა მოწინავე რაზმს და ეკვეთა ალექსანდრეს, რომელსაც 2000 მებრძოლი ჰყავდაო. იერიში ერისთავმა ხიშტით მიიტანა, დაამარცხა ბატონიშვილი, ბევრი მეომარი გაუჟლიტა და წაართვა ბარგი, იარაღი და რვა დროშა. ასეთი დამარცხების შემდეგ ორბელიანი აპირობდა თელავში ჩასვლას და იქ დატოვებას მიმეტებულ ბარგისას და დაჭრილ სალდათებისას, მაგრამ განძრახვა შეიცვალა და შილდას წავიდა, რადგან ცნობა მოუვიდა, რომ ალექსანდრე იქ არისო. შილდისაკენ ჯარი სამ რაზმად დაეწყო და გაემართა. ორს უფროსობდნენ თ. ერისთავი და პოლკოვნიკი ტიხანოვსკი. ორბელიანმა ხიშტით მიიტანა იერიში ისეთის სისწრაფით, რომ ლეკები აირივნენ, დაიბნენ და სროლას თავი მიანებეს. შილდაში ბატონიშვილს ეყოლებოდა 6,000 კაცი, მათ შორის 2000 ლეკიო. რადგან შილდელებმა ორჯერ მიიღეს ბატონიშვილი და ორჯერ აისხეს იარაღი მათის იმპერატორობითის უდიდებულესობის მხედრობის წინააღმდეგ, ორბელიანმა სასტიკად და ულმობელად დასაჯა სოფელი. დასწვა სრულიად იგი, რაც რამ სახლი და ვენახი იყო, სულ ერთიან გაანადგურა,[27]) ხოლო პური ხაზინის სასარგებლოდ ჩარიცხა.

11 ოქტომბერს ორბელიანმა შენიშნა, რომ ტყეებიდან და სოფლებიდან ხალხი გამოდის და ბატონიშვილისაკენ მიდის საბუესა და ენისელის ახლო-მახლო. გზის მოსაჭრელად

---

25) ცხადია, რომ ეს ჯაშუშები ქართველები იქნებოდნენ.

26) თავ. ერისთავის პოლკი კავკასიის ლინიაზე იდგა, ხოლო ერთი ბატალიონი ამ პოლკისა ჩვენში. ამ ბატალიონის დასახედად ჩამოსულიყო ერისთავი და თავად ორბელიანს წაჰყოლია კახეთის ექსპედიციაში. იქნება ერისთავი კახეთს თავის სურვილით წავიდა ამბოხების ჩაქრობაში მონაწილეობის მისაღებად, ან შეიძლება, ეხლა რომ იტყვიან, ორბელიანთან პრიკომანდიროვანიეში იყო (прикомандированъ).

27) რუსულად: Селеніе предано огню, всѣ дома и сады истреблены до основанія, а хлѣбъ забранъ въ казну.

ორბელიანმა გაგზავნა ყაზახთა პოლკოვნიკი მილლერი ყაზახებით და 50 სალდათით. მოხერხებულ ალაგას ჩაუსაფრდა მილლერი და ელოდა ბატონიშვილისაკენ წამსვლელთ. აგერ გამოჩნდა პატარა რაზმი, ასე 54 კაცი, ისე სწრაფად ეცა მილლერი მოახლოვებულ რაზმელებს, რომ ერთი თოფის დაცლაც ვერ მოასწრეს. ნახევარი რაზმელებისა დაიხოცა, მეორე ნახევარი რაზმისა ტყისაკენ გაიქცა და ტყის პირში ჩამალულ ქვეითა ჯარს წააწყდა და სულ ყველანი ხიშტებზე იქმნენ აგებულნი. რუსებს ერთი ჯარისკაციც არ დაჰკლებიათ.

ცამეტ ოქტომბერს ბატონიშვილს მოუვიდა 2000 ლეკი და დააპირა თავს დასხმოდა საკვების მოსაგროვებლად გასულ რაზმსა, რომელსაც დარაჯობდა და იცავდა პოლკოვნიკ ერისთავის კამანდა. სროლა ისმოდა დილიდან დაწყობილი შუადღის პირველ საათამდე. ორბელიანმა მაშველი ჯარი გაუგზავნა ერისთავს. სწორედ იმ დროს, ჯარი რომ ბანაკიდან დაიძრა, ალექსანდრე დაეცა ერისთავს სამის მხრით. ერისთავი მაგრად იდგა და ფეხს არ იცვლიდა, თავდამსხმელთ მხნედ უმასპინძლებოდა ხიშტით და ზარბაზნის საფანტით. რაკი მაშველი ჯარი მოუვიდა, ეკვეთა ერისთავი ბატონიშვილის მხედრობას. ბევრი მათგანი ხიშტების წვერებზე ააგო და დამარცხებულნი ალალა სოფლის თავში. გზა-გზა ორი ჩახერგილი ადგილი აიღო და მრავალი ხიშტით დაკოდა. ამ გვარად პოლკოვნიკმა ერისთავმა დაამარცხა მეამბოხენი და დაიჭირა შილდის ციხე.

ასეთი თვალსაჩინო იყო პოლკოვნიკ ერისთავის მონაწილეობა კახეთის ამბოხების ჩაქრობის საქმეებში და რად უგულვებელ ჰყო იგი კაპიტან ანოსოვმა, არ გვესმის.

სიღნაღთან დამარცხებული ალექსანდრე ჩალაუბანს დადგა.[28]) ექვსი ათასი მეომარი ჰყავდა ბატონიშვილს შეგროვ-

---

28) რტიშჩევი ბრძანებს, რომ სიღნაღიდან გაქცეულ ბატონიშვილს სამი ვერსის მანძილზე სომხები მისდევდნენო. ბატონიშვილის ცხენოსან ჯარს სიღნაღის მოქალაქენი ფეხით როგორ გამოეკიდნენ, აკტებიდან არა სჩანს. ისიც შეუძლებელია, რომ მოქალაქეთ იმოდენა ცხენები ჰყოლოდათ, რომ დიდი ცხენოსანი რაზმი დაედევნებინათ, პატარა კიდევ დევნას ვერ გაბედავდა. სიღნაღელ სომხების ორგულობის შესახებ ბატონიშვილი დავით კრინტს არა სძრავს. შემდეგ დავინახავთ, როგორ გამოიყენა რტიშჩევმა სომხების ვითომ და ორგულობა ალექსანდრესადმი და ერთგულობა რუსებისა.

ილი ჩალაუბნის ხეობაში. ჩალაუბნის ხეობა, როგორც ბ-ნი ანოსოვიც ეთანხმება მემატიანე დავითს, ბუნებით ძლიერ მაგარი ადგილი ყოფილა. ვიწრო, ტყით დაფენილი ხეობა, მრავალ შტოდ იყოფებოდა და აქ გამაგრებულ მებრძოლს დიდ ხანს შეეძლო თავდამსხმელ მტრის მოგერება. იერიშით აღება რომ მოგვენდომა ჩალაუბნისა, დიდი მსხვერპლის შეწირვა დასჭირდებოდა რუსის მხედრობასაო. საბედნიეროდ ორბელიანისა, ამბობს ანოსოვი, ალექსანდრე აიყარა და მანავისაკენ გაემართა, რადგან შეიტყო, რომ არაგვიდან და საგურამოდან წამოსული სიმონოვიჩი საგარეჯოს მოსულაო. ალბად შეეშინდა ალექსანდრეს, როგორც სიღნაღს, აქაც ორივ მხრიდან არ მომიარონ რუსებმა და შუაში არ გამსრისონო. ამის გულისათვის დასტოვა ბუნებით მაგარი ჩალაუბანი და მანავს გაეშურა, რათა ჯერ სიმონოვიჩი დაემარცხებინა და შემდეგ ორბელიანს მობრუნებოდაო. ორბელიანმა რომ შეიტყო ალექსანდრეს წასვლა მანავს, ტიხანოვსკი გაგზავნა ველისციხეს და თვითონ 26 ნოემბერს 1812 წელს 450 სალდათით გაეშურა მანავს.[29])

გამოდის, რომ ჩალაუბანში ბრძოლა არა ყოფილა, ალექსანდრეს დაუცლია ბუნებით მაგარი ადგილი უომრად და მანავს წასულა. ბატონიშვილი დავით-კი აგვიწერს ჩალაუბანში მომხდარ ამბავს. რითი ავხსნათ ასეთი უთანხმოება? ვფიქრობთ, ალბად, შერცხვა ორბელიანს და არაფერი მისწერა რტიშჩევს. რაკი შესაფერი რაპორტი არ დაიწერა თავის დროზე, ისტორიაც ცალმხრივი გამოდის, რუსებისთვის საამო და ქართველთა წარსულ თავგანწირულობისთვის სათაკილო.

მაღაროსა, ქედელისა და ნუკრიანის დაწვის შემდეგ ორბელიანისა და ტიხანოვსკის მიერ, ალექსანდრე კვალად ჩალაუბანს დადგა, ამბობს დავითი. მხილველი ამისი დიმიტრიცა უკან შეუდგა. მისრულმან ჩალაუბნის ბოლოს, გაჰყვნა მხედრობანი თვისნი ორად, წინა მხრით წარავლინა ღიანარალ ტიხანოვცკი მხედრობითა თვისითა, რათა უყოს

29) Утв. ტ. II, გვ. 396 - 397.

ზედა დასხმაი ალექსანდრეს ჩალაუბანს, ხოლო თვით დიმიტრი მივიდა უკანა მხრით. ეკვეთნენ ლეკნი კახითურთ და იქმნა ბრძოლა ძლიერი. თუმცაღა მხნედ უყვეს ზედა დასხმაი რუსთა, გარნა იძლივნენ მუნ რუსნი ორსავე მხარესა და მოსწყდნენ უმეტეს სამასისა რუსნი, ხოლო დიმიტრი, ვერა რისა მყოფელი, უკუნიქცა და მოვიდა კელმეჭურს და დადგა ლაკბეზედან.[30])

ასე გათავებულა ჩალაუბნის ხეობაში ბრძოლა.

V

ს. მანავი გაშენებულია ტიტველა კლდიან მთის ძირობაზე. სიმაღლე მთისა სჭარბობს სამი ათას ფუტსა, თითქმის აღარა აკლია-რა ერთ ვერსსა. ძველის-ძველად მანავის კლდიან მთის წვეროზე აუგიათ ციხე-სიმაგრე, ამბობენ თამარ-დედოფლის ნაშენია ციხეო. შეურყეველ ბურჯად და დარაჯად ედგა მანავის ციხე წამებულ საქართველოს, ბევრჯელ შეხეთქებია მის კლდესა და კალთებს მტრის მკერდი, მრავლად დაღვრილა ქართველის სისხლიც მანავის ციხის უბე-კალთაში. მინგრეულ-მონგრეული, დაშლილი და უპატრონობისაგან გაოხრებული და ხავს-მოკიდებული ეხლაც აპირობდა უკანასკნელად პატრონობა გაეწია წამებულ ქართველთათვის. ბატონიშვილ ალექსანდრეს დიდ ხანს შეეძლო აქ გამაგრება და ბრძოლა მტერთან, მაგრამ როგორ, ან რითი? ზარბაზნები ალექსანდრეს არა ჰქონდა, საკმაო სურსათის აზიდვა დარღვე-

30) იხ. ახალი მოთხრობა. გვ. 114. ამ მოთხრობაში ხშირად გვხვდება ისტორიული სახელები: ლაკბე, შავი-ტყე, კუის-წყარო, კელმეჭური, კოდა, ნორჩები, კოწახურის ფონი, ფაფრის მინდორი და მრავალი სხვა. სამხედრო ოლქის შტაბის რუკას არავინ გვათხოვებს, ქართული არა გვაქვს და ამის გამო არ შეგვიძლიან დანამდვილებით აღვნიშნოთ მაგ ადგილების მდებარეობა. ადგილობრივ მყოფ ისტორიის მოყვარულნი კარგს იზამენ. აღწერონ გეოგრაფიული მდებარეობა მათი და გამოგზავნონ ჩვენ სახელზე. ლაკბეს აღწერა უკვე გამოგვგზავნა მღვ. ნათიძემ.

ულ ციხეში შეუძლებელი იყო, რადგან ზურგიდან ფეხდაფეხ მოსდევდა ორბელიანი და წინიდან ეღობებოდა სიმონოვიჩი.

რუსის გენერლები შეიყარნენ მანავის არე-მარეს 28 ნოემბერს 1812 წელს. მაშინდელ დროის მიხედვით დიდი ჯარი ჰყავდათ რუსებს, არა ნაკლებ ორი ათასი სალდათისა. მართალია, რაოდენობა არც აგრე დიდია, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ჯარი გაწვრთნილი ჰყავდა მტერსა და სამხედრო დისციპლინით შებოჭილ-გამაგრებული. მეამბოხეთა უბედურება უფრო ის იყო, რომ რუსებს ზარბაზნები ჰქონდათ და ქართველებს არა. საერთოდ მილიციას ღონე ვერ შესწევს დიდ ხანს ებრძოლოს რეგულიარულ ჯარს და არტილერიას. მარტო ვაჟკაცობა და მამულისშვილობა მილიციონერისა ხშირად ვერას აწყობს სამხედრო წესზე გაწვრთნილ ჯართან.

ბატონიშვილმა ალექსანდრემ მიანება თავი მანავის ციხეს და გადავიდა ჩაილურს, იქვე მანავის ახლოს. აქ მოხდა ძლიერი ბრძოლა რუსთა და ქართველთა შორის. ბატონიშვილ დავითის სიტყვით, ამ ბრძოლაში მოსწყდნენ რუსნი ვიდრე ორასამდე და განიყარნენ ღამესა მას თვის თვისად. მთავარ-მართებელი რტიშჩევი კი ატყობინებს გრაფ რუმიანცევს, რომ ალექსანდრეს ზურგზე მტვერი ავადინეთო.[31])

მანავის მიდამოებში მომხდარ ბრძოლას გენერალი რტიშჩევი დიდ მნიშვნელობას აძლევს და ამ სიტყვებით აღნიშნავს მის სიდიადეს. დავბრუნდი თუ არა საქართველოში, მაშველი ჯარი გაუგზავნე ორბელიანს. ჯარი სხვა და სხვა მხრიდან მიესია ბატონიშვილს, რომ მეამბოხეთა ძალა გაუოფილიყო და დაქსაქსულიყო. ამით ისარგებლა სამსახურში მუყაითობით განთქმულმა გენერალ-ლეიტენანტ ორბელიანმა,[32]) მკვეთრად და სწრაფად ესხმოდა მეამბოხეთა უმთავრეს ძალას, მრავალჯერ ამარცხებდა და ბოლოს, სოფ. მანავთან, ბატონიშვილს ზურგზე ბოლი აადინაო. ორბელიანმა გაუფანტა ალექსანდრეს მოზიარენი, რომელთაც თავი მიანებეს და

---

31) რუსულად: Разбить в прахъ.

32) რუსულად отлично-усердный къ службѣ.

თავიანთვის წავიდ-წამოვიდნენო. ამ გვარად გენერალ ორბელიანმა ბოლო მოუღო უსასტიკეს რევოლიუციას, თუმცა ისიც სათქმელია, რომ თვით გენერალ ორბელიანმა თავის ხელქვეით მყოფ მამაცი ჯარით მთელი ოთხი თვის განმავლობაში საშინელი დაბრკოლება, ტანჯვა და მწუხარება გამოიარა მტრის დევნით და დაუსრულებელ ბრძოლით მთებსა, ხეობებში და ტყეებში და მერე ისიც შემოდგომის საძაგელ ტაროსის დროსაო. ერთის სიტყვით, ყოველი საქმე ორბელიანისა ამ ექსპედიციაში დაგვირგვინდა გამარჯვებით. მისმა საქციელმა ნათლად დაამტკიცა, რომ იგი თავგამოდებულია სამსახურის სარგებლობისა და მათის იმპერატორების დიდებულების იარაღის სახელისათვის, რომ იგი მოქმედობდა და მოღვაწეობდა როგორც შეჰფერის სამშობლოსა და ხელმწიფე იმპერატორის განუსაზღვრელ ერთგულ შვილსაო.[33])

პირისპირ ბრძოლა, ვაჟკაცურად, იარაღით ხელში, დასრულდა ჩაილურთან. გამარჯვება ორბელიანისა რტიშჩევმა ფერად-ფერადი სიტყვებით შეატყობინა გრაფ რუმიანცევს ხელმწიფის მოსახსენებლად, მაგრამ ის კი აღარ მოახსენა რტიშჩევმა რუმიანცევს, თუ რა საძაგლობა და ვერაგობა ჩაიდინეს რუსებმა და მოღალატე ქართველებმა ჩაილურში. აბა ამას რად დასწერდნენ, თავის მტერი ვინაა?

როგორც ზემოდ მოვიხსენიეთ, ძრიელი ბრძოლა ჩაილურთან დასრულდა საღამოს. ბატონიშვილ დავითის სიტყვით, ღამესა ამას შეუჩინეს რუსებმა კაცი ალისკანტის ბელადსა და მისცეს ქრთამი დიდი და აღუთქვეს უვნებლად მხედრობითა თვისითა განტევება, რათა წარვიდეს იგი შინა. ხოლო ალისკანტიმაც დაუტევა ალექსანდრე და განიპარა ღამესა მას მხედრობითა თვისითა. მხილველთა კახთა ამისთა იწყეს განბნევა თვის თვისად სახლთა შინა. მაშინ ორგულ ექმნა ალექსანდრეს ბარძიმ ჩერქეზიშვილი, მოვიდა დიმიტრისთანა და უთხრა, უკეთუ მომცემთ ჯილდოსა, მიგიყვანთ ტყე-ტყე და ხელთ ვიგდებთ ალექსანდრეს. მსმენელმან

---

33) იხ. Акт, V, გვ. 463 - 464.

დიმიტრიმ მისცა როტა ერთი და ზარბაზანი ორი. გაუძღვა ბარძიმ, მისრულთა უკანით, უყვეს ზედა დასხმაი კახთა და განაბნივნეს კახთა მხედრობანი, ხოლო დანაშთთაცა ლეკთა გარდავლეს მთა ჭერამისა. შთასრულთ ფაფრისა მინდორსა შინა მუნ დახვდა ტიხანოვცკი რუსთა მხედრობითა და მოსწყვიტა მრავალნი ლეკნი. ხოლო კახთაცა, ურცხვინობის სამოსლისა შემმოსელთა, ამათაცა მოსწყვიტეს ლეკნი იგი, რომელნიცა გამოხსნისათვის კახეთისა სისხლსა აქცევდნენ. მხილველი ამისი, უღონო ქმნილი კახთაგან ალექსანდრე წარვიდა მთის გზით და აღვიდა ფშავშია, ხოლო იქიდან ხევსურეთს და იყო ჟამი რაოდენიმე მუნ.

აღშფოთებული დავით ასე განაგრძობს ჩვენის ზნეობის დაცემის და სიწამხდრის ამბავს. მყოფობასა დიმიტრისასა მანავსა შინა, მაშინ ორნი მეცხვარენი თუშნი, მომავალნი, იორის პირით, იხილა ერმილ მუხრან ბატონიშვილმან, ძემან სვიმონ ნასახჩიბაშისამან. რომელთა აქვნდათ იარაღი თუშთა მათ კეთილი, შემკული ვერცხლითა. მიზეზისა ამისთვის შეიპყრნა იგინი და მიგვარა დიმიტრის და შეჰსწამა ტყუილად ფიცითა, ვითარმედ ესენი იყვნენო ალექსანდრესთან და გვესროდნენ თოფსაო, რომელსაცა ერმის არა ეხილვა ბრძოლა იგი. ოი უსჯულო სვინიდისი მისი! ხოლო ჰკითხეს რა თუშთა მათ, იწყეს ფიცილი, რომელ იგინი თვინიერ ცხვრისა თვისისა არაოდეს სადმე ყოფილან, გარნა არა უსმინა დიმიტრი ტირანმან, და მოაშთვა იგინი და მერმე დაწვნა ცეცხლსა შიგან მანავს.[34])

მანავ-ჩაილურს დაბანაკებულ ალექსანდრეს მოერთვა ძირობა საგარეჯოდან დაწყებული ვიდრე მარტყოფამდე. ეს კუთხე საქართველოსი შიდა კახეთსავით ამბოხების ქარცეცხლში იყო გახვეული. ალექსანდრე მოელოდა დაღესტნიდან მაშველ ჯარსაც. სწორედ 28 ნოემბერს, როდესაც ჩაილურთან ბრძოლამ დილიდან საღამომდინ გასტანა და მებრძოლნი ბინდმა განაშორა, ველისციხესთან მოხდი მეორე ბრძოლა.

---

34) იხ. ახალი მოთხრობა... გვ. 115 - 116.

კახეთში დატოვებული პოლკოვნიკი ტიხანოვსკი გადაეღობა დაღესტნიდან წამოსულ ლეკების რაზმს და გაფანტა, მაშველი ჯარის მოუსვლელობამ, ბელად ალისკანტის და ბარძიმ ჩერქეზიშვილის ღალატმა განსაცდელში ჩააგდო ალექსანდრე და იძულებული გახდა მოშორებოდა მანავ-ჩაილურის არემარეს. ალექსანდრე აიყარა და გომბორის გზით გადავიდა კახეთში და დადგა კისისხევს. აქედან წავიდა სოფელ ფშაველს და შემდეგ ავიდა თიანეთს.

დიდხანს არც ორბელიანი გაჩერებულა მანავს. რაკი ბატონიშვილი კახეთს დაბრუნდა, აიყარა მანავიდან ორბელიანი სვიმონოვიჩითურთ და დადგა ლაკბეზე. ლაკბეზე ორბელიანმა ხელახლა გამოიჩინა ვერაგობა. დაარწმუნა ფიცით კახელი თავადიშვილები, ვინც ალექსანდრეს ემხრობოდა, რომ ოღონდ მოდით ჩემთან და უვნებელნი იქნებითო.

ბევრმა ირწმუნა ფიცი ორბელიანისა და გამოცხადდა მასთან. ორბელიანმა შეიპყრო მოტყუებით მოწვეულნი, გათოკა და გაუგზავნა ტფილისში მთავარ-მართებელს, რომელმაც იგინი გაისტუმრა ციმბირს.

ლაკბედან აიყარა ორბელიანი და შევიდა ქიზიყში. აქ ორბელიანმა შეიპყრა ჯალია ჯალიაშვილი, უმამაცესი ყოველთა ქიზიყელთა შორის და ჩამოაღრჩო სიღნაღს. ქიზიყიდან ორბელიანი შევიდა შიდა კახეთს და იავარ ჰყო ყოველნივე ნაქონებნი თავადთა და აზნაურთანი. ბატონიშვილ ალექსანდრეს მომხრე თავად-აზნაურობას არბევდა ორბელიანი ქიზიყის მოურავის იოსებ ანდრონიკაშვილის და ნინია ერასტიშვილის რჩევითა. მემატიანე დავითის სიტყვით, იოსებმა და ნინიამ უფრო მეტად აიკლეს კახეთი, ვიდრე ორბელიანმა და რუსებმაო. დასამტკიცებლად თავისის აზრისა სწორედ რომ შემაძრწუნებელ ამბავს გვიამბობს ბატონიშვილი. სიტყვა სიტყვით მოვიყვანთ ბატონიშვილის ნათქვამს, რათა გადაჭარბება არავინ დაგვწამოს. "ნინია ერასტიშვილმან ძმისა თვისისა ცოლი, რძალი თვისი სალომე, ესრე სირცხვილეულ ჰყო, რომელ ჩახადა ნიფხავი და განუჩხრიკა, უკეთუ აქვს რაიმე დამალული მას შინა ნივთი, რათა მოსტაცოს მას. ეგრეთვე

მოურავმან ქიზიყისამან იოსებმაც უყო ცოლსა ნინია ზურაბ-
იშვილისასა, ქალსა დავით სარდლისასა ბარბარეს".

ეტყობა, მემატიანე შეწუხებულა და აღშფოთებულა ამ
საძაგლობის მაგალითით და სიტყვას მოკლედ მოსჭრის:
"რომელთაცა არა შვენოდათ ძმათა თვისთა ესე ვითარისა
უგვანისა ქმნაი და უკეთუ წვრილად აღმეწერა მათ მიერ
ტირანობაი, დაკლებაი კახთა თავადთა სახლთასა და გლეხთა,
ფრიად გავრცელდებოდა ისტორია ესე და სიგრძისათვის
დავიდუმეო".

დამარცხებულ კახელობას, რაღა თქმა უნდა, არც კარის
წინამძღვარი არქიმანდრიტი ელევთერ ზუკაიშვილი დააყრი-
და ხეირსა. ელევთერმა დაიჭირა რაოდენიმე მღვდელნი და
დიაკონნი უბრალონი, რომელთაც ხელითა თვისითა ჰსცემდა
და აგლეჯდა წვერთა. ნაცემ-ნაგვებნი გაგზავნა ქალაქს
მიტროპოლიტ ვარლამ ერისთვიშვილთან, რომელმაც გაკრიჭ-
ნა და წარგზავნა ციმბირს სრულიად უდანაშაულონი. ხოლო
უკეთუ მღვდელმან რომელმამე მისცეს ასი თუმანი მიტროპ-
ოლიტ ვარლამს ქრთამი, იგი განტევებულ იქმნებოდისო.
რადგან მაშინდელ მღვდელთაგან ძვირად თუ ვინმე ქრთამად
მოახერხებდა ასის თუმნის გაღებას, ცხადია, რომ გაკრეჭილი
მღვდელ-დიაკონნი ციმბირს თავიდან ვერ აიცდენდნენ.

ასე და ამგვარად, რუსეთს ნაპოლეონი იკლებდა და
აოხრებდა, აქ, ჩვენში-კი საკუთარი მთავრობა ტურფა კახეთს
აწიოკებდა და ავერანებდა. 1812 წლის განმავლობაში დამშე-
ული კახეთი სამჯერ აჯანყდა და უკეთესის მომავლის
მომლოდინე იარაღით სცდილობდა ბედნიერების დამყარებას,
მაგრამ ცდამ ცუდად ჩაუარა. მთავრობამ, ჯარმა და მეზობელმა
შეერთებული იერიში მიიტანა კახეთზე, მთელი წელიწადი
სწიწკნა და საკუთარი ხორცი საკუთარის კბილით აგლეჯინა.

განცხრომაში არც ბატონიშვილი ალექსანდრე გახლდათ.
მანავთან ბრძოლის შემდეგ, რომელსაც რტიშჩევი ისე
უყურებს, როგორც ალექსანდრეს ბედის სამუდამოდ გადამწ-
ყვეტ ბრძოლას,. ლტოლვილი მხლებლების მცირე რიცხვით
გაიქცაო, სწერს მთავარ-მართებელი გრაფ რუმიანცევს. ფე-

ხდაფეხ დასდევენ გაქცეულს ორბელიანი და სიმონოვიჩი და მოსვენებას არ აძლევენ. მოზიარენი სულ შემოეფანტნენ და ამის გამო იძულებული გახდა ფშავ-ხევსურეთში გადასულიყო. ხევსურებიო, ბრძანებს რტიშჩევი, თითქმის კერპ-მსახურნი არიან; ვაჟკაცი და მეომარი ხალხია. ნაწილი ხევსურეთისა სრულებით არ ემორჩილება ჩვენს მთავრობას, ხოლო მეორე ნაწილი, მართალია ექვემდებარება საქართველოს, მაგრამ რა მორჩილებაა ასეთი მორჩილება. სურსათი და სანოვაგე საქართველოდან მიაქვთ ხევსურებს, ამის გამო იძულებული არიან ურთიერთობა არ გასწყვიტონ ქართველებთან. აი, ეს ხევსურები გაუმასპინძლდნენ გაქცეულ ბატონიშვილს და ბინა გაუჩინესო.

მშვიდობა და მყუდროება ჩამოვარდა კახეთში, რომელიც უსიტყვოდ დაემორჩილა მთავრობას. მომეტებულმა ნაწილმა ცოდვები მოინანია, ტყეში გახიზნულები დაუბრუნდნენ თავთავიანთ ოჯახს და ხმის ამოუღებლივ იხდიან ზომიერ კონტრიბუციას, მე რომ დავადეო. ბევრი გაბოროტებული და გაალმასებული მეამბოხე შევიპყარით გენერალ ორბელიანის წყალობით და მაგრადა მყავს დამწყვდეულნი და სამხედრო სამართალს მივეციო. ზოგი-კი გადიხვეწა სამშობლოდან, ზოგი სპარსეთს, ზოგი ლეკეთს და ზოგიც ტყეებში იმალებაო.

ფშავ-ხევსურეთიდან კახეთში გამოსასვლელი გზები შევკარი ჯარით, ასე რომ ალექსანდრე აქეთ ვეღარ იკადრებს წამოსვლას. რადგან ხევსურებმა და ფშავლებმა ბინა მისცეს საქართველოს მშვიდობისა და მყუდროების დამარღვეველს, ამისათვის აუკრძალე საქართველოში სიარული, საიდანაც ყოველ სანოვაგეს და პურს ეზიდებიან. ამას გარდა ჩამოვართვი საზამთრო საძოვრები დაბლობ ადგილებში, სადაც ფშავ-ხევსურნი ჰკვებავენ ხოლმე დიდძალ საქონელსა და ცხვარსა. დავემუქრე, თუ ბატონიშვილს არ დაიჭერენ და არ მომიყვანებენ, გაზაფხულზე იმათ საქონელს ბარში არ გამოუშვებ. ასეთი ღონისძიება იმოდენათ საგრძნობელია ფშავ-ხევსურებისთვის, რომ იმედი მაქვს, შიმშილის მოლოდინით და ცოლშვილის გაწყვეტით, ლტოლვილ ალექსანდრეს ჩამაბარებო.

გენერალ ორბელიანმა დაარხია ამბავი, თუ ბატონიშვილი ცოდვებს შეინანიებს და თავის სურვილით დამორჩილდება მთავრობას, წარსულ ცოდვებს მიუტევებენ და ისეთსავე ულუფას გაუჩენენ, როგორც დანარჩენ ბაგრატიონთა, რუსეთში რომ გადაასახლეს. ბატონიშვილი ამბობს, წერილობითი საბუთი უნდა მეჭიროს მთავარმართებლისაგან, რომ ვირწმუნო მთავრობის სიტყვა და დაპირება. ამის გამო წერილი მივწერე ბატონიშვილს, ოღონც მოდი ჩემთან, შფოთზე ხელი აიღე და ცოდვები შეინანიე და გაძლევ სიტყვას, შრომას და მეცადინეობას არ დავზოგავ, რომ იმპერატორმა შეგიწყალოს და უხვად დაგაჯილდოვოსო.[35])

მართალია, გენერალი რტიშჩევი ტკბილად ესაუბრებოდა ალექსანდრეს, წერილებს უგზავნიდა ორბელიანის ხელით, მაგრამ ამავე დროს ყოველ ღონეს ღონობდა, რომ ხელში როგორმე ჩაეგდო, ან წუთისოფლისთვის გამოესალმებინა (რუს. истребить) ბატონიშვილი. მისი დაღუპვა საჭიროა საზოგადო სიკეთისათვის და აქაურ ქვეყნის დასაწყნარებლადაო, ჰფიქრობდა რტიშჩევი. გრაფ რუმიანცევს ისიც მისწერა რტიშჩევმა, გაიხსნება თუ არა გზა,[36]) ჯარს გავგზავნი ხევსურეთს, თუ მანამდე თავის სურვილით არ გამოცხადდა ჩემთანაო და მოსვენებას არ მივცემო. ან კი რა ცხოვრებაა ალექსანდრესი, ბრძანებს მთავარ-მართებელი დასასრულ თავის რაპორტისა, ენით არ ითქმის და სიტყვით არ აიწერება ის მწუხარება და უნუგეშობა, რასაც ბატონიშვილი ითმენს. მეგობრებმა უღალატეს და თავი მიანებეს. სიცივესა და შიმშილში ატარებს სიცოცხლესაო.

მთავარ-მართებელი რტიშჩევი ისე უყურებდა კახელებს, როგორც მეომარ მოწინააღმდეგეს, ესე იგი სხვა სახელმწიფოს მკვიდრს და რაკი გაიმარჯვა, ადგა და კონტრიბუცია დაადო კახელებს, თითო კომლს შეაწერა სამი კოდი პური, ერთი კოდი ქერი და სამი მანათი. სოფლის ნაცვლებს ორჯელ

35) იხ. Акты ტ. V, გვ. 464.

36) რაპორტი რტიშჩევისა დაწერილია 5 იანვარს 1813 წელს.

და სამჯერ მეტი. ხალხს გადაახდევინა აგრედვე დანაკლისი ჯარისა. აკრეფილი ფულით შეავსო ხაზინის ზარალი, მარკიზ პაულუჩჩის დროს ბეები რომ დაურიგეს პურის ფასში, პური და ქერი კი ჯარს გადასცა ღვინისა და პურის კერძის გასაუმ-ჯობესებლად, თითქოს ვინმე უშლიდა ჯარს ღვინის სმას და პურის წაღებას, სოფლებს რომ იკლებდნენ და სწვავდნენ. ამავე 1812 წელს რტიშჩევმა გადაახდევინა კახეთს ამ წლის ხვედრი პური.

ადვილად წარმოიდგენს ადამიანი, რა მწუხარებას მიეცემოდა ერი ამ კონტრიბუციის გამო. ჯერ იყო და წინა წლის შიმშილით შეწუხდა კახეთი, მერმე აუტანელმა ბეგარამ საქონლისაგან გააჩანაგა, მთელი წლის აჯანყებამ ხომ სულ გააოხრა და გაავერანა ქვეყანა და სწორედ ამისთანა დროს კონტრიბუცია მიაყენეს კარსა. ერთ ჟამად ოთხი კოდი ხორბლ-ის გაღება და სამი მანათის გამოტანა კომლზე ადვილი არ იყო მაშინდელ დროს, მაგრამ უცხო მთავრობა რას დაგიდევს, რა ენაღვლება სხვისა აკლება და აწიოკება. მართალია, არც თავისიანსა ზოგავს გაწუწკებული მოხელე, მაგრამ სხვისა ტანჯვაში უფლებით გასიებული კაცი ხშირად ავადმყოფურ ნეტარებას გრძნობს ხოლმე.

იმპერატორმა ალექსანდრემ არ მოუწონა რტიშჩევს კონტრიბუციით დასჯა კახეთისა. კონტრიბუცია გააღატაკებს ხალხსა, სწერდა იმპერატორი რტიშჩევს, უფრო გააბოროტ-ებს და ხელახლა ააჯანყებსო. ამისათვის გიბრძანებ კვლავ აღარ მიმართო კონტრიბუციასო.

იმპერატორის ბრძანება მაშინ მოვიდა საქართველოში, როცა კონტრიბუციად დადებული ხორბალი და ფული უკვე შეკრებილი და კახეთი ტყავ-გამძვრალი იყო.[37])

---

37) Акты, ტ. V. გვ. 465.

VI

უსასტიკესი რევოლიუცია, ლტოლვილ ალექსანდრე ბატონიშვილმა რომ ასტეხა კახეთში, მადლობა უფალსა, ჩაქრაო. ასე მისწერა გენერალმა რტიშჩევმა გრაფ რუმიანცევს 5 იანვარს 1813 წელსა. ახლა ჯერი რეპრესია-სასჯელზე მიდგა. ღვთის მოყვარე და უფლის მმოსავ რტიშჩევმა არ იკმარა კონტრიბუციის აღება და ახალ-ახალ რეპრესიებზე ჰფიქრობდა.

ქვეყანაზე ასეა მიღებული, ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მაშინ გამოჩნდება ხოლმე. კახეთის ამბოხებამ ნათლად გამოაჩინა, რა საძაგელი და აუტანელი მართვა-გამგეობის წესი იყო გამეფებული ჩვენში, რა უდიერად იტანჯებოდა გარყვნილ და ბილწ მოხელეებისაგან ერი, რა გესლიანი ბოროტებით და ზიზღით ეპყრობოდა უცხო თესლის მოხელეობა ჩვენებურ კაცსა. ასე გასინჯეთ, პირუტყვი რა არის, იმასაც-კი არ ინდობდნენ და შებრალება არა ჰქონდათ. დიახ, ყველა ეს სიკეთე ვარდის გულივით გადაშალა კახეთის ამბოხებამ და მარტო ბრმა თუ ვერ დაინახავდა, თორემ ხილულს არ გაუჭირდებოდა დანახვა იმ აზიურის ბარბაროსობისა, რასაც სჩადიოდა ახალი მთავრობა და ქრისტეს მოყვარე მართლმადიდებელი მხედრობა მართლმადიდებელსავე ქვეყანაში.

პირველ აჯანყების ჩაქრობის შემდეგ ელამმა მარკიზ პაულუჩჩიმ მოისურვა გაეგო მიზეზი კახელების გამწარებისა და დააწესა კამისია, რომელსაც დაავალა - დაწვრილებით გამოეძია და გამოეკვლია, თუ რამ გააბოროტა კახეთი იქამდისინ, რომ გასტეხა ერთგულობის ფიცი და იარაღი იხმარა მათის იმპერატორებით უდიდებულესობის უძლეველ მხედრობის წინააღმდეგ. გენერალმა რტიშჩევმა ესეც-კი არ ინება. სხვაგან თუ გადაბრუნებული ურემი გზას გამოაჩენს ხოლმე, ეს სხვაგანაა და არა ჩვენში. აქ, საქართველოში, ასის

წლის განმავლობაში, ჯერ მაგალითი არა ყოფილა, რომ მთავრობას ერის გაჭირვების ნამდვილი მიზეზი შეეტყოს და შემდეგ გამოძიებული დაედოს თავის მოქმედებისა და მოღვაწეობის საფუძვლად.

მარკიზის კამისიის ნამოქმედარმა უნაყოფოდ ჩაიარა რტიშჩევისათვის, ზედაც არ შეხედა იმ ჯოჯოხეთურ ყოფას, კახეთი და სრულიად საქართველო რომ ჩავარდა, და სამოქმედოდ გზა თელილი აირჩია. ასე გაშინჯეთ, კრავივით უვნებელი დაწესებულება, როგორიცაა ჩვენებური მაზრების და გუბერნიის მარშლობა, დროებით გააუქმა. არ იფიქროთ, რომ საბაბი ამ უკანონო განკარგულებისა ახალს რამეს წარმოადგენდეს. უკანონობას ამ ასის წლის წინადაც ისე ასაბუთებდნენ, როგორც დღეს. ვიდრე კახეთში, უბრძანებს მთავარმართებელი რტიშჩევი საქართველოს უმაღლეს მთავრობის საზოგადო კრებას, არ ჩამოვარდება სრული სიმშვიდე და ვიდრე მართვა-გამგეობაში არ გამეფდება ძველებურად საჭირო წესი და რიგი, და განა მარტო კახეთში, თვით სრულიად საქართველოში, მანამდის თავად-აზნაურთა არჩევნები არ უნდა მოახდინოთო.[38]) სწორედ თილისმიან და ჯადოიან ჯურღმულს მოაგონებს ადამიანს მთავრობის კაცის ასეთი მსჯელობა და აზროვნობა. არა, რა გააჩერებს და დააწყნარებს კუდ-აბზეკილ ბოჩოლას, ბევრიც რომ ეხვეწო და ულოლიავო, ვიდრე ტანიდან არ მოაცლი სისხლის მწოველ კრაზანას?

დიახ, იმის მაგიერ, რომ კრაზანა მოეცილებინა ქვეყნისათვის, და ამ სახით დაეწყნარებინა აბობოქრებული და გატყავებული კახეთი, გენერალი რტიშჩევი რეპრესიების გამოგონება-გაძლიერებას შეუდგა. მრავალი თავადი და აზნაური, აჯანყებაში მონაწილეობა რომ მიიღეს; უკვე ტფილისში ჰყავდა დამწყვდეული, ზოგი კიდევ გზაში იყვნენ და

---

38) იხ. Акты, ტ. V, გვ. 466 - 467. რუსულად ასეა: пока въ Кахетіи не водворится совершенно спокойствіе и не возстановится, въ управленіи по прежнему должный порядокъ, да и по всѣмъ частямъ Грузіи, до того времени выборовъ дворянскихъ производить не слѣдуетъ.

ყარაულებს მოჰყავდათ ტფილისისაკენ. აი მათი სახელი და გვარები: სიღნაღის მარშლად ნამყოფი ივანე ანდრონიკაშვილი შვილითურთ; ზურაბ ანდრონიკაშვიილი ძმითურთ; რევაზ, აბელ, დიმიტრი, სიმონ და დავით მზეჭაბუკის ძე ანდრონიკაშვილები; კაკაბეთის მოურავად ნამყოფი ნინია ჩერქეზიშვილი; ნინია ნიკოლოზის ძე ჩერქეზიშვილი; ბარძიმ ჩერქეზიშვილი; სოლომონ და პეტრე ავალიშვილები; დიმიტრი გლახის ძე თარხნიშვილი; ნიკოლოზ აბაშიძე; ნინია ონანოშვილი; დიმიტრი გურგენის ძე ვაჩნაძე; გორჯასპი აღათოშვილი; სარიდან აღათოშვილი; ერასტი ანდრონიკაშვილი; ნინია მაღალაშვილი; გიორგი თუხარელი; დიმიტრი საგინაშვილი; ზებედე მღვდლის ძმა ფილიპე შატბერაშვილი; დავით ჩოკაშვილი; დიმიტრი ჩოლაყაშვილი ალაურიდან; კოლეჟსკი ასესორი ნიკოლოზ ჩოლაყაშვილი; იოსებ და ომან ჩოლაყაშვილები; გრიგოლ, სიმონ, ნინია, ჭანდარ და ედიშერ ჯანდიერნი; დიმიტრი ქობულაშვილი; დიმიტრი ჭავჭავაძე; პაატა ჭავჭაძე; ნოდარ, დიმიტრი და დავით ჯორჯაძე; არსენა მაყაშვილი; იოსებ მაყაშვილი; რევაზ ვახვახიშვილი; ნოშრევან ჯორჯაძე; ივანე ჯორჯაძე, ენისელი მოურავი; ნინია რუსიშვილი; დიმიტრი აბელაშვილი; პაატა აბელაშვილი; დავით აბაშიძე, სახელმწიფო ექსპედიციის სოვეტნიკად ნამყოფი; ასლან ონანოშვილი; ერასტი ანდრონიკაშვილი; ნინია გურგენიძე და თადია ჩოლაყაშვილი (ესენი გაქცეულან სპარსეთს); დავით კალატოზიშვილი; ჩერქეზ ჩერქეზიშვილი; ეკატერინე ჩოლაყაშვილი ყარაბულაღელი; ლტოლვილ გორჯასპი ნათალაშვილის მეუღლე გუქა.

ამ სიას მოსდევს მეორე დამატებითი: იოსებ ერისთავი; რევაზ საგინაშვილი; იასე მაყაშვილი; ომან მაყაშვილი; სიმონ ჭავჭავაძე; გლახა საგინაშვილი; დიმიტრი ჯანდიერი; დიმიტრი ჭავჭავაძე; ედიშერ ამილახვარი; ნინია აღათოშვილი, დიმიტრი ვახვახიშვილი; პაატა სულხანიშვილი; გოგია მუშრიბიშვილი; პაატა ტუსიშვილი; სიმონ ნათალაშვილი; გლახა სულხანიშვ-

ილი; ტაპია ნინია ჩაპარაძე[39]); გლახა აბელაშვილი; პაატა მგალობლიშვილი; გორჯასპი ნათალაშვილი; იოსებ კოდოლაშვილი; ზებედე შატბერაშვილი.

ეს ამოდენა წარჩინებულ გვარის თავად-აზნაურნი გადახვეწილთ გარდა მსწრაფლ სამხედრო სასამართლოს მისცეს, რომელმაც სხვა და სხვა ვადით ციმბირში უკრა თავი.

მათი დანაშაულის ამბავი ამ ნაირად შეჰკრიბა გენერალმა რტიშჩევმა. კახეთში მყოფ გენერლებს თ. ორბელიანს და სიმონოვიჩს უბრძანა: - აქ ჩამოთვლილ თავად-აზნაურთა მოღალატობის მოწმობანი ჩამოართვით იმათ, ვინც უერთგულესად ითვლება რუსის მთავრობისაო. თელავის მეამბოხეებისა - თელავის მარშალს და მოურავსა; სიღნაღის მეამბოხეებისა, სიღნაღის მოურავსა და სიღნაღის კამენდანტ მაიორ ორბელიანს, ქიზიყში დაბანაკებულ ჯარს რომ უფროსობდა. რა მიუდგომლობას გამოიჩენდნენ ეს პატიოსანი მოხელენი, მოწმობების წერას რომ შეუდგებოდნენ ორბელიანისა და სიმონოვიჩის ბრძანებით, ადვილი მისახვედრია.

მეამბოხეებს ციმბირი არ აკმარეს სასჯელად. საქართველოს უმაღლეს მთავრობის საზოგადო კრებამ რტიშჩევის ბრძანებით მამულ-დედული ჩამოართვა და სახაზინოდ ჩარიცხა. ვისაც მამული გაუყოფელი ჰქონდა სახლიკაცობაში, რტიშჩევისავე ბრძანებით გაჰყვეს მამული და მეამბოხეთა წილი ხაზინამ ჩაიბარა.

ბოლოს აღმოჩნდა, რომ ზოგიერთი სამხედრო სამართალს მიცემული, უდანაშაულო ყოფილა და ამბოხებაში მონაწილეობა არ მიუღიათ. მეზობლურ შურისა და მტრობის გამო გულისხეთქა და ვარამი ბევრი ნახეს, მაგრამ ამას ვიღა ინაღვლიდა, რაკი ციმბირი აიცდინეს თავიდან და მამული დაიბრუნეს. აი დაბეზღებისა და ჯაშუშობის წყალობით ტანჯულთა სახელი და გვარები: დიმიტრი ქობულაშვილი; პაატა ჭავჭავაძე; ნოდარ, დიმიტრი და დავით ჯორჯაძენი; იოსებ მაყაშვილი; რევაზ ვახვახიშვილი; ნოშრევან ჯორჯაძე; ნინია

39) სახელი დამახიჯებულია. ვგონებთ არც გვარია სწორედ მოხსენებული აკტებში.

რუსიშვილი; ასლან, ყაფლან, ნინია, ზაქარია და ქაიხოსრო ვაჩნაძენი; ზაალ აბაშიძე; ნიკოლოზ, მერაბ, ესტატე და მიხეილ ანდრონიკაშვილები; გოგია ქობულაშვილი; ჩერქეზ ჩერქეზიშვილი; თავადნი ბებურიშვილები სავსებით.

საქმის გარჩევის დროს ბრალდებულებმა დაასახელეს მეზობლები, ესენიც მონაწილეობას იღებდნენ აჯანყებაშიო. სიმონოვიჩსა და ორბელიანს ებრძანა ამათი დაჭერა და ტფილისში გამოგზავნა. დიდ ხანს იმალებოდნენ, მაგრამ მაინც შეიპყრეს. ესენი ყოფილან, ასლანი, ყაფლანი, ნინია, ზაქარია და ქაიხოსრო ვაჩნაძენი; ზაალ, ნიკოლოზ, მერაბ, მიხეილ, ანდრონიკ და ალექსანდრე ანდრონიკაშვილები; გოგია ქობულაშვილი. როგორც მეორე სიიდანა სჩანს, ბევრი მათგანი უდანაშაულო აღმოჩენილა და გაანთავისუფლეს სასჯელისაგან. ფურმე ზოგიერთ მათგანს შიშის გამო მიუღია მონაწილეობა ამბოხებაში, ან ისეთ გარემოებაში ჩავარდნილა, რომ მონაწილეობა რომ არ მიეღო, შეუძლებელი იქნებოდა.

ვისაც საბოლოოდ გადაუწყვიტეს ციმბირი, ისინი რტიშჩევმა გაისტუმრა ცივ ქვეყანაში. სად დააბინავეს ჩვენი, ეს პირველი შეგნებული პოლიტიკური დამნაშავენი, ანუ განმათავისუფლებელ მოძრაობის მოღვაწენი, რომელთაც სიცოცხლე და ქონება არ დაიშურეს დღეს ათვალწუნებულ და მაშინ კი სანეტარო სამშობლოს გულისათვის, იმ სამშობლოსა, რომელსაც უწყალოდ და მხეცურად აოხრებდა და აჩანაგებდა შემოსეული მტერი, არ ვიცით. არც ის ვიცით, თუ როგორ ეპყრობოდა მთავრობა გაციმბირებულ მოღვაწეთ, როგორ ექცეოდნენ ტუსაღებს გზაში, ან ბინაზე, რას აჭმევდნენ და ასმევდნენ, ბორკილით, თუ უბორკილოთ მიჰყავდათ, ეტლით თუ ფეხით. მართალია, საბუთები და მასალა არაა ყველა ამის გასაგებად და შესატყობად, მაგრამ გონების თვალით ადვილად წარმოვიდგენთ სამშობლოსათვის თავ-დადებულთა მწუხარებას და ტანჯვა-ვაებას. დღევანდელი პოლიტიკური დამნაშავენი კიდევაც თაკილობდნენ ქართველობას, რუსული ზედ მიწერვნით და შესამჩნევად მიეჩვივნენ რუსულ სასმელ-საჭმელს და ტანსაცმელს. ამის გამო საფიქ-

რებელია, რომ ადვილად უნდა შესძლონ ატანა ციმბირის ჰავისა და ბუნებისა, მაგრამ ასე არ არის ნამდვილად. დღევანდელებიც დიდად იტანჯებიან ნარიმისა და ტურუხანის ქვეყნებში, შიმშილი და სიცივე მალე უმოკლებს სიცოცხლეს და ეღუპება სამშობლოს მრავალი სიცოცხლით სავსე და იდეით აღფრთოვანებული ახალგაზდობა.

თუ ასეთია დღევანდელ პოლიტიკურ დამნაშავის ბედი, აბა რა იქნებოდა მაშინდელის ყოფა, ადვილად შეგვიძლიან წარმოვიდგინოთ. მარტო ის გარემოება, რომ რუსული არავინ იცოდა, ერთი-ათად გაუმწარებდა ისედაც ძაღლუმადურ ბედსა...

ოთხმა წელიწადმა განვლო და მხოლოდ მაშინ მოულბა გული იმპერატორ ალექსანდრე პირველს, რომელმაც 12 სექტემბერს 1801 წ. მანიფესტით ანუგეშა ქართველობა.[40]) 16 აგვისტოს 1816 წ. იმპერატორმა უბრძანა უმართებულეს სენატს, გაარჩიე - ვის რა დანაშაული აქვსო. ვისაც მონაწილება მიუღია ორსა, ან სამ აჯანყებაში, დასტოვეთ ციმბირში, ხოლო თავისუფლება მიეციოთო, დანარჩენები კი დააბრუნეთ საქართველოშიო. ამათ ეპატიათ დანაშაული და მიენიჭათ თავისუფლება.

დარჩა ციმბირს თვრამეტი კაცი: იორამ თარხნიშვილი,[41]) პეტრე ავალიშვილი, ნინია ალექსიშვილი, სამსონ ნათალაშვილი, იპოლიტე ყურბალი თუხარელი, სიმონ ციმაკურიძე, ივანე ჩერქეზიშვილი, შვილი ალადაგისა (?); ივანე აღათოშვილი, დიმიტრი ჩოლაყაშვილი, დავით ჩოკაშვილი, იოსებ ერასტიშვილი, პაპუა აბელიშვილი, არსენ მაყაშვილი, პაატა მგალობლიშვილი, გრიგოლ ჯანდიერი, ყარდან ჯანდიერი და ივანე ვაჩნაძე.

---

40) პრივატ-დოცენტი ი. ა. ჯავახიშვილი საქართველოს შეერთების მანიფესტს "თეატრალურს" ეძახის. იხ. Полит. и соціальное движеніе въ Грузіи въ XIX в., გვ. 9. ოღონდაც რომ ზედ გამოპრილია ეს კოხტა სახელი.

41) თარხნიშვილი, პეტრე ავალიშვილი, ამილახვარი, შატბერაშვილი, ციმაკურიძე და თუხარელი ქართლიდან არიან.

სრული ამნისტია ამ თვრამეტმა კაცმა მიიღო მხოლოდ 1 დეკემბერს 1820 წ. ამ რიცხვით ავსტრიის ქალაქ ტროპაუში მოწერილია უმაღლესი ბრძანება სენატისადმი. მოწყალების თვალი ამ ქართველებსაც (რუსულად: Грузинцы) მივაპყარითო, ნათქვამია ბრძანებაში და თანახმად მთავარმართებელ ინფანტერიის გენერალ ერმოლოვის ვედრებისაო (რუსულად: ходатайство), უმაღლესად ვბრძანებთ - ეპატიოთ სასჯელი და დაბრუნებულ იქმნენ სამშობლოშიო; მოგვინიჭებია თავისუფლება და დაგვიბრუნებია მამულ-დედული, სახაზინოდ რომ იყო შერიცხულიო.[42]) ასე გათავდა ერთგულ მამულიშვილთა საქმე. ნამდვილად მოინანიეს ცოდვანი, თუ არა, არაფერი ვიცით. ეს კია, რომ ციმბირისა და "მსწრაფლ" (რუსულად: скорый) სამხედრო სასამართლოებისა ბევრს არ შეშინებია. გენერალი რტიშჩევი 18 თებერვალს 1813 წ., როდესაც ჯერ კიდევ დაჭერილების საქმე წარმოებაში იყო, სწერს თუშ-ფშავ-ხევსურეთის მოურავ თ. გრიგოლ ჩოლაყაშვილს, თვალყური გეჭიროს, თორემ ათი ჯაშუში დაძრწის და ლტოლვილ ბატონიშვილ ალექსანდრეს წერილებს უზიდავს შაჰ-ზადეს, მირზა ბეზიურგს, ერევნის სარდარს და ხუდად-ბეგს. წერილებიდგან სჩანს, რომ ბატონიშვილი თებერვალში აპირებს "ბუნტის" მოხდენასო. ჯაშუშთა შორის ურევია თ. იოსებ ბარათაშვილი და ეს იცოდეო.

ფრთხილად იყავ, დროზე ყველაფერი მაცნობე და პოლკოვნიკ ყაზბეგსაც შეატყობინე ხოლმე, რასაც გაიგებ, რადგან მეამბოხენი ყაზბეგსა და საქართველოს სამხედრო გზას უპირობენ თავზე დასხმასაო.[43])

აქედანა სჩანს, რომ მებრძოლთ ჯერ კიდევ გული არა ჰქონდათ გატეხილი.

---

42) იხ. Акты, ტ. VI, ნაწ. I, გვ. 115.

43) ibid ტ. V, გვ. 467.

VII

მთავარ-მართებელ რტიშჩევმა საიდღანაც წარმოიდგინა, რომ კახეთის აჯანყების და სრულიად საქართველოს არევ-დარევის თავი მიზეზი სოფლის მოურავები იყვნენო. ცხენს რომ ვერა დააკლეს რა და, კეხსა სწვდნენ, სწორედ ასე დაემართა გენერალ რტიშჩევს. როგორც დღეს, ისე მაშინ, ამ ასის წლის წინად, მეისრე აღმოჩნდა დამნაშავე. დაბალი ღობე იმის დაბალია, რომ ყველა ვერგინდარამ ადვილად გადააბიჯოს ფეხი. მართალია, რუსის მთავარ-მართებლები დიდ ბობოლე-ბსაც არ ინდობდნენ, მაგრამ წვრილფეხა ქართველ მოხელე-ებს, სოფლის მოურავებს სინსილა გაუქრო რტიშჩევმა და მათი გასაგისი ძირიან-ფესვიანად ამოაგდო.

ჯერ ისევ მთავარ-მართებელ თ. პავლე ციციშვილის დროს გამოვიდა ბრძანება 29 იანვარს 1804 წ. ხელმოწერილი იმპერატორ ალექსანდრე პირველის მიერ, რომ საქართვ-ელოში სოფლის სამოურავოები მოისპოსო. გარდაცვალებულ სოფლის მოურავის შემდეგ ღარავინ უნდა დაენიშნათ, ან კიდევ გლეხის საჩივრის გამო თუ ვისმეს გადააყენებდნენ, მოადგილე არ უნდა გაემწესებინათ. აგრედვე აღარ უნდა დაეყენებინათ მოურავი იმ შემთხვევაშიც, უკეთუ სიყალბეს და უკანონობას შეამჩნევდნენ სამსახურის ასრულების დროს და შენიშნულ მოურავს სამსახურიდან გადააყენებდნენ.

ხელმწიფის ბრძანება საქართველოს უმაღლეს მთავრო-ბას სისრულეში არ მოეყვანა და ახლა გენერალი რტიშჩევი შეუდგა იმპერატორის ბრძანების აღსრულებას. ვინაიდგან უმაღლესი ბრძანება აუსრულებელიაო, სწერს გენერალი რტიშჩევი ორბელიანს და სიმონოვიჩს, და რადგან სოფლის მოურავები აჯანყების თავი და თავი მიზეზები არიან, გლეხ-კაცობას ტყავს ძრობენ, ავიწროებენ და თვითნებობენ, ამ ბოროტების აღმოსაფხვრელად გიბრძანებთ მოურავები არ დაამწესოთ იმ სოფლებში, რომელთაც ამბოხებაში მონაწილე-

ობა მიიღეს. ამ გვარ სოფლებში მთავრობის ბრძანებათა და განკარგულებათა ასასრულებლად დააყენეთ ზედამხედველები თავად-აზნაურთაგანი, კაცნი ღირსეულნი და მთავრობის სამსახურის ერთგულობაში განთქმულნი და გამოცდილნიო. ნუ მიხედავთ იმას, თუ ზედამხედველი სხვა მაზრიდან იქნება, რადგან ზედამხედველი ინიშნება მთავრობისაგან მემკვიდრეობის ძალით კი არა, არამედ დამსახურების მიხედვითო. ზედამხედველები უნდა მოქმედობდნენ ისე კი არა, როგორც იქცეოდნენ მოურავები მეფეების დროს და საქმესა სჭრიდნენ ჩვეულებისამებრ, არა, იგინი მოვალენი არიან პირდაპირ და კაფიოდ აასრულონ ხოლმე ბრძანებანი მთავარ-მართებლისა და კახეთში დაბანაკებულ ჯარის გამგე გენერლებისაო.

ამით არ დაკმაყოფილდა მთავარ-მართებელი და მოისურვა მოხელეთა ძველი ინსტიტუტების ამოგდება სრულიად საქართველოში და თათრების დისტანციებში. ჩვეულება და კანონი დიდმა და პატარამ ზედმიწევნით იცოდა. ასეთი ცოდნა მეტის-მეტად უადვილებდა ერსა სამართლის პოვნას. მოურავების მაგიერ გამწესებული ზედამხედველნი, თუმცა ქართველები იყვნენ, ყურმოჭრილ ყმებად უნდა გამხდარიყვნენ მთავრობისა და აესრულებინათ შორიდან მოსული ბრძანება, ხშირად გაუგებარი და ზნესა და ერის ხასიათს შეუფერებელი. ისიც ხომ საფიქრებელია, რომ ბევრჯელ თვით ახლად გამოჩეკილი მოხელეები ვერც თავს გაუგებდნენ და ვერც ბოლოს უვიც გენერლების ბრძანება-განკარგულებას. რა სამართლიანობა დატრიალდებოდა ამის შემდეგ სოფლად, ადვილი გამოსაცნობია, მაგრამ გენერალი რტიშჩევი რისთვის შეიწუხებდა თავსა. კახეთის აჯანყებამ საბაბი გაუჩინა მოესპო სოფლის მოურავები და დანარჩენს არას დასდევდა.

საქართველოს უმაღლეს მთავრობის საზოგადო კრებას წინადადება გადასცა - მტკიცედ აასრულე ასეთი ჩემი განკარგულებაო. სადაც კი შეამჩნიოთ, რომ რაიმე დანაშაული ჩაიდინა მოურავმა, ან არ აასრულა ბრძანება და განკარგულება სათემო პოლიციისა, ან ტახტის მოურავისა დისტანციაში (რუსულად: коронный моуравъ), ასეთი მოურავი სამსახური-

დან გადააყენეთ და კანონისამებრ მოეპყარით, ხოლო მის ადგილზე ნუღარავის გაამწესებთო. მთელ საქართველოს მოჰფინეთ ეს ამბავი და შეატყობინეთ ყველას, რომ რომელი სოფლის მოურავიც არ შეასრულებს ოლქის უფროსის, ან ტახტის მოურავის ბრძანება-განკარგულებას, რაც უნდა დიდი გვარის შვილი ბრძანდებოდეს, სასჯელს ვერ ასცდებაო. თვით ოლქის უფროსები და ტახტის მოურავები სასტიკად დაისჯებიან, თუ გაჰბედეს და სიმრუდე გამოიჩინეს ამ ჩემის განკარგულების აღსრულებაშიო, იმუქრება გენერალი რტიშჩევი. უმაღლეს საქართველოს მთავრობას ვავალებ, ბრძანებს რტიშჩევი, სასტიკი ყურადღება ეჭიროს, რომ ნამდვილად აღსრულდეს ეს დადგენილებაო. უკეთუ სიმრუდე შევამჩნიე, არ დავინდობ უმაღლეს საქართველოს მთავრობას და განსაკუთრებით აღმასრულებელ ექსპედიციას და ჯეროვან პასუხს მოვსთხოვო.

სჩანს, დიდსა და უაღრეს მნიშვნელობას აძლევდა მთავარ-მართებელი რტიშჩევი მოურავების მოსპობას სოფლად, ასე რომ გაწიწმატებულა და ყოველი თავაზიანობა და ზრდილობა დაჰკარგა. საქართველოს უმაღლეს მთავრობის საზოგადო კრებას ისეთი კილოთი ელაპარაკება და ისე ემუქრება, თითქოს ეს დაწესებულება ქვეყნის უპირველესი გამგე და პატრონი კი არ იყვეს, არამედ უბრალო ვიღაც ვიგინდარა სოფლის გზირი, ან იასაული.

მიზეზი ასეთის უზომო გაცხარებისა და გაბრაზებისა, ალბად, ის თუა, რომ სოფლის მოურავობა ძველი, მეფეთა დროის, ინსტიტუტი იყო და სოფელს უვლიდა თანახმად ძველისავე ჩვეულებისა და ქართულ კანონებისა. რტიშჩევმა ალღო აიღო, რომ ეს დაწესებულება მტრულად ეპყრობა რუსის მთავრობის მიერ ახლად შემოღებულ პოლიციურ წესსა, რომელიც დღესაც იმითია სახელოვან-განთქმული, რომ სულ თავისკენ ითლის ხეჩოსავით და ერის კეთილდღეობას აღნუნშიაც არ აგდებს. დამახასიათებელი თვისება პოლიციურ წესის მართვა-გამგეობისა ისაა, რომ ერის დარღსა

და ვარამს უგულებელ ჰყოფს და მარტო უმაღლეს მთავრობის ნება-სურვილითა ხელმძღვანელობს და არსებობს.

დიახ, ვამბობთ, რომ რტიშჩევმა არ იცოდა, რა ხილი იყო სოფლის მოურავობა, შიგ რა ეყარა, რას აკეთებდა, ან რა კანონს ემორჩილებოდა. სწორედ ალღოთი თუ გრძნობდა, რომ სოფელს ვერ გავტეხ, თუ დღე არ დავუბნელე რაღაც მოურავობაო. რომ არაფერი იცოდა რტიშჩევმა ამ ინსტიტუტისა, იქიდანა სჩანს, რომ საქართველოს უმაღლეს მთავრობის საზოგადო კრებას საყვედურს უთვლის, წინადაც მოვითხოვე ცნობანი შესახებ იმისა, თუ რა საფუძველზეა აშენებული სოფლის მოურავობა, მაგრამ რადგან არაფერი შემატყობინეთ, ვავალებ კრებას განიხილოს დაწვრილებით საქმე და გამომიგზავნოს შემდეგი ცნობანიო. პირველი, რა და რა სოფელშია დაწესებული მოურავობა, და ვინაა იქ მოურავად? მეორე, - ვისის ბრძანებით არიან იგინი დაყენებულნი, მთავრობამ იცის მათის არსებობის ამბავი და უგზავნის მათ რაიმე ბრძანებას, თუ არა; რაიმე საქმეს ანდობს მოურავებს, თუ არა; ვის ემორჩილებიან მოურავები? მესამე, - რა საფუძვლით ატარებენ იგინი მოურავის სახელს, რა უფლება აქვთ; აქვთ რამე შემოსავალი, თუ არა?

ეს ცნობანი მალე შემატყობინეთ, რადგან უქვეშევრდომილესად უნდა მოვახსენო ხელმწიფე იმპერატორს სოფლის მოურავების საქმეო, ასე ათავებს გენერალი რტიშჩევი თავის წინადადების მეექვსე მუხლსა.[44])

საოცარი და თან სამწუხარო აქ ისაა, რომ რტიშჩევმა ჯერ გაანადგურა სოფლის მოურავობა, მოსპო მისი სახსენებელი, დასწამა მოღალატეობა, მოურავების მაგიერ გაამწესა სოფლებში ზედამხედველები, ანუ ურიადნიკები და მხოლოდ ასეთ აწიოკების შემდეგ შეუდგა იმის გამოძიებას, თუ რა მოხელენი არიან მოურავები, თუ რა უფლება აქვთ, რას აკეთებენ, ან რა ჯამაგირს იღებენ. იმის გაგებაც კი არ მოისურვა მთავარ-მართებელმა, თუ რამ დაუშალა თ. ციციშვ-

---

44) იხ. Акты, ტ. V, გვ. 465 - 466.

ილს სისრულეში მოეყვანა იმპერატორის ბრძანება, ან რატომ არ მოსპეს სოფლის მოურავები ბულგაკოვმა, გუდოვიჩმა, ტორმასოვმა და მარკიზ პაულუჩჩიმ.

ასე, ერთის ხელის მოქნევით ირღვეოდა და იფუშებოდა ჩვენი საპოლიციო, საადმინისტრაციო და სამსჯავრო დაწესებულებანი და მათ მაგიერ შემოდიოდა კამენდანტობა, კაპიტან-ისპრავნიკობა, სათემო პოლიცია და სამსაჯულო და მრავალი სხვა წესი და რიგი, ერთი-მეორეზე უმზგავსი და შეუფერებელი ხალხის ზნისა და ჩვეულებისა. ბუნებრივი მიმდინარეობა საქართველოს საზოგადო დაწესებულებათა ხელოვნურად შესწყდა. იმის მაგიერ, რომ შეეკეთებინათ და გაეუმჯობესებინათ დროსა და ჟამის მიხედვით ძველი დაწესებულებანი, ახალი კანონი და განკარგულება ჩამოესხათ ძველს ყალიბზე, გენერალმა რტიშჩევმა და იმის წინა მოადგილეებმა ამჯობინეს სარევოლიუციო გზა: მიანგრ-მოანგრიეს ძველი დაწესებულებანი, მკვიდრად დამარხეს საფლავში და მათ მაგიერ შემოიღეს ისეთი დაწესებულებანი, რომელთაც ერთი-ათად გაუმწარეს ბედი მრავალტანჯულ საქართველოს.

VIII

ომიანობა დასრულდა, ამბოხება ჩაქრა. მოღალატე და მუხანათნი სასტიკად დასაჯეს. ერთგულობის ფიცის გამტეხთ იგემეს მაშინდელ დროის რეპრესიების სუსხი. ვინც გადარჩა მათრახებს და ეგზეკუციას, ან მშვიდობით გაუსხლტა ჩქარ სამხედრო სასამართლოს და სამხედრო ყარაულებს, სამშობლოდან გადიხვეწა სპარსეთსა და ოსმალეთში. სპარსეთი და ოსმალეთი გვერდზე ეკრა საქართველოს და ემიგრაცია მაშინ სახიფათოს არას წარმოადგენდა. თავის შენახვაც ადვილი იყო ქართველისთვის მეზობელ ქვეყნებში, რადგან ყიზილბაშები და ოსმალონი სიამოვნებით უმასპინძლდებოდნენ მოუსვენარ ქართველებს. გადახვეწილთ მხოლოდ სამშობლოს დარდი უღრღნიდა გულს და მოსვენებას არ აძლევდა: ამ "სენით" რომ

არ ყოფილიყო შეპყრობილი მაშინდელი ქართველი, შენი მტერი, სამშობლო დაგვიცარიელდებოდა და დღეს თავში სამტვრევად აღარ გვექნებოდა ერის მოწყობის და შენახვის "წყეული საქმე", რომლის ჩაქრობასაც ასე ერთგულად სცდილობს სხვის გემოვნებაზე აღზრდილი ერთი ჯგუფი ახალგაზრდობისა. თანდაყოლილი გრძნობა სამშობლოს სიყვარულისა და დარდი, როცა ფიზიკური ძალა აიძულებდა ხოლმე ქართველს დროებით გადახვეწილიყო სადმე, მოსვენებას არ აძლევდა ემიგრანტს და ბრუნდებოდა შინ ქურდულად. შემოპარული ემიგრანტები ძილს უფრთხობდნენ მთავარ-მართებლებს და მათ ძებნა-პოვნაში ცოტა დროს არა ჰკარგავდნენ ესენი.

მაგრამ ბოლონდელი ემიგრანტები აგრე მალე ვერ დაბრუნდებოდნენ და გენერალ რტიშჩევს შეეძლო მოსვენებით ყოფილიყო და ვრცელი რაპორტები ეგზავნა პეტერბურგში. კახეთის ამბოხებამ ნათლად დაანახვა რუსის მთავრობას, რომ მას საქართველოში მეგობრები არა ჰყავს. მღვდელი და ბერი, თავადი და აზნაური, გლეხი და მოხელე, თითქმის სრულიად საქართველო თითო-ოროლა მუხანათს გარდა, ფეხზე დადგა, იარაღს წაავლო ხელი და მთელი წელიწადი ებრძოდა დაწვრთნილ რუსის მხედრობას სამშობლოს თავისუფლებისათვის და უცხო ტომის ტლანქ ბატონობის თავიდან ასაცილებლად. ასეთმა აღმოჩენამ რტიშჩევის მთავრობა დიდ საგონებელში ჩააგდო. გადაკარგულ, ცენტრზე სამის ათასი ვერსით დაშორებულ ქვეყანაში უმეგობროდ ცხოვრება ძნელია. თუ ერთგული მოკეთე არა გყავს გვერდზე, თუ არავის ენდობი, ტკბილად ერთ ღამესაც ვერ გაათევ. შეუძლებელი იქნებოდა, რომ ჯარი მუდამ თოფ-იარაღში ყოფილიყო, და გამვლელ-გამომვლელისთვის თვალ-წარბში ეცქირა, ჩემს სამტროდ ხომ არაფერს აპირობსო. უსათუოდ რუსის მართვა-გამგეობის ბატონობას მალე ბოლო მოეღებოდა, უკეთუ რტიშჩევი და მისი მთავრობა მეგობარს ვერ იშოვნიდა. რა-კი ეს აზრი გამოარკვია გენერალ-ლეიტენანტ რტიშჩევმა და ჭეშმარიტად აღიარა, საშუალებაც მალე გამ-

ოსძებნა მარტოდ დარჩენის მოსასპობად. ამ საშუალების პოვნას არც დიდი ჭკუა უნდა, არც დიდი ადმინისტრატიული ნიჭი, რადგან ძველის-ძველადვე ნაცადია და ხმარებული, როგორც უებარი წამალი. მთავარ-მართებელი რტიშჩევი დიდის სწავლა-განათლებით განთქმული არ იყო, მაგრამ ის მაინც ეცოდინებოდა, რომ რომაელები დაპყრობილ ქვეყნებს უვლიდნენ იმ ხერხით, რომელსაც მოკლედ უწოდეს: "დივიდე ეტ იმპერა", ესე იგი ადგილობრივ მკვიდრთა ინტერესი გაჰყავი და ისე იბატონეო. რადგან ქართველებს ერთი ინტერესი ჰქონდათ და გლეხი და თავად-აზნაურობა ერთის აზრით გაიმსჭვალა 1811-1812 წლებში, მათი გაშორება და ერთმანეთის შეჯახება იმ ჟამად არა ხერხდებოდა. ამის გამო რტიშჩევმა გამოსძებნა საქართველოში ძველადანვე დაბინავებული სომხობა, იფიქრა, რომ ესენი ქართველების მტრები არიანო და გადასწყვიტა - ვისარგებლებ ამ მტრობითაო. ქართველების დაჩაგვრა "ბუნტის" შემდეგ და სომხების წაქეზება სხვა-და-სხვა წყალობის დაპირებით სამუდამოდ გადაჰკიდებს მეზობლებს და რუსის მთავრობას გაუადვილებს ამ სამტრო ქვეყანაში ბატონობასაო.

გესლიანი აზრი რტიშჩევმა მალე მოიყვანა სისრულეში. სომხების ერთგულობის საბუთი სუსტი ჰქონდა რტიშჩევს, მაგრამ საბუთის სისუსტემ არ შეაჩერა იგი. აბა რა ერთგულობის ნიშანია, გეთაყვათ, ისა, რომ გაჭირვების დროს ტფილისის. სომხებმა რვაასი "ჩეტვერტი" ხორბალი ჩააბარეს სასურსათო მაღაზიასა! მაშინდელი ტფილისის სომხები ვაჭრობით და ხელოსნობით სცხოვრობდნენ, ხორბლის ყიდვა და მაღაზიაში მიტანა მაშასადამე ჩვეულებრივი საქმე იყო მათი და განა ამ ფაქტით რა უნდა დამტკიცდეს იმის მეტი, რომ ვაჭარმა სასურსათო მაღაზიაში ხორბალი მიიტანა და ხვედრი ფული მიიღო. ვსთქვათ, რომ სახეირო ფასებში ჩააბარეს პური ხაზინას. ვინ იცის, ეგები ასე რომ არ მოქცეულიყვნენ, ძალა დაეტანებინათ და ძალას ნებაყოფლობა არჩიეს.

მაინც და მაინც ორიოდე ამისთანა საქციელი მაშინდელ სომხობისა საბუთს არ აძლევდა გენერალ რტიშჩევს ქებადიდებით მოეხსენებინა საერთოდ მაშინდელი სომხობა და განსაკუთრებული წყალობა გამოეთხოვა იმპერატორისაგან. თუ ერთგულობაზე მივარდებოდა საქმე, განა თითო ოროლა ქართველმა უფრო სამაგალითო ერთგულობა არ გამოიჩინა რუსის მთავრობისა, აი თუნდ გენერალ ორბელიანმა და არქიმანდრიტ ელევთერმა? არც ისაა მართალი, ვითომც სომეხთაგანი არავინ ერია ამბოხებაში. სომეხს კაცო ოხანოვს მთელი ჯგუფი ჰყავდა და ებრძოდა რუსობას ქართველებთან ერთად. ავეტიქ-ბეგი, ტომით სომეხი, დიდ სამსახურს უწევდა ალექსანდრე ბატონიშვილს და ელჩის საპატიო თანამდებობას ასრულებდა. მართალია სიღნაღთან დამარცხებულ ბატონიშვილ ალექსანდრეს გამოეკიდნენ სიღნაღის სომხები, მაგრამ ეს ამბავი იმას გვიჩვენებს მხოლოდ, რომ თუ მოღალატობა გამოიჩინა სომხობის ერთმა ნაწილმა, მეორემ ქართველების და სამშობლოს ერთგულობით ისახელა თავი. ასევე იყო ქართველებშიც. მორჩა და გათავდა.

ნამდვილი სახელმწიფო მოღვაწე სწორედ ასე მოიქცეოდა და ორიოდე მცირე ამბავს არ გაჰბერავდა, მაგრამ მაშინ რტიშჩევი საწადელს ვეღარ მიაღწევდა და ბოროტების თესლს ვეღარ დასთესდა. ასეა თუ ისე, მთავარ-მართებელმა ცამდის ასწია სომხების ერთგულობა ქართველების ამბოხების დროს და სთხოვა იმპერატორ ალექსანდრეს, ჩინებულად და სამაგალითოდ დააჯილდოვე ეს ერთად ერთი ჩვენი მეგობრებიო. თვით დღევანდელი აფიციალური ისტორიკოსი კაპიტანი ანოსოვი მოხიბლულია რტიშჩევის უქვეშევრდომილეს რაპორტით და სავსებით ეთანხმება იქ გამოთქმულ აზრსა.

აი რა სიტყვებით აღნიშნავს ბ-ნი ანოსოვი თავის სიხარულს. მთავარ-მართებელი რომ სჯიდა მოღალატესა და მუხანათს, ამავე დროს აჯილდოვებდა იმათ, ვინც ჩვენი ერთგული იყო და თვის შეურყეველ ერთგულობით ხელს უწყობდა ჩვენის ჯარის გამარჯვებას. სხვათა შორის რტიშჩევ-

მა გამოსთხოვა იმპერატორს უმაღლესი ღრამატა საქართველოში სრულიად სომხის ხალხისათვისო (რუსულად: всему армянскому населенію Грузіи).

ნუ გაგიკვირდებათ, რომ სომხები დიდად აფასებდნენ ჩვენის მართვა-გამგეობის უპირატესობას. ეს მართვა-გამგეობა საშუალებას აძლევდა სომხობას უვნებლად და თავისუფლად ეწარმოებინათ ვაჭრობა და გულდამშვიდებით განეგრძოთ მყუდრო, მშვიდობიანი ხელობა და ამიტომ ჩვენ მხარეზე იყვნენო. რადგანაც სომხები შიშობდნენ, ვაი თუ ძველი საქართველოს დრო დაბრუნდეს და თან მოჰყვეს აურზაურიო, ყოველ ღონის ძიებას ხმარობდნენ და მეცადინეობდნენ, რომ მალე ჩაგვექრო აჯანყებაო.[45])

უქვეშევრდომილესი მოხსენება რტიშჩევისა 1813 წ. 13 მაისისა იმდენად საყურადღებოა, რომ საჭიროდ მიგვაჩნია მისი სავსებით თარგმნა და აქ მოყვანა.[46])

"ბედნიერადა ვსთვლი ჩემს თავსა, მოახსენებს რტიშჩევი იმპერატორს უქვეშევრდომილესად, რადგან საბუთი მეძლევა გაცნობოთ, რომ სომხის ერი, რომელიც საქართველოს მკვიდრთა შესამჩნევ ნაწილს შეადგენს, ყელთამდე ხავსია ერთგულ უქვეშევრდომილეს მადლობით იმ უმაღლეს მფარველობისა და ენით გამოუთქმელ სიუხვე-წყალობისათვის, რომელიც ევლინება თქვენის უდიდებულესობისაგან სომხობას (дедаанში на всю сію Націю). ამის გამო სომხობა რუსეთის იმპერიისათვის უმაგალითოდ თავდადებულია და შეურყეველ ერთგულობას იჩენსო. თავიდანვე, დაიწყო თუ არა მოქმედობა საქართველოში რუსის მთავრობამ, სომხის საზოგადოება თვალსაჩინოდ ააშკარავებდა მთავრობის ერთგულობას. მრავალჯერ უფეთქნია საქართველოში ბოროტ განძრახვას, მრავალჯერ სამეფოს სახლის წევრნი ასისინანებდნენ და აგულიანებდნენ ბრბოებს მთავრობის საწინააღმდეგოდ;

---

45) იხ. уп... ტ. II, გვ. 399 - 400.

46) Ibid. გვ. 400 - 401. Акты, ტ. V, გვ. 221 - 222.

აქაური თავად-აზნაურობა, გატაცებული ამაო იმედით, ჰღელავდა და სცდილობდა აღედგინა წარსული დაწესებულებანი ხალხის საკეთილოდ, თვით ქარაფშუტა ერი ხშირად ასდევდა ხოლმე სხვის ფეხის ხმასა, მაგრამ სომხის ერთგულობა მთავრობისადმი სალის კლდესავით უცვლელი და გაუტეხელი იყოვო. ვერავითარი დაპირება-მოხიბვლით (რუსულად; обольщеніе) სომხის ერთგულობას ვერა სტეხდნენ და აქაური სომხები თავდადებით უწევდნენ სამსახურს თქვენის უდიდებულესობის საქმესაო. მაგრამ ყველაზე დიდად თავი ისახელეს წარსულ კახეთის ამბოხების დროს. როდესაც მთელ საქართველოში კაცი აღარ დარჩა ჩვენი ერთგული, მარტო სომხებმა არა თუ არ მიიღეს არავითარი მონაწილეობა ამბოხებაში, არამედ სიცოცხლესა და ქონებასაც არა ზოგავდნენ. ჩვენ ჯარებთან ერთგულ და ერთსულ იყვნენ, ამხედრდნენ მეამბოხეთა წინააღმდეგ და რუსის მხედრობასთან ერთად იბრძოდნენ მაშფოთართა გასაწყვეტად. სომხებმა ბრძოლაში გამოიჩინეს სამაგალითო ვაჟკაცობა და გულწრფელი თავდადება თქვენის იმპერატორების უდიდებულესობისადმი. ამას გარდა აქაური მთავრობა სომხებს უნდა უმადლიდეს, რომ დროზე და წინდაწინ იტყობდა, რას აპირობდნენ მეამბოხენი და სადა ჰქონდათ ბინა. კახეთის სხვა და სხვა კუთხეს გაბნეული, ერთმანეთს მოწყვეტილი ჯარი თუ რამეს იგებდა ერთმანეთისას,. ეს სულ სომხების წყალობითა, რომელნიც სიამოვნებით და ხალისით ასრულებდნენ ასეთ სახიფათო მინდობილებას და ხშირადაც სიცოცხლეს ესალმებოდნენ სამსახურის ერთგულობის გამოვო.

არ შემიძლიან არ გავხადო თქვენის იმპერატორების უდიდებულესობის უმაღლეს ყურთა სმენის ღირსად შემდეგიც. ყველაზე ძრიელ რომ გაგვიჭირდა ამბოხების დროს და ტფილისში სრულიად აღარ შემოდიოდა პური შარშანდელ მოუსავლობის გამო და როდესაც თქვენის დიდებულების ტფილისში დაბანაკებულ ჯარს შიმშილი მოელოდა, სწორედ მაშინ ტფილისის სომხის საპატიო მოქალაქეთ გაჭირვებისაგან დაგვიხსნეს. ამ დროის მიხედვით ასეთი სამსახური უდიდებულ-

ეს სამსახურად უნდა ჩაითვალოს. ერთი კი უთხარი და მაშინვე გააჩინეს 800 ჩეტვერტი პური (ჩეტვერტი 7-8 ფუთია). ფასიც პურისა დიდად სახეირო იყო მთავრობისათვის. ამგვარად თავიდან მოვაშორეთ დიდი გაჭირვება ტფილისში დაბანაკებულ ჯარს და პირველ ხანს მაინც იოლად წავედით.

რადგან ყოველ საქმის აღსრულების დროს, რომელიც კი თქვენმა უდიდებულესობამ დამაკისრა, ვხელმძღვანელობ წმიდა ჭეშმარიტებით, აუცილებელ მოვალეობად მივიჩნიე ვაუწყო თქვენს უდიდებულესობას, თუ რაოდენ ერთგულნი, თავდადებულნი და მოტრფიალენი არიან საქართველოში მცხოვრები სომეხნი თქვენის უდიდებულესობისა.

დარწმუნებული ვარ, რომ ყოველ გვარი წაქეზება და წათამამება სომხებისა მრუტანს უფრო მეტს სარგებლობას როგორც აქაურ ქვეყანას, ისე სამსახურსა, რადგანაც ასეთი წაქეზება გააორკეცებს სომეხთა ერთგულობას და თავდადებას და თვით ქართველთა ტომის ხალხებში დაჰბადებს ჯიბრსა და გამოიწვევს წაბაძვას. ამის გამო მოვმართავ თქვენის უდიდებულესობის გულკეთილობას და უქვეშევრდომილესად გთხოვთ - გააბედნიერეთ საქართველოში მყოფ სომხის ერის ყველა წოდებათა საზოგადოება თქვენის უდიდებულესობის მონარქულის წყალობით, რომელიც გამოიხატება ამ საზოგადოების სახელზე ბოძებულის უმაღლესის ღრამატით.

ბედნიერად ვსთვლი ჩემს თავს, რომ თქვენის უდიდებულესობის მოწყალე ყურადღების ღირსად ვხდი ჩემის თხოვნის ბედსაო".

სწორედ საოცარია ეს ბიზანტიურის კილოთი და ბიზანტიელების გემოვნებაზე დაწერილი ქებათა-ქება, რომლის გადმოქართულებამ სული კბილით დაგვაგლეჯინა. მთელი რაპორტი მხოლოდ ექვსი წინადადებისაგან შესდგება და აბა ეხლანდელი ლიტერატურული ქართული როგორ გამოხატავს ამ დაუსრულებელ და სიტყვა მრავალ ხოტბა-შესხმას ექვსისავე წინადადებით. ენად რომ გაიკრიფა გენერალი რტიშჩევი და მტრედივით აღუღუნდა, მაინც და მაინც რა ნახა ისეთი სომხების საქციელში, რომ რაჭულ ჭიანურსავით გაბა და

ველარ გაათავა თავისი ლოცვა-კურთხევა. საქართველომ მთელი ქვეყანა მიართვა საიმპერატორო ტახტსა და უბრალო მადლობის ღირსიც ვერ გახდა. მადლობას ვინა სჩივის, დღესაც საყვედურით გვახრჩობენ: ჩვენ რომ არ ვიყვეთ, თქვე ქეციანებო, წყალი წაგიღებთო. მაშ რამ მოულბო გული რტიშჩევსა?

დღევანდელი სომხები, განათლებული და გაუნათლებელი, უსათუოდ შეუკურთხებენ რტიშჩევს, რომ საქართველოში დაბინავებულ სომხებს ჯაშუშის დამღა დააკრა და სათაკილო სახელით შეაცურა ისტორიაში.

მიზეზი სწორედ ისაა, რომელიც ამ კარის დასაწყისშივე აღვნიშნეთ. ქართველების მიერ ათვალწუნებულ მართვა-გამგეობას მეგობარი ეჭირვებოდა და რტიშჩევმაც ჯოხი სომხებს მიაყუდა, რადგან იმათზე მეტი სხვა აღარავინ იყო. არხეინად ბატონობისათვის საჭირო იყო მეზობლების ინტერესის გაცალკევება და რტიშჩევმაც არ იუკადრისა დაეთესა განხეთქილება, თუმცა წყნარი და ღვთის მოსავი ადამიანი იყო. მუდამ ძნელი იყო და დღესაც ადვილი არაა გაუმაძღარ პოლიტიკის დაპურება. სამწუხარო მხოლოდ ისაა, რომ მაშინდელი სომხები ვერას მიხვდნენ, ან არ მოისურვეს მიხვედრა და ოსტატურად დაგებულ კაკანათში გაებნენ.

IX

გულითადი სურვილი აუსრულდა რტიშჩევსა. იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა უბოძა სომხის ერს უმაღლესი ღრამატა. ღრამატა ხელმოწერილია 15 სექტემბერს 1813 წ., უმთავრეს სამხედრო ბანაკში, ბოჰემიის ქალაქ ტეპლიცას. ხელს აწერს აგრედვე ღრამატას სახელმწიფო კანცლერი გრაფი რუმიანცევი.

აი თვით ღრამატა: "წყალობითა ღვთისათა, ჩვენ ალექსანდრე პირველი, იმპერატორი და თვითმპყრობელი სრულიად რუსეთისა და სხვათა, და სხვათა, და სხვათა. სასურველ

და ერთგულ ქვეშევრდომ, სრულიად სომხის ერს და საერთოდ ამ ერის ყველა წოდებას, ჩვენი იმპერატორებითი წყალობა.

"საქართველოს მთავარ-მართებლის მოხსენებიდან გულწრფელის სიამოვნებით ვიხილეთ ჩვენთვის ფრიად სასიამოვნო ახალი დამტკიცება იმისი, რომ საქართველოში დაბინავებულ სომეხთა ყველა წოდება მუდამ აღვსილი იყო მადლობითა და ერთგულობის მგრძნობელობით (чувствованіе) იმ მაღალ მფარველობისა და მამაშვილურ მზრუნველობისათვის, რომელთაც ჩვენ ვუჩენდით მანდაურ ხალხსა. მრავალ გზით დაამტკიცეს იმათ თავიანთი გრძნობა და შეურყეველი ერთგულობა. განთქმულნი იყვნენ სამაგალითო პირიანობით და სიმტკიცით და თავი ისახელეს ერთგულობით იმ დროს, ოდეს ქარაფშუტა და არა კეთილის მოსურნენი ამაოდ ცდილობდნენ შეერყიათ ჩვენ მიერ დამკვიდრებული მყუდროება საქართველოში. შფოთიან და მღელვარებით სავსე დროს გული არ შეიცვალეს და კლდესავით მაგრად იდგნენ ჩვენის ტახტის და ჩვენს ერთგულობაზე. არამც თუ ქონება და საცხოვრებელს, სიცოცხლესაც არ ზოგავდნენ ჩვენს სამსახურში და საერთო სარგებლობისათვის. ამგვარი ერთგულობა და თავგანწირულობა სრულიად სომხის ერისა საქართველოში და სრულიად ამ ერის წოდებათა გარჯილობა და ღვაწლი, მიზეზია იმისი, რომ სასიამოვნო მოვალეობად მიგვაჩნია წინაშე მთელის ქვეყნისა შევამოწმოთ მათი სამსახური და ერთგულობა და გამოუცხადოთ იმათ მადლობა და წყალობა (признательность и благоволеніе) და დარჩეს ესე მოწმობა ჩამომავალთა ხსოვნაში მათ სასახელოდ და სადიდებლად.

"საიმპერატორო წყალობითა ჩვენითა დავშთებით მწყალობელი მათი".[47])

ენატანიაობა რომ მაინცა და მაინც დიდად არაა საქებური, ეს ამ უმაღლეს ღრამატიდანაც სჩანს. იმპერატორმა ალექსანდრემ და სახელმწიფო კანცლერმა რუმიანცევმა

47) იხ. Акты, ტ. V, §§. 945.

უხერხულად მიიჩნიეს ამ თვისების საჯაროდ აღნიშვნა. დარჩა მარტო რტიშჩევის მოხსენებიდან 800 ჩეტვერტი პურის მიზიდვა და სიღნაღიდან გაქცეულ ბატონიშვილ ალექსანდრეს უკან დევნა. გულწრფელად მოგახსენებთ, სწორედ ვერ გაგვიგია, ეს ორი მცირედი სამსახური რა ისეთი ბედენაა, რომ მაგის გამო ბოჰემიის ქ. ტეპლიცაში, შესანიშნავ ნაპოლეონ პირველთან ბრძოლის დროს, ხელი მოაწერინეს იმპერატორს რესკრიპტზე და აუწყეს მთელ ქვეყანას საქართველოში მყოფ სომხების ერთგულობა. მოხსენებული გვქონდა უკვე, რომ წელიწადში ქართლ-კახეთს ჯარის საჭიროებისათვის გამოჰყავდა 112,154 ხარ-კამეჩიანი ურემი და 99,780 სასაპალნე ცხენი, მაგრამ მადლობის მაგიერ სახლებში დრაგუნები ჩაუყენეს, რომელნიც ქმრების თვალწინ დედა-კაცებს ნამუსსა ჰხდიდნენ. ისტორიული საბუთები ბევრი ვჩხრიკეთ, მაგრამ ვერაფერი აღმოვაჩინეთ ისეთი რამ, რომელსაც შესძლებოდა ასე უზომოდ მოეხიბლა რტიშჩევი რუმიანცევი და თვით იმპერატორი ალექსანდრე პირველი. ძაღლის თავი, ალბად, იმ "დივიდე ეტ იმპერაში" ჰმარხია, რომელიც ზემოდ მოვიხსენიეთ. სხვა ჩვეულებრივი ლოღიკა და ისტორიული კრიტიკა არ უდგება ამ გაუგებარ ქებათა- ქებას რტიშჩევისას და იმპერატორ ალექსანდრესას.

გენერალ რტიშჩევი მეტის-მეტად იყო ნასიამოვნები და გახარებული, ღრამატა რომ ჩამოიტანეს ტფილისში. არ ვიცით, რა უფრო უხაროდა მთავარ-მართებელს, ისა, რომ ხელმწიფემ მისი ვედრება და მუდარა შეისმინა, ღრამატა უბოძა სომხებს და ამით პირადი ნდობა გამოუცხადა თვითმპყრობელმა, თუ ისა, რომ სომხები და ქართველები გადაჰკიდა და სამეზობლო შურსა და გესლს ფართო გზა გაუხსნა. გრაფ რუმიანცევს გაუგზავნა იანვრის ორს 1814 წ. რტიშჩევმა მოხსენება და დიდი მადლობა გადაუხადა მეცადინეობისა და გარჯისათვის. ღრამატის ბოძება ნიშანია იმისი, სწერდა გენერალი რტიშჩევი რუმიანცევს, რომ თქვენი ბრწყინვალება მოწყალე თვალით უცქერის აქაურ საქმეებს. ასეთი გარემოება მავალებს გამოუცხადო თქვენს ბრწყინვალებას გულწრფ-

ელი მადლობა იმ დიდ შუამდგომლობისათვის, რომელიც თქვენ იხმარეთ იმპერატორის ყოვლად მოწყალე ტახტის წინაშეო. აქედან სჩანს, რომ სახელმწიფო კანცლერიც დიდად გარჯილა და ხელი შეუწყვია, რომ ღრამატა ებოძებინათ ქართველ სომხებისათვის.

უმაღლესი ღრამატა, 15 სექტემბერს ხელმოწერილი ქ. ტეპლიცაში, ტფილისში მოვიდა 11 ნოემბერს. ტფილისის სომხები სიხარულით ცას დაეწივნენ და აღარ იცოდნენ, როგორ გამოეხატათ თავიანთი სიხარული და აღტაცება. ღრამატა მთავარ-მართებლის სასახლიდან ისეთის ამბითა, ზეიმითა და ცერემონიით გადიტანეს ვანქის ტაძარში, რომ უცხო და შორეულ მაყურებელს ეგონებოდა, ალბად სომხობას უდიდებულესი ხარტია მიაქვთ სამღვთო ტაძარში სამშობლოს პოლიტიკურად აღდგომისაო და არა ბობოლა მოხელე გრაფ რუმიანცევის მიერ გაშალაშინებული რაპორტი რტიშჩევისა, რაპორტი, რომელიც აშკარად ჩირქსა სცხებდა სომხობის ეროვნულ თავმოყვარეობას და სახელს უტეხდა ისტორიულ და კულტუროსან ერს.

გენერალი რტიშჩევი ამგვარად აღგვიწერს ღრამატის ჩაბარების და გამოცხადების ამბავს, რომელსაც სიტყვა სიტყვით ვთარგმნით, ვინაიდგან საყურადღებოდ მიგვაჩნია მკითხველებისათვის ღრამატის ჩაბარების ცერემონიალი.[48])

"საქართველოს სამხედრო და სამოქალაქო გუბერნატორმა გენერალ-მაიორმა სიმონოვიჩმა პოლიციის პირით აუწყა ტფილისულ სომხებს, რომ ღრამატა გადაეცემა მათ 22 ნოემბერს. დილის 8 საათზე შეიკრიბნენ გუბერნატორის სახლში სომხის თავადნი[49]) და საპატიო მოქალაქენი. აქედან პროცესია დაიძრა და გაემართა მთავარ-მართებლის სასახლისაკენ. წინ მიუძღვოდნენ სამოქალაქო გუბერნატორის კანც-

48) Ibid. ტ. V, გვ. 231, 232. утв... ტ. II, გვ. 402 - 404.

49) რუსულად: армянские князья. ეს შეცდომაა. ბეგთაბეგიანი, ბეგუთაშვილნი, თუმანიშვილნი, ისე როგორც იელიგაროვი, ქართველი თავად-აზნაურნი არიან. ისეც არიან შეტანილნი ქეროლდიაში. სომხის თავადი ისტორიული ტერმინია და რტიშჩევის დროს სომხის თავადები არა სცხოვრობდნენ საქართველოში.

ელარიის მოხელენი. მთავარ-მართებელი დახვდა პროცესსიას სასახლეში და შესაფერი სიტყვა უთხრა. სიტყვის შემდეგ რტიშჩევმა გადასცა ღრამატა სომხის ერთ უპირველეს თავადთაგანს. არჩეულ კაცის პირით საზოგადოებამ მოახსენა ენით გამოუთქმელი მადლობა სომხის ყველა წოდებათა სახელით უავგუსტოესს მონარქს, რომელმაც ასე თვალსაჩინოდ და სამაგალითოდ გააბედნიერა სომხის ხალხი თვის ყოვლად მოწყალე წყალობით. ამის შემდეგ უმაღლესი ღრამატა დასდეს მდიდრად ნაკერ ფარჩის ბალიშზე, რომელიც ეჭირათ ოთხ საპატიო სომხის თავადს და ორ უპირველესს მოქალაქეს. ბალიშის მჭერელნი, რომელთაც წინ მიუძღოდა პოლიცმეისტერი და პოლიციის მოხელენი, ცერემონიალის მსვლელობით გაემართნენ ვანქის ტაძრისაკენ. პროცესსიას უკან მისდევდა მთავარ-მართებელი რტიშჩევი მთელის თავის შტატით და სამხედრო მოხელეობით და აგრედვე გუბერნატორი სამოქალაქო მოხელეებით. მთავარ-მართებლის სასახლის ყარაულმა, გამოჩნდა თუ არა უმაღლესი ღრამატა, სამხედრო პატივი სცა. აუარებელი ხალხი მისდევდა უკან პროცესსიას. ვანქის მონასტრის ზღუდესთან ღრამატას შეეგება შემოსილი სომხის არქიეპისკოპოსი მინასა მრავალრიცხოვან სამღვდელოებით, ჯვრებითა და წმიდა ხატებით. მინასამ ჩამოართვა თავადებს და მოქალაქეთ უმაღლესი ღრამატა, დაიდო თავზე და ასე გაემართა სობოროსაკენ. მომხიბლავი და ცრემლების მომგვრელი სურათი იყო, სობოროსაკენ მსვლელობის დროს გაისმოდა შესაფერ საგალობელთა გალობა, ზართა რეკვა და სასიხარულო განცვიფრება ხალხისა. სობოროს შესავალ კართან ღრამატას მოეგება შემოსილი უპირველესი სომხის არქიეპისკოპოსი ასტვაცატური მრავალსაეკლესიო მოსამსახურეებით და შესაფერის საეკკლესიო წესითა, მიიღო ღრამატა-არქიეპისკოპოს მინასასაგან, დაიდვა თავზე და ამ გვარად განვლო ეკლესია და მივიდა სამღვთო ტრაპეზამდე, მუხლი მოიყარა წინაშე ტრაპეზისა და დასდო ღრამატა განსაკუთრებულად მისთვის მომზადებულ ადგილზე. შემდეგ არქიეპისკოპოსმა ასტვაცატურმა შესაფერისი სიტ-

ყვით მიმართა სომხის ხალხს. შემდეგ ამისა გადაიხადა მუხლმოდრეკით სამადლობელი პარაკლისი საბედნიეროდ მათის იმპერატორების დიდებულებისა და სრულიად უავგუსტოესის გვარეულობისა. გულწრფელი მოწიწება და სულიერ ლმობიერობის ცრემლნი სომხის ერის ყველა წოდებისა სწორედ რომ ნამდვილი გამომხატველია გულითად გრძნობისა და მადლობისა მათის უდიდებულესობისადმი. ამის შემდეგ უპირველესმა არქიეპისკოპოსმა ასტვაცატურმა გადაიხადა თავიანთი წესისამებრ სამღვთო ლიტურგია. მე ჩემის შტატით და უპირველესი არქიეპისკოპოსი ასტვაცატური მიგვიპატიჟეს სადილად, აგრედვე რუსის მოხელეობა და საპატიო ქართველი თავადიშვილნი. დაპატიჟებული იყო სადილად აგრედვე საქართველოს ეგზარხოსი ვარლაამი (ერისთავი), რომელიც დაესწრო ვანქის ტაძარში სამადლობელ პარაკლისსა. ეგზარხოსი ვარლაამი კეთილმსახურებით და ნამდვილ ერთგულობით მათის იმპერატორების უდიდებულესობისადმი მაგალითს აძლევს ქართველ საზოგადოებას. სამადლობელ პარაკლისსაც იმისთვის დაესწრო, რომ პარაკლისზე დასწრებიფ პატივი ეცა სომხებზე მოვლენილ მონარქის სიუხვისათვის.

ამავე საღამოს სომხის საზოგადოებამ გამართა ბალი. მიწვეულნი იყვნენ საპატიო რუსის მოხელენი სახლობით და ქართველი თავადიშვილნი. ბალს მოჰყვა აქაურ მხარეს იშვიათი და საუცხოვო ვახშამი (ужинный столъ). ვახშამს დაესწრო ორასზე მეტი გვამი ორთავე სქესისა. ის სახლი, სადაც ბალი და ვახშამი იყო გამართული, მშვენივრად გააჩაღეს. სახლს ამშვენებდა გამჭვირვალე სურათი, რომელიც წარმოადგენდა ჯავარიან კლდის პირამიდას. პირამიდაზე იყო დამკვიდრებული ვენზელიანი სახელი მათის იმპერატორებითის უდიდებულესობისა. ვენზელიან სახელს ასხივოსნებდა დიდება, რომელიც ყოველ კუთხეს ჰფენდა რუსეთის ძლევა-მოსილობას და ბუმბერაზობას და ჰმოწმობდა, რომ ყველას გული და სული მადლობელია დიდებულის მონარქისა. ქალაქის ყოველი ნაწილი, სადაც სომხები სცხოვრობენ, შესანიშნავად იყო გაჩირაღდნებული, აგრედვე ციხის ზოგიერთი ადგილი. შუაგულ

ქალაქის დუქან-ბაზარი, მორთული საუკეთესო ფარჩითა და იშვიათის ნივთებით, გაანათეს დიდებულად და თვალწარმტაცად.

ხალხი გათენებამდის ქეიფობდა და სეირნობდა. ცხადად ეტყობოდა, რომ სომხის ხალხის სიხარული გულწრფელი იყო. ასეთს სიხარულს თანა სდევდა გულწრფელივე მადლობა მათის უდიდებულესობის მფარველისადმი.

ესეც უნდა მოგახსენოთ, სწერს რტიშჩევი რუმიანცევს, რომ სომხობა არ დაკმაყოფილდა თავის გრძნობის გარეგანის გამოხატვით და თავის სიუხვისაგან შესწირა ჯერ-ჯერობით 4000 მანათი ასიგნაცია სამადლო სახლს ღარიბ-ღატაკთა სასარგებლოდ და მოსახმარად, რათა საქმით დაუმტკიცონ უავგუსტოეს მონარქს თავისი უღრმესი მოწიწება და მადლობა ენით გამოუთქმელ სიუხვისათვის. კურიერსაც, რომელმაც უმაღლესი ღრამატა ჩამოიტანა, ფეშქაშად მიართვეს 1000 მანათი ასიგნაცია".

ასე იდღესასწაულეს ტფილისის სომხებმა რუსის მთავრობისადმი თავიანთი ერთგულობის ატესტატის მიღება. ასე თეატრალურად თავიანთ გრძნობის გამოხატვა ტფილისის მოქალაქეთ და სომხის სამღვდლოებას რაღაც სენად გადაექცათ. ათის წლის წინად, გენერალ კნორრინგის დროსაც, ასეთისავე "ცერემონიალის სიარულით" მიიღეს უმაღლესი ღრამატა. თუ კნორრინგის დროინდელ საქციელს რაიმე გასამართლებელ საბუთს უპოვნით, რადგან ვინ იცოდა, ახალი მთავრობა რას მოიტანდა, ცამეტი წლის შემდეგ ცხადზედ უცხადესი შეიქნა კაპიტან-ისპრავნიკების სუსხიანი რეჟიმი და ამის გამო 22 ნოემბრის მატაოცობა სრულიად გაუგებარი ხდება.

ეს კიდეჯ არაფერი. რაც ეპატივება მაშინდელ დროის პოლიტიკურ განუვითარებლობას, ის როგორ უნდა ვაპატიოთ დღევანდელ ისტორიკოსს? ცნობილმა ჩვენებურმა ისტორიკოსმა ა. დ. ერიცოვმა სავსებით შეიტანა თავის წიგნში

15 სექტემბრის ღრამატა და თითქოს სომხის ერს შარავანდედს ადგამსო, უკრიტიკოდ დასტოვა.[50])

ჩვენის ფიქრით, რაც მალე დაივიწყებს რტიშჩევის ატესტაციას სომხობა, ისა სჯობიან. განმეორება მისი სწორედ რომ სათაკილოა.

50) იხ. Пятріахъ всѣхъ Армянъ Нерсесъ. ტფილისი, 1898 გვ. 117 - 129.

სარჩევი

ნაწილი პირველი

შესავალი
5 - 10

კარი პირველი
11 - 20

ქვეყნის მოვლა-პატრონობის სიძნელე. მთავრობამ მრუდე გზა აირჩია. წარსულის უარყოფა. რუსული მართვა-გამგეობის შემოღება უცვლელად. უხეირო კანონი და საძაგელი მოხელენი. რა თვალით უცქეროდნენ მოხელეობას ციციშვილი, პაულუჩჩი და ტორმასოვი. ანოსოვის აზრი "до Бога высоко, до царя далеко". "ტუზემცები". დახასიათება მოხელისა.ფეოდალურ-არ-

ისტოკრატული წესწყობილება. მოხელე-ბიუროკრატი.

კარი მეორე

20 - 30

ღვთის რისხვა და თავლაფ დასხმული სასურსათო მოხელენი. დარბევა ქვეყნისა. შიმშილი 1811-1812 წ.პურის ასაკრეფად სოფლად ეგზეკუციას აყენებენ. სამხედრო კამანდები. ანოსოვის აზრი. როგორი უნდა იყვეს ერის მმართველი. გენერალ სტალმა მარკიზი მახეში გააბა. ტანჯვა-ვაება ერისა. ხორბლის მაგიერ კახელები ძეთა და ასულთ აძლევდნენ კამანდებს. ჯარი ულმობელად და სასტიკად ეპყრობოდა მკვიდრსა, ზნეობა შებღალა, სიბილწე შეიტანა სოფლად. ხალხი კვნესოდა, გამკითხავი არავინ იყო.

კარი მესამე

30 - 38

სასამართლოს რეფორმა კახეთში.მოსამართლე ამორჩეული უნდა ყოფილიყო. სურვილი ამბოხების პირდაპირ მიზეზის გაგებისა. კამისია ამბოხების მიზეზთა გამოსაკვლევად.

ბოდბისხეველთა მოხსენება - უსამართლობამ სული ამოგვხადა, ლეკოა, ყიზილბაშთა და ოსმალთა ბატონობის დროსაც არ გვიხილავს ამდენი შავი დღენიო.ბეგარაზე გვერეკებოდნენ ფოთს, ერევანს, გუმბრს, განჯას და სხვაგან. მოხელეთა მექრთამეობა, ბავშვებს პირიდან პურსა ჰგლეჯდნენ, დედა-კაცებს კისერზე ქვებსა ჰკიდებდნენ. მოხსენება პრასიანელებისა. სალდათები მეურმეებს ურმებში აბავდნენ. ბეგარაზე შიმშილით ხოცავდნენ, საჭმელს რომ მოსთხოვდნენ, დედა-მიწაზე უთითებდნენ - სჭამეთო. ცოლ-შვილის გაუპატიურება და ნამუსის ახდა. განძრახ დავის ატეხა და სოფლების გადაკიდება მამულის გამო. სიღნაღელთა ტირანობა.

კარი მეოთხე

39 - 48

მირზაანელების მოხსენება. ცოლების მოტაცება. მაჟაროვის ავკაცობა. სასტიკი ბეგარა. სიმრუდე ზომისა. ქრთამი. მოხსენება არქიეპისკოპოს რუსთველისა. ჯარის სასტიკობა. ხალხის დარბევა. კამისიონერების ოინები.

მიტროპოლიტ ბოდბელის მოხსენება, მოხელეთა აღვირ ახსნილი საქციელი. უსამართლობამ სასოება დაუკარგა ხალხს. დიდი ხანია ხალხს ცეცხლი წაეკიდა,მაგრამ მის ჩაქრობას და განვლებას არავინ ფიქრობდა. გუბერნიის მარშალ თ. თამაზ ორბელიანის მოხსენება. ტორმასოვი ხალხის კვნესას ყურს არ უგდებდა, ერთი რაღაც მიუკარებელი ადამიანი იყოვო.

კარი მეხუთე

48 - 57

თ. თამაზ ორბელიანის ნაობახტში ჩაგდება. ორბელიანის გლეხ-კაცობას დარჩენილი სასურსათო გადასახადი მოსთხოვა მარკიზმა. დატუქსვა თ. კონსტანტინე მუხრან-ბატონისა. პროკურორი პლახოტინი, მეჭიანურე და მეთარე.

კარი მეექვსე

57 - 67

ჟამი. ქურდ-ბაცაცა ყაზახები. მცირე ჯამაგირი ყაზახისა. კარანტინები. თ. დარჩია ბებუთაშვილი და მცხოვრებთა ჯანმრთელობაზე

მზრუნავი კამიტეტი. კარანტინებმა ხალხი დიდად შეაწუხა.

კარი მეშვიდე

67 - 75

საერთო უკმაყოფილება. სამღვდელოება და საეკლესიო აზნაურები. ერთობა-სიმტკიცის უქონლობა. ინგლისის ხრიკები. ბატონიშვილი ალექსანდრე. მისი სააგიტაციო წერილები. ძლიერი გავლენა წერილებისა. წერილების თავაზიანი კილო და რუსის მოხელეთა სიტყვა-პასუხი, მათი შედარება.

კარი მერვე

76 - 84

გაბრიელ ყაზბეგი და საქართველოს სამხედრო გზა. წერილები ბატ. ალექსანდრესი მთიულებისადმი. ავეტიქას წერილი. წერილი ალექსანდრესი თელავს ზევით თემისადმი. აზრი ბატონიშვილისა რუსებზე. გენერალი ერმოლოვი და მისი აზრი ალექსანდრეზე. ერევნის სარდარ ჰუსეინ-ყული-ხანი.

კარი მეცხრე

84 - 94

უზომო ბეგარა. პაულუჩჩიმ ამბ-
ოხების ატეხა არა საიმედო კაცებს
მოახვია. ბიოგრაფია მარკიზისა.
პაულუჩჩი, როგორც ქვეყნის გამგე.
ერეკლესა და გიორგის ძეგლები. თ. პ.
ციციშვილის გვამის მოსვენება.

კარი მეათე

94 - 103

თიანეთი და ფშავ-ხევსურეთი.
სოფ. ახმეტა. "ზეკუცია". აჯანყება.
თიანეთში კამანდის ამოწყვეტა. თელა-
ვისკენ დაიძრა ჯარი საშველად. ტფილ-
ისი შეჰკრთა. ვრონსკისა და ესიპოვის
კამანდები ძალზე დაზარალდნენ. ტფ-
ილისიდან კიდევ გაგზავნეს მაშველი
ჯარი. თელაველ სომხებმა მიიღეს
მონაწილეობა "რევოლიუციაში".
თელავის ალყა. ლეკები მოეშველნენ
ქართველებს. ბატ. გრიგოლ მეფედ და-
ადგინეს.

კარი მეთერთმეტე

103 - 112

აჯანყება კახეთს მოედო და გადა-
ვიდა ივრის ხეობაზე. აბბას-მირზას პრ-

ოკლამაცია. თელაველ მეციხოვნეთა გაჭირვება. კამენდანტის და მეამბოხეთა მიწერ-მოწერა. ქართლიდან და ბამბაკიდან მაშველი ჯარი წამოვიდა. შეტაკება ანაგაში და კაკაბეთში. კრიტიკული მომენტი. პურის აკრეფა შეაჩერეს. ერთგული ქართველები აფრინეს სოფლად. ენატანიებს მზეს უბნელებენ მეამბოხენი.

კარი მეთორმეტე

113 - 121

ქიზიყი. სიღნაღის აკლება. ბარბაროსობა აჯანყებულთა. ყაბარდოს პოლკის ერთის ბატალიონის დამარცხება ს. ბოდბისხევს. ჯარის ნაშთი თავს იყრის ყარა-აღაჯის ციხეში. სიკვდილი სვიმონ ბებურიშვილისა და ოთარ ონანოშვილისა. გაჭირვება ყარა-აღაჯისა. ოთარ ქობულაშვილმა შეუტია საგარეჯოში გამაგრებულ გენერალ პორტნიაგინს. გენერალი ტფილისს წავიდა. კახეთმა გაიმარჯვა. ახლად არჩეული მეფე სიმხნევეს იჩენს და ყაზახ-ბორჩალოს ატყობინებს - დადგა ჟამი რუსების გარეკისაო.

კარი მეცამეტე

121 - 129

პორტნიაგინი ტფილისის გამაგრებას შეუდგა. პოლკოვნიკმა ტიხანოვსკიმ ს.ხაშმთან დიდად დაამარცხა მეამბოხენი. დარიალის ვიწრო ხეობა. მთა აჯანყდა, ფასანაურის პოსტზე რუსები გაჟლიტეს. ანანურის ამბები. ქართლიდან პოდპოლკოვნიკი უშაკოვი დაიძრა ანანურის საშველად. რუსებს ეხმარება კონსტანტინე მუხრან-ბატონი და თორნიკე ერისთავი. უშაკოვმა დუშეთი აიღო იერიშით. კაპიტან საგინაშვილის გაჭირვება. ღართის კარს დაბრუნდა, რადგან დუშეთის გზა ვერ გაარღვია. მუხრან-ბატონის ვერაგობა.

კარი მეთოთხმეტე

130 - 138

გაბრიელ ყაზბეგის დაუფასებელი ღვაწლი. უშაკოვმა ანანური დაიხსნა. 70 ქართველის ამოწყვეტა. საქართველოს სამხედრო გზის გახსნა. პაულუჩჩის დაბრუნება ტფილისს. გენერალი პორტნიაგინი სამსახურიდან გავიდა. საექსპედიციო ჯარის უფროსობა

თვით მარკიზმა იკისრა. უშაკოვმა დიდად დაამარცხა მეამბოხენი საშაბუროსთან. ქართლმა მხარი არ დაუჭირა კახეთს. ფეოდალებმა დიდი ერთგულობა გამოიჩინეს ახალის მთავრობისა.

კარი მეთხუთხმეტე

139 - 150

პაულუჩჩიმ მოუწოდა კახელებს - ჭკუაზე მოდით, იარაღი დაჰყარეთ და დამორჩილდით მთავრობასო. კახელების პასუხი. მარკიზის მეორე პროკლამაცია. ზოციქულები: ნინოწმინდელი, პატრი ონოფრე და სოლომონ ავალიშვილი. არქიმანდრიტი ელევთერ ზუკაკიშვილი. ღვაწლი და მოქალაქობა ელევთერ ბერისა.

კარი მეთექვსმეტე

150 - 166

მარკიზი ს. ხაშმს წავიდა. ახალციხელი შერიფ-ფაშა და კარელი აბდულა-ფაშა. რუსებმა შერიფ-ფაშა დაამარცხეს ახალქალაქთან. მაიორ სავარსამიძემ სასტიკად დაამარცხა კარელი ფაშა აბდულა. მარკიზმა მონასტერ სამებასთან დაამარცხა კახელები.

ტყვედ აყვანილი ორი მეამბოხე ბრძ-
ოლის ველზე ჩამოაღრჩეს. ხაშმის
აკლება. ხიშტით მოიკლა 80 წლის
მონაზონი მარიამ აბაშიძე, დედიდაშვ-
ილი მეფე ირაკლისა. საგარეჯომ ქედი
მოიხარა. მაიორ ორბელიანის გამარ-
ჯვება ყარა-აღაჯთან, ქართველებს წა-
ართვა ერთად-ერთი ზარბაზანი რომ
ჰქონდათ. ქართლის სამზღვარს მოადგა
იმერეთიდან წამოსული ყაბარდოს
პოლკის ერთი ბატალიონი. მარკიზი
ქიზიყისაკენ გაემართა. უშაკოვი თიან-
ეთისაკენ წავიდა. ტიხანოვსკიმ დაიხსნა
ქოდალოს ციხეში გამომწყვდეული 80
რუსის ჯარის-კაცი. ორი მეამბოხე ჩამ-
ოაღრჩეს. ქიზიყმა მორჩილება გამოაც-
ხადა. პაულუჩჩი პირველ მარტს
თელავისაკენ მიდის. მეფე გრიგოლის
წერილები. ბატონიშვილ დავითის
მოთხრობა შესახებ მარკიზის ექსპედი-
ციისა ქიზიყში. ღვაწლი იოსებ ანდრო-
ნიკაშვილისა მთავრობის წინაშე.
ბრძოლა ს. ჩუმლაყთან. სიკვდილი
პოლკოვნიკ თ. ვახტანგ ორბელიანისა.
დაიჭრა პოეტი თ. ალექსანდრე
ჭავჭავაძე. ტყვეთა ჩამოღრჩობა.
უბედურობა მეფე გრიგოლისა. ბევრმა

თავადიშვილმა უღალატა. ჩვენი ეროვნული სენი.

კარი მეჩვიდმეტე

166 - 177

უშაკოვის გამარჯვება. რვა თიანელის ჩამოღრჩობა. არტანის დაწვა. რუსების ზარალი. პაულუჩჩის მაგიერ გენერალი რტიშჩევი. თავად-აზნაურობა თხოულობს მარკიზის საქართველოში დარჩენას. თავგადასავალი არქიმანდრიტ ელევთერისა. ბატონიშვილი გრიგოლ ანწუხს გაიქცა. თ.ვ.ი. ბებუთაშვილმა და პრაპორშჩიკ თ. ბარათაშვილმა წაიყვანეს საქართველოდან რუსეთს დატყვევებული გრიგოლ პეტრეზავოდის ციხეში ერთი წელიწადი დაჰყო.

ნაწილი მეორე

კარი პირველი

178 - 181

საზოგადო მიმოხილვა.

კარი მეორე

181 - 188

გენერალი რტიშჩევი. სპარსეთის პოლიტიკა. შფოთი განახლდა. ჯორჯაძე და ერისთავი ხალხს აჯანყებენ. კახელები ელჩებს გზავნიან ბატ. ალექსანდრესთან სპარსეთს. გენერალი სტალი კახეთში. აჯანყების ჩასაქრობად კახეთს წავიდა გენერალი დიმიტრი ორბელიანი და მალე დაბრუნდა.

კარი მესამე

188 - 196

რტიშჩევი ყარაბაღს წავიდა.ბატონიშვილი ალექსანდრე შემოდგომის პირზე კახეთში გაჩნდა. აჯანყებამ ხელ-

ახლა იფეთქა. ტიხანოვსკი გამოეკიდა ალექსანდრეს. ძლიერი შეტაკება ს. შილდაში. ფასანაური მეამბოხეებმა დაიჭირეს. მოადგილე რტიშჩევისა ორბელიანი ტიხანოვსკის შეუერთდა ფაშაანის ფონთან.

კარი მეოთხე

197 - 206

ბრძოლა ნორჩებში, გურჯაანის ბოლოს. ორბელიანმა ჩამოაღრჩობინა ქიზიყელი იოსებ მამანაშვილი, ქედური. ბრძოლა შავ-ტყეში. რტიშჩევი ტფილისს ჩამოვიდა. სიმონოვიჩი ანანურს წავიდა, აქედან საგურამოს გზით კახეთს გაემართა. ლეკთა ბელადი ალისკანტი ეახლა ალექსანდრეს. ტიხანოვსკი და ორბელიანი დადგნენ კოდაზე, ანაგის ბოლოს. კახელებმა სიღნაღს ალყა შემოარტყეს. ალექსანდრეს დამარცხება სიღნაღთან. ალექსანდრე ჩალაუბანს დადგა. შილდის მეორედ აკლება. პოლკოვნიკი ერისთავი. ორბელიანმა დასწვა მაღარო, ქედელი და ნუკრიანი. დიდი ბრძოლა ჩალაუბნის ხეობაში. ორბელიანი მივიდა კელმეჩურს და დადგა ლაკბეზე.

კარი მეხუთე

206 - 214

მანავის ციხე. ჩაილერის ბრძოლა. ალისკანტის ღალატი და ალექსანდრეს დამარცხება. ღალატი ბარძიმ ჩერქეზიშვილისა. ფაფრის მინდორზე ტიხანოვსკიმ ამოწყვიტა ლეკები, ხეირი არც კახელებმა დააყარეს შინ მიმავალ ლეკებს. ალექსანდრე ავიდა ფშავში, აქედან გადავიდა ხევსურეთს. გენერალ ორბელიანის სისასტიკე და ვერაგობა. ბიწიერება ნინია ერასტიშვილისა და იოსებ ანდრონიკაშვილისა. ბოროტება ელევთერისა. ალექსანდრე და ხევსურები. კონტრიბუცია.

კარი მეექვსე

215 - 221

რეპრესიები. გაციმბირებულ თავადაზნაურნი. დანაშაულის პატიება.

კარი მეშვიდე

222 - 226

სოფლის მოურავების მოსპობა.

კარი მერვე

226 - 233

"რევოლიუციამ"აღმოაჩინა, რომ რუსებს საქართველოში მეგობრები არა ჰყავთ. ძებნა მეგობრებისა. რტიშჩევმა ქებათა-ქება შეასხა სომხობას და სთხოვა ხელმწიფეს უწყალობოს მათ ერთგულობისათვის ღრამატა. უზნეო და გაუმაძღარი პოლიტიკა.

კარი მეცხრე

233 - 240

ღრამატა იმპერატორ ალექსანდრე პირველისა სომხის ერის სახელობაზე. ღრამატის ჩაბარება "ცერემონიალის მსვლელობით". ბალი და ვახშამი. ჯავარიან კლდის პირამიდა. სურათი-ემბლემა რუსეთის დიდებისა და ბუმბერაზობისა. სომხების მატაოცობა. ა. ერიცოვი.

ალექსანდრე ფრონელი

ამგზოხეგა კახეთისა

რედაქტორი
ნ. დოგუზაშვილი
მხატვარი
ი. ვასილკოვსკი
კომპიუტერული დიზაინი
ა. ბერდიშევის
ტექნიკური რედაქტორი
ი. ბუაჩიძე
კორექტორი
თ. დახუნდარიძე

გადაეცა ასაწყობად 10.05.92. ხელმოწერილია დასაბეჭდად 17.11.92. ფორმატი 60x84 1/16. ქაღალდი ოფსეტური. გარნიტურა ჩვეულებრივი. ბეჭდვა ოფსეტური. ტირაჟი 5.000.

ფასი სახელშეკრულებო

გამომცემლობა "ამირანი"
თბილისი, მ. კოსტავას ქ. 69, კორპ. 5.